

821.14

8-66




ბიზანტიური მწერლობის
ქრესტოგათია //

821.141(05)
5-66

ბიზანტიური მწერლობის ქრესტოვანთა

II ტომი

(VII ს. მეორე ნახევარი – IX ს.)




გამომცემლობა „ქველი“
თბილისი
1993

პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვიციანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები
დამანა მელიქიშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამილა შგალობლიშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

16768



ნ ი ნ ა თ ქ მ ა

„მუშაკი გარეშე მოძღვრისა
ყანა უგუთნისდედოდ შთენილი“

(ძველი შუამდინარული პოეზიიდან)

ძველ „სასწავლო წიგნთა“ შემდგენელების გამოცდილებაზე დაქარბითი ჩვენ მიერ შემუშავებული პრინციპები ქრესტომათიის აგებისა პირველი ნაკვეთის „წინათქმაში“ აისახა, ხოლო პირველ ნაკვეთს საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ავდარი ცხინვალის სტამბაში დაატყდა თავს და დღესდღეობით ტყვე ხელნაწერის სტატუსი მიიხვდა. აქ ორიოდ სიტყვას დავემატებთ.

საღრმისმეტყველო ტერმინოლოგიის სამარხების სვეროში მუშაობა უაღრესად რთული საქმეა, ხოლო ჩვენი კადნიერება, ამ ტერმინებით ზუსტი ოპერირება რომ მოვინდომეთ, განაპირობა ქართული მთარგმნელობითი კულტურის ისტორიამ და, კონკრეტულად, სიმონ ყაუხჩიშვილის თაოსნობით რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დაგროვილმა სიმდიდრემ ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მასალების სახით. კაცობრიობამ (თუ იოვანე-ზოსიმე, ვითარცა დიდი მოღვაწე და ტომით კაცი, კაცობრიობის ისტორიას გუოვიწის) ბერძნული ცივილიზაციის ენიდან, შეიძლება ითქვას, არტიტული ემანაციისათვის ქართულს მიაგნო და საღრმისმეტყველო ძეგლების თარგმანთა წინამდებარე კრებულის მკითხველი კიდევ ურთხელ დარწმუნდება, რა ღონე აქვს ქართულ სიტყვას, თუ ჩვენებრ უდებოა მოღვაწეთა ხელით იგი ასეთ სიმაღლეს აღწევს. ჩვენ შევეცადეთ საბჭოეთის ხეცერი წინა შემოქმედებითზე წინ დაგვეყრებინა და მკითხველს კიბოეთა, ავკარგის შევასებისას სიზუსტეში უფრო გვენდოს, ვიდრე ჩვენს ნათქვამობაში, რადგან მხოლოდ მაშინ შემოგვეჩინდა ახალი, როცა ამას ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მასალები მოითხოვდა. „დედ იყო აქილეუი“.

ქრესტომათიის* ამ ნაკვეთში თვალს ხვდება პირმწივრავთა სიმრავლე; გამორჩეულად დიდია პიმწივრავთა პოეზიის ნიმუშთა საერთო მოცულობა. ეს სავსებით ბუნებრივი გახლავთ, რადგან VIII-IX საუკუნეები, უწინარეს ყოვლისა, სასულიერო პოეზიის კლასიკურ ხანას წარმოადგენს ბიზანტიურ მწერლობაში. მაგრამ, ერთი შეხედვით, საკვირველი ჩანს ის გარემოება, რომ ქრესტომათიაში* არ შედის არც იოვანე დამასკელის და არც კოზმან იერუსალიმელის გალობანი. ოღონდაც ამ დაკლების მიზეზი თვით ძველი ქართული სიტყვის კულტურის ისტორიას მიეწერება; ჩვენ ვერ მოვინახეთ იოვანეს და კოზმანის პიმწივრავთა კანონებიდან ისეთი, ძველადვე რომ არ უთარგმნათ ქართველ მგალობლებს, სოლო ამ პრინციპის მიხედვით, რომლითაც იგება ჩვენი ქრესტომათია*, ძველი ქართული თარგმანების შემდეგ ამ ძეგლებს ხელი ვერ მივაცართ. ისღა მოხერხდა, რომ ბერძნულ ენაზე მოვქებნეთ „იოვანეს და კოზმანის ცხოვრების“ რედაქცია, რამდენადაც ვიცით, უცნობი ძველი ქართული მწერლობისათვის, და ამ ნაკვეთში მთლიანად მოვათავსეთ „ცხოვრების“ ტექსტის თარგმანი.

შემთხვევითი არ გახლავთ არც ფოტოისის მიკუთვნება ამ პერიოდისათვის. მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობის სიღრმეა ხელახალი წაკითხვა არათუ არ ამართლებს თანამედროვე რუსულ ბიზანტინისტიკაში მიღებულ აზრს, რომ ფოტოისის უმაღლესი პრინციპია სიფიზღე სიტყვის და აზროვნების ხელოვნებაში¹, პირაქუ, წინამდებარე წიგნში მოწვედილი მასალა პატრიარქს დიდ შესაიდუმლოედ და მისტაგოგად წარმოგვიდგენს; და, თუ მისი საეკლესიო-პოლიტიკური საქმიანობა აშხადებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა სრულ გათიშვას, ჩვენი აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ მისი სამეცნიერო პროზა, რომელიც IX საუკუნეს გასდევს, მისი „ქერძო აკადემია“ უნდა მოეწვეილოთ იოვანე დამასკელის და VIII-IX საუკუნეების სხვა თეორეტიკოსთა ასევე (ფოტოისის პრაქტიკული საქმიანობის მსგავსადვე) ფუძემდებლური და მასშტაბური საღმრთისმეტყველო ნაშრომების შექმნის ხანას.

ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათიის* მეორე ნაკვეთი ეპრობ-რივად არცთუ ნაკლებად ახაზავს VIII-IX საუკუნეების ბიზანტიურ მწერლობას. გარდა ზემოხსენებულისა, თარგმნილია რიტორიკულ-პომი-

¹ Культура Византии, вторая половина VII-XII в. Москва, 1989, с.43.

ლექსური, საერთო-პოეტური, ისტორიული, წმინდად დოგმატიკურ-ფილოსოფიური, პოლემიკური თხზულებები. მაგრამ მკითხველი ნუ დაგვძრახავს, თუ ბევრი დაგვრჩა გადმოსაქანი. მათს თარგმნას შემდგომ ვაპირებთ უფრო მეტი გულმოდგინებით და ნიადაგ მღვიძარებით, ვითარცა ძველ „სიკევის ტრფიალით“ წესია: „მე მძინავს და გული ხემა მღვიძარე არს“ (ქებაჲ ქებათაჲ, V, 2).

„წმინდა პახომიოსის ცხოვრების“ შესახებ

პახომიოსი მსოფლიო ეკლესიის წმინდანია; 346 წ. აღსრულებულა თებეში. „ცხოვრებას“, რომლის ნაწილიც „ქრესტომათიაში“ წარმოვადგინეთ, პახომიოსის „პირველი ცხოვრება“ ჰქვია. იგი რამდენადმე დაშორებულია უადრესი პაგიოგრაფიული თხზულებების სკემას და „ცხოვრების“ აღმწერელის ტრაფარეტული ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ბევრი რამ წმინდანის მომსწრეთაგან არის უშუალოდ გაგონილი თუ გადმოცემული, ხელს არ გვიშლის — ძველი წინარე მეტაფრასული, მაგრამ არა უძველესი კიმენური ტექსტების გვერდით დევაყენით (სწორედ ამიტომ შევიტანეთ II ტომში).

პახომიოსის ხსენება დადებულია 15 მაისს, როცა ქართული ეკლესია „ღმრთისმშობლის ვარდობას“ დღესასწაულობდა. ეკვშირი რთული ასახსნელია, თუმცა ყოველი შემთხვევითობა, ჩანს, გარკვეულ კანონზომიერებას ეჭვმდებარება. სხვა ხსენებანი (მისივე) მაისის თვეს არ სცილდებიან.

წმინდა პახომიოსის პირველი „ცხოვრება“ პაგიოგრაფიული ბელეტრისტიკის მშვენიერი ნიმუშია. თარგმნისას ჩვენ ვითვალისწინებდით სხვადასხვა რედაქციებს და ძირითადი ტექსტიდან გადახვევა ყოველთვის ტექსტობრივად დადასტურებული იკითხვისია; ამიტომ მკითხველს უმორჩილესად ვთხოვთ, დედანთან შედარების შემთხვევაში აჩქარებით დასკვნებს ნუ გამოიტანს. ხელთ გვქონდა ფ. ალკენის მიერ 1932 წ. გამოცემული „Sancti Pachomii Vitae Graecae“.

ბერძნულ ენაზე არსებობს თეოფანე გამომეტყველის (IX ს.) თავიერი პიმნოგრაფიული კანონი, შიძლენილი „ლირსი მამისა ჩვენის პახომიოს დიდისადმი“. გალობანის ძველი ქართული თარგმანი („სიტყვობებისა მის შენისა მალლისა სასოებითა გალობისა ქნარსა წადიერად შეგითხზავ...“) შემოუნახავს ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერს (უძველესია H-1710, XI ს.).¹

¹ იხ. „ბიზანტიელი პიმნოგრაფები ძველ ქართულ „თთუნებში“, კატალოგი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კვირიკაშვილმა, თბილისი, 1987, გვ. 45.

წმინდა პახომიოსის ცხოვრება

...და კაცი ვინმე, სახელად პახომიოსი, წარმოშობით ელინი, იყო თებელი, ფრიადი წყალობა მიიხვედა და იქნა ქრისტიანი და აღიკვეცა ბერად სრულწმინდად. ხოლო ჭერ-არს ამისი ცხოვრების მოთხრობაც სიყრმითგანვე სადიდებულად ღვთისა, რომელიც ყოველი მხრიდან შემოიკრებს ხალხს სიმრავლეს მისი საკვირველი ნათელისაგან.¹

3. და მივიდა ყრმა მშობილებთან ერთად წარმართულ საკერაოში, რათა მსხვერპლი შეეწირა მდინარეში მოლანდებულ საეშმაკო ჩვენებათათვის. და იხილა რა იგი ქურუმმა, რომელიც მსხვერპლვის ადათს ასრულებდა, გააძვეა იჭიდან და გონებაამღვრეულმა ასე უყვირა: „განაგდეთ აქათგან ღმერთების მტერი“. ესმათ ყრმის მშობლებს, მეტად შეწუხდნენ, რადგან შეილი მტრად დაიგულეს ხსენებული ღმერთებისა, რომელნიც არ არსებობენ, უფრო კი ის აწუხებდათ, რომ რამდენჭერმე იჭაური ფეშხუმებიდან მოასვეს ღვინო და ყრმამ უმალ გამოცალა. მას შემდეგ, რაც გახდა მარტომყოფელი, განმარტავდა თავის სიყრმის სიყვარულს და ამის აზრს განუცხადებდა გარს შემოიკრებილ ბერ-მონაზვნებს: „ისე არ გამიგოთ, თითქოს სიკეთის უცოდინარმა ეშმაკულმა ძალებმა მაშინ იმიტომ განმდევნეს, რომ წინასწარ ხედადნენ ჩემგან მოსალოდნელ შემოკვევას და მწყალობლობას ჭეშმარიტების რწმენით. მათ მაშინაც ვეჩვენებოდი ბოროტების მოძულედ (ვინათგან ღმერთმა გააცხადა კაცი წრფელად), ამიტომაც მიმიზნებდნენ ტყვიას: ნუთუ არც ამის შემდეგ იქნებაო საჭმით ჩვენი ღვთის წინ კრძალული და ღვთისმოსავი? ეშმაკულთა მსახურებმა განმდევნეს მე“.

4. შემდგომად განდევნისა იმეფა დიდმა კონსტანტინემ, პრომთა ქრისტიანი მეფეების ძირითძირმა². და ტირანთან შებმულმა ბრძანა ბოლოს, დიდძალნი წინამძღვარნი შეეყარნათ. და თავად პახომიოსიც შეპყრობილი მიიყვანეს იქ.

¹ 1 პეტრესი, 2,9: „ხოლო თქვენ, ნათესავი რჩეული, სამეფოა, სამღვდლოა, თესლი წმიდაა, ერი მოგებელი, რამთა სათნოებათა მიუთხრობდეთ, რომელმან-იგი ბნელისაგან გიწოდა თქვენ, საცრველსა მას ნათელსა მისსა“.

² დედანში არის *აპარჯი*, ეს კი უპირველესად, ი.ბ. დვორუკის განმარტებით, ნიშნავს „წინასწარ ზორვას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სამსხვერპლო ცხოველის შუბლიდან აცლილი თმის ბლუქას წვაჯდნენ“, ხოლო პირველი ქრისტიანი მეფის ამგვარად წარმოდგენა ფრიად საინტერესოა ძველ შუამდინარულ მითოსთან მიმართებით, რამდენადაც, ერთი მხრივ, მეფესა და მეუფეს შორის ქრისტიან მოაზროვნეებს ლამის უქირთ ზღვარის გაკლება, ხოლო, მეორე მხრივ, უმეურელთა და აქადელთა მითოსურ სამყაროში კაცთა მოდგმა მომდინარეობს ღმერთებისაგან ვამეტებული და დაკლული ღმერთის სისხლისგან. *აპარჯი* ნიშნავდა აგრეთვე პირველ მოსავალს ან უკეთეს წილს და საწყისებს, ძირებს, „კავშირნი“ რომ ეწოდება პეტრიწთან.

ოცი წლისა თუ იქნებოდა. და წინამძღვარნი რომ მივიდნენ, დახვდნენ მათ ძლიერი ჭარისკაცები, ჰალაქ თებეში წაასხეს და ჩაამწყვდოეს. ეს ამბავი მოგვიანებით შეიტყვეს მოწყალე ჭრისტაანებმა, მიუტანეს საჭმელ-სასმელი და სხვა ცუველი, რაც სჭირდებოდათ შევიწროებულთ. ჭაბუკმა გამოიკითხა ამის თაობაზე და შეიტყო, რომ ჭრისტაანები შემწყნარებელნი არიან უცხოთა და ყველას მიმართ. და მეორედ ეუწყება, რას ნიშნავს ჭრისტაანი. და ეუბნებიან მას: „აიცი არიან და ჭრისტეს სახელს ატარებენ. ღვთის მხოლოდშობილის ძისას, და ყოველსავე ეთილს იქმან ყველ ასთვის მიხი იმედით. ცისა და მიწისა და ჩვენთა, კაცთა, შემოქმედისა“

5. და ესმა რა ესოდენი მადლოს შესახებ, გული აღენთო ღვთის შიშით და სხარულთ. მცველთა შორის გადაინაცლა, ცისკენ განიპყრნა ხელნი სალოცავად და წართქვა: „ღმერთო, შემოქმედო ცისა და მიწის, თუ მოსილეთ მოიხილავ ჩემს მოდრეკილობას, რის მიზეზითაც არ გიცნობ შენ, მხოლოს და ტყუპმარტო ღმერთს, და ამ წამებისა და დაწრეტისაგან დამიხსნი, გამსახურებ სურვილით სამარადლეოდ და კაცთმოყვარებით დავემონები კაცთა, როგორც შენ დამარტებ“. ასე ილოცა და ლოცვა იგი იქმნა მის თანათა. და შფოთავდა მასთან მყოფთა საწუნარით საკაცობრიო სიამტბილობისათვის და ვულს სტყენდა სიყვარული უწესრიგობაც. ამათ კი მებხიერებიდან ამოამღევიანა, რაც მის წინხალმდევ მოემოქმედებინათ, და ეს ღვთის მადლი იყო, რადგან სიუმაწვილითვე ფრთად ეტრფოდა უმანკობას. და იქმნა განჩინება მეფერი (რომ სძლია კონსტანტინემ მოწინააღმდეგეებს) და ათავისუფლეს წინამძღვარნი. თავად ჭაბუკი უკან დაბრუნდა მონატრებულ თებადს, მივიდა იმ უბნის კალესაში, რომელსაც ტენობოსკია¹ ეწოდებოდა, და, სიტყვით წვრთნილი, მთინააღა. ხოლო იმ ღამეს, როცა ჩასწედა საიდუმლოს, ნახა სინმარი, ძილისშორისი. და უმწერდა თავის თავს, ცით ცვარნასტრებს. და ცვარი მოაგროვა მარჯვენა ხელში და იტყა ნამი თათლის გოლეულად და, დაეარდა თუ არა გოლეული მოწაზე, გაიხმა უცხო ხმა: „გარდაქმნილი (მომხდარი) შეიცან, რადგან შენია ამიერიდან“.

6. და ბოლოს ღმერთის სიყვარულთ განიზრახა ბერად აღკვეცილყო. და ცხადი გახდა მისთვის განდევნილის ვისმე, სახელად პალამონის. ამბავი და მოვალა პალამონისა და მასთან ერთად დაუღებია იხება. მყისვე კარზე ფრთხილად დააკაენა. გამოიხედა მოსტყმა და ჰკითხა, რა გნებავსო, ვინათგან სიტყვაძვირი: გასლდათ; და მანაც ასე მიუგო: შენ გეტრფიო, მამაო, ბერად აღმკვეცო, და მან უთხრა:

¹ მეტყველო სახელწოდება. უფრის ასაბარე-ს (7).

არ ძალგმსო, რამეთუ საჭმე ესე საღვთო არ არისო მარტვი; მრავალნი მოვიდნენ და არ დარჩნენო. პახომიოსი ეტყვის: მცადე ამ საჭმეში და ნახავო ვალად მიუგებს მოხუცი: „ვერ შენვე გამოსცადე თავი დრომდე და ისე მოდი; რადგან მე მკაცრ განდევილურ ცხოვრებას ვეწევი. ზაფხულში მარხვას ვიჭერ ყოველდღე. ზამთარში ორი რამ მაქვს საზრდოდ: პური და მარილი, — სხვას არას შევექცევი ღვთის მადლით; ზეთსა და ღვინოს პირს არ ვაკარებ. და, როგორც მასწავლეს, შუალამისას გამუდმებით ვიღვიძებ სალოცავად და ღმერთის სიტყვათა წარსატკმელად, ხოლო ხშირად მთელი ღამე მღვიძარე ვარ“. და ესმა რა ჭაბუკს მოხუცისაგან ესე ყოველი, უფრო განძლიერდა სულით და ეწადა, ყოველგვარ საჭმეში მის გვერდით დარჩენილყო. და უთხრა მოხუცს: „მწამს ღვთის შეწევნა და შენი ლოცვანი და დავითმენ ყოველსავე, რაც კი მოთხარ“. მაშინ გაულო კარი, შეიფანა პახომიოსი და შემოსა ბერთა სჭიმით და იყვნენ ორნიე მოღვაწენი და მოცალეობით იწვრთნებოდნენ ლოცვად. საჭმე მათთვის სასიტყველის რთვა და ქაივა იყო. შრომით რომ დაღლებოდნენ, არა თავდასახსნელად, არამედ გლახათა გულისთვის იხსენებდნენ სამოციქულოს. მღვიძარე მოხუცი თუ ნახავდა, რომ ძილი ამძიმებდათ, ორნიე გამოვიდოდნენ რიყეზე, მთის ძირას, და კალათებით გადაქონდათ ტუფა ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ მოექანცათ სხელი ფხიზლად ლოცვისათვის. ეტყოდა მოხუცი: „იფხიზლე, პახომიოს, არ გამოგცადოს სატანამ და ტყვილი რამ არ შეგამთხვიოს“ და ხედავდა პახომიოსის სრულ სიმცხრალეს და მორჩილებას და ამტანობას და მისი დასსნა იყო მოხუცის გახარების მიზეზი.

7. ხოლო დღესასწაულის (ხარების?) დღეს, აღდგომის შემდგომ, მოხუცმა უთხრა პახომიოსს: რადგან დღეს ქრისტაანთა დღესასწაულია, ადექ და საუზმე მოამზადეო. მანაც მოამზადა, სცხო ზეთი დანაყულ მარილს, ვინათგან წინათვე ითქვა, რომ მათ ასე უნდა ესაუზმათ. ხდებოდა ხოლმე, რომ უზეთოდაც და ბურახის გარეშეც ლოცავდნენ მარილს, ხშირად მას ნაღვერდალსაც აყრიდნენ, ოდნავ რომ მიინაჯებოდა. და ბოლოს, პახომიოსმა მოუხმო მოხუცს სასაუზმოდ. და მიუახლოვდა იგი ტრაპეზს, ნახა ზეთი, მარილზე ცხებული, და სახეში იცმდა და მოსთქვამდა: „უფალი ჯვარცმულია და მე ზეთს მივირთმევ?“ და, რაც კი ჭაბუკმა მოუხმო მას, ძლივსლა ითმენდა შეშინებულს გვერდით, სრული განდევილობის დროინდელი თეფში აიღო და დასადნენ პურობად ჩვეული წესით ასე ატარებდა ჯვარს წმინდა პალამონი მარადღე, მაცხოვარი უფლის სიტყვის თანახმად. მისად დამოწაფებული საწყალაობელი გელით.

8. და ერთხელ, მღვიძარებისას, იხილავენ ცეცხლისაგან დანახშირებულ ზეთისხილის ხეს. ანასტასი, სხვა ბერთაგანი, მისული მათთან დასარჩენად, ეტყვის მოხუცს: ვისაც სწამს თქვენი, დადგესო ამ ნახშ რზე და წარსთქვასო

სახარების ლოცვა. ხოლო ცნა რა მოხუცმა, რომ ეს სიტყვა ამპარტყენებით იყო თქმული, საყვედურით უთხრა: დაცხრიო, რადგან შემცდარი ხარო. და არც უგრძვნია ბერს, თუ რა შესცოდა; მან დაადგა ფეხი ნახშირის და წართქვა ლოცვა სახარებიდან. და შეწყვიტა თუ არა, ეშმაკეული კმედების ძალად მიიჩნია ძალა ღვთისგან დათმობის, ფერხთ რომ არ ავნო. და უფრო აზუედა გულით, როგორც საღეთო წერილითა: „გულარძნილთა მათ გულარძნილნი გზანი მოუვლინნის უფალმან ღმერთმან“...¹

9. ...პახომიოსი გულში იმარზავდა ყოველ საფარს², როგორც „საღეთო წერილში“ სწერია. ამიტომაც კეთილშობილ მოხუცს აკვირებდა მით, რომ არა მხოლოდ გაცხადებულად იღვწოდა და მასთან ერთად თავგანწირვით ითმენდა განდგეილურ ცხოვრებას, არამედ სულის ხმითაც ისწარავოდა, რათა სრულად განწმენდილიყო საღეთო სჯულის თანახმად, უფრო მეტის მოშლოდინე „სასოებისა მისთვის განმზადებულისა ცათა შინა“³. და იწყო კითხვა, ანუ გულმკერდიდან ამომავალი სიფაქიზით ჩხრეკდა ღმერთის სიტყვებს, არა მარტოვად, ან ისე, როგორც მრავალნი ჩხრეკენ, არამედ თითო-თითოდ არჩევდა საასპარეზოდ, ყოველ სიტყვას თავის თავში შერკბალუბდა⁴ და, დამკირებელი, აღვირს ასხამდა სიმდაბლით და მოდრეკილობით და მორჩილებით და ჰეშმარტებით, ვითარცა იტყვის უფალი: „(შეისწავეთ ჩემგან,) რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“⁵.

10. ძველთა მამათაგან, კარგა ხანს რომ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მასთან, შევიტყვეთ ეს ამბავი, რომელსაც ისინი საღეთო წერილის სიტყვების შემდეგ ჰყვებოდნენ ხშირად. ვერ შევძლებდით, აღგვეწერა მეტი წილი იმისა, რაც მოვისმინეთ, - ამიტომ ნაწილ-ნაწილ მოგითხრობთ.

11. იმ მთის ირგვლივ უდაბური ადგილი იყო, ეკალბარდიანი და ჭაგნარი და ხშირად ჩაუშვებდა ხოლმე დაბლა ძელებს საამბოდ ან იმისათვის, რომ საზრუნავი ჰქონოდა. იმხანად ნაჩეხი ხეებისაგან დაწყულულებული შიშველი ფეხებით საშინლად მძიმე შრომას ეწეოდა და ითმენდა, რადგან ახსოვდა ლურსმნები, რომლებითაც მაცხოვარი ჯვარზე მიაჭედეს. ჩვეულებად ჰქონდა, უფრო ხშირად უდაბნოში დამდგარიყო ლოცვად, დაიკირებდა რა, ეხსნა ღმერთის მტრის მზაკრობისაგან თავად იგიც და სხვანიც ყოველნი. ასე დარჩა ღვთის პეტრეფე ფრად

¹ იგავნი, 21,8.

² იხ. იგავნი, 4,23.

³ კოლასელთა მიმართ, 1,5

⁴ მღრ, ლუკა, 8,15.

⁵ მათე, 11,29.

12. ერთხელაც კარგა დიდი მანძილით დაშორდა იმ სამყოფელს და მიადგა ტაბენესად წოდებულ დაბას, უდაბნო რომ იყო, და ღვთის სიუცარულისათვის ილოცა და, ვედრებით ვართულს, მისწვდა ხმა (ხილვით გერ არცაა სწავნიებოდა): „დარჩი აქ და ააგე მონასტერი; ჭეშმარიტად, მრავალნი მოვლენ შენთან, რათა ბერად აღიკვეცნენ“. ესე რა ესმა და გაიხიბის სიწმინდით და სინაულით რა შეუწონა საღვთო წერილს, მიხვდა, რომ წმინდა ხმა იყო. მიბრუნდა აბბაბათან და უამბო ყოველი; ღრმად დაარწმუნება ფრთად მწუხარე, რომ ეს თავად მისთვის გაღებულ წყალობას ნიშნავდა, რადგან ღვიძლ შვილად ჰყავდა მიღებული პაბომიოსი. და ასე, ორნივე ტაბენესის გზას დადგნენ. და ააშენეს სახლავი, ანუ საკლავი მცირე. და უთხრა პაბომიოსს წმინდა მოხუცმა: „რადგან მწამს, რომ ეს შენთვის ღმერთმა იწება, მოდი, აღვუთქვათ ერთ-ერთს, რომ აღარასოდეს დავშორდებით ამიერიდან, რათა ერთხელ შევცნეთ თავი შენცა და მეც“. ახლ მოიქცნენ მართლა რომ ქრისტეს მოასპარეზა პალატიონის აღსასრულამდე.

13. და ითმენდა შიგანის (ელენისის) ტკივილს წმინდა პალატიონი, საკლავი ძალზე აღმატებულ ღვაწლს რომ ხდილობდა. და სხეულით მთლად დაუძღვრდა. რადგან ხშირად თავის ღუგმას წყალსაც არ აყოლებდა, ხან კი მხოლოდ წყალს სვამდა და არაფერს ატანდა. და ამბებდაც და მტერნილმაც ურჩიეს, ეზრუნა თავის თავზე, რათა განკურნებულყო. მიენდო მათ, იღებდა საზრდელს, სენის ზვედრს, თუ შესადერს, ერთი დღე. და იგაჩნო, რომ სიმამივე უფრო მოერია; მიატოვა კუმადი და თქვა: „თუ ქრისტეს მოწამენი ასო-ასო იკეთებოდნენ, თუ მათ თავებს ჰკეთდნენ, სწუჯდნენ, ზოლო ისინი სიკვდილამდე მალას იკრებდნენ, რად უნდა შევეტრათე უცნინესი ამავის დებას, რის მოვალედაც თავი იღვენია? ხომ დაფიცვით და ვკამე კუმადი, რომელიც სულის მოსათქმელი გვეგონათ; ვერაფერი მარგო. აჰა, „ღვაწლსა დიდსა შესლვად ვარო“¹, რომელსა შინა არს სრული შეუბა, და განვიკურნები; ვინათგან ღვაწლსა ამას ვუკმ არა კაცებრივად, არამედ ღმერთის შესაფერისად“. ასე მამაკურად იწრთობოდა და ერთი თვე იავადმყოფა. და მისი მიძებდავი იყო პაბომიოს ტაბენესელი. სულ გვერდით ეგდა, ათბობდა მამას და ღირსეულად თავს ევლებოდა, სანამ არ მოხვდა ღმერთმა, დაკრძალა მოხუცი მამამ ჩვენსა პაბომიოსმა და მიუბრუნდა თავის ადგილს განდევნილობას.

14. და ესმა ამბავი მის ხორკოვლ მმას, სახელად იოვანეს, და მივიდა მასთან. მმის ნახვა მეტად გაუხარდა, რადგან არასოდეს არ ყოფილა თავისიანებთან, ვისგან დახსნილიც მოვიდა, რომ დაეცვა და გააქვრთხილებოდა; ბერად შედგომა ირჩია და მასთან დარჩა. და იღვნენ ორნივე არაფრის მკონენი, გარეშე საღვთო

¹ შდრ. „წამებაი წმიდისა შემანიკისი, III, 11.

სჯულისა. და თუ რამ გააჩნდათ, უპირატესად გაჰიარებულებს შეეწეოდნენ ხოლმე. თავიანთთვის კი იმდენს იტოვებდნენ, რამდენიც სიცოცხლისთვის იყო საჭირო. ფრიად საბრალბელთა და გლახაკთა სამოსი ემოსათ, თითქოს მანამდე არ შექალოთ სხვა რამის ჩაცმა-დახურვა, ვიდრე ამ ძველს არ გაიორცხადნენ. და მამა ჩვენი პაბომიოსი ხშირად ბაღის ძაძას იცვამდა და გლახაკებისათვის ხორცისა. დიდხანს არ დაწოლილა, როცა მღვიძარედ ლოცვით დადლოლს მოჰსურვებია სხეულისათვის ძილით ოდნე შეგების მიცემა; სააზრეს იყო იქნა რომ ზურგით არ მსუქდებია თათქმის თხუთმეტ წელიწადს ძველთა მამათა მოისმინეს. უფრო მეტი იხილეს და განიცადეს თავად მათვე ესეც და სხვა მსგავსი საქმენიც ხორცის დამდაბლებისა სულთა მათთა ცხონებისათვის. და ღეთის სასურველად ფრიად იმუშავეს ღვაწლშემოსილითა. და ამის შემდგომ ერთერთს შეუთხზეს კათიზმანი, რადგან თვითიველი მათგანი რწმენით იღვწოდა შექმლებისგანად.

15 ახსენდებოდა ნეტარ პაბომიოსს, რაც წინათ გაეგონა ღვთისაგან. და მასთან ერთად დასამკვიდრებლად იწყო უფრო დიდი მონასტრის შენება, რათა მიეღოთ ამა სოფლად მათენ მომავლებელნი. და ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულყვენენ ისინი, რომ პაბომიოსი ამ მიზანს იხსახვდა, როცა მონასტრის აფარათობდა. ხოლო იოვანე უფრორე განდგეილობას ეშურებოდა. ძასთან ერთად ვიწროდ რომ იყო. და აღელდა ერთხელ იოვანე, სხეულით ძმას დამტყებელი. და უთხრა მას: დაიცხრეო ამპარტავენული ზრახვა. ესმა რა ესე კათომიოსს, როგორც სასიკეთოდ შეტრულს, მასხად არაფერი უთქვამს; ოღონდაც განძლიერდა გულით და, დაღამდა თუ არა, ჩავიდა მცირე საფარში და სატოვირთანა იწყო მოთქმა. ლოცვად იდგა და ამბობდა: „ღმერთო, კიდევ ცოცხალ ვარ ხორციელად, კიდევ შემომრჩა ხორციელი საზრუნავი; ვაჰმე, მოსიკუდიდ ვარ, ვითარცა წერილ არს¹. ვიდვწოდი, გულით განმზადებული, და კვლად სულს ვიგლეჯ, ნეტოე სასიკეთოდ. შემიწყალე, ნუ დამღუპავ, უფალო. თუ მტერმა პოვა ჩემში რაიმე თავის წილად, თუ არ გამამაგრებ, მისი ქვეშევრდომი გავხდები. რამეთუ რომელმან ყოველი სჯული დაიმარბოს და სცეთეს ერთითა, იქნა იგი ყოველისავე თანამდებ² ნიშამს. თუ შენ შემიწყნარებ და შემეწევი, ბოლოდ ვისწვლი განველო წმინდათა გზა, — წინადავლთაყენ რომელი ვისწარავი. ხოლო შენგან განდგომით მტრის მარადამტერნი სირცხვილეულ იქმნენ, ვითარცა ჯერ-არს. და ვით წარმოგიდგინო, უფალო, — შენ, თავად არა პირველად მძლეველი, ვის მოუხმობ, რომ ჩემთან ერთად აირჩიოს ეს ცხოვრება“.

1 მტრ. რომელთა მიმართ, 8,13.

2 იაკობი, 2,10.

16. და ლოცვა წართვეა და ასე ტირილოვანი მოუბარი დარჩა მთელი ღამე, სანამ ინათებდა და ოფლისღერისაგან (ზაფხული იყო და, სადაც იდგა, ის ადგილი სულ ხურდა) მის ფეხებზე თითქოს ჭყავი დამდგარიყო. ისიც ჩვეულებად ჰქონდა, სალოცავად ხელთ განიპყრობდა და ლოცვის დასრულების უმაღლეს არ იჩქარებდა მათს ჩამოშვებას, არამედ მიძიმედ, როგორც ჭვარზე, ჰქანცავდა და აწამებდა სხეულს მლოცველი, რომ თვალს რული არ მიჰკარებოდა.

17. ეშმაკეულ ძალთა (დემონთა) ბევრ განსაცდელს გაუძლო, ისწავლა რა საღვთო წერილი და უფროისად საბარება. წმინდათა ასპარეზობანი ცალკალე არ აღეწერათ გაცხადებულად; მოკლედ თქმულს დაეფუძნა საღვთო წერილი, სამარადღეო სიციცხლისათვის მაგალითად ქმნილი. მამას ჩვენსას, აბრაჰამს, სჯელის-კანონი ასეთი ჰქონდა, ერთი სიტყვით გადმოცემული: „სათნო იყავ წინაშე ჩემსა და იქმენ უბიწო“¹. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენთვის მტრალთა მამათა პური „წუერილითა ჩხვლთათა ვიძიეთ“², ვითარცა წერილ-არს, თან დაწუერვილება ჩენი დავიჭირვეთ სარწმუნო წყალით,³ რომლისგანაც „გუესმა და ვსცანთ იგი და მამათა ჩუნთა გვთხრეს ჩუნ“⁴, აღარ გვიგრძენია მიუცლებლობა ამის დაფარვისა სხვა ტომისაგან, რამეთუ ვუწყოთ, ვით შევისწავთ, ესე ფსალმუნის არს ნიშანი და ძალი ღვთისა, მოსეს და მის შემდგომთა ზედა ჩენილი. მათი ბეოხებით შევიკანით ჩვენ აწინდელი მამანი, ნაშიერნი და მიმბაძვლნი მათნი, რათა საცნაურ იქმნეს ჩვენთვის და მოშავალი თაობისათვის საუკუნოდ, რომ იესო ქრისტე გუშინ და დღეს თავად არს და უკუნითი უკუნისამდე.

18. ხოლო განცდილი ათასნაირი განსაცდელი, ღვთაებრივი დათმობით რომ დაითმინა ნეტარმა პახომიოსმა მოწამეობისათვის და საოხად სხვათა, ვინ მოთვალოს? იგი, განდგეგლად დაუცდებელი სამონასტრო ცხოვრებამდე, მოცალეობდა და სხვა სახოტბო თვისებათა თანა ფრიად წმინდა პოვეს გულით. და ასპარეზობისას გულისხმით არცრას უთმობდა მისთვის არაბუნებრივ მდაბიურსა და უწმინდურ განსჯას, რადგან ნიჟდაგ იწვრთნებოდა ღვთის შიშით და ხსოვნით განკითხვის რა ააუკუნო ცეცხლში წამების. და იყო გული მისი ფრთხილი, ვითარ კარი სპილენძის, გამაგრებული და ყაჩაღთათვის შეუვალი. უმზერდა უფალი მას, რომელს ფრიად ეწადა ღვთისშოშიშობა, და საამებლად ჩააგონა სათხოვარი, თითო-თითოდ რომ ეტყოდნენ მამანი მისნი: „იყვენ გული ჩემი უბიწო სამართალთა შინა შენთა, რათა არა მრცხვენეს მე“⁵. წმინდანისათვის ღვთისგან მონიჭებულ

¹ დაბადება, 17,1. ² გოდება იერემიასი, 4,4. ³ ესაია, 33,16. ⁴ ფსალმუნნი, 77,3. ⁵ ფსალმუნნი, 118,80.

ამ მადლს რომ ხედავდნენ, ეშმაკულ ძალებს (დემონებს) ჰშურდათ მისი და დამხობა ჰსუროდათ და პირისპირ წარუდგნენ. ზოგჯერ, როცა იგი ლოცულობდა და მუხლი უნდა მოეყარა, აფიჭვები იხებდნენ, თათქოს მის წინ ღრმული იყო, რათა შიშით მუხლის მორთბმა ვერ გაებუდა. და თავად, მანქანებისა და მშავერების მკდელთ რომ მიუხედებოდა, რწმენით აღესებულო, დაეცემოდა მუხლებზე. დემონებს არცხვნიდა და ღმერთს აკრთობებდა. ხან კიდევ შეიკრებოდნენ მის წინაშე, როგორც მთაერისა, სხვადასხვა მხრიდან მომავალნი და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „მეცით კაცს ადგილი ღმერთისა, და უფლის იმედით დასცნოდა მათ, როგორც ურგებელთ.

19 და მოხუცებულნი მისი ღვაწლის აბუზად ავლენას, ძირის შერყევას, და აშინებდნენ, თათქოს დაეცმა ელადა და იგი წინააღმდეგობის გაწყვეს ფსალმუნებით ცდილობდა; „ღმერთო ჩუენი შესაუდრებელ და ძალა შესწე კართა შინა, რათა მხოვნეს ჩუენ დროად. ამისთვის არა მკმინოების ჩუენ ძრვასა ჭულენისასა“¹. ხანაც იღდა სამუშაოდ და დემონი სხვათაგან სკდოდა; მიიღებდა მამლის საბეს და მის პირისპირ ყიოდა; პირფრის გამოსახვისთანავე კი ჭრებოდა. და კვლად საკდმ კლს უფარავდათ ხის ფოთალი და აჭათაოთ, მტაცელ დღენ. თათქოს დიდი ჭეა ჰქონდათ გადაატანი, და ერთმანეთს მთავრელი შეტალით გულს უმაგრებდნენ. იხილა ეს თავად წმინდანმა, მოთქმით და ზარით ილაღდა მათზედ და, რადგან ვერ ატყვიხეს მხარი, განემოზრინენ ერთგულად ჰერობად იღდა და მოედნენ შიშველ დოცთა საზიო, რათა თანამეინანებდას დასხუროდნენ. და ვერცა დაიწება მან კონების თვალი, რომ განჭარდნენ ჰტარნი და მის საწინააღმდეგედაც ველარას იწმინდნენ, რადგან იტარავდა უფალი, რომელი ეტყვის უოველთა წრდელთა: „ნუ გემინინ, რამეთუ შენ თანა ვარ“².

20. სხვაც მრავალი მკაცრი განსაცდელი გამოიარა, თვით სკულის გატყავება და მძიმე ტყვილები მწუხრიდან ცისკრამდე დაითმინა და არსათ იყო შეება, გარეშე ერთადერთის გამზრდელი ღმერთის ხსოვნისა; ამასთანავე, რომ იწრატებოდა და მავრადებოდა, მოინახულა იგი ერთმა მოსულემა ბერმა, სახელად სიერაკაპოლონმა. ეს შეხვედრა გააბარებს წამებულს და იწყებს თავისი ამბის მოყოლას, ხოლო იგი იჯლის: „ჰამანუჯდნი, რადგან, თუ ეშმაკმა იმძლავრა და განურჩევლად განგაჟყო, ჩვენც, ვისაც შენ გეუბნებო მფაოველად, ხელთ ვეყოლებით. მაშ, დაითმინე, ჩვენს სისხლს ნუ იძიებ, დაუთმეუ. და რა ესმა ეს, უფრო განძლიერდა. და ილაოცეს, რომ არ განმზარებოდნენ ერთერთს საუკუ-

¹ ფსალმუნნი. 40. 1-2 ² დამატება. 20. 24.

ნოდ. გავიდა ხანი და ის ბერკე ვეთილად აღესრულა ზიარებასა შინა, ვითარ უწყისს უფალმან.

21. ნეტარ პახომიოსს წინათვე, სანამ უფლისგან ამბავს სრულად შეეცნობდა, როგორც ჩანს, სრული რწმენა ჰქონდა „დათარგუნვად გუელთა და ღრბანკალთა“¹ ცხადად და სწამდა, წყლებს გადაივლიდნენ უშიშად და თამამად მსხდომარენი ნადიროთა ზურგზე და უცნებელნი დარჩებოდნენ მათგან. მაგრამ გულწრფელად და სისრულით ვერ არ გაეაზრებინა ეს და არცა ექმნა. მოსე ხომ ხედავდა თავის კვერთხს, ვეშაად ქმნილს,² და შეაერთო ვეშაპის პირისახემ, ოდეს ვერ არ ებრძანებინა უფალს მისი მოხელაება. და კვლად ვეშაპი, კვერთხი იქმნა მის ხელთა შინა. სანამ წმინდანთათვის წარმოსადგენი ვახდებოდა თავად უფლის წყალბით. საშინელი იყო და შეუძლებელი კაცთათვის. აბრტომ პახომიოსიც შეეცნობის შექმდგომად იგლოვდა თავის უგუნურებას და იტყოდა მლოცველი: „უფალა, რომელი ხარ წინამძღვარი ბრძათა, მიიღე ჩემი სამადლობელი სიტყვა, რადგან მე, ბრძანაკ, თვალი კი არ ამარიდე, რათა შევეცდარაჲვი, არამედ ჩემთან ერთად ხეიდოდი და უგუნურს მიმიყრდნობდი, სანამ შენი კეშმარატი ზრახვა არ ვამაგებინე“.

22. და მრავალჯამ მორკინალი ღემონებთან, კეშმარიტებისთვის მოღვაწე და მოასპარეზე, მსგავსად უწმინდესი ანტონიოსის, უფალს სთხოვს ძილის განფრთხობას, რათა დღედღად მღვიძარე ვდევნიდეს მტერთა, ვითარცა წერილარს: „და არა მოვაქციო, ვიდრე არა მოესრულენ“³, რამეთუ შეუძლონი არიან ქრისტეს რწმენის აღთვის. და აღესრულებდა მას უფალი თხოვნას მყოფარჯამ და იყო „უხილავი იგი ვითარცა ხალხლო“⁴ სიწმინდათა გულისაათა,⁵ ვით სარკისა შინა.

23. და ამის შემდგომად პახომიოსი კუნძულზე იმყოფებოდა ჭილობთათვის ლერწმების მკრელ ძმებთან ერთად და, ლოცვად რომ იდგა მღვიძარე მარტო, რათა ღვთის უზენაეს ზრახვას მისწვდომოდა, იხილა ანგელოზი, მოვლენილი უფლისაგან, როგორც მანოეს და მის ცოლის გამაყვება და სამტსინის დაბადების ამბავი ამცნო: „სურვილი ღვთისა არს პასახურებდეს კაცთა მოადგმას და კვლავ შეიროგოს“. სამგზის თქვა ეს და განვიდა.

24. და საუბრობდა პახომიოსი ხმაზე, რომელიც მაშინ ესმა, და, სავსებით დარწმუნებულმა, იწყო შეწყნარება მისევე მავალითა. და მათი და მათივე მშობლების ღირსეულად გამოცდის შესაბამისად შემოსავდა ზოღმე საბერძონაზენო სჭიმით

¹ ლუკა, 10, 14. ² გამოთავითა, 7, 1-10. ³ დსალმუნნი, 17, 37. ⁴ ებრაელთა მიხარა 11, 27. ⁵ მდრ, პათე, 3, 6

და თან ვათან წარმატებულად წ. რმართავდა მათს ცხოვრებას, უპირველესად, იმისთვის, რომ მთელ ქვეყანას, და თავისიანებსაც, განდგომოდნენ და საკუთარ სურვილებზეც უარი ეთქვათ და ასე თავად მსწავლელო შესდგომოდა თავის მაცხოვარს კეშმარიტად. ეს ჭვარის უვირთვია. და კეთილად და ფრიად განსწავლულნი მისგან საღვათო წერილის მიხედვით, ღირსეულად იღებდნენ ნაყოფს ჰინებისა მის, რომლითა იმინნეს¹. და ხედავდნენ ნეტარ პაპაშიოსს. არა მხოლოდ დადლოლს და ჭანის დავარგვით გაწამებულს, არამედ მ. ნასტრის მთელი საზრუნავის კისრად მღებულს, და მტვად პეირობდნენ უმზღებდა მათ ტრაპეზს პურობის ჟამითთვის, უფლოდა ბოსტანს. თესავდა და რწყავდა; და ვინც კარზე დაუკაცუნებდა, ყველას წინამე თავს იმართლებდა. და თუ დაუძღურდებოდა რომელიმე მათგანი, იყო თავს ევლებოდა და ღამეებს უთრევდა. ვერ ასწრებდნენ მას ახალწერგნი ძმანი ამგვარივე განსწავლებებით ერთერთისადმი დამონებას. სრულიად უზრუნველად ამყოფებდა და ეტყოდა მათ. არ საჯისაც მოწოდებულ ხართ, ძმანო, იღწვოკეთ მის მისაღწევად. იღონეთ ფსალმუნება და წაიმძღვარეთ სხვა წიგნთ გან. განსაკუთრებით სახარებიდან, რაც გიწავლიათ და მეც, ღვთისა და თქვენი მონაქმნილი, ღვთის მცნების თანახმად შევებას ვიგრძნობ და განვისვენებ.

25. ხოლო სახელად ერქვა მსაჯარს ფსინთაისოსისი და სეროსი და ფსოესი. და ასე აღწყებდა მათ ღვთის სიტყვას და შეეწეოდა და კეთილ საქმეთათვის გულდადებით უწინამძღვრებდა. ხედავდა, რომ მისი დღემილითაც კი სიტყვა საქმედ იჭკვოდა. და უფრადით და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჩვეულებრივ გვეგონა, რომ ყველა წმინდანი დედის წიალიდან ღვთივ წმინდანად იშვა და უცვალბებელი იყო და არა საცხებით თავისუფალი, ხოლო ამართალითა და ცოდვით ვცნობდით სიკაცხლს უწარს მოკლებულებად იმის გამო, რომ ისინიც ასეთებად იშვნენ. ახლალა ვედაღვთ ღვთის სიკეთეს. ცხადად გამოვლენილს მამაა ამას ჩვენსა ზედ: მით, რომ ელანთაგან იშვა ესრეთ ღვთისპოსავი და გულში დიძარბა ღვთის ყოველი მცნება. მაგრამ ჩვენ ვცოლას ძალა არ შეგვწევს მივყვეთ წმინდანთ ვეწერილ არს: „მოკედით ჩემდა ყოველნი მამუერალნი და ტკრთ-მძიმენი, და მე განგოსუენო თქვენ“². ამ კაცთან ერთად ვიცოცხლოთ და ამასთან ერთად დავიხოცნეთ, რომ მართლად მიგვძღლოდეს წინამე ღვთისა“. და

¹ უწველითა მიმართ, 4, 1. ² მათე, 2, 25.

ქვემოთ

ეტყვიან მას: „მამაო, მთელ სამონასტრო საქმეს მარტო რად იხდი ტვირთად?“. და მიუგებს მათ: „ვინ ადგამს უღელს თავის საქონელს, როგორც უტყვ იარაღს, და უთვალთვალებს, როდის დაშვრება და დაიქანცება ისე, რომ დაეცეს? თავად მოწყალე უფალი, რომელიც ჰხედავს ჩემს სიგლაბაჟს, გაგამხნევებთ თქვენ ან სხვებს მოიზიდავს, რომელნიც შეძლებენ, ჩემ ნაცვლად კისრად-იღონ მონასტრის საზრუნავი“. მათ საერთო საცხოვრებელი ჰქონდათ და ასე განუჩინა სახე უმანკო და გარდამოკრება, სარგებელი სულთა, კეთილზომიერად დაარიგა საღვთო წერილის საფანელი, საზრდელი სწორად გაუნაწილა და მიძინებაც ღირსეულად განუწესა.

27. და როდესაც საჭიროება გაჩნდა, მოუხმო მახლობელი ეკლესიების უხუცესს ვისმე და იძლეასაწყალა. რადგან არ იყო მათ შორის ბერი, რომელიც ხელთდასხმის ხვედრს მიიღებდა, წმინდანი ფიჭობდა და ხშირად ბერებსაც ეუბნებოდა, რომ მონასტრის აღარ ჰყავდა პატრონი და პატრივი მოაკლდა, — ეუბნებოდა, რათა მის განშორებას არ მოჰყოლოდა მტრობა, შუღლი, შური ანუ სხვა რამ განხეთქილება ბერმონაზონთა შორის: „როგორც ცეცხლის უმციურესი ნაპერწყალი დასაწყისში, თუ შარავანდში ნასროლია და უმაღ არ მიმჭრალი, ღუპავს წელიწდეულ ნაღაწს, ასევე დასაბამობის ტრფილებით გამოთვლის საწყისი დაღუპვის წილხვედრია. ხოლო ეს მაგალითი ეგების უფრო მშვენიერად გამოკვეთოს ღვთის ეკლესიამ. და რომელიც იპოვება დროულად დადგენილად მამათა ჩვენთაგან ეპისკოპოსთა, ჰქონდეს მას ღვთისმსახურის უწმინდესობის ხარისხი ესე. უწინაც ხომ მთელ ერს არ გადაუწყვეტია. და თუნდაც ვინმე სხვა ბერთაგანმა იყაროს წილი, ავლად არ მოვიძულებთ, როგორც ძალაუფლების მოყვარეს, ოღონდ ნუ იქნება. ვიმედოვნებთ, რომ თავად, ვითარცა მამა მორჩილი და წმინდანთა მიმბაძველი, მხოლოა უნაკლოდ და უსაყვედუროდ აღასრულებს ღვთისმსახურებას; და თუ ვნახავთ რასმე სასაყვედუროს, რამეთუ კაცად იშვა, არ განვიკითხავთ, ვინათგან ღმერთთა განმკითხველი და თავადვე ჰყავს მსაჯულნი, მოციქულთა მსწავლელნი, რომელთაც ძალუძთ „სამართალი სასჯელი საჭონ“¹ სულით. ჩვენ კი ჩვეულებრივად ერთმანეთის თანაგრძობა გვძირდება, როდესაც სასულიერო პირს ვისმე სურდა ბერად შედგომა, იგი დარბაზსაღვთისადაც მადლით ეჭვემდებარებოდა საღვთო განჩინებას და ძმათა შეერთების წყების თანაგრძობად, როგორც ყველა, ისიც ნებით უერთდებოდა.



¹ იოანე, 7,24.

„იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის ცხოვრების“ შესახებ

„იოვანე დამასკელის და კოზმან იერუსალიმელის (მაიუმელის) ცხოვრება“ მოიპოვება თითქმის ყველა წიგნიერი ქრისტიანი ხალხის ენაზე. ძველი ქართული თარგმანის იმ რედაქციაში, რომელსაც შეიცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S-1276 (მეტაფრასი, XI-XIII სს.) ძეგლს წარწერილი აქვს: „კერძოდ შეკრებული და მკირედ რაამე მოკსენებული სიმრავლისაგან ცხოვრებისა მისისა წარმატებათა და ნამუშავეთა განმრავლებათაისა წმიდისათჳს და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, აღწერილი მიჭაელისგან ხუცისა სუმონწმიდელისა ენასა ზედა არაბთასა, რომელი ესე ითარგმნა სამოელისგან წმიდისა მეტროპოლიტისა ადანაელისა ბერძენთა ენად“. ცნობილია, რომ იოვანე დამასკელის ცხოვრება ქართულად თარგმნა ეფრემ მკირემ¹.

ქართულმა ტექსტმა გვიკარნახა, გვეთარგმნა „იოვანეს და კოზმანის ცხოვრების“ რედაქცია, გამოქვეყნებული ბერძნულად აპაპადოპულოს-კერამევსის მიერ,² რადგან სრულად მისი შესატყვისი არ გვეგულებოდა. ხოლო „ამათ ესევითართა მოჭალაჭობამ საძიებელ არს ყოველთა მიერ ზედამიწევენით გამოცნობად ჳა უფროოსლა მაშინ, რაეამს ეამთა სიგრძითა დაფარულ იქმნის და რაათა ეპოებოდის იგი აღწერილად წიგნთა შინა“ (ფ. 42r). ძველი ქართული თარგმანის ზედწერილში კოზმან მაიუმელი არ იხსენიება, მაგრამ ტექსტი, ბუნებრივია, აერთიანებს მის და იოვანეს ცხოვრებას, რადგან დიდნი მოღვაწენი თითქოს განგებამ დააკეფშირა და თანამოჭალაჭობის იგავად დაუტოვა კაცობრიობას, სვიდას სიტყვით, განუმეორებელ და მიუწვდომელ იგავად ადამიანთა ცხოვრების აღსასრულამდე, რომელიც, ღირსთა მამათა რწმენით, არასოდეს არ დადგებოდა.

¹ გამოქვეყნებული ტექსტისათვის იხ. К.Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, Христианский Восток, т. III, вып. 2, с. 119-174.

² *Αναλκτια Ιεροσολυμιτικης σταχυολογιας*, IV, 271-302.

ცხოვრება, მოქალაქობა და ზოგიერთი სასწაულის
თხრობა ღირსეულთა და ღმერთშემოსილთა მამათა
ჩვენთა კოზმანის და იოვანე დამასკელის — პოეტთა
(ხსენება დადებულია ოქტომბრის თვის 15-ს)

1. ეს განოქული და დიდებული წმინდანი, კრწმაროტების კრწმაროტი სამკაული, ოქროს, მარგალიტების და სხვა პატრიოსან თვალთა ნაცვლად თავისი ღვთივ შთაგონებული სიტყვებით ამკობს ეკლესიას, ყოველმხრივ მიმბაძველი ქრისტეს სწავლებლისა და დამდაბლების; იყო იგი მამათაგანი ... მორწმუნე, პატრიოსანი, უჩვეულოდ მდიდარი, კეთილშობილი და წყალობის მადლით შემკული ნაყოფის ჰახედვით ხის შესაცნობად: სამშობლოდ ექმნა კუნძული კრეტა. რომელზედაც იშვა და...

2.ასე რომ წმინდანი სიკეთით ცნა ღმერთმა, მისი განგებისამებრ, და ურწმუნო გვარტომთა მოზღვავებამ საცნაური გახადა, რადგან, უწინაც ითქვა, „არ ძალღუძს ქალაქს დაივარული იყოს, რაცა თაუზე გადმოწოლილი მთის კვემ მდებარეობს“.

3. წაიყვანეს იმ კუნძულიდან, როცა უბერავდა სამხრეთის ძლიერი ქარი; ჩაძირეს ბევრი ხომალდი, მეკობრეებით საესე, ხოლო დანარჩენნი, ქარის ძალით გაფანტულნი, მიადგნენ ნაპირს, ოღონდ სხვას, რადგან რომაელთა ხომალდები მისდევდნენ მათ. ბორანს, რომელზედაც იყო ღირსი იგი, ჩაძირვა ელოდა; მაგრამ ნეტარი დადგა ყველას წინაშე სალოცავად და ხმამაღლა ევედრებოდა ღმერთს, ესრეთ მეტყველი: „უფალო იესო ქრისტე, შენ, მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღვთისა და მამისა, შეგვეწიე და ზღვის საშიშროებისაგან გვიხსენ ჩვენ, ერი შენი, და ჩვენთან ერთად ჩვენი დამატყვევებლებიც; შენ ხომ გვიბრძანებ მტერთათვის ლოცვას; მეც ჩემზე უფრო მათთვის ვეძიებ მაცხოვარებას, რადგან ვხედავ, რომ ბევრი მათგანი შენს სამწყსოს შეერაცხება“. ამას რომ ლოცულობდა წმინდანი, მყისვე დაცხრა ქარიშხალი და ზურგის ქარის მობერვით სულ რამდენიმე დღის განმავლობაში მიადგნენ დამასკოს. ისე რომ ის ერთადერთი ხომალდი გადარჩა უსაფრთხოდ. ხომალდის უფროსი, სახელად ასერი, და სხვა ორი, რომელნიც იყვნენ შესაჭენი, მოსურნენი იმისა, რომ უხილავად ყოფილიყვნენ შესმენილნი, ამბობდნენ: „თქვენც თქვენს ხომალდთან ერთად ელოდებოდით ჩაძირვას, თქვენი უკანონო სამართლის გამო რომ უნდა მოგზლოდათ ერთსათვის, რომელიც უსამართლოდ გაიმეტეთ; მაგრამ იმის გამო, რომ სამართლიანი კაცი თქვენთან ერთად, უღვთოთა თანა, არ წარწყმედილა, კაცთმოყვა-

რეობას მისწვდით და იმ სამართლიანის წყალობით თქვენც გადარჩით და სხვანიც, მასთან ერთად სიავის მნახველნი. მაშ, ნუ გეჭნებათ შიში და სხვა საზრუნავი. თქვეს ეს და ერწმუნენ მათს დამხსნელ ღმერთს და, განსწავლულთა სამგზის ნეტარი კოზმანისაგან; ნათელ-ილეს სიცოცხლის დასაბამი სამების სახელით. ეს არის წმინდანის პირველი სასწაული, ხოლო სიტყვამ მოიტანა ახოვანის მიერ დამასკოში ჩადენილ ძლევათა თბრობაც.

4. დამასკოს მივიდა საღვთო ესე კაცი და უმაღლესი და აშკარა შეიქნა ყველასთვის შემდეგნაირად: მანსურს, იმჟამად დამასკოს მთავარს, რომელსაც ამირასაც უხმობდნენ მცხოვრებნი, თავდათავ მისართმეველად ის ღირსეული კაცი მართვეს აგარიანთა, და წმინდანიც დაჰყვა, რადგან წინასწარ ხედავდა გონების თვლით, როგორც მართალი წინასწარმეტყველი, და წინასწარვე ცნა, რარიგი ნადავლის ხელთგდება ელოდა მთავრის სასახლეში; გამოაშკარავებულ მთავარს, უფლადაც სახელდებულს სამარცხვინოდ, ჰყავდა ღირსეული ძე, დაახლოებით თორმეტი წლისა (გამოვტოვებ მის საერო სახელს), წმინდა ნათლობის სახელით იოვანე, ღირსეული პოეტი, რომელსაც ზედწოდებდა ჰქონდა დამასკელი; სხვანი მას პაგიოპოლიტესს უწოდებენ, ისე როგორც ღირსეულ კოზმანს. იოვანე ასეთ ასაკში ჭირველგვარ კეთილ საქმეზე ზრუნავდა და ნათლისღებაზედაც, რადგან გლახაკთმოყვარე იყო და დიდად მოწყალე და ქრისტიანებთან პაექრობა ძალიან იტაცებდა, ქრისტეს შესახებ წმინდა მახარებელთა მოძღვრების კითხვა და მოსმენა დიდად საამოდ და საწადინოდ ჰქონდა. მოძღვარიც შინ ჰპოვა, მას შემდეგ რაც შეევედრა თავის მამას, სამართლიანი კაცისათვის დაემოწაფებინა, რათა, როგორც თავად ეუბნებოდა, „არა მხოლოდ სარკინოზთა, არამედ ელინთა წიგნებიც ესწავლა მასწავლებლისაგან“. ასე უთხრა და მამამ სიხარულით მიიღო თხოვნა სამართლიანად და გონიერულად მოუბარი ყრმისაგან. გასაკვირიც არ იყო მისი განუსაზღვრელი სიხარული. მიიხმო უბრძნესი კოზმანი და უთხრა: „ეს ყრმა, რომელსაც ხედავ, მიიღე არა როგორც შენი მთავრის ძე ან მთავარი, არამედ როგორც შენი მონა. ჩემგან შობილი ამა სოფლად, აქამდის მოვიყვანე და ვაცხოვრე; მშვენიერად და ზრდილად განვლოს ცხოვრება და საჭიროდ ჰქონდეს შენგან ნასწავლი. იმისგან დამოუკიდებლად, რომ არის ქრისტიანი, მინდა სხვა ყველაფერი გააკეთოს და ისწავლოს შენგან“. ასე იცის სიკეთემ პატერის მიგება მათთვის, ვინც მას იძენს. ასე განადიდებს ღმერთი სულითა და გულით თავის მოტრფიალებს, რათა უფალთა თვისთა უფალნი იყვნენ უფრო, ვიდრე მონანი.

5. და მიიღო დიდი მოწაფე იოვანე დიდმა კოზმანმა; შესახედავად მშვენიერი იყო მასწავლებელი, როცა კეთილად მორწმუნე მოწაფეს ეწვია. მაშინ მოწა-

ფემ მასწავლებლის სწავლება შეიწყნარა და მასწავლებელმა — უფრო დიდი ჭება, რადგან ყრმას ახარებდა მეცადინეობა უდიდესი მოწადინებით, ცხებულს სწავლის ტრფიალების ზეთით. და არ არსებობს არსად მოწაფე, რომ მიეღწიოს წარმატებისათვის, თუ მასწავლებელი სიბრძნეს არ აფრჭვევს ზედ უშურველად და მოწაფეც სურვილით არ იღებს. საჭიროა სარბიელის და სიბეჭითის ყოველი ზომა უკეთესობის შეგვანებას შეეწონოს, რათა ერთმა სიტყვა გაამახვილოს, ხოლო მეორემ ყური მიუბჟყრას. საკვირველი იოვანე არა მხოლოდ სხეულებრივად იწვრთნებოდა, არამედ სულიერი აღზრდით უფრო გაიწაფა, რადგან, როგორც უთქვამთ, „მოწადინებით ბუნებრივ სიკეთეს მიაღწია“, ასე რომ მოკლე ხანში ყოველმხრივ მასწავლებლის სწორი შეიქნა. დაუცხრომლად სწავლობდა საღვთო რჯულს დღისით და ღამით, ფხიზლად და ბეჭითად, უფრო მეტად სულიერ წართობაზე ზრუნავდა. ამის გამო რაღა იქნებოდა გასაკვირი. ოდესღაც იოვანემ მღვიძარებისას, როცა ღვთის წინაპარ დავითის სიტყვებზე ფიქრობდა და მით ტკბებოდა, არა სიზმრად, ცხადად იხილა წინასწარმეტყველი იგი და მეფე, სამეფო პორფირით და შარავანდით მოსილი; მან იოვანეს სახელით უხმო და უთხრა: „ეჰა, ყრმაო, მომავლინა მე ყოვლად მეუფე ქრისტემ, რათა მეჩვენებინა შენთვის, რომ ვალად გადევს აჩვენო სულის მადლი. მაშ, გახსენ წიგნი, რომელიც ხელთ გაპყრია და რომლის მოქმედი ვარ მე და ჰპოვებ მადლს ღვთისაგან. ეს ქმენ სამგზის“. როდესაც იოვანეს თვალთაგან გაქრა ის საკვირველი და დიდებული ჩვენება, იგი მიწაზე დაემხო შესამკობელი მეფის ფერხითით და შეევედრა მეოხებისთვის: ველარ უძლებდა მისგან გამონათებული ელვარების ჰერეტას. მან ხელი მოჰკიდა და წამოაყენა ათრთოლებული და თან გახარებულნი; მის წინაშე გახსნა წიგნი და პოვა ესრეთ: „სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან“¹ შემდეგ მეორე: „სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“². და მესამე: „სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი მათი“³ ამის მხილველი იოვანე, ჩვენების განშორება რომ ელოდა, ლირსიქმნა მისგანვე სხვა რამის მოსმენისა და სწავლებისაც; პატრიოსან და წმინდა ფერხთ მიეყარა და უხმობდა თავისთვის სალოცავად. მანაც უსმინა კაბუეს და უთხრა: „ჩემზე გადმოსულა სულიწმინდისა იქნება შენზედაც, შეილიო, ოლონდ დაეშურე მალე იწამო, რადგან პირველი მოსართმეველი მოგეცემა ქრისტეს აღდგომისა; თანაც შენს წინამძღვარს განეცხადება და გავრცელდება მთელს ქვეყანაზე თქვენი მოძღვრება და შემოქმედება“.

¹ ფსალმუნნი, 50,10. ² იქვე. ³ ფსალმუნნი, 32,6.

6. აი ბრძენი იოვანეს ნათლისღებამ ივის ღვ. ანკენ წებქები რა ნაქ ეს კრძალვის ღირსი და დიდებულს სახე, თუა განუქმადა მასწავლებელს დაწვრი-
 ლებითა უოველი, ფერხთა წინ დაუმთა განხარებულს და ღირსთა შეუქნა და დარჯ-
 ვენით შეიწყნარა ხელასლა შობა წელათა და ხელთი ღვთაებრივი კონმანი
 მოწამე იყო საკვირველი იოვანეს მოშიშობის და მხურვალე რწმენის, შეგო-
 ნებდა, ასწავლიდა და უნერგავდა სარწმუნოებისათვის იმას, რაც უნდა მოე-
 მოქმედა, ურჩევდა მარხვა შეენახა და ურწმუნოებთან ურთიერთობისაგან
 თავი შეეკავებინა; ახტენებდა მამის ნებას და დარიგებას და იმასაც, რომ, თუ საფ-
 რთზე გამოჩნდებოდა, ორივეს თანაბრად შეეხებოდა საგონებელი. თავად ყარუ-
 ლობდა, მამა შენახული ჰყოლოდა შემდგნაირად რადგან სწეულება შეპყროდა,
 ამასთან არ უნდა ეცხოვრა. სანამ დღის ნათელს ხედავდა, ხოლო სხვა ყველაფრის
 ყარგად მოგვარებდას უფრო ადვილად შექლებდა და შიში არ ექნებოდა იმისა,
 რომ ამირა რწმენას შეუქლოდა მასწავლებელს. აღარ ეღიორსა, მამის ნაცვლად
 მამა ეწოდებინა მის სელსა და სხეულზე მზრუნველისათვის, ყველა რჩეულის
 მასწავლებლისთვის. დიდი კონმანი ასწავლიდა მას, რათა ერწმუნა ერთი ღმრთეება
 სამპიროვნულად, საგულისხმო და საცნაური, რომელიც არის მამა, ძე და
 სულიწმინდა, ერწმუნა ზორციელად ქმნილი, სკოდნოდა ღვთაშქმობელი და
 ზორციელი დედა უფლისა. წმინდა და ერთარსება სამების ერთის, და პატრი და
 თაყვანი ეცა კრძალვის ღირსი ხატებისათვის, წმინდა მამათა სწავლების მიხედვით
 მარტოად გადმოეცა წინასწარმეტყველთა სარწმუნოება, ჰქონოდა წმინდა სული,
 ყოვლად უმანყო სხეული და სიყვარული ყველა ადამიანისადმი, თანაგრამსაზა
 გაქირვებულთა მიმართ და დიდი შეწყალება. უდიდესი პატრი მიუზლი მღვდელთ-
 თმსახურათათვის და მარტო ცხოვრებით მოხარულთათვის; ესენი თავად არიან
 ქრისტეს მხედარნი და წმინდა ანგელოზთა სანაცვლო სახენი. ასე ასწავლიდა
 მთელს სჯულის კანონს, როგორც განსაზღვრული იყო დასაბამითგან წმინდა და
 ღმერთშემოსილ მამათა მიერ საეკლესიო წესით და, რომ გაასრულა საქმეულმა
 კონმანმა, ღვთისაგან გამხნეებულმა (ისე რომ არადერი უწყოდა ამირამს,
 ნათელი სცა იოვანეს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა).

7. უდიდესი სასწაული ეჩვენათ ორთავ: ნათლისმცემელმა და ნათლისღებულმა
 იხილეს წყლის ავაზანში ყრმა, რომელიც ასხივებდა მზის ნათელს; მან სახელით
 უხმო ორივეს და მიმართა დიდ კონმანს საგალობლით: „ზღვარდაუდებლის

1 მოკემულია კონმანის დიდ ხეთმამათს საგალობელი კანონის მეხუთე გალობის
 ტროპარი. იხ. *Παλατιαιων - Κτηριακων, Λειτουργικα Ιεροσολιμουτικων αναζητησεων*, IV,
 Bruxelles, 1963, გვ. 276.

შემძლებელი და ეთერში ზესთამდინარე წყალი... ხოლო ღვთაებრივ იოვანეს მიუგალობა: „სხეულბერივად საელავში, სულით კი გეენიაში, ვითარცა ღმერთი“... ასე განუცხადა, თითქოს ცეცხლის ელვარების სახედ გამოვრდა მათ და განუსაზღვრელი კეთილბეობებით აღავსო არა მხოლოდ სახლი და ეზო-უბრა, არამედ მთელი დამასკო. წყლით და სულით ხელახლა შობა პატრიოსანი იოვანესი იყო წინასწართქმა ღვთის მისართმეველთა; ასე ჩააგონა ღმერთმა უტყვეს იოვანეს მართალი რწმენა. წინასწარ იცნობდა მის წმინდა, საღვთო და სარწმუნო ბუნებას და იმ საგალობლებით ღვთისმეტყველად გამოაჩინა, ასწავლა სიტყვიერად საღვთისმეტყველო საიდუმლოთა წვდომა. ო, ნეტარო და წმინდა ორედო, მამაო კოზმან და სიბრძნის საღვთო ჭურჭელო იოვანე, ორთავ დიტიეთ საღვთო გლობა, რომლითაც იხილება ქრისტიანთა მთელი სული, არც თქვენზე უწინ და არც თქვენ შემდგომად არავის შეუქმნია ეკლესიის საიდუმლო მსახურებისთვის ასე თაფლივით მედინი თხზულებანი და არც ვისმე უფრო ნაყოფიერად შეუთხზავს; თქვენ ასხურეთ...

8... ცრემლთა წყარონი სდიოდა და დასჯილთა სწორად აღავლენდა ხმას საბრალობლად, მომხედო, ღმერთო, ნათლის ანგელოზი მომივლინეო, რომელიც მაკურებს ცვარს და გამინათებსო; მან ადგილი მიცვალა და გადამიყვანა სხვაგან, სადაც ვიხილე ნაყოფით სავსე კვიპაროსი; სახე იმ ნაყოფთა არ ძალმიძს აღეწერო. ანგელოზმა, რომელმაც იმ ადგილს მიმიყვანა, მითხრა: „ეს წყალობათა ადგილია და შენ, თუნდაც ურწმუნო, გაჭირვებულებს სიხარულის თვალთ უყურებ და, თუ უგუნურების მიზეზით და ურწმუნობით ჰკვდებოდი, ქრისტეს მონათა — კოზმანმა და ძემ შენმა იოვანემ, ღვთის მავედრებელთა, სასჯელისაგან გიხსნეს და, როგორც ხედავ, გამომაგზავნეს, რათა გამოგიტაცო შენ სასჯელით ზღვევისაგან და განსასვენებელ ადგილას დაგასვენო“.

9. ღირსეული კოზმანის ფერხთით დავარდნილი, ცრემლებით ვევედრებოდა წამებისაგან დახსნილი ამირა, ხოლო ნეტარმა კოზმანმა ილოცა მისთვის, წამოაყენა, გამართა, აიღო ქალაღი და საკუთარი ხელით ასე დაწერა: „უღირსი მონანი შენნი კოზმან და იოვანე, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, ვევედრებით წიაღს შენსას, შეიწყნაროს ნათლის საუფლოში მანსური. იმედს ჩვენსას, მონათა შენთა, მხედარნი იცავდნენ ჩვენი ვედრებით“. მისცეს რა ეს მანსურს, მოულოდნელად სახლში ნათელმა შემოანათა შუადამისას, მზის ნათელზე უფრო ბრწყინვალემ, და გაცხადებული ნათლისაგან ხმა ესმათ: „თქვენი ვედრება

აღხდა ღმერთამდე“; გამოჩნდა უხილავი და ხმა მოისმა ჰუმბარიტად: „ნება მოშიშთა და მეტრფეთა მისთა ჰყოს და ვედრებისა მათისა შეისმინოს“¹. შემდგომ ამის თქმის ეპი იყო: „დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი“². „მოწყალო და შემწყნარებლო, სულგრძელო და მრავალ მოწყალო“³ და „ვინმე იტყოდეს ძლიერებათა უფლისათა, სასმენელ ყუნეს ყოველი ჰებულუბანი მისნი“⁴ რადგან აქ ჰქონდა ბოლო და ესეც: „შერამე იტყოდილა შენ, გრჰუასაჰაჰაჰა ვარ“⁵. იმ ხილულმა ნათელმა მთელი სახლი გამოუთქმელი კეთილსურნელებით აავსო, ისე რომ ყველამ მიაშურა სახლს, სადაც იყვნენ წმინდანები და იქიდან, როგორც სამოთხიდან, მოედინებოდნენ მძაფრი სურნელების ნაკადნი. ამას ვინმე არ ერწმუნებოდა? ხომ არ არსებობს ცოდვა, ღვთის კაცთმოყვარეობის მძლეველი. თავად ჰრისტემ, ჩვენმა მაცხოვარმა, წმინდა სახარებაში თქვა: „უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცხალი მდოგჯაჲ, ჰრჰუათ მთასა ამას: მიიკვალე ამიერ იქი, და მიიკვალის“⁶. ურწმუნოთათვის ძველი ამბის მოყოლას თავს არ ავარიდებ.

10. მეფე ტრაიანოსი ჰრისტიანთა მღვწელი იყო; ბევრი მოწამე გამოაჩინა და აწამა ჰრისტეს აღმსარებლობისათვის; შეხედებოდა ელინს და სიცოცხლეს უსპობდა, მაგრამ სამართლიანი კაცის ლოცვამ იგი იხსნა გენიის სასჯელისაგან. ამბობენ, გრიგოლ დიდი დიალოგოსი მიემგზავრებოდა რომიდან ბიზანტიონს, როცა დიდი თოვლი მოვიდა და მდინარეები მეტად აღდიდნენ, და ნახა, რომ მოდის გზაზე ერი დაუბრკოლებლად, მშვიდად გადადის წყლის მყარ ზედაპირზე, რომელიც თავად ტრაიანოსმა მოამზადა, რომ დიდად გაეკვირვებინა გულმოდგინებით და დიდად-სალოცავი გამხდარიყო; სამი დღე შიმშილით გაასრულა და ღვთისკენ აღაპყრო ხელები ვედრებით, რომ წყალობით მოეხედა იმ კაცისათვის, რომლისგანაც ეს ერი მწუხარების გარეშე ვიდოდა და გადაურჩა წყლის მძლავრ მოზღვავენას, როგორც ხიღზე, წყლის გამყარებულ ზედაპირზე გადავლით. მესამე დღის ბოლოს ეს უთხრა მლოცველს მასთან ჩამომდგარმა ანგელოზმა: „შეწყვიტე, გრიგოლ, ურწმუნოთათვის ვედრება“. ხოლო იგი არათუ არ დაცხრა, არამედ უფრო მეტი გულმოდგინებით ლოცულობდა. უკვე ორგზის ჩამოდგა

1 ფსალმუნნი, 144,19.

2 იქვე, 146,5.

3 ნუენია, 9,17.

4 ფსალმუნნი, 105,2.

5 ესაია, 58,9.

6 მათე, 17,20.

ანგელოზი და სამართლიან კაცს პირი აუკრა; არც ასე შეწყვიტა ლოცვა, არამედ დარჩა ესრეთ მლაღადებელი: „არ ჩამოვეღშებე ცის სიმაღლისკენ აპრობილ ხელებს. ვიდრე არ შეისმენს უფალი ღმერთი ცრემლებით ღაღადებას და ვედრებას ჩემსას და არ შეიწყალებს მას“. ასე ლოცულობდა მთელი დღე. როცა მიუახლოვდა ბიზანტიონს, ანგელოზმა ახარა: „აჰა, გრიგოლ, შეისმინა ღმერთმა შენი ვედრება: დახსნილია წამებათაგან ტრაიანოსი; ოღონდ იცოდე, აღარ ილაცო სხვა უწმინდურთათვის, რადგან ის ლოცვა აღარ შეიწყნარება“. ამრიგად, თუ გვამს, რომ შეისმენს ღმერთი მართალთა ვედრებას, ვერწმუნებით ამ გადმოცემბსაც და ვადიდებთ ღმერთს. მაგრამ მიუებრუნდეთ პოკანდელ სიტყვას.

11. უბრძანესმა იოვანემ ღირსეულ კოზმანთან ერთად მთელი საქხოვრებელი, რაც კი რამ გააჩნდა გარდაცვლილ მანსურს, ღარიბებს გაუნაწილა დამასკოსა და მთელს მის შემოგარენში და ჩავიდნენ იერუსალიმს, იქაური წმინდა ტაძრები და წმინდა ადგილნი მოინახულეს და იქ მცხოვრები პატიოსანი მამებისაგან უდიდესი სარგებელი მოისთვლეს, სხვა ყველაფერი მოიძაგეს, მათთან დარჩენა არჩიეს და იქ პირველად იწყეს თხზულებათა წერა საგალობლად; მიუკთ უდიდესი მადლი და გადმოვიდოდა რა სულწმინდის ძალი მათზე, იწყებდნენ აწ გასრულებულ მწუხრისა და ცისკრის პოეტურ ქმნილებათა ერთად წერას, მაცხოვრის დღესასწაულის შემკობას, ღვთისმშობლის განდიდებას და ყველა წმინდანის ჭებას გალობით, თითქოს შრომისმოყვარეებს გამოცდა ჰქონდათ და სიკეთის მოყვარენი პოეებდნენ ამ სადიდებელ და ნეტარ კაცთა ასეთ თხზულებებს. ყოვლად ღირსეულმა კოზმანმა განვლო გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (რადგან აღტაცებაში მოიჯანა რა კონსტანტინეპოლი, თვით რომში ჩავიდა), რის შესახებაც შემდგომ ვიტყვით, ხოლო აწ ყოვლად ბრძენ იოვანეს მიუებრუნდეთ და დაწვრილებით აღვწერით ყოვლად ნეტარის აღმავლობანი.

12. ამ დიდად ღირსეულმა კაცმა სიმდიდრე და სახელი უარყო და გახდა მთლად ღმერთის მეტრფე, დატოვა მონაპოვები და, აღტაცებაში მოიყვანა რა იერუსალიმი, როგორც ვთქვით, - მთელი მამისეული სიმდიდრე ქარს გაატანა, შრომისმოყვარე ფუტკრის მსგავსად იწყო თიება სიტყვათა ყვაილებისა და სიკეთეთა მდელაუბზე სიტყვის აგრაივებდა. ხვდებოდა ბრძენ კაცთა, კრებდა ყველაფერს, თუ რამ უმშვენიერესს ჰპოებდა, და სიბრძნის მწვერვალს მიაღწია, შემდეგ მონაზონიც გახდა და მერე მღვდელმსახურიც, და, უნებურად ხელთდასმული „საყდრებსა შორის მთხულებულთაჲა“¹, აქებდა უფალს მიუტაცებ-

¹ ვესალმუნნი, 116, 32.

ლად პატრიისა, მაგრამ თავად პატრივით შემოსილი (პატრიისაგან მოძიებული) და ღვაწლით განბრწყინებული, სიტყვათა ძალით ანათებდა ეკლესიას და შეაღია ძალი და ღონე ბევრ თხზულებას, რომლებშიც ჩანს ბრწყინვალე განიერება თითქმის ყოველი მკითხველისათვის. და ბოლოს ხატმშობრძოლთა უპატიო წვალება და ყველა წვალება შეარცხვინა საღვთო წერილის ბრძნული ჩვენებებით და, როგორც შეპყვეროდა, დიდებულად და ღირსეულად მიაგეს პატრი სირიიდან და ეგვიპტიდან სპარსთა ქვეყნამდე ჩასულს, რომელიც ქადაგებდა, ნათელს სცემდა სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ყველას უეჯირდა, როგორ მიიღწია მისმა ამბავმა სპარსთა მეფის ხოსროს ყურამდე. ხოსრო ეცადა, თავად ენახა და, როცა ნახა, შეიწყნარა, შეიტკბო და ხარობდა მისი მოსმენით. სანამ კონსტანტინე კოპრონიმოსი იყო ტირანი (უფრო მეტად, ვიდრე მეფე), ცხოვრობდა სპარსეთში. ბევრს უსმენდა, განაძლიერებდა და ღვთისმოსავედ აქცევდა.

13. როდესაც ეს უსახელო კონსტანტინე საკეთარ ამ ზე მეტად მძვინვარებდა წმინდა და სათაყვანებელი ხატების გამო, ბევრმა დაიღვაძა მისგან წაიების გვირგვინი, რადგან ამკარად დაგმო მძლავრის (ტირანის) ამაო ზრახვა რწამების გვირგვინონებთან ერთად ამ უდიდესმა და უბრძნესმა კაცმა ცურჯულ კონსტანტინეს ბოროტის მზრახველობის დამგმობი და შემარცხვენილი სიტყვებით გაიმარჯვა და, სპარსეთში მცხოვრები, კეშმარიტებისათვის იბრძოდა, კეთილშობიანების ისრებით მამაცურად მსჭვალავდა ამპარტყანს, ახლო სასრული იარაღით აღჭურვილი ებრძოდა ღვთისმოსავობის მტერს, წერდა, შეაგონებდა, რეულისმდებელი იყო, — მეორე მოსე, წერდა ღვათე მოცემულ სჯულის კანონს, რომლისგანაც გარემოიჭვა ურწმუნო და ღვთის მბრძოლი კონსტანტინე; ამ უკანასკნელს ხომ არ ჰქონდა მისი ღვთისგან გადმოსული სითამამე და, როგორც ამბობენ, დაუძლეველი ძალი, უფრო ახლოს, ხელთ მყოფთაგან უფრო ეშინოდა. ვიდრე შორიდან მბრძოლთა. „ყოველი ღონე იხმარა“ კეთილშობილთან შენაბრძოლებლად, შესარცხვენელი აღარადგერი დარჩა, აგინებდა გარდაცვილი მანსურს. უქმად არ გაჩერებულა აზრობების მონა კოპრონიმოსი, უსამირეული მზაკრობა ჩაიღო გულს წმინდანის მიმართ. განაზნადა საქმე და ცოდვილმა და ბრალეულმა ქმნა ურჯულოება. ნახეთ, როგორ გაასრულა საქმე ღვთის ნებით

13 ა. როდესაც ურჯულოს არ ჰყავდა რჩეული დასასჯელად (რჩეული კაცი უცხო, სპარსთა მეფისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში იმყოფებოდა). რას იზამდა, რას განიზრახავდა, რა ეშმაკთან შეკრავდა პირს და რას მოახერხებდა, რაც არ უნდა ეკისრა? შეიტყო, რომ წმინდანს პირველობა მიეღო სპარსთა მეფისაგან, ყველა სპარსელისათვის საკვირველი ქმნილყო, ყოველნი მალა-

დებოდნენ მისი ენის და მწერლობის წყალობით, ასწავლიდა და აღამაღლებდა; ამოდ დაშვრა (ურჯულა) მის წმინდა სულთან ბრძოლით, ეცადა, ბრალის დადებით მოეხელთებინა დაუძლეველი. თავი მოაჩვენა ხოსროს კეთილად განწყობილად და მისწერა მას, როგორც მისი სამეფოსათვის მზრუნველმა, — ამ ყველასმოძულემ, ყველასათვის ბოროტისმზრახველმა, სიბილწის მჭედელმა, თითქოს ეგვიპტელი პროტევის მოუთხოვრებდა წერილში სპარსელებისა და მათი მეფის მიმართ მზაკრულად განწყობილ. მოუხელთებელ იოვანეზე. წერილი ტყავში გამოკერა, როგორც წმინდანის პირით მისდამი მიწერილი, და გაგზავნა (ო, როგორ ხარობდა), სავსე ყოველი სიეშმაკით. ააღლევა ხოსრო და საშინლად განარისხა უდანაშაულოს მიმართ, რათა იგი დაესაჯა და ყოველგვარი ბოროტება განეცდევინებინა: საპყრობილეში ჩაეკლო და უწყალოდ ეგვემა და ბოლოს მარჯვენა მოეკვეთა. ასეთი იყო ბარბაროსული აზრი, უგუნური და მრისხანე. ხოლო ლეთისკაცი ასეთ ბოროტებას უმკლავდებოდა, არ დაცემულა, არამედ მადლობას სწირავდა სასურველ ღმერთს. მოთმინებით გადაიტანა მშვენიერი ასპარეზობა, ეწამა და თავად მიმართა ვედრებით სათაყვანებელ ხატების თაყვანისცემისათვის ქრისტეს, ჩვენთვის წამებულს. ამბობენ, როცა ამ აუტანელ ტანჯვას და მოუთმენელ ტკივილებს იტანდა, ეს ძლისპირი შეთხზა:¹

„ვედრებასა

ჩემსა განვპფენ უფლისა მიმართ

და მას აუევარებ ბრალთა ჩემთა მარადის,

რამეთუ ბოროტითა აღიესო სული ჩემი

და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთა მიიწია“.²

და ამასთან მეორე:

„მომიტყვენ, სახიერ,

აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი,

რომლისათვის გიკვობ შენ,

მიკსენ მე ბოროტთაგან“.³

გულმოწყალე⁴ ღმერთმა თავისი მშობელის, ყოვლად უმანყო დედის მეოხებით,

¹ ა.პაპადოპულოს-კერამევის ასახელებს შერთებ გვერდითი ხმის ორ ძლისპირს 1888 წელს ვენეციაში გამოცემული ირმოლოგიონიდან (6,130).

² ძლისპირნი და ღმერთისმშობლისანი (ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მერტრეველმა. თბილისი, 1971, გვ. 187.

³ იქვე, გვ. 188.

⁴ დედანში არის *επικαρπιους*.

როგორც მრავლის მეტყველმა, ლოცვის უმაღლეს განუმთავლა ხელი ღვაწლით და შარავანდით მოსილს. ამ სასწაულმა ბევრი განაძლიერა, შრავალნაღვაწი ჭეშმარიტად საკვირველი გახადა, ხოსრო არწმუნა და დიდად აღავსო სინანულით სპარსელები, რომლებსაც დიდი მოღვაწის მიმართ ჩადენილი საშინელებები აჩვენა, რათა მიეწერათ კონსტანტინე კოპრონიმოსისათვის, შეერაცხებინათ იგი წმინდანის ყალბი ბრალდების გამო და, როგორც მტყუვარი, მოეძაგებინათ უღეთო და ქრისტიანთა სარწმუნოებისათვის უცხო; ხოლო ღვთაებრივი იოვანე სათაყვანებელი გახდებოდა, რადგან ბევრ მათგანს საცთური დააგმობინა და ქრისტესკენ მოაჭკია.

14. ეს არის ყოვლად ნეტარის ცხოვრება, ასეთია მისი აღმავლობანი და ქრისტესთვის გადახდილი ასპარეზობანი და, ამრიგად დიდებული და მოწამებრივი გვირგვინით შემკული, მეფობდა ღვაწლმოსილი და გამარჯვებული მბრძანებლის გვერდით. სიკაცსლე გაასრულა „სიბერესა სიბოხისასა“¹. მან საკუთარი შრომით, თხზულებებით და გალობებით, მორწმუნენი განაბრწყინა, ეკლესიის აღვსება გაანათა, შექმნა სააღდგომო კანონები და სტიქარონები ყოვლად ბრძნულად დასდო საუფლო დღესასწაულებზე, ზესთადიდებული ღვთისმშობლის და სხვა წმინდანების ხსენებებზე, და არა მხოლოდ საღღესასწაულო ჭებანი შეთხზა, არამედ საღამისთევიანი, მოწამეთანი, კანონები პარაკლიტიკისა და საღღესასწაულონი, აჭებდა რა ყოვლად უმწიკლო სძალს და მეფსალმუნეთა ახარებდა სულის სარგებელი კმნილებებით და სიამით განაწყობდა მორწმუნეთა დასებს. მაგრამ ჩემგან სრულიად დაფარულ იქმნა ამ საკვირველი კაცის გამარჯვება, რომელმაც აჩვენა მისი მოკრძალება და ამამაღლებელი სიმდაბლე (რაც უმართებულოდ გამოვტოვე და მით დავაყლ დიდი გმირის სამამაცო საქმეთა ტბილად მსმენელებს), და, თუ უპირველესად საჭირო იყო წერა ამბავზე, რომელსაც ყველაზე დიდი სარგებლობა მოაქვს მათთვის, ვინც ბაძვა ირჩია, ამასაც მოგიტხრობთ.

15. მამის გარდაცვალებისა და მთელი სიმდიდრის მიუსაფრთათვის დარიგების შემდეგ იმოგზაურა ეგვიპტის მონასტრებში, ეძებდა განდევილებს, — როგორც ვთქვით, ვითარცა ფუტყარმა, ყოველი ფრიად სარგებლიანი კაცისაგან მოკრიფა უმშვენიერესი ყვაილები. ამ შემოვლისას პოვა ვინმე მამათაგანი, გამოირჩეული ყველა სიკეთით, მაგრამ სულთ უძღური, რის გამოც არც რომელიმე ბერს შეეძლო ამ მოხუცთან ცხოვრება, არც სხვისთვის იყო შესაძლებელი

¹ ფსალმუნნი, 91, 14.

მისი მომსახურება და დაჭერება. ნახა ეს პატივმოხილმა და განიზრახა, თავი უფრო დაემდაბლებინა, როგორც უფრო მეტად მისგან სარგებელშიმხედარს, და დაეცხრო ვნებები, აქებულებინა თავი გონივრულად მომსახურებოდა მოხუცებულს, მთლიანად დამონებოდა და მისი სული ესნა. მივიდა მასთან, დაემხო მიწაზე და ევედრებოდა მოხუცს, მასთან ეცხოვრა და სიკეთე მოეღო. ჩვეული სინანულით აღვისილი — წყნარი და მორიდებული ხმით ეტყვის: „ვევედრები, მოწყალეო მამაო, შემიწყალე მე, უბირი და გლახაკი; მსურს დაგემონო შენ (რადგან ვხედავ პატროსანსა და წმინდა მამას და მოხუცებულს) და დაგემოწაფა, თუ ღვთის ნება იქნება; არა მხოლოდ შენი პატივის სიკეთით ვარ გაკვირვებული, როგორც ძალბიძს, არამედ წმინდა ცოდნასაც მაძლევს შენი ღვთაებრივად ბრძანული და წმინდა სული. მოხუცმა სახე და ზნეეთილობის სიმდაბლე ნახა და მით მიხვდა, რომ იყო არა იქაური, არამედ უცხო, სიბარულით შეიწყნარა; ემსახურებოდა და ბრძანებდა, ყოველგვარი მსახურება აღესრულებინათ წმინდა ტაძარსა და მშრალ ბაღში, რომელსაც ზაფხულში შორიდან რწყავდა იოვანე; და უხმო ღმერთს წმინდანმა, შესწევნოდა მას ზეციდან და გზა წარემართა მისი საამებელი სურვილისამებრ, რომ მოხუცისათვის მსახურება და ჭება არ მოეკლო. უფალმა, რომელმაც „ნება მოშინათა მისთა ჰყოს“¹, ყურად იღო მონის ვედრება, მაგრამ უხილავად დარჩა გულმოდგინე მეოხი. გააფხვიერა მიწა შორიდან მიგდებული წყლით და უთხრა: „შრომა გიმსუბუქდება იმ ანგელოზის ხელით, რომელიც შენთან ერთად იტანს დასათმენს, თანავიგარძნობს და იქმს ბევრ სამსახურს“. დიდი გულმოდგინებით და მოწადინებით აღესრულდა ყოველი მოხუცს და არ აკლდებოდა ეკლესიაში არც ერთ წირვას, განუწყვეტლად მარხვასა და ლოცვაში ატარებდა დროს. და მოხდა ისე, რომ გულმწყრალი და მრისხანე ნახა მოხუცი, რომელსაც მონურად ემსახურებოდა ღვთივნეტარი. შეცვალა ღმერთმა მისი სიველურე ცხერის თვინიერებით და ამის გამო იოვანე მოხუცისათვის საწადელი და საუვარელი გახდა ღვიძლი შვილივით. ხოლო სადიდებელი იოვანე, თუმცა ძალიან იღლებოდა, უფრო ხარობდა, თუნდაც მოხუცს უპატიოდ ჰყოლოდა. არც ჭედმადლობდა მასთან მოხუცი, არც გვემას ჰკადრებდა, მწუხარებას მისცემოდა, როგორც ვაჟარი, რომელიც ვერაფერს იგებს. ღირსი გახდა იმისა, რომ მოხუცი წიგნს ასწავლიდა მას, როგორც სთხოვა, დაეთანხმა და ანბანი ასწავლა. ფილოსოფოსი, რომელმაც სრულად მიიღო ელიზური განათლება და აღზრდის მწვერვალს მიაღწია, სწავლობდა დამარცხლას

¹ ფსალმუნი. 144,19.

და იღებდა დარტყმებს, ნებით თავს აჩვენებდა რა უწიგნურად და უნიჭოდ გვე-
მა სიამოვნებდა, თუმცა მის სხეულს საშინლად გამოლულუ კჳონდა ძალა.
სრულიად ჭანკგაწვევტილი იყო მთელი ღამე დგომისა და ლოცვისაგან და
დღისით მსახურებისაგან, რადგან დაუღალავად ემსახურებოდა მოხუცს,
ხორციელად ჩამოდნა მღვიძარებითა და უკმელობით, თითქოს ჩადილი-ლა
ჩანდა. პირველად მოხუცმა უწოდა მას დამასკელი, შემდეგ ბაღში მისი საძყოფელის
ფრიად მოვლის გამო დაერქვა, მერე კი იმის გამო, რომ დამასკოდან მოვიდა
მასთან, როგორც შევიტყობთ, და წმინდანმაც თავის სიტყვებს და მოგონებებს
წააწერა „იოვანე დამასკელისა“, იცავდა რა მოხუცისაგან მიუღებულ ზედწოდებას,
როგორც საუნჯეს.

16. გავიდა ორი წელი და გაატარა სულ მსახურებაში, საზღაურად კი
მსახურებისა ის მიიღო, რაც ითხოვა, მოხუცის ლოცვა, ყოველმხრავ,
გამორჩეულად და თავმდაბლობით, ჰბაძავდა თავის მბრძანებულს, რომელიც
ღმერთი იყო და განკაცდა და სიკვდილამდე დამდაბლა თავი. ამრიგად ამ
ნეტარსაც ზღვა ჰქონდა სიბრძნისა და გულისხმობისა, ნებით გაზნადა თავს
უწიგნურადაც, რათა აქ სირცხვილით დატანგულს, კიდევ უფრო განედღადინა
და აღესრულებინა მბრძანებლის მცნება ღმერთთან მიხლევის ლადინში.
პირველი იყო და ნებით ისურვა, გამხდარყო უკანასკნელი, ემსახურა და ესწავლა.
ნაცვლად იმისა, რომ თავად ესწავლებინა და მისთვის ემსახურათ. მეორე წელი
გაასრულა მან მოხუცთან, როცა დადგა წმინდანის ყოველად სათაფრანებელი
აღდგომის დღესასწაული, რომლისთვისაც დიდი გრიგოლ ღვთისმეტყველის
სიტყვა ისწავლა: თითქოს მოხუცმა მოაზნადა, რათა ეცნოთ ახალ დიდ გრი-
გოლად: ჳეშმარიტად მიიღწია მოხუცმა, რომ წერისგანაც შორს მდგარიყო,
თითქოს არც კილა (ხმა) სკოდნოდა, არც მნიშვნელობა, არც შესაფერისობის
მონაკვა შესძლებოდა, *ჰადბსუწი*-ს (=სიჩლუნგის) *ჰადბსუი*-დ (=სიჩლუნგედ)
კითხვას ასწავლიდა ბრძენს. როცა დადგა ხელახლა შეწინობის ჳამი, იმ ჳირამი
შეიყარა მრავალი მონაზონი - უწიგნურიც და ასეთიც, ხელახალი შეცნობა
იმით გამოიხატა, რომ ყოველად უმწიკვლო იოვანე იქნა მოხუცის მოწაფე
იოვანემ წიგნი გაშალა, თითქოს მხოლოდ იწყებდა კითხვას, წაიკითხა წარწერილი
და *ჰადბსუი*-ის ნაცვლად, როგორც ასწავლიდა ხელთდამსხმელი საიდუმლო
ღვთისმსახური, თჳა *ჰადბსუწი*, მაშინ რისხვით აღიჯო მოხუცი, აღიძრთა
ეგრეთით, ხელთ რომ ეპურა. და თავში სცემდა უბრძნესს დაუნანებლად, სანამ
თავიდან სისხლი ძირს არ გადმოადინა. მამათაგან შეფერხებულმა მოხუცმა
განუტყავდა მათ „ხედავთ ამ ბერს, ყოველად უნიჭოს და უსწავლულს? ოცდაათი
დღეა, ამ სიტყვას ვასწავლი და მაინც არ იცის; ისევ შეეშალა, როგორც თავიდან,

და *βραδύτητα* თქვა. მამებმა, უფრო მეტად გონივრებმა და წერაში გამოცდილებმა, მოხუცი უტიფრობისათვის გაკიცხეს და მადლობას ასე ეუბნებოდნენ: „შენზე, მოძღვარზე, უკეთ სიტყვა ცხადი გახადა მოწაფემ და განუკითხავად დაარტყი მას“. საკვირველი იოვანე ინანიებდა მოხუცის წინაშე და ასე უხმობდა: „მაპატიე, მამაო, მე — შენს მონას, უგუნურობა და უსწავლელობა, ბრძანე, ახლად მასწავლონ სიტყვა და შენი წმინდა ლოცვა კეთილად წამიძღვეს ღვთისა თანა და ნუ გამირისხდები“. და როდესაც ცოდნით ახლად აღვსების ბრძანება იქმნა, ლაპარაკი დაიწყო და ისე გახადა ნათელი სიტყვა, თითქოს იქ ყოფილიყო თავად დიდი ღვთისმეტყველი გრიგოლი. ბევრი რამ გამოჰკითხეს მამებმა, ყოველად ბრძნულად განმარტავდა; სიტყვის მთელი საფუძველი და გამოხატულება ცხადი გახადა, მით ყველას აკვირებდა და უჭებდნენ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ უფრო სრულ მორჩილებას და სიმდაბლეს წმინდანისას და ეუბნებოდნენ მოხუცს: „ნეტარი ხარ, მამაო თეოდორე (ეს იყო მოხუცის სახელი), რომ ასეთი მოწაფე ჰყოვე, ბრძენი, რიგიანი და თავდაპირილი“. მოხუცი მიუგებდა: „მერწმუნეთ, მამანო, მოვიდა ჩემთან უწიგნური და მე ვასწავლე კითხვა დამარცვლით. ახლა მეც ვერ მივმხვდარვარ, ერთბაშად ასე ბრძენად როგორ წარმოგვიდგა“. თქვა ალტაცებულმა და ისინიც აღაფრთოვანა, ასე რომ, გასრულდა რა ცისკრის გალობა, გათავდა დიდებისმეტყველება, გათენდა და იქ თავშეყრილთაგან ვიღაც მიხედა, რომ ყოველად ბრძენი იოვანე პოეტო იყო. იგი მივიდა მოხუცთან და უთხრა: „მამაო, არ გცოდნია, როგორი საუნჯის მუცლობელი ხარ“. მან ჰკითხა: „როგორისა?“ ამანაც უპასუხა: „ის, ვისაც უსწავლელს და უნიჭოს უწოდებ და ამბობ, თითქოს გვიან ესწავლოს შენგან დამარცვლით კითხვა, არის დიდი იოვანე ჰაგიოპოლიტისი“. იგი ჭეშმარიტად ყველასთვის ცნობილი იყო თხულებებით.

17. წმინდანი მიხვდა, რომ იგი ცნობილია და ელის იქ მყოფთაგან გარდუვალად სახელის განთქმა, ყველაფრის ცხადყოფა და ჭეშმარიტების ვერას გზით დაფარვა; ამიტომ დაივიწყა ყოველი, უფლის თანადგომით გამოვიდა მონასტრიდან, გაექცა ფუძე განდიდებას და სურდა, მხოლოდ ღვთისთვის ყოფილიყო ცნობილი. მერე იერუსალიმში ქმნილებებით დაიპყრო, თავყანი სცა წმინდა საფლავს; იქიდან სულიწმინდამ უწინამძღვრა, სპარსეთის შორეულ კუთხეს მიადწია, სადაც ბევრი ასპარეზობა გადახდა, როგორც გააცხადეთ, ცის სამყოფოში გადაინაცვლა მამამ, მამათა თანა გახარებულმა, მოძღვარმა მ.ო.

ძღვართა თანა, ღვთისმეტყველმა ღვთისმეტყველთა თანა, ძიწაქემ მოწაქეთა თანა, სიკიცხლემი ანგელოზთა სწორი მოქალაქობის მომგებელმა ანგელოზთა თანა, და აწ მათთანვე მოციქულობს ჩვენთვის სიკეთის მეტრადე ღვთის წინაშე, რომლის მეოხებითაც სასუფეველს ეწია ყოველ მიწიერზე მზრუნველი.

18. ყოვლად ღირსეული კონსტანტინე გარდა მათემის ეპისკოპოსი, ღვთივ არწმუნებდა და მწეცმავდა ქრისტეს სამწყსოს (უნდა აღიწეროს მისი შემდგომი მოქალაქობაც), გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში და ყველას განაძლიერებდა და რწმენით მოქმედებდა და ჩავიდა დიდ ანტიოქიაში. ნამასპინძლევი იოვანე წინამორბედის და ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისაგან პატრიარხის და ცხოველმყოფელი ჯვარის დღესასწაულზე, როცა გალობდნენ სადღესასწაულო კანონსა, რომლის შემოქმედიც თავად იგი იყო, და მგალობელნი სიტყვებს არასწორად ამბობდნენ. წმინდანი წუხდა და ეუბნებოდა, რომ ასე არ იყო ნაწერი და შეცდომებს უშვებდნენ. უფრო მეტად შეწუხებულმა და ნაწყენმა წინამძღვარმა იწყო წმინდანის სასაყვედურო სიტყვებით კიცხვა: „შენ ვინ ხარო, ეუბნებოდა, რომ ასეთი პოეტის სიტყვები გინდა შეატრიალო; ხოლო ღირსეულ კონსტანტინეს სურდა, ეგალობათ კანონი, როგორც შეითხზა, უშეცდომოდ. საჭირო ჩანდა ეფიქრათ, რომ თავად პოეტი იდგა იქ ცხადად. მაგრამ თავისი იქ ყოფნა არაფრით არ განუცხადა წინამძღვარს და არ უთხრა, რომ თავად პქონდა შეთხზული, არ ვათქვა საიდუმლო. დასაჯერებლად ეს ამბობ: „მამაო, მე, კნინი, როგორც ამბობ,

ვარ ამ კანონის მთაველი“ მან მიუგო: „არ დაგიჯერებ. აუ ასეთივე ხასიათის სხვა ნაწარმოებს არ შექმნიო“. წმინდანმა მეცხრე გალობას, რომელიც იწყებოდა „საიდუმლო ხარ, ღვთასმძობელი“-თი, გასრულდა რა მთელი კანონის აკროსტიქი, დაურთარ მეორე გალობა: „სიკუდილი, რომელი ხისაგანა“¹ ასე დაუმტკიცა ბერებს და წინამძღვარს სიმართლე, სრულად აღადგინა კანონი და დაეთანხმა კონსტანტინეპოლში გამგზავრებანზე.

19. ჩავიდა ნიკომიდიას, შეხვდა ამ ქალაქის ეპისკოპოს ვესებიოსს და ბერი ესაუბრა წმინდა და სათაყვანებელი ხატების შესახებ, რადგან ეს ვესებიოს ხატთმებრძოლი იყო: ნახა რა მისი ურწმუნობა, მკაცრად უთხრა: „ვესებიოს, ბოროტი ხარ და ბოროტივე აღსასრულით დაასრულებ სიკიცხლეს“. სამი დღის შემდეგ გამოვიდა მღვდელთმთავარი ულირსად სანადიროდ. მონადირეებმა გააღვიძეს ძუ დათავი, რომელიც გაიწევიანით, სადაც ვესებიოსი იდგა: ცხენი შეიბა

¹ ეს რომლის „1) Das Hymnarien der Konstantin“ ცნობილი კონსტანტინეს ხატების სახელით იხ. ე.მეტრეველი, ლიბაირნი, გვ. 204.

მას, ფეხები გაუკრეს და დათვს მიუგდეს; დათვმა დაფლითა მხედარი და ასე საბრალობლად შეწყდა ეპისკოპოსის სიცოცხლე. ჩვენ ყოველად ნეტარის მეორე სასწაულს მივებრუნდეთ, ჳეშმარიტად საკვირველს. როდესაც ნიკომიდიიდან წასვლა განიზრახა, გამოასვენეს ჳკრივის შვილი, რათა ქალაქს გარეთ მიწისათვის მიებარებინათ. ჳკრივი ბევრს მოსთჳვამდა, იტანჯებოდა, ღაღადებდა ტყუილებით და ვებით აღესლიო, ამბობდა, რომ არ ჳჭინდა სხვა სანუგეშო ან რამ საურდენი სიბერეში. „რა ვქნა მე, უბედურმა?“ ამას და სხვა სიტყვბაც გოდებით წარმოითჳვამდა და აღძრა თანაგრძნობისათვის თანამგრძნობი სული ღირსეულისა, რომელმაც ნახა სატყვირის დათმენა გამოუთჳქმელი, დადგა სალოცავად და თჳვა, ისე რომ ყველა უსმენდა: „იესო ჳრისტე, ძეო ღვთისაო, რომელმაც დიდი მოწყალებით ჩვენი ხორცი შეისხი და სცანი ყოველივე კაცებრივი, ღაზარეს, შენს მოყვასს, ცრემლი დააყარე და მეოთხე დღეს მკვდრებით აღადგინე, — ყურად იღე შენი მონის ვედრება, შეიბრალე უმთვარეულო და საბრალო მიხუცი ჳკრივი, რომელსაც სხვა არაფერი აქვს სანუგეშო სიბერეში, და, როგორც წინათ აღადგინე ძე ჳკრივისა, აღადგინე ესეც უსაყვარლესი და მხოლოდმოძილი ძე, რათა მჳუხარებით და უბედურებით შეჭირვებული ბოროტი ხეჯარით არ აღესრულოს მიხუცი“. თჳვა ეს და უბრძანა მათ, რომელნიც ცხედარს მიასვენებდნენ, მიწაზე დაედგათ კუბო და, როცა შეასრულეს, ღირსეულმა კაცმა ცნებით და გლოვით დააყარა ცრემლი, შემდეგ ჩაავლო ხელი მიცვალებულის ხელს და თჳვა: „უფალმა ჩემმა, იესო ჳრისტემ, რომლის ხელთ არიან მიცვალებულნი და ცოცხალნი, აღადგინოს შენ“ და შესძახა ხამალა: „უფლისა ჩვენისა იესო ჳრისტეს სახელით აღდგე, შვილო“. და სიტყვის უმალ აღდგა მიცვალებული, ჩამოგდა კუბოზე, თვალი მოავლო ყველას და, რა იხილა შუაში მდგომი წმინდანი, წამოდგა და დაეხზო მის ფერხითი. ხოლო მან წყნარი ხმით მიმართა: „რა მე, შენთანვე მონას, უნდა შემომწერო მადლი, შვილო, არამედ მბრძანებელს და ღმერთს, რომელმაც აჳ შენ აღგადგინა და მომავალ ცხოვრებაშიც აღგადგენს, როგორც ჩვენ ყველას. ასე რომ გულმოდგინედ ეცადე, ღირსი გავდე, მეტადრე მართალთა გუნდაჳნ ერთად. უკანასკნელი აღდგომისო. ყრმა, რომელიც იწევა მართალის ფერხითი, შეგლალადებდა წმინდანს, რაჳ მას თავისთან ჳყოლიდა, დაემოწაფებინა, მღვრველიაზა გაეწია, არ მოეშორებინა გვერდიდან, სადაც იქნებოდა, და გზაც წარემართა, თავად ყრმა კი არ განუდგებოდა არასოდეს ამიეროდან და უშინებოდა მას წმინდანმა დამონებმა შესაბებ რომ მოისპინა, ოდნავ გაეღიმა და მორჩილად უთხრა: „როგორც ხედავ, სხვა არაფერი გამაჩნია, გარდა მონებვისა, რამლებითაც შემოასილი ვარ, და ამ სანდლებისა; საქმელად ის მაქვს, რასაც ჳრისტე მოიღებს, სარეცელი ჩემი მიწა, ლოგინად წამოსასძამი

მაქვს სიცივეში. ასეთ პირობებში მყოფს არ უნდა შემსახურო. მაგრამ როცა გინდა, შვილო, ჩემთან ყოფნა, თავს იდევ ჩემთან ტანჯვა, სიამოვნებით იმგზავრე კიდევაც ჩემთან ერთად, დამემოწაფე და უფალი დაგვაპურებს და წაგვიძღვება თავისი წმინდა ნების თანახმად. თუმცა ორთავ უნდა ვიზრუნოთ დედაშენზე, რათა არ დაგვაბრკოლოს და ხელფეხი არ შეგვიკრას ლოცვამ . . . ამ მცირედმა, რომელსაც დედა სჭირდება“. ქვრივის შვილის და ამ შვილისგან გულმოცემული ქვრივის თავზე ეს რომ მოხდა, წმინდანი იქაური წმინდა ეკლესიის მეტურქულ პავლესთან მივიდა და სთხოვა დაეთმო დედაბერი, რათა გამოეცემა და ყველაფერი, რაც დასჭირდებოდა, თავად მიეცა, დედასავეთ მოკრძალებით მოჰყარობოდა და ყველგან მოეტარებინა. პატავით მოსილი მოხუცი სამადლობელ სიტყვებს ეუბნებოდა წმინდანს და სულ ბოლოს, მეტურქულის ნებით, განმარტოვებული ცხოვრება შეიტყო და ღვთის სიყვარულით იცხოვრა, ასი წელი და ექვსი თვე იცოცხლა და ცხოვრების ბოლოს ღვთის გამოცხადებასაც ეღიბრა.

20. გიორგი, მკედრეთით აღმდგარი შვილი ქვრივისა, წმინდანთან ერთად ხომალდით მიადგა ბიზანტიონს, ორთავ თავყვანი სცეს ღმერთს ყველა წმინდა ეკლესიასა და მონასტერში; ხოლო ქრისტედ წოდებულ ჭიშკართან ახლოს მდებარე ერთ სალოცავში, რომელსაც სპარტე ერქვა, მიღებულ იქნენ. მიიყვანა რა იქ ნეტარმა გიორგი, შემოსა სამონაზვნო სქიმით და დაარქვა გრიგოლი. და გახდა იგი ყოველი იქაური მამის მორჩილი, გულმოდგინედ ემსახურებოდა და მონურად აღასრულებდა ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ; ჩანდა შემკული ყოვლად სინდისით და გონიერებით, დაუცხრომლად სწავლობდა და გალობდა, ღირსეული კაცისაგან დამოწაფებული, — დროს ატარებდა განმარტოვებულად და ყველასთვის საწადელი გახდა. ყველანი პატავს მიაგებდნენ წმინდანს და მან მოქალაქობით სახელი გაითქვა ქალაქის მკვიდრთა, მთავართა, მღვდელთმთავართა და მონაზონთა შორის. ყველას თვალწინ სასწაულად გადაიშალა კაცის სიკეთე, შესაცნობი და თვალსაჩინო; მისკენ ეშურებოდნენ ცოდნის შესაძენად და თითოეული მისგან, როგორც დაუშრეტელი წყაროდან, საზრდოობდა არა წყლით, არამედ გულში ეღვრებოდათ სიხარულით ცხოველყოფელი სიტყვა და სარწმუნოებისაკენ მოიქცეოდნენ. დანარჩენი ხალხი — კაცები და ქალები — ჭიანჭველებსავით ავსებდნენ საკრებულოს, შედიოდნენ მისი სიტყვის მოსასმენად და სარგებლობდნენ; გულმოდგინენი, კურთხევის ღირსნიც გახდნენ, ზოგი კურთხევას და სარგებლობას ღებულობდა რა, დიდად ნაამები ბრუნდებოდა თავის სახლში. წმინდანისკენ იზიდავდა მრავალს, და მეტადრე სიბრძნის მოყვარეებს, მისი თხზულებებიც, რადგან კეთილი მდინარება სჩვეოდა მის გალობას; ჭმნიდა საგალობლებს და შეზავებულ გალობას ასწავლიდა. მუდამ ახსოვდა ნეტარი

იოვანეს უბრძნესი სწავლანი და გალობანი, მისი კანონები და „რვა ხმაღ“ წოდებული (კრებულის) სტიქარონები და კვლად „*Ἀνατολικα*“-დ¹ განთქმული დასდებულები. ჭეშმარიტად არსად არაიენ იცოდა შესაფერისად გალობით ფსალმუნება.

21. (მიალწია) ამ კაცის და მისი სიკეთის ამბავა ქრისტეს მოყვარე მეფე კონსტანტინემდე, რომელიც იყო შთამომავალი კოპრონიმოსისა (ასე ეწოდა, რადგან ბოროტად აღმოხდა უბადრუკი სული), ხოლო ყველაზე შორიდან პატრიარქა ტრასიოსმა შესწირა წმინდანს მადლი სარგებლობისათვის. მეფე გაემგზავრა წმინდანთან, მაგრამ ბოროტების მთავარს ეშმაკს განზრახული ჰქონდა, აღეკვეთა მისი სურვილი და მშვენიერი მგზავრობა დაებრკოლებინა, რისთვისაც ასეთი რამ განუშადა ღირსეულს თავისი მზაკრობით. ერთ დღეს მეფე ცხენით ეახლა ღირსეულს. ცხენი, რომელზედაც იჯდა, ხარისად წოდებულ ადგილთან მოულოდნელად აფორიაქდა, მძლავრად ჰიხინებდა, წინა ფეხებით მალლობზე შედგა და უგუნურებით ასე გაშეშდა მხედრიანად ერთი წუთის განმავლობაში; თითქმის ყველა ელოდა, რომ დაემხობოდა მეფე და შეიძუსრებოდა. ნახა რა ცხენი ასეთ მდგომარეობაში, უხილავი ნადირი დაეშურა თავისი ზრახვის განხორციელებას: ზაკით სურდა დაებრკოლებინა, რათა მეფე ვერ მისდგომოდა წმინდანს. მაგრამ ამაოდ უხაროდა მგელს (ასე ვუწოდებ); ამ მოულოდნელი შემთხვევის გამო სულით შეძრწუნებულ მეფეს ერთხანს ხმა არ ამოუღია, ძლისედა დაუბრუნდა გრძნობა, წმინდანი გონებით იხილა და მალალი ხმით უთხრა: „წმინდაო კოზმან, უფლის წინაშე მოციქულობით შემეწიე, რადგან შენკენ ამ გზით მავალს — გზა საფლავად შექცევა და ცხენი სიკვდილად“. ეს თქვა თუ არა, მეფეს გამოეცხადა წმინდანი, ცხენის აღვირი მოზიდა, წინა ფეხებით მიწაზე მყარად დააყენა და თქვა: „ბოროტი ზრახვით ფრინველსავით კი ნუ იტყვი, გზას დაადექ როგორც ოთხფეხი და მორჩილებით ატარე მხედარი მბრძანებლის საკადრისად“. ცხენი მყისვე სულ მთლად დამშვიდდა და ჩვეულებრივად გაუდგა გზას. ამ სანახაობით და სასაწაულით განცვიფრებულ მეფეს აღმოხდა: „ღიღია უფალი ჩვენი და საკვირველი ყოველთა თვისთა წმინდანთა შორის, რადგან წმინდანთა ზრახვით დიდებულა“; მეფემ იქ მყოფთ მოუთხრო არაჩვეულებრივი ამბავი, ხელით ანიშნა წმინდანზე, რომელიც მხოლოდ მისგან იხილებოდა და სხვებისათვის არ ჩანდა; იზრახა ჩამომხდარიყო ცხენიდან წმინდანის მეოხებით, მაგრამ სრულებით არ ეყო ძალა. წინამორბედის ტაძარს რომ მიადგა, ჩამოხდა ცხენიდან და იქ გამოჩნდა წმინდანიც; შევიდა ტაძარში და შიგ

¹ E.A. Sophocles. Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, New York, 1900. *v.v. Ανατολικος*.

პოვა ღირსეული, რომელიც იდგა შიდა ბეკსთან და ხალხს განუმარტავდა უფლისგან თქმულს: „უკეთეს გაქენდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცხალი მღოგჯსა“¹ და ასე შემდეგ.

22. რომ დაასრულა სწავლება, შემობრუნდა, დაინახა მეფე, მიეგება მას და შესაფერისი პატივი მიაგო. მეფე დაეცა წმინდანის ფერხითი და მომხდარი სასწაული მოუთხორო. წმინდანმა წამოაყენა იგი, შევრდომა არ დაანება და უთხრა: „მადლობა უნდა შესწირო ღმერთს, მეფეო, და საღვთო საიდუმლოებებს ისე არ უნდა მოუთხოვოდ დამსწრეებს, როგორც კაცისგან კმნილო. მე, როგორც ხედავ, ხალხს ვესაუბრები. იწამებენ ამას ბევრნი, მეტადრე კი დამსწრენი, რომლებსაც ვასწავლეთ. შენ, მბრძანებულო, გიხსნა შენმა რწმენამ და ღვთისადმი მთელი გულით მინდობამ“. უმაღლესი გაუმეორა სწავლანი და უთხრა: „აღარავის გაუკვირდება, რომ მეუფე მიგვიძღვის პატივით ჰემმარტად, რადგან „რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისა მიიღოს“². შენ, მეფეო, მხოლოდ იმას კი ნუ უყურებ, რომ ახლა პირუტყვი შეგაფერხა, არამედ (ისიც იფიქრე), რომ უვნებლად გადაარჩი გონებით წარმოსადგენი ურჩხელისაგან, ადიდე შენი მაცხოვარი უფალი მისი მადლის აღსაზრებით და იმისა, ალღვინე ყოველი საამალოებელი, რომელსაც ჩვენ, მონანი, არ ვკვირდებით და რომელიც ყველას გვკვირდება, და გვეჩვენება, რომ მავანი მავანს აღემატება. ხომ იცი, ყოველად სათაყვანებულო მეფეო, შენს მიმართ განხორციელებული კაცთმოყვარეობა ღმერთისა, რარიგ სწრაფად შეისმინა შენი ვედრება. შენც ასევე მზად იყავი მორჩილია შეწყნარებისათვის, კაცთმოყვარეობით განეწყვე მათ მიმართ, რომელნიც შენ გემორჩილებიან, და, თუ რამ შესცოდა ვინმემ შენდაშო, ან ცნობილია, რომ შენი მართებს, მოხადე ვალი თანაგრძნობით, სიმდიდრისაგან განმარტულნი და დაგლახაკებულნი მიიმხრე, ბრწყინვალედ, პატიოსნად და მეუფის დარად აღუდგინე მათ უწინდელი ცხოვრება, ამორე უგზოობა; ღატაკს, უსასლკაროს, მწუხარებანანახს, გაუბედურებულს — ეს გაჭრება და შევიწრაება სიხარულით შეუცვალე და, ერთი სიტყვით რომ გითხრა, ღმერთს და ზესთამეუფეს ბაძავდე ყველაფერში და შენ, რომელიც მიწაზედ ამეფობ, ყოველ სიკეთეს იქმნოდე. თავად ხომ მართალთაე აკურებს და უსამართლოთაე. მზე ხომ ბოროტთათვისაე ამოჰყავს და ეთილთათვისაე და შეგონებს მტერთა სიყვარულს და მანვეართა სიკეთის მოქმედებად მიღებას; ასეთი სიკეთის მიმდევართ განუსაზღვრელი და აღუ-

¹ მათე. 17,20.

² მათე. 10,41.

წერელი დიდების ღირსს ხდის და ჩვენ ვლოცულობთ, რომ მას მიაღწიო შენც, მის საამებელ საქმეს რომ იქმ". მეფე, განცვიფრებული მის თავს გადამხდარი სასწაულით და ღირსეული კაცის რჩევებითა და შეგონებებით, რომლებიც ფრიად არგებდნენ სულს, კვლავ ფერხთ ჩაუვარდა წმინდანს და ევედრა ელოცა, რათა ღმერთის ჩარევით დაცული ყოფილიყო შევისაათვის მონათრობის საიმედოობა და ჰეშმარიტება. და უთხრა წმინდანს: „პატივით მოსილი მამაო, მე ამიერიდან ვეცდები ისე მოვიქცე, როგორც მიბრძანებ, მაგრამ ვშიშობ, თუ უფალი არ შემეწევა, ჩვენი საგვარტომოს მტერმა, ეშმაკმა, ხელფეხი არ შემობორკოს და არ გადაამახვევინოს სწორი გზიდან დასამდაბლებლად ჩემი უბადრუკობისა და გვეჩიაში დასანთქმელად“. ამგვარი ჩვეულებებით, სიტყვებით და საქმეებით იმოხიდა სადიდებელი ჭრისტეს მოყვარე მეფე კონსტანტინე, ეკლიანი მცენარიდან ვარდად ქცეული. ყოვლად პატივით მოსილმა კოზმანმა მას ასე მიმართა: „შენი მონღობა უფალმა რომ ნახოს, მთელი სულით, მთელი გულთ და გონებით როგორ განეწყვე კეთილი საქმეებისათვის, აღმსარებელი და თავდაბლი, ალუკრძალვდა გარსშემოწყობილთ და შენი სიმაღლის წინააღმდეგ მოურიდებლად შემართულთ, უსამართლობას ჩადიოდნენ და ღმერთისკენ შენს აღმასვლას ჩრდილს აყენებდნენ“.

23. ნეტარის ამ ქადაგებებს, რომელნიც კეთილამსარებლობისაგან მოაჭკვედნენ, ბევრი ისმენდა, ზოგნი წარჩინებულნიც და მათთან ერთად ვინმე ორი ვიკარიუსი, ხატმებრძოლთა წვალების მიმდევარი. ერჭვათ მათ მაქსიმე და ფლორენტიოსი. ხედავდნენ ღვთის ძალით მეფის დამდაბლებას წმინდანის მიმართ და სარწმუნოებას შეფისას, მრისხანებდნენ ორნიც და, როგორც დიდ ტყეს მოდებულ ცეცხლს ქარი უფრო ძლიერად აღანთებს, მათს ურწმუნო სულებსაც ამგვარად ედებოდა რისხვა: მუცლად იღეს საღმობა და შუეს უსჯულოება¹: ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ ხოლმე: „ნახე დაბნელებულთა თავხედობა, შეხედე ამას! როგორ არ წითლდება მონქებით მოსილი, თვალთ რომ ხედავს თავის ფერხითთ დაგარდნილს სამეფო პორფირით მოსილს, ჰეშმარიტად თითქოს თავის მონად შერაცხულს. ვინ არის ის, ჰვეყნიერების მპყრობელობისათვის თითქმის განმზადებული, გლაზაკის ფეხებს რომ ეხვევა: მიიღტვის იმ მყარლისაგან, მონიებად ქცეული შემოფხრეწილი ჭიტონი რომ შემორჩენია, და მის ნაკვალევს ჰკოცნის. სად არის ახლა ის უძლიერესი კონსტანტინე (კოპრონიმოსს გულისხმობდნენ), დიდებული და სახელგანთქმული

¹ ფსალმუნნი, 7.17

მეფეთა შორის, ამის ბოროტად მოსაყვინებლად ხელი რომ არ აუკანკალდებოდა, როგორც მოკლა ავსტრიის სტეფანოსი და სხვა დანარჩენნი“. ამას ისე ტრაბახობდნენ და ერთმანეთს ისე ჩუმად ელაპარაკებოდნენ უსირობით, რომ სხვას, მათ გარდა, არავის ესმოდა. ხოლო სელიწმინდით აღვსებულმა ყოვლად მოკრძალებულმა კოზმანმა ეს სიტყვები გაიგონა, თუმცა შორს იდგა, მიუახლოვდა და ხმამაღლა უთხრა: „ორნი უწმინდურნი, მაქსიმე და ფლორენტიოს, რად მიიჭეკით ურჯულოებისაკენ და რად გააღმერთეთ თქვენი თანამოაზრე და ურჯულო მბრძანებელი, ბოროტმოქმედი და ურწმუნო კაბალინოსი, რომელსაც ეყო კადნიერება ჩვენი უფლის და მაცხოვრის იესო ქრისტეს ხატის შეურაცხოფისათვის და მას ყურბი უწოდა, თითქოს ზეცისა ყოფილიყოს. ამის გამო ურწმუნოების საუკუნო ცეცხლს მიეცა. მაშ, რადგან თქვენც, როგორც მის თანამოაზრეებს, მოწაფეებს და მიმდევართ, გასურთ მასთან ერთად იგემოთ წამება, დღეს ამ წამების წილს განსცდით, მისი მაჭებარნი რომ გამხდარხართ, მისი ყოველგვარი თავაწყვეტლობა და უკეთურობა გინებებიათ, შეგიცვნიათ და ზოგი რამ შეგითვისებიათ“. მრისხანედ მოხსენდა მათ ყოველთვის თავდაპერილმა და თქვა: „თუ მე ქრისტეს მონა ვარ ჭეშმარიტი და ღმერთი ჭეშმარიტი არის ქრისტე, იმ ცეცხლმა, რომლის განცდაც მიესაჯა ურწმუნო თანამოაზრეს კონსტანტინეს, უწმინდურს და კაპრონიმოსს, ოდესღაც დიადებით უღირსად შემოსილს, ნაწილობრივ მოიცვას მაქსიმე და ფლორენტიოსი“. ამის თქმის უკალ, თან თითქოს ეუბრი და გოგირდი გამოსცემდნენ მძიმე და უსიამოვნო სუნს, წყვედიადის მსგავსმა ცეცხლმა მოიცვა უბადრუკნი, საცოდავად იდგნენ სიბნელეში მონასტრის ეზოს შუაში და იწყოდნენ ცეცხლში; და იწყეს ვაება, კბილთა ღრუნი და ყვირილი: „შეგვიწყალე, უზენაესი ღმერთის მონავ, ვერ ვუძლებთ ტანჯვას“. ასე რომ ყველანი, შეთვისთან მყოფნი, ბერები მონასტრის წინამძღვართან ერთად, წარჩინებულნი და სხვანიც, განუსაზღვრელად ბევრნი, ხედავდნენ იმ წყვედიადის მსგავს ცეცხლს, ესმოდათ დასკილთა სმები, მაგრამ ვეღარ უყურებდნენ; შიშით და ძრწოლით წარმოთქვამდნენ: „უფალა, შეგვიწყალე“. თანაგრძნობით აღძრულმა კოზმანმა ცრემლები დააფრქვია, მერე მათ მიუბრუნდა და უთხრა: „ორნო ავნიიანნო, განიცადეთ წამება? მიხვდით, რა განსაცდელში ჩაიგდეთ თავი, ღვთისადმი კიდევ უფრო მიუხდობელნი რომ იყავით, ვიდრე ჩემდამი? დიდად ქედმაღლობდით და არად მაგდებდით მე, როგორც ვისმე მღაბიოს და ცოდვილს. პირში ენა როგორ გიბრუნდებოდათ ქრისტეს და წმინდანების წინააღმდეგ, როგორ დასცინოდათ? აქედან გამომდინარეობდა ისიც, რომ მე იქ ის გზა გაეასრულე (თავად ჭეშმარიტება შემოწმება), პატოიანარ და წმინდა ხატებისათვის მარტვილთა და მამათა, ნეტარი სტეფანოსის

და სხვათა, გვერდით ვდგებოდით, მათს მოწამებრივ გზას მივყვებოდით, რაც განმამტკიცებდა და ჩემს ჩამოყრილ ხელებს ხელახალი ძალით ავსებდა; ყოვლისავე უმჯობესად გარდამსახველმა უფალმა „ყოველივე რააცა უნდა ჰქნა“.¹

სიძულელით კი არ გადმოჰყურებდა თავისი ერის სიძრაველს, რომ ეწამებინა, არამედ აღვიძებდა კაცთმოყვარეობით მეფეს, განდგომილსაც, ამპარტავანსაც, საძულველ ფუნეს, — კონსტანტინეზე ვამბობ, კაბალინოსზე, გვენიის ცეცხლში რომ ჩააგდო უფალმა, დასაჭა რა საუკუნოდ, და მის ნაცვლად აღადგინა მორწმუნე მეფე, რომელიც მის მცნებებს არ გადაუხვევს“.

24. ცრემლის ღვრამდე მიყვანილი ღირსეული კაცის შემყურე მეფემ, წარჩინებულებმა და დანარჩენმა ხალხმა, სანახაობის საყურებლად ჭარად მომდგარმა, ცნეს მართლის თანაგრძნობა და თავისთვის ამბობდნენ: „ჰქმშირიტად, რომ არ ყოფილიყო შეწყალებული, მის ნათელ თვალებს არ დაედინებოდა ცრემლი“ და მყის ვეღდრნენ წმინდა ფერხთ ჰქმ შევრდომილნი, რათა შეეძლებინა უბადრუკნი, ეხსნა საშინელი განსაცდელისაგან და წყვედიადის მსგავსი ცეცხლი აერიდებინა. დაჟინებით სთხოვდნენ წმინდანს, ხოლო მას უმაღლეს თანაგრძნობის ცრემლები გადმოსცვივდა და ისე მიმართა მეფეს და ხალხს: „უფალს და ღმერთს ჩვენსას იესო ქრისტეს უნდა მივბაძოთ სიკეთით; უფალი მოვიდა ჩვენთან განკაცებული, სიკეთის ჰქნა და კურნებანი მრავალნი გვიჩვენა და არაეინ დაუსჭია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლეღვის გახმობის ამბავს², რომლითაც აჩვენა მოციქულებს, რომ არა მხოლოდ განაძლიერებს სიკეთის საქმენლად, განსაკურნებლად სულიერი და სხეულებრივი უძლურებისაგან, არამედ ძალუძს დასჭაც, თუ მოესურვება. ასე რომ მას, ყოვლის შემძლეს, ვუხმოთ ყველამ ერთად, ხოლო იგი, მდიდარი წყალობით და კაცთმოყვარეობით, მზად არის მოგვეცეს სიმდიდრე თავისი წყალობისა, როგორც ვიმედოვნებთ, რადგან ცოდვილის სიკვდილიც კი არ სურს, იმიტომაც მოაქცევს სიცოცხლისაყენ“ დასარულა ლოცვა მამებთან ერთად, იგალობა „წმინდა არს ღმერთი“ და ასე შემდეგ რომოცდათი ფსალმუნნი. და შთამბუჭდავად ილოცა რა ღვთივ ნეტარმა კონმანმა, ყველამ ხმამაღლა ილაღადა მეფესთან ერთად: „უფალო, შეგვიწყალო“.

ამის შემდეგ ღირსეული კაცი შემობრუნდა და ხელით ჯვარი გამოსახა იმ წყვედიადის მსგავსსა და უნათლო ცეცხლზე და მიიწვედა ეს ცეცხლი ნელა, სანამ მთლიანად არ განეშორა იმ უბადრუკებს. გამოჩნდნენ კაცნი, სრულიად უც-

¹ ფსალმუნნი, 113,11.

² მათე, 21,19.

სამეფო ჭალაჭი დატოვა, ეახლა მეფეს მოსალაპარაკებლად და ისე წაეიდა. მეფემ გაიგო მისი მადლოს ამბავი, ადრე მისულიყო მასთან, შფოთავდა, გული ეკუმ-შებოდა და მეტად სტკიოდა; უთხრა: „მამაო, პატიოსანო, რატომ ისურვე აჭედან გაცლა შენ, რომელიც ჩემი თვალის სინათლე ხარ; მოილე რამე სანუგეშო ჩემი სულისთვის. უღობველი ნუ იქნები, რადგან მჭირდება შენი მეოხად დგომა ღვთის წინაშე მე, დიდ მღვლევარებაში მოქცეულს“. თქვა ეს და ცრემლთა ღვარი დასდინდა თვალებს. როდესაც ნახა, რომ წმინდანი წასასვლელად ისწრაფვოდა და აზრს არ იცვლიდა, ძლივსა დაუთმო უნებურად, შეშინებულმა, რომ სხვა არაფერი მოემოქმედა, მაგრამ თან აბრკოლებდა და წასვლის სურვილის ასრულებაში ზელს უშლიდა. წმინდანი ამასლა ეუბნებოდა მეფეს: „შვილო, ქრისტე გყავს მეოხად, რომ რაიმე კაცებრივმა ვნებამ არ გაგიტაცოს, და ზომიერება არასოდეს არსად დაკარგო, რადგან შენთან ვართ, ხოლო, თუ არა ვართ, ვლოცულობთ გულშეურვალედ, მეტადრე, თუ საბოლოოდ დარჩები ქრისტეს მეტრფე, მის მცნებებს დაიცავ და წმინდა და სათაყვანებელ ხატებს თაყვანს სცემ. ჯერ კიდევ გელიან მძვინვარე მგლები ქრისტეს პატივით მოსილი სამწყსოს შესამუსრავად და საზიანოდ, მაგრამ ვერაფრით ვძლევენ“.

26. თქვა ეს, გადაეხვია და გამოვიდა სასახლიდან; მეფემ წმინდანს გაატანა საკმაოდ დიდი საცხოვრებელი, რაც თვალთ მნახველსათვისაც დაუჭრებელი იყო. ხოლო წმინდანმა უთხრა ნაბოძების წამომღებთ: „გადაეცი თ მეფეს, რომ ყველაფერი დაურიგოს მავედრებლებს, და არა ჩვენ, რომლებსაც ეს სრულიად არ გვჭირდება და რომლებსთვისაც ერთი ქიტონიც კმარა მთელი ცხოვრების მანძილზე“. ემოსა მხოლოდ ქიტონი და ბეწვიანი წამოსასახამის ნაგლეჯები, რასაც ატარებდა, როცა დამასკოდან წამოვიდა. ოცდასამ წელს იმყოფინა ეს ქიტონი გაუხდელად და გამოუცვლელად და საკვირველი იყო, რომ სრულებით არ ჩანდა ძველი, პირიქით ახალს ჰგავდა, გუშინ ჩაცმულს. მხოლოდ სრულიად დაგლეჯილი სანდლები შეიცვალა. ეახლა უწმინდეს პატრიარქს ეკლესიის მოსალოდნელ უბედურებასთან დაკავშირებით, წინასწარმეტყველის თვალთ გააცხადა, ბოლოს გადაეხვია და უთხრა: „მძვინვარე ნადირებს, რომლებსაც ეკლესიის შეძვრა აქვთ განზრახული, სულიერო და წმინდაო მამაო, ვერ დაინახავ, რადგან ჯერ ორი წელი გაივლის, სანამ აღესრულებოდე და უფალთან სასუფეველს ჰოვებდე“. მოხდა ისე, როგორც ღირსეულმა კაცმა თქვა. შეუერთდა რა ეკლესიის მსახურთ და ჯოვლად მორწმუნე ერს, სასიამოვნო და ტბილი სიტყვებით გამოუცხადა: „ღვთისმოსავობის მარად ყვავილოვანო ნერგნო და ჰეშმარიტი სარწმუნოების მეტრფენი, გიხაროდეთ თქვენ, რომელნიც

ლამაზად იცავთ ღვთისმოსავობას, ვითარცა ტალანტს. მოუწოდა ელოცათ მისთვის და, თავად გულმხურვალედ ილოცა რა ყველასთვის, სინანულოთ მოკვლა და მშვიდი, წავიდა ქალაქიდან. გრიგოლ ბერს, რომელიც მკვდრებით აღადგინა, წინათ გაეცხადებულ სიტყვის თანახმად, ააწავლა და საღვთო და წმინდა მწიგნობრობაში გაწვრთნა, სიკეთის მწვერვალი დააპყრობინა და მიუყვანა განწმენდილ პატრიარქს ტარასიოსს. მოვდელთმთავარმა კეთილი განწყობილებით შეიწყნარა იგი, გამოისცადა მისი ცოდნა და ცხოვრების სარგებლიანი წესი, მოაშადა საწიგნის მკველად და ნახა, რომ ყველასათვის სანაჭებო იყო.

27. წმინდანი მარტო გაუდგა გზას თრაქიის გავლით მაკედონიისაკენ, იქიდან რომს ჩავიდა, როგორც მზე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის გაივლის გზას და მთელს დასავლეთს, ლამის ჭვეყნიერებას გარს შემოუვლის, დიდი მოციქულის პავლეს თანახმად, რომლის მიმდევრადაც იწოდა, ყოველგნით განამტკიცებს ეკლესიებს, სარწმუნოების სიტყვას თესავს და სულიწმინდის მადლით სასწაულებს მოიმოქმედებს, რომლებითაც ცნობილი ხდება მთელ რომში, ახლომდებარე ჭვეყნებსა და ქალაქებში, და გადაწყვეტს, რომ იქიდანაც უნდა წავიდეს, რაკი გაურბის ადამიანთა ამო დიდებას; ზღვით ვაცურავს ეგვიპტეში. მერე იერუსალიმს მოინახულებს, თაყვანს სცემს მაცხოვრის ცხოველმყოფელ საფლავს, ნახავს იქ პატრიოსან სტეფანოსს, ნეტარი იოვანე დამასკელის ძმისწულს (ისიც ღირსეული მამის განსწავლული და აღზრდილია); რომელიც ღვაწლით თავის ღვთაებრივსა და სადიდებელ იოვანეს უდგას მსარში და მის მოწამებრივსა და კირნახულ სხეულს პატრივით მიბარებს სპარსეთის მიწას. ეს საფლავი ნახა დიდმა კოზმანმა, როდესაც იბერიიდან სპარსეთს ჩავიდა; ააშენა ტაძარი ამ წმინდა მოწამის იოვანეს სასილზე. სტეფანოსმა კი სამონაზვნო ცხოვრება ირჩია და საბას ლავრის წინამძღვარი გახდა. როცა მან წმინდანი ნახა, გაიხარა, მის ფერხითი დავარდა და ლოცვა სთხოვა. ზოლო მან უთხრა: „სულიწმინდის მადლი უვნებლად გვიცავდეს ჩვენ ყველას ბოროტის საფრთხეთაგან“; წამოაყენა და გადაეხვია; ჭერ ყოველად ნეტარი იოვანე მოიკოთხა; როგორ გაასრულა ცხოვრება და როგორ იასპარეზა მოწამებრივად — და ამბავი შეუბღალავად მოისმინა. შეიტყო ყოველივე, ჭრისტეს მადლი აღუვლინა, მიჰყვა სტეფანოსს და მის მონასტერში მივიდა. საბას ლავრის ყველა ბერი მიეცება; ეახლენ. ერთხელ სთხოვეს და მისწუდნენ რა საწადელს (ცურთხევას), დიდი სიხარულით შეიწყნარეს ნეტარი თავიანთ მონასტერში.

28. როდესაც წმინდანმა ის ადგილი ნახა, მძიმედ დაიკვნესა; ეს არისო, თქვა, მრავალი გვების და განუზომელი ოფლისღვრისაგან განსასვენებელი ჩემი

და აქ დაემკვიდრდებიო, და იცოცხლო მას შემდეგ სამი თვე. ეძება წერაქვი და მერე თავისი ხელით იწყო მიწის თხრა და საკუთარი საფლავის მომზადება; თან ამბობდა: „ისწრაფე, საბრალობელო კოზმან, რათა იცხოვრო ღვთის სიყვარულით და აქ მიწად მიეჭე მიწას, ხოლო სული მიაბარო უფალს“. გადმოცემით, ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ გადაინაცვლა ცათა საჯანეში, რომლის ღირსიც წინათვე ნეტავ შორს მდგარიყო ამ სრწინადი ცხოვრებისაგან. და აღესრულა მბრძანებლისათვის, რომელიც ანგელოზთა სწორმა ყველასაგან გამოირჩია ანგელოზთა ქორეზთან შესაერთებლად და რომლის თანაარსიც იყო აღსრულებამდისაც. წმინდა სამების ნათლით გაბრწყინებული; მიწინებული უტბესი ძილით და წმინდანთა საფერი, შეუერთდა მამათა, მოძღვართა და მღვდელთათვართა, — მამა და მოძღვარი და მღვდელთათვარი, მიწიერი ანგელოზი და ზეციერი კაცი, და მიიცვალა ცათა კარავში, სხეული მიწას მიანდა და სული ღმერთას. ყოვლად პატიოსანმა სტეფანოსმა, საბას ლავრის წინამძღვარმა, და მისმა მოწაფეებმა იგალობეს დასაკრძალავი საგალობლები, თაყვანი სცეს და ღირსეულად მიიღეს აიანმა იმ ღირსეულის სხეულზე ხელის მიკარებით, მიასვენეს იგი საფლავთან, როგორც აუწყა მათ ჟერ კიდევ ცოცხალმა უნეტარესმა; საფლავი მას-საკუთარი ხელით ამოეთხარა. კრძალვით დამარხეს და მისი პატიოსანი ფერფლის ჭურჭელზე აი ეს ლექსნი იამბიკონნი ამოკარეს:

„საფლავში ჰგიეს განაღა შენი ფერფლი
დავიწყებული. აწ ცას ექვთენის იგი,
ვით კეშმარიტად განათებული მზეა:
განგებამ შეცდართა თანა წაპითაც ქვერე
ფერ გაგიძეტა, ყოვლად ნეტარო კოზმან,
არამედ ჰეავხარ ცას ანგელოზთა თანა“.

ასე იცხოვრა ნეტარმა, მოსაწონად და საამებლად ღვთისა, მადიდებლისა ოდენ მისთა მადიდებელთა, მისგან ღირსეულად დიდებულ იქნა. ხორციელი ცხოვრების დროსაც უხორცო დარჩა, როგორც ამბობენ, და ხორციელადაც უხორციოდ მოქალაქეობდა სამოცდათვრამეტო წელი. როდესაც კენძელ კრეტიდან ტყვედ წამოიყვანეს, ოცდაცამეტი წლისა იყო, და დამასკოში და მის შემოგარენში ოცდაექვსი წელი დაყო. ქალაქებსა და ქვეყნებში მოგზაურობას მოანდომა თვრამეტო წელი და მონასტერში, რომელშიც გადავიდა, მოსასურვილებლად წელიწადიღა დარჩა.

29. ეს არის ყოვლად სათაყვანებელი მამის ცხოვრებაში მიღწეული აღმავლობანი, ვნებათა ძლევათა, წარჩინებანი და დიდი სასწაულები და გმირობანი; ასე შეამყო ეკლესია და, ვისთვისაც ეს მოიმოქმედა, ვისთვისაც იშრომა და ვისაც ასწავლა, ფრიად სასურველი ჩანდა მათთვის, სიკეთის მოყვარულთათვის, — მეფეთა, დიდებულთა, მთავართა, მღვდელთმთავართა, მღვდელთა, ბერ-მონაზონთა და ყველა მორწმუნისათვის მეტად ჩინებული დარჩა. მას ჩვენც ყველანი მოშურნედ ვებაძვდეთ, მწყემსნიც და სამწყსოც, ვფიქრობდეთ მის სიკეთეზე, თუ მივიღებთ დავიდგათ მსგავსი გვირგვინი და ქრისტეს თანამემკვიდრენი გავხდეთ და თუ მოსმენა გვჯერს ამ აღთქმული და სალოცავი ხმისა: „მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქვენთვის სასულეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ“.¹

30. ეს გადმოგვცა ჩვენგან, ყოვლად უნეტარესო მამაო, არა ღირსებისამებრ, არამედ შეძლებისდაგვარად. ხოლო შენ ზეგარდმო მოგვხედავდე ჩვენ, თუ მრავალთა და დიდთა სასწაულთაგან შენთა მცირედი შეგვირბეთ გულმოდგინეთათვის და როგორც სომიძრე შემოვინახეთ. მაგრამ, ო, სამგზის ნეტარო მამაო, რომელიც კხედავ არა სიტყვის უძლეურებას, არამედ შენდამი ტრფობას, შეიწყნარე ჩვენგან გასრულებული შრომა, შენი მბრძანებლის გვარად (მან ჭკვივის ნაკულლოვანი საცხოვრებლის ორი წვლილი მდიდართა შესაწირავზე უფრო მეტად შეიწყნარა²), შეიწყნარე ეს მცირედი და გაზომე იგი ვედრებით შენდამი, ვინც სიცოცხლის მეუფე სამებასთან დგაბარ, მოგვტყვე შეცოდებანი და მოგვეც ძალი, რათა სული მოვითქვათ კარს მომდგარ საშინელებათაგან, რათა დააცხო წამებანი, ტკივილები, კვნესანი და სნეულება მთლად მიაქციო და გვისსნა ღვარძლიანი მტრებისაგან. თუ გამორჩეული ვედრებაა საჭირო, რათა გავიმართნეთ ჩვენ, ფრთა გადააფარე მოძღვართ, მღვდელთმთავრებს, ღირსეულ მამებს და გუნდს მოწამეთასა, მოციქულთასა და ყველა შენი წმინდანისაა ზეგარდმო ძალთა თანა და ზიარად ვედრე კაცთმოყვარე და მოწყალე ღმერთს, შეიწყალოს და იხსნას უარისყოფელი ერი, რომლის იმედიც მხოლოდ მის (ღვთის) მიმართ შერყეულია, — ვედრე, რათა მოიღოს სიმშვიდე ეკლესიებისა და მთელი ჭკვენიერებისათვის და მოგმადლოს დახსნილთა და თავისუფალთა ხეფარი მყარი წესრიგი, შეამდგომელი კი ჩვეულებრივად არის უმანკო და ყოვლად შეუბღალავი ღვთისმშობელი თავისი ძის და უფლის ქრისტეს წინაშე, რომელსაც დაუსაბამო მამასთან და ცხოველყოფელ სულთან ერთად შეპყვრის დიდება, ძალი და პატივი აწ და უსასრულოდ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

¹ მათე, 25,35. ² მარკოზი, 12,42-44.

საგალობელთა თარგმანებისათვის

VII-IX საუკუნეების ბიზანტიურ მწერლობაში ჰიმნოგრაფიის განსაკუთრებული დაწინაურება უტყუარ ფაქტად არის მიღებული. იქმნება ჰიმნოგრაფიული პოეზიის სრულად ახალი ქანრი — კანონი, ძველი ქართული ტერმინით, გალობანი. სტრუქტურულად იგი სიმბოლური გამოოსახვის ურთულესი ფენომენია შუა საუკუნეების მწერლობაში. აქ ყოველი ბგერა საღვთისმეტყველო-პოეტური შინაარსით არის დატვირთული, ისე როგორც ძველ ებრაელთა და სხვათა და სხვათა ღმერთის სახელის აგებაშიც მხოლოდ გარკვეული ბგერების მონაწილეობა შეიძლებოდა. მაგალითად, სხვა იქნებოდა „წილ-ღვთიანი“ და სულ სხვა არის „წილ-ღმერთიანი“.

ფსალმუნებიდან მომდინარე ღაღადების ტონი ჰიმნოგრაფიას აახლოებს რიტორთა სიტყვებთან, პომილოების მეტყველებასთან, ოღონდ ქანრობრივი (არსებითად ფორმალური) აღწერა საგალობლებისა არც ისე რთულია. საგალობელს უპირველესად გამოკვეთს სიტყვის მიუაჩრდილებელი სიმალლე, მაშინ როდესაც რიტორიკულსა და პომილეთიკურ ძეგლებში მკითხველთან თუ მსმენელთან მარტივი საუბრის ფორმები, მათდამი უშუალო მიმართვები (ზოგჯერ ესენიც კლიშეებად ქცეულნი) შიგადაშიგ დასაშვებია.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზიის სახე-ხატთა შესახებ მორიდებულად შეიძლება გავიმეოროთ ის, რასაც ჩვეულებრივ ამბობენ „მაპაბპარატაზე“: „რაც მაპაბპარატაში არ არის, ის არსად არ არისო“. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჰიმნოგრაფიის სახე-ხატნი ხანგრძლივი ზეპირსიტყვიერებითი და სამწერლობო ტრადიციების განვითარების შედეგია, პოეზიის გზით მკაცრად დამაგრებული ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ტაძრებში მცირე საგალობლებთან ერთად იგალობებოდა ანდრეა კრეტელის, იოვანე დამასკელის, კოზმან იერუსალიმელის, თეოდანე გამომეტყველის, იოსებ ჰიმნოგრაფის, თეოდორე სტუდიტის და სხვათა გალობანი, ხოლო ესენი ყველანი კორიფეები იყვნენ.

თარგმანებს ღვთისმშობლის გალობანით ვიწყებთ. ეს თემა ყოვლისმომცველი გახლავთ ჰიმნოგრაფიაში.¹ საინტერესოა, რომ „თთუნებში“ (ჰიმნოგრაფიულ კრებულებში), ღვთისმშობლის დღესასწაულების გარდა, სულ სხვადასხვა წმინდანების ხსენებაზე მათ საჭებელ საგალობლებთან ერთად მოთავსებულია „ღედღღვთისას გალობანი“. ასეთ ბიზანტიურსა და ქართულ კრებულებში, ხოლო სლავური ტრადიციისათვის მსგავსი წესი უცნობია.

¹ დაწერილებით იხ. *Ἡ Θεοτοκος εν τη υμνογραφια, στο Σαφροσιου Εισπρατιδου*, Paris, 1930.

ანდრეა კრეტელის "დედაღვთისას გალობანი", აღბეჭდილი გასაკვირველი ლირიზმით, სიტყვის ძალმოსილების მწვერვალია, სიტყვის უბრალოება აქ თვალისმომჭრელი ელფარების ხარისხშია აყვანილი და, როგორცადაც არ უნდა სურდეს ავტორს, განიჭნოს ჭების საგანი ოლიმპიელთაგან, თვით საგალობელი ტემპარატად ოლიმპოდან მოედინება (სხვათა შორის, მისი პირველი გალობის ილისპირის პირველი სიტყვა "ეპინიკიონია", რომელიც საგუნდო ლირიკის ტანს ეწოდებოდა ძველ ბერძნულ მწერლობაში). ამავე დროს იგი იტყვის ურთულესი ხატოვანებით აღძრულ ბიბლიურ მინიმუმებს და მზის აღმოსავალიდან დასავალამდის ტოლს არ უდგებს თავისი თანამედროვე ხელოვნების არცერთ ძეგლს. „ღვთის მადლიანის და ჭარბებით გადამოალის“, „ღვთის სძალოს და ნომფას“ (სხვა გალობაში „საგალწულუ-პართენონის“) და მსგავსი გამოთქმების ხმარება აუცილებლად ვცანით დედნის ყოველი სიტყვის შრეებზე წარმოდგენის გასაღრმავებლად და, თუ ბოლოსდაბოლოს ასეთი გაგება ძალზედ პიროვნულია, ჩვენ ვატოვებთ მთარგმნელს უფლებას — ასე გვესმოდეს და ასე გავანდოთ მკითხველს ტექსტის მიმართება ქვეტექსტთან. ზოგჯერ მიზანდასახულად ვცვლით ბერძნული სიტყვისათვის ჭართულ ენაში დამატებულ შესატყვისს. ვთქვათ, „ლალაღების“ ნაცვლად უმეტესად ვწერთ „მყვირალობას“, რაც ასოციაციურადაც უფრო ახლოს უნდა იყოს *κρηνα*-სთან, ბერძნულის მიხედვით თარგმანში ვტოვებთ „ჭოროს“, „ჭიტონს“ და სხვ. ისიც უნდა ითქვას, თავად ავტორის სიტყვა ზოგჯერ თითქმის საზღვარდაუდებლად უახლოვდება სხვადასხვა ერესს. ერთი წუთით ისიც გაგაოცებთ, რომ ღმერთი თითქოს წყალთა წიაღში დედამიწის დაყრდნობამ მოიპოვნა და ა.შ. მაგრამ, თუ იოვანე დამასკელის, დიდი დოგმატიკოსის, არგუმენტებს გაიხსენებთ, ურწმუნოთათვის ღმერთის არსებობის დასამტკიცებლად მოტანილს, ეს ფრანაც სინათლეს იმატებს; სამყაროელი წესრიგი მოითხოვს უზესთაისის აღიარებას. ამ გალობანის თარგმანს უთუოთ დიდი კადნიერებაა, მაგრამ ჩვენი თარგმანი შორეული მონახაზით მაინც რომ ჭმნიდეს წარმოდგენას სიტყვიერი ოსტატობის ნიმუშის მკაცრად პოლიფონიურ მებრზე (სიმკაცრეში ვგულისხმობთ: როცა ყოველი ზედმეტი ან დაკლებული ბგერა, თანხროვანიც კი, დისონანსურია), მიზანი რამდენადმე შეიძლება მიღწეული იყოს. ბერძნულიდან ჭართულ ენაზე საგალობლების თარგმნის ხანიერი და დიდი გამოცდილება, განსაკუთრებით IX-XI საუკუნეების ჭართულ მგალობელთა მიერ სიტყვის შერჩევის, ფერისცვალების (ვარიაციების), თხზვისა და დამკვიდრების გაუგონარი ძალა თითქმის გვისპობს სუსტი თარგმანის შექმნის შეაძლებლობას.

რაც ანდრეა კრეტელის „დედალეთისას გალობანზე“ ითქვა, ნაწილობრივ, სხვადასხვა ასპექტით, ეხება სხვა ჰიმნოგრაფიულ კანონებსაც, რომელთა თარგმანებიც აქ წარმოვადგინეთ. თეოფანე გამომეტყველის „პარასკევის გალობანი“ შორის სცილდება „კლიშეების“ პოეზიას. თავმოყვითილი ქალწულის ასპარეზობის გადმოსაცემად აქ სახეთა ისეთ კავშირებს ვხვდებით, როგორიცაა „ჭვარი და ლერწამი, გვარგინი და ნესტეი გიხილავს“ და სხვ. და, თუ მსგავს სახეთა უბრალო აღწერაც შემდგომ გაფართოვდება, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს ჰიმნოლოგთა წარმოდგენაში..

შვიდი წმინდა ეფესელი ყრმისადმი მიძღვნილი ორი კანონი შევარჩიეთ სათარგმნელად, რათა გვეჩვენებინა, რომ თავისთავად ფუნქციონალურად დატვირთულ გამეორებათა ფონზე ერთი და იგივე თემაც კი სხვადასხვა ჰიმნოგრაფების ხელში სხვადასხვაგვარად წყდება, შით უფრო, იოსების „მხატვრულ ნიღაბს“ იმდენი მგალობელი ამოაჭვარებია, რომ არ არის ადვილი — მისი კანონები სტილის თვალსაზრისით გამოვყოთ და განვასხვავოთ. და მაინც: ასეთი მშვენიერი ხატი — „მოხუცებული სამყარო“ — იოსებთან არის, სხვაგან არ იძენება. სხვათა შორის, თანამედროვე მეთოდური საშუალებებით არ გაკვირდებოდა, გამოთვლილიყო სისშირენი ძლისპირთა (პოეტურ-სამუსიკო მოდელთა) გამოყენებისაც სხვადასხვა მგალობელის მიერ. საინტერესო შედეგია მოსალოდნელი.

შვიდი წმინდა ეფესელი ყრმის საჭებელი მეორე გალობანის ავტორია კლემენტი. ურთულესი ჭრისტიანული დოგმატები, მოძღვრება აღდგომისა და გამოღვიძებისა და სხვ. აქ უფროვე გაცხადებულია „შვიდ-ძალი ნათელის“ პოეტური სინტაქსით. ყველაფერი შვიდრიცხველობის ირგვლივ ტრიალებს.

წინამდებარე ქრესტომათია „მარზანს“ (Μαρζαν) წარმოგვიდგენს თეოდორე სტუდიტის ერთი გალობანი: „წმინდა ხატების მალლად დასვენებისა“. აქ დანარჩენ გალობანთაგან სრულიად განსხვავებული სამყაროა. მხილება, განკიცხვა და წყევლა ხატთა შებღალვის (ხატმშობლობის) გამო ისე ერწყმის მოსაკრძალვის თაყუანებას და სამადლობელ აზმანს, რომ მომხდარის საშინელებით და სიდიადით მხრებდამძიმებულთ ისლა დაგვრჩენია, მოვიძაგოთ ღმრთის მზრძოლნი და, თუმცა ძნელია იმისი სულის გამდიდრებაზე ლაპარაკი, ვისაც ჭართულ სცენაზე რაბინისაგან ურიელის წყევლა მოუხმენია, თვით ეს ასოციაცია ხატოვანებას აძლიერებს და სულს აღავსებს. ამ გალობანში განსაკუთრებით საჩინოა თხრობაც, — თხრობა განძარცვული ეკლესიის აღსაბურველების შესახებ. ეს არის ლაიტმოტივი და ვრცლად ხატიმეტყველია განახლების ხელახალი აღსაბურველების სიმბოლიკა.

პოეტური სემანტიკის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ოპიზარი (ბევლში „ოჭრითი დასამშვენებელი საოპიზარო სანათელი“ ლეთისმშობელია) საზოგადო სახელი აღმოჩნდა და შინაარსით მეტადრე დაშვენდა „წმინდა ხატების მალლად დასვენების“ ღმრთისმშობლისაას კონტექსტს.

ერთ საჭრესტომათიო ნიმუშად ავიღეთ გალობანი, მგალობელის მიერ მგალობელისადმი მიძღვნილი. ეს არის იოსებ ჰიმნოგრაფის „წმინდა კლემენტის გალობანი“, აკრისტიკული, როგორც მეტი წილი იოსების კანონებისა. აკროსტიქში და ტექსტშიც „კლემენტი“ გაგებულია მეტყველ სახელად: *ΑΚΗΜΕΝ* დაკავშირებულია *ΑΚΗΜΑ*-სთან. ეს კი უდრის „ვაზის კალამს“. „რომელმან სულის თვალი სულწმინდის სიღრმისკენ დახარა მზერად“, ცხადია — საღეთო ვაზის კალამად“ წარმოგვიდგება.

ამ მცირე წინასიტყვის დასამთავრებლად მგალობელთავე გამონათქვამს მოვიშველიებ: ჭრესტომათიაში მოთავსებულ გალობანთა დედნები „განცვიფრების ღირსია“, და ამ განცვიფრებას იმდენად გრძნობდნენ მგალობელთა თანამედროვენი, რომ წმინდანებად რაცხდნენ, ხსენების დღეებს უწესებდნენ და აღამალუბდნენ. და ეს მაშინ, როცა განცვიფრებისათვის, მოგეხსენებათ, არ კმაროდა „გონების ზესთა საკვირველებათა“ ჩვენებაც, არამედ უპირველესად ბრძნული სიტყვით ჩანერგილი რწმენა იყო საჭირო (თეოფანეს „წმინდა მოციქულის იუდას გალობანი“).

დედალეთისას გალობანი,
თხზული ნმინდა ანდრეა კრეტელის მიერ
გალობა პირველი („უგალობდიისა ზედა“).
ხმა პირველი

ძლისპირი

ძლევის გალობა
ვეუგალობით ყველამ
ღმერთს, რომელმან ქმნა
გასაკვირველი ნიშები და სასწაულები
მხარით მაღალით
და ისრაელი გადაარჩინა
და მით დიდებულა.

გალობა დაშოშმინებისა დედალეთისას
მიერთებით, მორწმუნენო,
შესაწყნარებელი გალობის მსხვერპლის მომიზეზებით
ჩვენთა წყენათა გამო,
მტრად მოსული ეშმას განსლებისა
და ჩვენი ცხონებისათვის.
გამჩენო წყალობის უფსკრულისაო,
სიბრალულით მექმენ მოწყალე
მე, ჭანწართმეულს,
ღეთისმადლიანო (და ჭარბებით გადამოალო),
ხელი დამიჭირე და წამიყვანე
ნათლისაკენ მწუხარებისა.
აემალღდი — ძლევაშემოსილი და
გონიერებით ატატებული
უღმერთოდ გონის შემღვრევაზე —
და (მიწად) ჩავიჭეც ღრმულში
გზასაცდენილთა საცოდაობის,
რომელი სინანულად შემიცვალე, და შენ ხარ კრავი
და კვლად წამომაყენე.

შეკოდებათა ბევრზე ბევრი საყვედურებით
დამძიმებული, ო, უხარწნელო,
შენ შეგივრდები და შემიწყნარე,
გულის დუღილით მონანული ესე,
და გამიხარე მსაჭული, დედავ-ბატონო.

გალობა მესამე („კანძლიერდასა ზედა“)

ძლისპირი

დე, გამიმაგრდეს გული,
რომ მოგიხურვილო, ქრისტე-ღმერთო,
რომელმან წყალთა ზედა
მეორე ცა დაამყარე
და წყალთა წიაღში დედამიწის
დაყრდნობამ მოგიმიზეზა, ყოვლად ძრავილო.

კაცთა გუნდს მხოლოდ მე ვერ შევეწყვე
და მით ყველაზე საფრთხილო ვქმნილვარ სიმარტოვით
და ამის გამო გიღალატებ,
სრულად უმწიკლო დედავ-ბატონო,
მომეფერე და შემეწიე — შენთა თვისთავანს,
დამითმე ოლონდ.
ენებებით დამძიმებულს
და უძლიერეს ტალღათა ღელვით გვემულს,
მზაკვარი ხოხვით მიახლოვდება,
სახიერო, რომ შენ წაგგლიჯოს ჩემი თავი;
წამოეშარათე, ამიძებ აღმა
მე ნათლისაჲცნ სინანულისა.
ასულო, ყოვლად უმანკო, მე ხომ ხე ვარ,
ვოი, ბერწი და უნაყოფო,
სწორედ ის, ჩემგან რომ შეიწირე, რათა ნაყოფად
გყოლოდი მშვენიერად და უსაღმრთოესად;
ეჰა, ქრისტეს სიტკბოების
მადლით ამავსე.

მიჩვენე მაცხოარების ბილიკი,
რომლითაც ცათა სასუფეველის
ვიქნები მკვიდრი და მონაწილე, სახიერო,
მე, უღირსი მონა შენი,
და მოვისმენ სამწმინდაობის
საგალობელს გახარებული.

გალობა მეოთხე („უფალო მესამსა ზედა“).

ძლისპირი

შევისმინეო, უფალო, ამბავი შენი
და შემეშინდაო,
ვცანო საქმენი შენნი, --
წინასწარმეტყველი ამბობდა, --
და ვადიდეო შენი ძრიელება.

სამი საცნაური განცდა,
როგორც (სამი) ველური ბუმბერაზი,
ზეგარდმო იქმს ჩემს ფერისცვალებას:
მცონარება, დავიწყება, უგუნურება;
ხოლო შენ, ღვთის სძალო და ნიმფაო,
განმარიდე ესე განცდანი, რადგან ჩემი მეოხი ხარ.
მე ზვიადი განწყობით სულის
და გაგონების აღზევებით
გავასრულე ჩემი ცხოვრება,
ხოლო შენ, რომელმან წიალით ღმერთი ატარე,
თავის დამდაბლება შემაძლებინე და
მაგემე მაცხოარება.
უმწიკვლოებას მოწყვეტილმა, სული ჩემი
წავიწყმიდე თავაშვებით და უსაშველობით
და დემონების სადგურად
ვიქცე მე, საბრალო;
ო, წმინდა-მყავ, ყოვლად უმანკოო, მარიამ.
ყველაწმინდავ, ღვთის სძალო და ნიმფაო,

წამებით დაწრეტილთა აღსუბუქებაჲ,
მოკვდავთა საყუდარო,
სადაც ისაყდრებენ მორწმუნენი,
მიხსენ მონა შენი, გემუდარები.

გალობა მეხუთე („ლაშითგანსა ზედა“).

ძლისპირი

შენი სიმშვიდე მოილე ჩვენთვის,
ძეო ღვთისაო,
რადგან სხვა ღმერთი, შენ გარეშე,
ჩვენ არ ვუწყით;
შენს სახელს ვარქმევთ,
მით ღმერთი ხარ
ცხოელთა და მიცვალებულთა.

ქალწულო, მკაცრი გზა სიყეთისა
განდგეილური ახოვანებით გამავლევინე,
მხნედ წარმიმართე და განმარტებულად,
რათა ვნებანი დავასარეცლო და მივაძინო
და ვიხილო ხორციელისგან ახსნილობის
წყნარი სანავე.
შენ ერთი, რომელი ხარ კრავაი,
სულის საფარველად გვესაუნჩები
ყველას, რომელთაც ღმერთი ბოროტად აღვარისხეთ
და ცოდვებით დავიმძიმეთ თავი,
რათა შენი მოციქულობით შევწყალებოდით.
მარხვის-ჭირით და ლოცვა-მუდარით
როსშე ნინევი
იწყალებდა შენ გამოთ მხოლოს კაცთმოყვარეს
და სინანულით იყო მუშაკი;
და აწ მე შემოვრდომე, დედაღვთისაჲ,
განმხრწნელი საღვთოდ მოკმეული
ანათელი ემბაზისა

არავინ არი, გარეშე ჩემსა, სულზე ნავალი,
მით გილაღადებ, ნუ ამარიდებ მზერას შენსას,
შემამჩნიე და
მიხსენ, ასულო¹ და დედადღეთისავე, მონა, რომელიც
ალარ გჭირდები.

გალობა მეექვსე („ღალატყავსა ზუდა“)

ძლისპირი ძველი

წინასწარმეტყველისა იონას
მიმსგავსებული - ვკმობ:
ცხორება ჩემი, სახიერ,
იკსენ ხრწნილებისაგან
და მაცხოვრე მე, მაცხოვარო
სოფლისაო, გიგალობ: დიდება შენდა.

ვნებათა მიზეზნი და ბრალნი
სრულიად არ მომკვეთო:
მე ხომ ვიკლევ ვნებათაგან გარდამოხსნას,
რომელიც ლოცვებით შევეუძელ:
ყოვლად საგალობელო,
სიუხეშე განმარიდე და მაცხოვრე.
მე სასირცხვილო საქმეებით კეშმარიტად
გადავამეტე სოდომელთა
და მეშინია იქ ცეცხლით
გალევისა და მინავლების;
ღეთის სძალო და ნიმფაო, ამ განსაცდელს
მომამორე და მაცხოვრე.
კვენესი, ვთროს: და გილაღადებ,
შენ, რომელი ხარ კრავი, შემამჩნიე
ვნებებში ცდომით
ჩაქცეული მძიმედ;

¹ *Который* უთუოდ ანტიკურ კოჩესაც უკავშირდება.

ოღონდ შემობრალე,
ხელი დამიჭირე და სინანულისაკენ წამიყვანე.
ცოცხალს მიდარაჲე ყოველ ღისმარე, --
შენ მიერ გამოსყიდულს, და ამა სოფლის
განსაცდელთაგან განშორებისას
ცათა სასუფეველის გზაზე წამიძიებ,
დედავ და ქალწულო,
გულმოწყალებით და შენი წიაღის უმანკოებით.

გალობა მეშვიდე („კურთხეულხარსა ზედა“).

ძლისპირი

ცეცხლს ემცვრეოდა, მაცხოარო,
და ყრმანი, სახმილ-ცეცხლში მეფერბულენი,
გალობდნენ:
„კურთხეულ არს ღმერთი
მამათა ჩუენთაჲ“.

შენ ღრუბლად გიცნობ, ღვთის სძალო და ნიმფავ,
რომლის წიაღში ჩაისახა სიმართლის მზე,
ნათლისაკენ მომაჭკეველი ჩემი ყოველი,
ღამის მგვანი საყვედურისა.
ღმერთზე დაწინდულო, გასაზრელი და ჩემთვის უადგილო
საქმეების ნერგები გაახმე
ჩემივ აღმომცენარებისათვის საუკუნოდ;
სიკეთის გულიდან მონაღები ნაყოფი მალირსე.
სიკეთით შეუმოსავი, შიშველი ვარ
და შორად განგდებული საქორწინო პალატიდან;
ჭრისტეს მშობელო,
უხრწნელებით, ეპა, შემმოსე.
შოლტებით ჩემი გამუდმებული გვემა არ ცხრება,
ქალწულო, რომელიც უფლის ხმა ხარ იდუმალი,
მათავისუფლე,
დაუზოგავად მალედ მეოხო.

გალობა მერვე („აკურთხევდითსა ზედა“)

ძლისპირი

რომლის შიში აქვთ ანგელოზებს
და მთელ მხედრობას, —
უგალობებდეთ, მოლაღადე მღღელნო,
ვითარ უფალს და შემოქმედს,
ადიდეთ, ყრმანო,
აკურთხევდეთ, ერნო,
და აღამალებდეთ ყოველსა მას საუკუნესა.

მიუსაფარი რად უნდ ვიდოდეს თავქვე,
სულა წამებულა?
ან რად მოუხმე დაეიწყების მდინარებიდან
საქმეს სასიარცხვოს?
გადაუშალე ეს საქმენი დედალეთისას,
რათა თავადვე გაუდეს მისგან ნაშობთან
შუემდგომელად.
შემსგავსებული შევიქმენ ძველი ისრაელისა
და ისააკის სახედ ჩემს თავსვე,
ვითარ, სხვას, გავურბივარ
და ამიტომ ღვთივ წილნაყარ და სამკვიდრო
აბრამეანთა სახლიდან მე განვდებული ვარ.
უცხო ვიქმენ ღვთივ მოცემული მამულისაგან,
მივადექ უცხო მოქალაქეთა და მეკობრეთა,
დამაპურეს ღორების მწყემსთა უცხო საქმელით.
ო, დედალეთისავ, შენ მაცხოვნე,
ვით უსაშველო.
უმანკოების მე შევმუსრე ბეჭედი
არა კდემაშემოსილობით,
უმანკოების გამოთ რომელმან დაჰბადე ჭრისტე,
ნერგების მრკველი,
უმანკოდ გამელულად მქმენ, დედალეთისავ,
მე დარჩენილი ცხოვრების დროის¹.

¹ ეს გალობა განსაკუთრებით შორდება ბიბლიურ მოდუსს.

გალობა მეცხრე („ადიდება ზედა“)

ძლისპირი

ნათლიერი ღრუბელი,
რომელშიც ყოველთა მბრძანებელი,
ვითარ წვიმა, ცით მოსული,
ცხოვარის მატყლზე დადენილი,
განხორციელდა ჩვენი მიზეზით
განკაცებული დაუსაბამო, —
ვადიდოთ ყველამ,
ვითარ დედაღვთისა ჩვენი,
კრავი უმანკო.

ადიდე, სულა ჩემო,
მხოლოა დედაღვთისა,
რომელმან ხორციელად შვა
ქრისტე მკურნე.
ღვთის ხილვა, ოდეს იყო წესი,
ელირსა აბრაჰამს,
უცხოის მოყვარეობაში გაწაფულს;
მე კი დანდობით
უცხოის სიბუდეოილი დავითმინე
და, ვითარ ჭერ-არს, გეპენისკენ მივექანები.
ბოლო შენ, დედაღვთისავე, იჭაური სასწელოსაგან
თავი ამახანევიწე.
ადიდე, სულა ჩემო,
სახელი ანგელოზების
და სამყაროს თავდამდეგი
ასული ზემთაწმინდა.
მე ვაგმა ცრემლის ღვარებით

ნაიარევად გადარეცხა
ქრისტეს უხრწნელი ნათვებურები,
კოდვითაგან თავდახსნა
პირა მალედ უმანკომ:
მე კი, შენდა შევრდომილი, მთელი
გულით ვკენესი და მიზეზად შენ მეგულები
ვნებათაგან გამოსყიდვისა.
ადიდე, სულა ჩემო,
ყოვლად უმანკო ქალწული,
განსაცდელთაგან გამრიდებელი
მლაღადებელთა.
გონებას და სულსა და სხეულს
და დანარჩენთა ჩემთ საგრძნობელთა
შენ შემოგწირავ, რომელი ხარ კრავაი,
მთელად დამოკავი
ისრებისაგან სოროტყისა
და დამაღონე სატირალისთვის
და სრულად მიმეც წამებათა, --- უდები
შესმატბილებისათვის წუთისოფელთან.
ადიდე, სულა ჩემო,
რომელი ყველას უნაწილებს
სიხარულსა და სილალეს,
ქალწული დედა ღვთისა.
მკონარებიდან დავიწყებაში,
უშიშობაში დავიწყებიდან,
უშიშობიდან შეცოდების
სიღრმეში ჩაქცეული, ---
შენ გილაღადებ, დედაღვთისავ,
გამომიწოდე ხელი და გადამარჩინე,
ვითარ გადაარჩინა პეტრე ნაშობმა შენმა
სიმწარის ზღვისგან.

იოანე მონაზონი
გალობანი სატფურებისანი
უგალობლითსა, მეოთხე სმა

ძლისპირი ძველი: ზღვსა მის მენამულსა

სვეტით

უძლოდი უწინ
ისრაელს, რჩეულს,
ნათლის ემბაზით
სიონს დანერგულხარ, ქრისტე;
ეკლესია ხმობს:
ღმერთსა ჩვენსა გალობით ვუგალობდეთ.
დღეს
მოუწვდომელი დიდება შენი
გამოგვეცხადა.
აღეგო შენდა მიწად ტაძარი,
ცა განამზადე,
სად შეწყობილად ვფსალმუნებთ:
ღმერთსა ჩვენსა გალობით ვუგალობდეთ.
არა სჭელითა
ეკლესია, უფალო,
განშვენდების,
არცალა მონებრ ხელთა აპყრობით,
არამედ ჭვარისა მადლით
მოჭადული ფსალმუნებს შენდა:
ღმერთსა ჩვენსა გალობით ვუგალობდეთ.

ღმერთისმშობლსაჲ

ძე ღვთისა

მუცლად-იღე უთესლოდ
მამისა ნებით
სულიწმიდისგან
და სორციელად დაძბადე,
რომელი მამისგან უდგოდოდ ეგო,
შენით კი ჩვენთვის უმამოდ იშვა.

განხილვადსა ძღვისპირი ძველი: იხარებს ეკლესიად

განგიწმედია სულით
ეკლესია შენი, ქრისტე, მიწად;
ხოლო დღეს იგი
მხიარულების ზეთით ცხებულა.

ქრისტეო, ლოდი თავკიდური
უმტყიცესი ხარ ეკლესიის,
შენი ჭვართით ირთვება,
როგორც გვირგვინით სამეუფოთი.
სახლი ხელთქმნილი
და საყდარი მშვენიერად გამოგვიჩინე
გონებაუწვედნ შენი დიდებით
დღეს, სახიერო.

ღმრთისმშობლისად

მიწიერთაგან შენ მხოლომან
ზესთა ბუნება ილე კეთილად,
დედა ღმრთის ოცნენ
და „გიხაროდენს“ შენ შემოგვიჩაეთ.

გალობა მკდომარე (სმა მეოთხე გვერდითი)

გვიჩვენა ღმერთმა „კარავი თვისი საწამებულად,
ღვთივ განბრძნობილ მოსეს მიწად აღუმართაა.
სოლომონი აკურთხებს ტახტარს საღვთო მსხვერპლებითა,
ხოლო ჩვენ ახალ იერუსალიმს
მივსწრაფენით სარწმუნოებით დავითის მსგავსად,
მივაგებდეთ საღვთო გალობათ
ჩვენთვის ჭვარცმულსა
და ვევიდრნეთ დამდაბლებულნი
ყოველთათვის, რომლითა ვსცოდეთ.

უფალო მესმასა
ძლისპირი ძველი: იხილა რად ეკლესიამან

ეკლესია უსისხლო მსხვერპლს არ დაფუძნებია,
განსრულებულა შენი პატივით,
ცხოველყოფელი ფერდითგან
სისხლნასხურები.
ლირსად ვლალადებთ:
დიდება ძალსა შენსა, უფალო.

სავანენი უფლოსანი შეჰყვარებით,
ნატრობენ განცდას რიდებადილი
მისი სახის დიდებულების.
ხმამეწყობილად მას უგალობენ:
დიდება ძალსა შენსა, უფალო.
ეკლესიას ზეთისცება დაუდგენია,
რჩეული ერის მრავალსასყიდელ შირონით კი
დღეს იბოხება,
სულიწმიდის საღეთო მადლი
უხილავად შეუძენია.

ღმრთისმშობლისად

ჭორწინებისა უმეცარი მიდგომილ ქმნილბარ, პოი, ქალწულო,
შობის შემდგომაც იხილვები
კვლავად ქალწულად;
დაუდუმებელ ხმებით ამისთვის
„გიბაროდენს“, დედოფალო,
სარწმუნოებით დამტყიცებულად შენდამო ვგალობთ.

ღამითგანსა
ძლისპირი ძველი: შენ უფალო

შენ სინას მთაზე
ხელთუქმნელი ტაძარი უწინ
წარმოუდგინე ღვთისმხილველს
მოსეს წერისას,

ეკლესია შენი, ქრისტეო.
შენ, მეუფეო, განამზადე
მიწად საყდარი,
მწყობრნი ზეცისა
მოკედავთა გუნდს
შენი ძალით შეაკავშირე.
შენ შეგიმეცნებთ, მეუფეო,
ცხოვრების წყაროს.
მოხვედ, წმინდაო,
რათა ახარო
ეკლესიას შენსას მშვიდობა.

ღმრთისმშობლისად

შენ გიფარებთ — საკურველს მტკიცეს —
მტრისგან დევნილნი,
შენ, ლუზას და იმედს
გადარჩენისას,
და დაგიუნჯებთ, სძალო ღვთისაო.

ლალატყავსა

ძლისპირი ძველი გალობით კმითა

სათნო-იჩინა
აწ მშვენიერი და კურთხეული
ეკლესია მეუფე ქრისტემ
და დედა ერთა მონებისაგან
აღადგინა
სულიწმიდით განკაცებულმა.
ძრწიან
მწყობრნი წარმწყემდ ეშმაკთა;
ჯვარის სახით ნიშანდებული
ეკლესია ქრისტესი ყოველს
სულიწმიდის
მაკურთხეველ ნათელს აჩრდილებს.
ენჭი კი არა,
ლოდი თავკიდური — ქრისტე ვპოვეთ:

წარმართთა შორის გელესია
მიუწვდომელი, ტურფა გვირგვინით
და საბუდელო
დაადებით შწვენთეოდება.

ღმრთისმშობლისად

ო. სასწაულო
უბეშთაესი საოცრებათა!
ქალწული. უქმროდ
მეცლად-მღებელი,
რომელს ყოველნი პატვის შივაგებთ,
დედა გამხდარა,
მწარე ილაო ვერ კი ეწია.

კონდაკი, ხმა მეოთხე ძლისპირი: გამოჩნდა დღეს.

ესი შრავალთი კი და შწვენთეოდება
გელესია გამოგვიბრუნებდა
ყოველთა მორწაუნეთ
და შევრებოლნი ვლალღებთ ასე:
დაამტყიცე სახლი ესე შენი, უფალო.

იკოსი

ხოვრეს დაესახლა
სიტყვა ჩვენთის,
გრვეინეთ იტყვის ნაყოფი
და დაამტყიცებს.
ესადად ვიხილეთ დიდება, ჩაოც
აქეს შეს მართყან მიწიშებელი
მწარეობა შევლეთ,
და ჩაოცებთაჲ საწმინტოებით იგი ვისაგეთ,
მოგვქადალა ყოველს ძალაუფლება
ოეთის შეილად ყოფნის,
სვენ კი არც სისხლით
და არც ხოვრეულ ნებთ ვწმინტყართ ხელაღლად.

არამედ სულიწმიდისაგან განვმრავლებულვართ.
დავაწესეთ სახლი ლოცვისა
და ასე ვგალობთ:
დაამტკიცე სახლი ესე შენი, უფალო.

კურთხეულარსა ძლისპირი ძველი: საკუმოლსა შინა აბრამეანნი

ნამის მომცემი
ალი ცეცხლის მოგვმადლე უწინ;
აწ კი სულიერ ზეთის ცხებით
წმენდ მლაღადებლებს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო,
ტაძარსა შინა დიდებისა შენისასა.
ვითარ სახმილში,
ღვთის მიმღებელ ახალ კარავში
ისრაელისა შვილები ვგალობთ,
სულიერების ცვარით ნაკურნი:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო,
ტაძარსა შინა დიდებისა შენისასა.
უტბილესი და
ღვთაებრივი სიყვარულით განგმირულები
აწ საჭორწინო სარეცელის საიდუმლოს
შევერთოთ — ნიფესა ქრისტეს.
კურთხეულ ხარ და განდიდებული
მვედრებელთაგან, პოი, უფალო.

ღმრთისმშობლისად

გისაროდენ, პოი,
ზესკნელის უსპეტაქესო ტაძარო
ღვთისა —
ღვთისმშობელო, შენგან მოგვეცა
მადლი მგალობელთა:
კურთხეულ ხარ, რაიმელ ჰგე
ყოვლად უზადოდ დედათა შორის.

აკურთხედიისა
ძღისპირი ძველი კელთა განპყრობით

გაღუსია შენი, უფალო,
ზეციური მადლის ქსოვილის
გონიერ კვართათ დღეს მოიკაზმა
ვითარცა სასილა
და სახლელა: მოუწოდა კეთილგონიერთაგან,
ამისთვის ვეაღობათ:
ყოველი საქმე უგალობდით უფალსა.
მეორე ადამი იესო ქრისტე
დღეს გამოგვიჩნდა,
ახალი ესე ტაძარი და
სამოთხე გონიერების
მოაქვს ცნობისა ძელით ...
ხსნის მომტანი ჭვართა -- და
ფსალმუნის ფართი:
აკურთხედით
ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა.

სამებისად

დაუსაბამო მამისაგან შობილო ძეო
და სულა წმიდაო ერთო ღმრთეებაო,
სრულა, დაუსაბამო, განუყოფელო,
ერთარსო, შეურევენელო,
სამგეამოვანო,
მოკრძალებით ვფსალმუნებთ შენდა:
აკურთხედიო
ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა.

ღმრთისმშობლისად

შენ მხოლოეი გაჩენილთაგან,
წმინდა ჭალწულო,
ღვთის დედა გახდი, რითაც
ღვთაებრივ ტაფრად იქვეცი.

ყოველდ უზადოვ
გვედრებით, ნუ დაგვივად მოეწედა მელი
ცეცხლისა შუბით,
რადგან ყოველნი
შენ გაკურსებთ, ო, მარიაჲ, სძალო დევისაო.

ადიდება

ძლისპირი ძველი ლოდი საკიდური

მოვედით და გულას სიწინდით
და გიანტის ფსინელ თვალებით,
სასუფეველია ასულს
უმწყნოვრეს ვალესიას,
ოჯროზე მტკად განმაბრწყინებელს,
ვადიდებდეთ განსოცუქტელს,
გიხაროდენ და იმუებდენ, საძალოო
დიდი მეუფისაო...
შენი კდემის მშენსაირებით,
ასაძელო სარკენი ცხადად,
მოდადებულა შენს ხალითან ერთადე
შენ გადიდებთ, სიკოცელს მოსტემს,
ზეგარდანო დაცვა მოსაძლე,
მაცხოვარო, შენს ველესიას,
რადგან სავა არეინ ვუწეი
მე შენზედ
უზეთავსო, ვაცთმოცვარეო,
ძვლთაგან სელის გულშიადგიმებით,
მეცნიერებით განდიდებულაო.

ღმრთისმშობლისად

გიხაროდენ, მიმადლებული სძალო
დიდი მეუფისაო.
ჰოი, წმიდავ, დახსენი წვევა
და ევას ყოველი საქმე აღბოცე,
სიკოცელს ვბოვებთ
შენს შობაში, სძალო უსძლოო.

გამოვლინე

მიწის გულზე უფალმა
ღმერთმა, ნებით
ხორციელქმნილმა, თვისი ჭკარცებით
ხსნა აღასრულა,
სამყაროს განახლებისათვის
საფლავს დაედო, ხოლო
მესამე დღეს განიღვიძა
და საწინდარი ცხოვნებისა
თვისი
აღდგომით წარმოგიდგინა,
რის სატფურჯაა
უფლის ანგელოზებთან
აღვასრულებთ სარწმუნოებით.

სტიქარონნი, ხმა მეოთხე

მიწის გულიდან ამოზიდულა,
განსაკრეტელად დამყარებულა
ჯვრის წმინდა კერთხი.
სულებს ვიწმენდდეთ,
შინაგანად ვთინათინებდეთ,
ღვთაებრივი ძალის
ნათლით განბრწყინებულნი და
შუქვენილნი ქრისტეს ვუგალობდეთ.
პატროსანი მისი ძელით
განწმენდილები
სარწმუნოებით ზეიმობენ
და მხურვალედ უგალობებენ.

თეოფანე

ნმინდისა და ღირსი მონაშის პარასკევს გალობანი

(ივლისის 26-ის).

აკროსტიქი (ღმრთისმშობლისათა დასაწყისი ასოების გარეშე): „საგალობლებით
პატივს შივაგებ უოვლად კეთილსახიტყველ ქალწულს“.

გალობა პირველი („უგალობდითსა ზედა“)
ხმა მეოთხე

ძლისპირი ძველი: „ზღვსა მის მენამულისა“.

უგალობენ შენს ნათლიერ ხსენებას,
მოწამეო უოვლად კეთილ-სახიტყველო,
ილოცე ჩვენთვის მადლის მოსაღებად
და ცოდვათგან ასახსნელად.
საგალობელო პარასკევე,
გვიფარე საუფლონი სავედრებელნი და საოხნი.
შენ მოწამეთა მშვენიერებად გამოსჩნდი,
ჯვარის საჭურველით
მტრის მზაკრობათა დამამხოვებლად,
და მძლავრთა სიუხეშე
მოასპარეზის ახოვანებით დააძველე,
ღვთის მოსაკრძალი რწმენის შესაყვირეო.
იღონა განჭარება შენი ძალკეთილი
ძრიელუმის, მოწამეო,
საშინელებით მძლავრმა, რომელმან კერპნი
გაიხადა სათაყვანოდ,
მაგრამ შენი ბრძნული სიტყვებით
სრულად განჭარდა, რაიც ეკადრნა.

ღმრთისმშობლისად

შენი უბრწყნელი სისხლისგან, დედავ-ბატონო,
სიტყვა იშვება,
გასულიერებელი ზორცი რომ აღიღო
და ჩვენ, რომელთაც ცრუს ნაკებნით
წაეიბორძიკო.
ღვთის ძალით გვქმნა ახალ-აღნაგნი.

**გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“).
ძღისპირი ძველი „იხარებს ეკლესიად“.**

უძღურად იპოვებოდი შენ,
საღვთო სული,
და ნათელ ხატად,
უაღრესად მიმსგავსებულად, უჩვენებია
შენს წინდასა და შეუმღვრეველ სულში ვლვად ჩამდგარი.
ჭრისტეს ძრიელებით ძრიელო,
ხარის უზელელი ძარღვებით უმოწყალოდ გვემა
გადაიტანე, ჭრისტეს მოწამეო,
ვით რამ ფოლადმა უმტკიცესმა.
ღვთისადმი ტრფიალებით
მძღუვარ მოასპარეზეს
სხეული აგიკაფეს
და მწარე იარები აგატანინეს.

ღმრთისმშობლისად

შენ მიწის მკვიდრთათვის
ბუნების ზესთა სიკეთეთა ერთადერთ მასპინძელად
ქმნილხარ, დედაღვთისავე,
რის გამოც გიხაროდენს მოგძახით.

გალობა მეოთხე („უფალო მესმასა ზედა“).
ძლისპირი ძველი: „იხილა რად ეკლესიამან“.

კურნებას მიწვეუნლო და წყალობას და
ხილვის ნათელს, დიდებულა,
გადმოადინებ საღვთო
მადლთა ყოველთათვის –
რწმენით შემოკრებილთა
და შენს საწმინდარს შევრდროშილთა.
ჰემმარიტად ერთი ნაოკიც და ერთი ლაქაც არ გქონია
და, განიწმინდე
ოდეს სხელი.
ანგლოზთა გუნდს შევრთეს
და მათთან ერთად მყვირალობას იქმოდი:
„დიდება ძალსა შენსა, უფალო“.
ვით დამზაფრველი მანიშნებელი იმ საზარო დღის,
რადგან მაცხოარის ვნების
მიმსგავსებული ხატი იქმენ
მდედრის სხელით,
ჯვარი და ლერწამი,
გვირგვინი და ნესტვი ვიხილავს.

ღმრთისმშობლისად

უჭორწინებულად იტვირთე შვილი წილით, ჭალწულო,
და შობის შემდგომ გამოსინდი
ჭალწულად კვალად,
რის გამოთაც დაუყუჩებელი ხმით,
დედაე-ბატონო, ვიხაროდენს
მოვძახით და გვაესებს რწმენა, ეკვისაგან
შეუმღვრეველი.

გალობა მესხეთე („ლამითგამსა ზედა“).
ძლისპირი ძველი „შენ, უფალო, ნათელი ხარ მოძვეალი
სოფლად“.

იასპარეზე, მოსაკრძალუბო,
და ყოვლად ბრძნული სიტყვისგებით
მოაკვდინე მძლავრი,
ოდეს მისი შეშალლებული საბრძანისის წინ
გონიერად
ქრისტეს ჰქადაგებდი.
გონება მტყიცე გჭონდა
და უშფოთველი ნებით
არცხვინე კერპთა
ყოველგვარი მოკრძალუბა,
რა აჩვენე იგავნი და მაგალითნი წერილნი.
გონებითი საჭორწინო სამყოფლას
და უხრწნელი ნეთის პალატის
ლირსი შეიქმენ,
ღვთიე მეფერხულევ
ქალწულთა თანა გონებერთა,
პარასკევ საგალობელო.

ღმრთისმშობლისად

საკურველად შეუმესრველად
შენ გვყავხარ მტერთა წინააღმდეგ;
შენ ლუზად და იმედად
ჩენი მაცხოვარების
მოგაპოვეთ, სძალო ღვთისაო და ნიშნაო.

გალობა მეექვსე („ლალატყაესა ზედა“)
ძლისპირი ძველი „გალობით ვმითა“.

ანგელოზის

თანაობით შენს მკერდს მიდებული
უღიღესი ფიკარი სჯელისა, ყოვლად მოსაკრძალო,
ღა ხელთა ლურსმანნი,
დიდებულო მოწამეო,
მბრძანებელმა

საღვთო მოდრეკილობით უმაღ დაფარა.

შენ ახალ

პირველმოწამე თველად გადიდებთ,
მქადაგებულად ყოველთათვის
და მრავალთა მანათლებულად საღვთო სიტყვით
და ურწმუნოთა

ღვთის რწმენისთვის შესაფერებლად.

დიოდნენ შენნი

საღვთო მცნებათა სიტყვობანი
თათლის მწთოლუარე ბაგეებიდან
და ყოველთა საცნობელს მოძღვრავდი
გაბედულად,

პარასკევე, მოწამეთა შემამკობელო.

ღმრთისმშობლისად

ო, სასწაულო,

ყოველთა სასწაულთაგან უახლესო!
რომ ქალწულ დედას, რომელმან წიაღით
ყოვლისავე თავს-მდებელი
მამრის განუცდელად
მიიღო, შვილი არ შეუვიწროებია.

გალობა მეშვიდე (კურთხეულხარისა ზედა).
ძლისპირი ძველი: „საკუმილსა შინა აბრამეანნი“.

შენ უფალი

გიცავდა, როცა უსაწმინდაროთა შემალღებულთა
საბრძანების წინ,

მოწამეო,

სხეულის გაკაფვას ითმენდი ძრიელებით,

ცეცხლი იდგა შენს ირგვლივ და ჰგალობდი და ჰლაღებდნი:

„კურთხეულ ხარ,

ღმერთო ჩემო და უფალო“.

არ დაენაცრავს მთლად

ურჩულონი ცეცხლს და უფრო მეტად ვგზნება,

ასელო,

ხოლო ქრისტემ შეეინახა უვნებელად,

როგორც უწინ დაიხსნა

ცეცხლისაგან ბობოქარისა

უშიშონი ყრმანი ძრიელი ზელით.

„რომელნიც მთელი ხმელეთის

ზურონი ცხადლივ არ ეოფილან

და არც ცარგვალი აუგიათ

ქმშარიტად,

ემშავეულნი წარსუმდნენო

კერპნი და ღმერთნი“, — ჰმევირალობდი,

„ხოლო უფალი ქრისტე

შემოქმედი არსო უოველთა“, — ჰქადაგებდი.

ღმრთისმშობლისად

უზესთაესის

სადეთო კარავო განწმენდილო,

ვიბაროდენ,

რადგან შენ გამო მიეცათ სიხარული,

ღეთისმშობელო, ვინც მყვირალობენ:

„კურთხეული ხარ

დედათა შორის შენ, ყოვლად უმანკოო“.

გალობა მერვე („აკურთხედილთა ზედა“).
ძლისპირი ძველი, „ველთა განაპრობითა დანიელ“.

არ იყვნენ ღმერთები, არამედ ცრუ
აზრდილნი იყვნენ დემონთა, —
რაიც აივნა მოწამემ
და პირვე დაამხო
და საბოლოოდ მათი ნასახიც მოსპო
და სიხარულით ქრისტეს
უგალობდა დაუცხრომელად:
„აკურთხედიტ
ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა“.
საკერპო რა იძრა დედამიწაზე,
შენი შობრძანებით
აპოლონი ძირს განერთხა
და დალახვრულ იქმნენ კერპნი
უხრწნელი ჯვარის მოქმედებით,
რის გამოც, საიდუმლოდ გამაგრებული,
მეტის სითამამით
პლაღადებდი:
„ყოველნი საქმენი აღიდებდეთ უფალსა“.
ო, ქრისტე, შენი მშვენიერების და სიყვარულის
ცეცხლის იღგა
აალებად ნაიარები
კრავი პარასყვე და მყვირალობდა:
„სურნელისათვის შენი საღეთო მიპრონისა
აწ მოასპარეზე ვქმნილუარ ძრიელი
და შენ შემდგომად
მორბედი ვიქნები მოურვეცნელი
და ვაკურთხებ შენს ღვთიურ სახელს“.

ღმრთისმშობლისად

ყოველთა შორის საგვარტომოთა
შენ ერთადერთი,
ქალწულო უხრწნელო,

გამოსჩნდი დედაღვთისად;
შენ იქმენ ღმრთეების
სამყოფო სახლი, კივლად უმანკოო,
დაუწველი ცეცხლით
მიულწველი ნათელსა,
რის გამოთავც ყოველნი
შენ გაკურთხებთ,
მარიამ, სძალო და ნიშნაო ღვთისაჲ.

გალობა მეცხრე („ადიდებსა ზედა“).

ძლისპირი ძველი „ლოდი საკიდური უკელოდ“.

ცხოვრება მდინი და ეამიერი,
მოწამეო, მყოობადით შესცვალე
და ხილვად შენი ნეფის მშვენების,
უჩვეულოს და აღუწერელის,
ემურებოდი ცხადად,
რის გამო ჰპოვე წმინდა და შეუმღერველი
შარაჲანდნი, მშვენიერო ქალწულო.
გესმა ზეგარდამო ხმით
დამტყიცებულნი, პარასკევე,
საღვთო ვედრებანი შენნი და სასრბოლო
წადიერად, მოწამეო
მოსაკრძალო, განვლე
და მას სრბით მიეახელ
დიად პატროსან-თავმოკვეთილი.
მტერთა ძლევის მოსანიკებლად,
პარასკევე, ქრისტეს შეივედრე
ყოველთათვის, რომელნი შენს წმინდა ტაძარში
შემოკრებილან
ყოვლად ცხოელი რწმენით;
მათთვის ითხოვე ცოდვათაგან ახსა
და საშინელუბათაგან გამოსყიდვა.

ღმრთისმშობლისად

გიბილეს ჭერუბიმთა ზედა
და ცათა უმაღლესი,
უხრწნელი ქალწულო მარიამ,
დიადი ნების
მაცნის მშობელი, —
ანგელოსის, რომელი თანადაც საბამოა მამის
და მსაჭული ყოველთა მომავალთა.

თეოფანე

ნმინდა მოციქულის იუდას გალობანი

(იენიხის ცხრამეტის).

აკროსტიქი: „ღვთის შემფურე იუდას ჭებას ვეშურები“.

ხმა პირველი გვერდითი, ანუ მეხუთე
გალობა პირველი („უგალობდითსა ზედა“).

ძლისპირი ძველი: „ეტლთა სიმრავლს“

ცისიერთა მესაიდმულოვო,
ყოვლად ბრძენო იუდა,
მაცხოარის მოწაფეო
და მისი ცხოვრების ზიარო,
ენა ჩემი აამეტყველე
და სიტყვა გამიმართე
საგალობელთათვის შენთა,
ყოვლად ნეტარკმნილო.
ეწეოდი მაცხოარის
ულელს, მოციქულო,
კვალი გაგქონდა
და ახალ-მუშაკობდი მადლით
და თესლი დასთესე
და მოსაყალი დიდი მოიწიე

მისთვის, ვინ გიხმო, ყოვლად
ნეტარქმნილო.
სიტყვა განხორციელებული
ჰპოვე მოძღვრად,
ლეთის მომზირალო, და, მისი
დიდი ნათელის მშვიდი
ციმციმით აღნთებული,
იქმენ ნათელი შეორე,
პირველის ელუარების
თანახატ-ქმნილო და განცვიფრების ღირსო.

ღმრთისმშობლისად

რწმენა წაგვიძღვეს მხროლოდ,
და არა ჩვენება
გონების ზესთა საკურველბათა,
ლეთისმშობელო, ყოვლად უმანკოო,
რადგან გაუგონარო
ჰმეუ ღმერთი-სიტყვა,
რომელი კაცებრივად შეიმოსა.

გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“).
ძლისპირი ძველი: „რომელმან დააფუნე“.

სანაქებოა მოწაფეთა
ქრისტესთვის სრულად შესაფერობა
ზესთა ყოვლისა სიდიადისა,
რადგან მოწაფენი გაბდნენ მისნი
ახლობელნი და შინაურნი,
თანამეტომენი და თანამესუფრენი
და საიდუმლო წირვა-ლოცვათა
ნათლის მომფენნი.
უღდა, ძმანი შენნი ჰებას შემოგწირავენ, —
შას გამოჩინებულს და ადათით მითელოლს

მისგან, ვინ ხორციელად განცხადდა —
სიტყვა, საუკუნეთა უწინარესი,
თანამარადისი და ნათელ-ძრიელი
მარადისი შემოქმედისგან.
რა მოაკვდინე მიწიერი შენი სხეულის
ყოველი ასო, დაეფუძნე
ქრისტეს თანა, რომელი ყოველთა ცხოვრება არს,
ყოვლად ბედიანო;
შენ მთელი სამყაროს
სიცოცხლე-შემოსილი ყოფიერების
მაცნედ იწოდე
და იქმენ სიტყვა-ცხოელი.

ღმრთისმშობლისად

აჰა, შენ, რომელი ხარ კრავაჲ, მადლმა
ყველაზე მეტად დაგიფარა,
ზესთა ყოვლისა აღემართე სიწმინდით,
ყოველს დაემეტე და ცხადად
ხილულ იქმენ უფრო მალალი,
ვიდრე ყოველნი ძალნი ზეცისანი,
დედაღვთისად ხმობილო.

გალობა მეოთხე („უფალო მესამა ზედა“).
ძლისპირი ძველი: „ესა მოსლვად შენი დიდებული“.

დიდი მოციქული უფლისა,
ღირსი ღვთის გამოცხადების,
აწ სატრფო კმნილა
და მკვრებელი ღვთის სწავლათა
ნათელის და მომხიბლველობის.
რომელი ხარ წყალობით სავესე
და მორთმეული რომელს გაქვს ღვთისგან
მოსართმეველი, მოციქულო,

ო, სანავედ მაცხოარების
გზა წარგვიმართე შენთ ჭებისშეტყველო.
უნაკლულო ძალით სულისა
ყოვლად წმინდის, წირვა-ლოცვის აღმსრულებლო,
შენ, საკრძალველთა შემომზღუდველო,
ბორჯოტს არიდებ
სულეებს სიტყვით მადლისა.

ღმრთისმშობლისად

გამოუთქმელად ვის შთაგესახა, ყოვლად უმანკოვ,
შემოქმედი და ღმერთი შენი,
შეგვავედრე ხსნად განსაცდელთაგან
და სულიერი მაცხოარების
მონიჭებად შენთა მგალობელთათვის,
დედავ-ბატონო.

გალობა მესუთე („ლამითგანსა ზედა“).
ძლისპირი ძველი „რომელმან შეიმოსე“.

ვინც დაგმე რჯულის
მიარდილება,
კეშმარიტების ბუნების
ჭმნილხარ შორ მესაყვირედ
და გიპოვია თავად
სიმართლე გზის წარმმართველად.
წესი რჯულისა
აღასრულე, მოციქულო,
და დაეშურე ყოველი ტომის
დამოწაფებას სწავლანით შენით
და ნათლისაყენ მოაქციე
სამებისადმი ლაღადებით.
ვით ცისიერმა ღვართქაფმა წვიმის,
ვითარ სისოვლემ ზეგარდაშო.

ლეთივ ბგერადმა შენმა ხმამ, ღეთის შესაყვირეო,
დაარღვია მრავალღმერთობის
გვალვის სიბერწე
მყვირალობით და ქადაგებით ერთი ღმერთისა.

ღმრთისმშობლისად

მოაკვდინე ვნებანი ჩემნი,
ღეთისმშობელო,
და სული ჩემი, მოკვდინებულო
ცოდვის წულულით,
აღადგინე, დედაო
ქეშმარიტად აღდგომისაო.

გალობა მეექვსე („ლალატყავსა ზედა“)
ძლისპირი ძველი „ზღუად აღძრული“.

საუკედავო ხედვის მცნებით და
მოქალაქობის ნათელი საქმეებით
ელვარეო ქრისტეს მოციქულო,
უგუნურების სიღრმეში მყოფნი
გაანათლე.
შენ უგზავნი ყოველთა
კაცთა ნათლის მოსაფენს
და სულის მცნებებით აღესილ
წერილს, მღვდელთმთავარო უსაღვთოესო.
რეკს ღეთისმხილველი
ცა რომელიმე, ვით გონიერი,
და გვიამბობს დიდებას ღეთისას,
საქურველებათა მისთა, რომელიც ჩვენთვის
განხორციელდა.

ღმრთისმშობლისად

ყველაწმინდა დედა-ბატონო,
ღვთისმშობელო, დამიფარე ხრწნილებისაგან
და ვნებათა ღელვა დამიცხრე, —
შენ, ვინც წიალით ვნებათა მიუკარებლობის
წყარო იტვირთე.

გალობა მეშვიდე („კურთხეულხარსა ზედა“).
ძლისპირი ძველი „უფროდსად ამაღლებულმან“.

რომელი ღმრთეებასთან ზიარებით
ყოვლად თვითბუნებოვანი
დარჩა, — იუდას
მივართმევდეთ ქებას ყოველი
ღვთივ ჩაგონებული მგალობელი ამის:
„კურთხეულ ხარ, ღმერთო...“
სულის შემძრველმა
და ღვთივ სულმონაბერმა ენამ შენმა
სამყარო მოაქცია
ქადაგებისაჲნ ქრისტესა,
რომელსაც ყოველნი ვუგალობთ:
„კურთხეულ ხარ, ღმერთო“...
შენ ცა გხვდა,
უფლისაგან წილნაყარი,
და ტახტი ზესთა-მბრწყინვალე,
რომელზედაც დარბჩანდები
და ღვთივ მონაბერს იგალობებ:
„კურთხეულ ხარ, ღმერთო“...

ღმრთისმშობლისად

სიტყვით და გონებით შენ,
ღვთისმშობელს, ყოველნი
გქადაგებთ, ყოვლად უმანკოო,

რადგან ღმერთი ჰმეც,
რომელსაც ყოველნი ვუგალობთ:
„ეტრთხეულ ხარ, ღმერთო“...

**გალობა მერვე (აკურთხევდითსა ზედა“).
ძლისპირი ძველი „შენ მხოლოსა“.**

საუნჯე საგვარტომობის
და მეფეთა მსხვერპლად მისართმეველი
დიდებად მიგითვისია,
მოციქულო, რომელი ჰლაღადებ:
„ყოველნი საქმენი აღიდებდეთ უფალსა
და ამალლებდეთ ყოველთა შინა საუკუნეთა“.
მთელი ელვარება
ნუგეშისმცემელისა, ნეტარო,
შეიწყნარე, ვით ჩამომდგარი,
და ჰმყვირალობდი, დიდებულო:
„ყოველნი საქმენი აღიდებდეთ უფალსა
და ამალლებდეთ ყოველთა შინა საუკუნეთა“.
საგალობლებით შენთვის მორთმეულ
შარაევანდს მორწმუნენი,
იუდა, ვეკრძალებით
და გულმოდგინედ ვფსალმუნებთ:
„ყოველნი საქმენი აღიდებდეთ უფალსა
და ამალლებდეთ ყოველთა შინა საუკუნეთა“.

ღმრთისმშობლისად

ეჰა, მშვენიერებას
იაკობისას გალობა ვუძღვნათ
და მარიაჲს უხრწნელს
თანახმიერად შევეზრაზოთ:
„ყოველნი საქმენი აღიდებდეთ უფალსა
და ამალლებდეთ ყოველთა შინა საუკუნეთა“.

გალობა მეცხრე („ადიდებსა ზედა“).
ძლისპირი ძველი „ესაია შხიარულ“.

დიდებით შემოსილო, რომელი ელვარე ხარ
ნათლის ნაღვარით, სულის ნათებით,
ელვანი უჩვეულო
საჭურველბათა
არ გელევიან,
ვით მოწაფეს ეშმანუელის,
რომლის მადიდებელნიც,
ლეთის შემყურე, შენ შემოგნატრით.
ანგელოზთა დასების
გვერდით მდგომნო, ლეთის სახისანო,
თვითმხილველნო და საუკედავოდ მხედველნო
მხოლოდ-შობილისა,
რომელიც ხორციელად დაგლაბაკდა
ჩვენთვის, —
მისი ვედრება მოიწადინეთ
მაცხორებისათვის ჩვენთა სულთა.

ღმრთისმშობლისად

ვით მშობელი, ყოვლად უმანკო,
ქმნილთა ამათ შემოქმედისა,
ყოვლისავე დამბადებელის
ატარებ საწყისს
და შეუჭრებელი გაჭვს
სიმაღლე და დამეტება,
რის გამოც შენს შვილს
ვეთაყვანებით და შენ გადიდებთ.

კლემენტი

შვიდი წმინდა ეფესელი ყრმის გალობანი (აგვისტოს 4ს).

აკროსტიკი: „შვიდ ყრმას ეუგალობ ქებას საფერს“;
ღმრთისმშობლისათა თავებით იკითხება „კ(ლ)ემენტოს“.

გალობა პირველი („უგალობდითსა ზედა“)
ხმა მეორე.

ძლისპირი ძველი „მოვედით ერნო“.

რიცხვით შვიდ
პატიოსან თვალს ბრწყინვალეს,
მოდით, რწმენით მივაგოთ პატივი,
რადგან სანიშნებულად ჰქცევითან ჭრისტეს ეკლესიას
ცეცხლის უმეტესი შვიდ-ნათელი
შჭულიერი სასანთლით.
უწინ ხორცის
მოკვდინებით ჭრისტესთვის ცხოვლად
შვიდნი ყრმანი აღსხლტნენ,
უჩვეულოდ, სიზმარსავეთ
რომ შეხედნენ სიკვდილს
და განაძლიერეს მოძღვრება
იღდგომისა.
პიერიჟო
დაემხო შვიდი საყვირის ხმოვანებით,
ხოლო ცთომის ზეაპრობა
აწ ძლევამემოსილთა
შვიდძალი რწმენით
დაეშვა ჰადესის კარამდე
და განჭარდა.
გვირგვინი ორკეცი
თქვენ, შვიდმა წმინდა ყრმამ, ჰეშმარითად

შეიწყნარეთ, აღფხვერით რა
ცთომა და დაპგმეთ უვარება
ყოველთა გაღვიძების და აღორძინების,
ნაცვლად კვდომის უვარებისა
და თქვენი თვალის აღზილვის რწმენის.

ღმრთისმშობლისად

ახლად საფერს
განაახლებ მშობელს, უსძლოო,
რადგან მამისა თანა დაუსაბამო,
საღეთო სულით
თანა-მარადისი სიტყვა
შენგან განსხეულდა —
გარეშე ცვალებისა და აღრევისა.

გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“)
ძლისპირი ძველი „განმძლიერენ მოსაენი“.

შვიდ ვარსკვლავად უცთომელად იხილვეთ,
რწმენით მნათობნო, ძლევაშემოსილნო,
და ცთომილების სიღრმეში მოცურავენი
სამაცხოარო სანავისავენ წარემართენით.
მძლავრის შემადღებული საბრძანისის წინ
მტკიცედ იდექით,
წმინდანნო, ვითარცა უწინ მაკაბელნი,
მხედრობაზედ გასცვალეთ
საბედისწერო დიდება
და ამხედრდით ჭრისტესთვის.
ღორსად გამოსჩნდით ჭრისტეს საამებელი
ლოცვანის მსხვერპლად, წმინდანნო ყრმანო,
და ყოვლად კეთილსურნელების სინელედ,
რითაც ცთომის სიმყრალე მძაფრად არცხენეთ.

ღმრთისმშობლისად

მაყვლოვანი სინას მთაზე წინა-ხატად იქმნა,
ქალწულო, შენგან შობის საკვირველების,
რადგან ღმრთიების ცეცხლმა
ვერ დაგწვა, სარწმუნოებით რომ შეიწყნარე წილში.

გალობა მეოთხე („უფალო მესამსა ზედა“)
ძლისპირი ძველი: „მესმა უფალო განგებად“.

უწმინდეს გუნდს,
შვიდრიცხვედს პატრივებულს,
შვიდს პატრივით შემოსილ
ყრმას ვუგალობოთ.
ამოდ მოქონდა თავი ბრძენად
ეთომის გამო უმოკრძალებო მეფეს
და ეფესელმა ყრმებმა
უგუნურად გამოაჩინეს.
რწმენით იხილვეთ
ზვარანი ყოვლად უმანკონი,
ვით ჰეშმარიტად საუფლო მსხვერპლნი, —
წმინდანნი ყრმანი.
სხეულით მოკვდინებულნი
და ყოვლადი გამოღვიძების უწინ გამოუთქმელად
აღდგომილნი ყრმანი
დიდებით იქმენით შარავანდედნი.

ღმრთისმშობლისად

ნუ აგვარიდებ მზერას, შეუვამდგომელო და მეოხო
ჩვენო, მარადის კურთხეულო,
გამოგვისყიდე ყოველგვარი
წამებით დაწრეტისაგან, უხრწნელო.

გალობა მეხუთე („ლამითგანსა ზედა“)
ძლისპირი ძველი „ნათლისა მომცემელი“.

უწინ შეუგრძნებელად მომკვდარხო
მიწაზე ყოვლადი სიკვდილით,
უჩვეულოდ აღსდევით კვალად,
ეფესელხო ყრმანო,
და სარწმუნო ჰქმენით ცხადად
მკვდრეთით აღდგომა.

წმინდანებად ჰყავით თავი ღვთისათვის
რწმენის ჰუმბარიტი აღმსარებლობით;
ვით უფლის შტულიერი მოასპარეზენი,
დახსნილობართ, ბრძენხო,
ბორკილთა და გვემათაგან
და შარაევანდედ-ჰმნილობართ.

მტკიცედ მძლევიარხო
კერპთა საცთურის და უსაწმინდარო მწვალებელთა
სწავლების, სახელმშვენიერხო მოწამენო,
მარადის იცავთ
აღმსარებელთა მკვდრეთით აღდგომას.

ღმრთისმშობლისად

ორბუნებოვანი
ერთი გვამით გამოაბრწყინვე,
რომელიც სრულად
მოკვდავია შეურევენელად
და სრულად ღმერთი,
შობილი წმინდა დედისაგან — ზესთა არსი.

გალობა მეექვსე („ლალატყავსა ზედა“)
ძლისპირი ძველი „ლეღვამან ცოდვისამან“.

საღეთო სიბრძნის სწორნი რიცხით —
დე, სვეტებად კეთილ-სასიტყველად იქმნებოდნენ
შვიდნი წმინდა ყრმანი, —
სიტყვებით, ვითარცა ქვებით, რომ ჩაქოლეს
მძლავრთა უღეთო განჩინება.
შჭულით დამცველნი საღეთო განგების,
ხელად ეწიეთ საფლავს მღვიმეში,
რომელშიც მომკვდარნი და უბრწუნელნი,
მრავალყამიერნი წმინდანნი იხილვეთ.
უბრწუნელებით ოტებულ არს თქვენ მიერ, მარტვილნი
ერთი კერისანო, რწმენა განმხრწნელი და მომკვდარი;
იმოციქულეთ ღმერთთან ჩვენთვის,
რომელთა საესავი აღდგომაა.

ღმრთისმშობლისად

აწ მღედრის ბუნება იხარებს,
აწ მწუხარება მიყუჩდა,
ხოლო სიხარული გაიშალა, რადგან მარიამმა შვა
სიხარულად მაცხოვარი და უფალი.

გალობა მეშვიდე (სკურთხეულხარსა ზედა“)
ძლისპირი ძველი „ჩატვისა მისთვის“

ქრისტეს წმინდა
და რჩეულ სამყოფოდ იხილეს ყრმანი,
რომელთაგან მწვალებლური სწავლება
ეკლესიისა იდევნება
და შჭულიერი სიმაართლე ნათლად გამოაჩენს,
რომ იქნება აღდგომა
მთელი სულის და ხორცის,

ვითარ შობილ არს.
ვით ნამდვილად მტყიცენი
სიკვდილის წინ, თქვენი ღვაწლით ჰემმარიტად
იხილვეთ კვალად წმინდა ყრმებად
და, მოკვდინების შემდგომ ცოცხალთა,
საღუთო დიდებით რომ ძლიერდებით,
მოკრძალებით მიანდვეთ თავი
და იწამეთ ჰემმარიტება
აღდგომისა.

სულთა თანა

სხეულთაცა გრძნობადთა იქნება აღდგომა;
ვინათგან არ ყოფილა გარეშე სხეულისა
სული, რომ წინა ესწრო სამყაროში,
ოღონდაც, არა უსხეულოდ,
— ამბობდნენ ყოვლად სიტყვაკეთილნი, —
დიალაც განდიდდება სული,
დიალაც გამოიკვლევა¹ და იწამება.

ღმრთისმშობლისად

დედა ღუთისა

ყოველთა მაცხოარისა იქმენ, მარიამ,
უარყოფილთა და უსასოოთა გამმართველო,
ცთომილთა საოხო
და უიმედოთა იმედო
და მეფსალმუნეთა საფარველო,
ჯურთხეულ არს ნაყოფი
შენი წიაღისა.

¹ (sic) გამოუკვლეველი გამოიკვლევა?

მერვე გალობა („აკურთხედიოთა ზედა“)
ძლისპირი ძველი: „საკუმოლად გარდამოსრულსა“.

ძირს უმოკრძალებოთა რისხვისას,
ნაზარდს, საღვთონი ყრმანი საშინლად
აღფხვრიან, — ძირს საცთურისას
და წვალუბისას, აწ
აღლაღდებიან ნაყოფით რწმენის;
იციცხლებენ და დაიკრძალებიან
სარწმუნოებით და აღდგებიან.
ეფესელთა წინამძღვარი —
ძღვეაშემოსილი შვიდი წმინდა ყრმა —
ქრისტეს გელუსიისა
და მეუფების საყრდენად
ღვთივ გამოჩნდნენ სარწმუნოებით;
მათ ზესთა აგამაღლებთ
ყოველსა შინა საუკუნესა.
ნათლად იხილეს მტკიცენი ახოვანი,
რომელნი რიცხვით სწორნი იყვნენ მნათობთა,
სავალი მშვენიერი თაყვანებისა
უცთომელად განვლეს ერთად
ყრმათა და მოსაბოძდნენ:
„შენ ზესთა აგამაღლებთ,
ქრისტე, საუკუნოდ“.
სიციცხლის ნათელა და აღდგომა
ყრმებს მღვიმეში უჩვეულოდ
მოჰმადლა ღმერთმა
და მომკვდარითა უწინ,
ვითარ ცოცხალთა, და შემდეგ აღდგომილთა
ქმნეს სამევირალოდ:
„გვაცხოვნე, ღმერთო,
რომელნი რწმენით გიგალობთ“.

ღმრთისწამობისად

შენ ხარ კრავაი და არვინ
წარწყმედალა, ვინც რწმენამ სასიყვობით აღავსო
შენდამო მართალ-შტულოერად,
ქალწულო დედაღვთისავ,
გარეშე მხოლოთა, შერით და სიავით რომ უარობენ,
რათა არ ეთაყვანონ
შენს სახეს მიმსგავსებულს.

გალობა მეცხრე („ადიდება ზედა“)
ძლისპირი ძველი: „რომელმან ჰმევე“

სიმდიდრე საიდუმლოთა და საღვთო
საკვირველებათა გამოცხადება —
აწ იხილეს წმინდანთა აღდგომა;
ძველად ბუნებითი,
ხორციელი სიკვდილით მომკვდარნი
აწ უხრწნულად აღდგნენ,
შემოსილნი როგორც მთელუმარენი.
ძრელების საუნჯედ
და საიმედო რწმენის ბეჭედად
იხილვა წმინდანთა მღვიმე,
რომელმან უწინ განხსნა მომავალი
აღდგომის დიდება, —
არა შეოთხე დღეს ლაზარესი,
არამედ საუკუნოდ მომკვდართა
მყოზადი აღდგომისა.
პატრივით შემოსილნი ურმანი
რიცხვით და ქრისტეს ეკლესიის
რწმენით გამოჩნდნენ, ვით თვალნი,
უღარესად ზორობაბელის¹

¹ ზაქარია, IV, 10: „მით რამეთუ ვინ შეურაცხ-ჰყო დღეთა მკირეთა და მადლიერობდენ, და იხილონ ჰუა კასაკირიონი ველსა შორის ზორობაბელისასა შვენი ესე თვალნი უფლისანი არიან, ზედ დამხედველნი ყოელისა ქუცყანისანი“.

თვალისა სხივოსანნი,
რომელთა საღვთო სულეზსაც
სულიერად სიყვითო ვესიტყვებით და ვადიდებთ.
გვირგვინი წამებისა ძლევით მოიპოვეთ,
შჯულიერად დაიდგით თავზე,
შვიდნო ყრმანო და ღვთის სიბრძნის სვეტნო,
და მართალი შჯულის სწავლათა
გაღვიძებად და აღდგომად გამოისწნდით,
როგორც ეკლესიის დამცველნი
და შუვამდგომელნი მათნი, ვინც სიყვითო
გესიტყვებთან და ვადიდებენ.

ღმრთისმშობლისად

სხეული და სული უმწიკვლო
ღმერთს შეენახე შენ, რომელი ხარ კრავაი;
მეფემ, ქრისტემ, შენი მშვენიერება შეიყვარა
და დედად თვისი
განკაცებისად გამოგაჩინა, —
ჩემი მაცხოვრების მარად სრულმკმნელმა,
მარიამ, ზესთა დიდებულო.

იოსები

ნმინდა კლემენტის გალობანი

(ნომბრის თვის 24-ს).

კიდურწერილობა: „გეკრძალვი, მოწამეო, საღვთო ვაზის კლამო.
იოსები“.

ხმა მეოთხე

გალობა პირველი („უგალობდითსა ზედა“)

ქლისპირი

განმისხენ პირი
და სულით აღმყესება
და სიტყვა აღმომეძინება

დედუღალი დედისათვის
და მიხილავენ
ბრწუნივალედ ჭებისმეტყველს
და სიხარულით ვიგალობებ
მის სასწაულებს.
მდგარმა ტახტის წინ
სამ-მზე ღმრთეების
და მოელვარემ საღვთო
ელვარებით, მამაო,
ჩალამებული
გული გამინათე,
რათა ნათლიერს შენს
მიცვალებას ეუგალობო.
სულწმინდის სიღრმისეულ,
ღირსო, სულის თვალი
ღირსეულად დაპხარე მზერად
და სკან გონებით,
ვით მოიწოდე,
უნეტარესო,
მოუწვდომლობით
გასაგონი უფალი.
აფრა ჯვარისა ფრთა იყო შენი,
როცა განლევდი
ზღვას ცხოვრების,
მოწამეო, ყოვლად რჩეულო,
და მოიპოვე
წყნარი სანავე
ზესთა ელვარების,
კლიში, წმინდად სასიტყველო.

ღმრთისმშობლისად

განწმინდე, დედავ-ბატონო,
გლახაკი ფიჭრი,
შენ, რომელმან ზესთა არსი

სიტყვა იტვირთე წიალით
და ხარ
ყოველთა ზეგარდმო
ძალთა უწმინდესი, ღვთისმადლიანო.

გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“)
ძლისპირი ძველი „არა სიბრძნითა“

შენ ნათლისაყენ
ღვთის შეცნობისა წაგიძღვა
სამყაროს მკვირვალი ნათელი
და უწმინდესი მზე —
საკვირველი პეტრე,
ღვთივ სანატრელი.
საღვთო სწავლათაგან
დანამვით დაიწყურვილე
გული და
პეტრეს წყაროთა
მდინარება, სულით აღესებული,
დაისაკუთრე სახელად,¹ მოწამეო,
ღვთივ სანატრელი.
შენს ბაგეებზე
სულის მადლი გადმოიღვარა,
რის გამოთაჲ დასაბამი მიეც, საგალობელიო,
წყაროებს ღვთის გაგონებისას
და მთელი ეკლესია ჭრისტესი
ჭებისმეტყველებით აავსე.

¹ „კლიმენტის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა ლათინურში ნამდვილად არის „წყნარად მდინეი წყარო“. მაგრამ, როგორც კოდურწერილობიდან და კანონის შეწყვეტომი განვითარებიდან ჩანს, იოსებ პიმონოგრაფი კლიმი მოწამის (ძველ კართულ პოეზიაში კლიმენტი მგალობელის სახელად დაკანონებული „კლიმი გამოშთქმელი“) სახელს უპირველესად უკავშირებს ბერძულ „ვენაბის რტოს“. „სამყნობ კალამს“.

ღმრთისმშობლისად

უფლის გამჩენო,
წიაღში ღმერთის მჭონებელი გამოუთქმელად,
თავად ყოველთა მაცხოარს
კრძალვით ევედრე ხსნიასთვის ჩემის,
ვნებებით მუდამ
გარეშემოკლებულის

გალობა მეოთხე („უფალო მესამასა ზედა“) ძლისპირი ძველი „იესუ მჯდომარე“

გულით განსატეტაებულმა,
სულის სბივებით,
მდაბლად ხაკრძალვით სიტყვებით
ყოველთა სულნი განასატეტაე,
ხოლო უგუნერების ბნელი
ულრმესი
სულ განავდე კრპთმსახერებით სნეულთაგან,
ო, უწმინდესო.
აღმოგაცენებს ვით ვაზის კალამს
მოსავლიანი შენ საუერძნე,
ყოვლად ნეტარი იესო,
და ამ რტოს მოაქვს წამების
საწინაბელში
მიხვედრის მტკევანი,
მედინნი ღვინოდ,
რომელიც ყველა მორწმუნისას
ამებს გულებს
შემოგნატრიან, კეთილშობილო
მოწაფეო მაუწყებელის,
დაემოწაფა რომელი
ლოგოსს, ვინ აღამაღლა,
ყოვლად ბრძენო,

ზეციერი მამისგან ნათლად
გამოცხადების
ღირსეულად მიმწვდომი ესე,
რადგან იყო ყოვლად გზნებულო.

ღმრთისმშობლისად

შენგან აღორძინდება განკაფული
და დასალუჰად მიდრეკილი
მოკვდავი ბუნება,
უბრწუნელო, ვინაც ღმერთი განასხეულე
და ზესთა ბუნებისა კშვევ,
უჭორწინებელო,
მას ვულალადებთ და ვმწვირალობთ: „ქრისტე,
შენს ძალს დიდება“.

გალობა მეტუთე („ღამითგანსა ზედა“).
ძლისპირი ძველი: „ულმრთოთა ვერ იხილონ“

წამების სისხლით
წმინდად დაამეწამულე
შენი წმინდა შესამოსელი,
უფროისად ელვარე, დიდებულო,
და განასრულე
და იმ სამოსით წმინდათა
წმინდას მიეახლე.
შესწირე უსისხლონი
მსხვერპლნი ქრისტეს,
ნამსხვერპლებს ჩვენთვის,
შენ, ნამსხვერპლები, კი მიგართევს
მას როგორც ზეარა,
განწმენდილი და უმანკო,
მორკინალო, ღეთივ სანატრელო.
რომს შენ იმთავრე,
როგორც პეტრეს მოწაფემ
და წმინდა მწყემსმა:

აწ მოქალაქედ მიგისაკუთრა
ზესთა სიონმა,
ო, უწმინდესო,
წმინდად რომელი დაამწყემსავდი.

ღმრთისმშობლისად

იაკობის უმანკო მშვენიერებას
უმანკოდვე შემნახველი გონებით
მივაგოთ პატვი,
საღეთო საქმეებით მოვრთოთ და
კეთილი კრძალვით ვუვალობოთ
ჩვენს დედაღვთისას.

გალობა მეექვსე („ლალატყავსა ზედა“)

ძლისპირი ძველთ „ლალადებდა წინასწარმეტყუელი“.

საყრდენად
და საძირკველად პეტრეს სიტყვანი
მოიპოვე
და აღნაგი გაკვს შენივ თავი ვით სულიერი
სახლი სამების,
და კერპების სამლოცველონი შენვე დაამხვე.
მიგათრეუდნენ,
ჭვასავით მიხგორაუდი დედამიწაზე
და ცდომის
სიმაგრე სრულად შემუსრე,
კლიმი მღვდელთმთავარო,
ძლევაშემოსილო ქრისტესგან, უკეთილშობილესო.
მოიპოვე
ძლევის შარავანდნი — გახარებულმა
მით, რომ სძლიე
საჭვენოდ მტერს, მზაკვარებით შეჭიდებულს;
მღვდელმთავრეთა
ნოსაველი გქონდა წმინდა და მოსაკრძალეზი.

ღმრთისმშობლისად

მესაიდუმლოე
შენი შობის სიღრმისა ესაია იყო
და ჭალწულუბა
ილაღადა შენი, რომელმან წიაღით ატარე
გულმოწყალების მიზეზით
განხორციელებული შენგან,
უქორწინებლო.

გალობა მეშვიდე („კურთხეულხარსა ზედა“)

ძლისპირი ძველი „არა ჰმსახურეს“

რწმენის შურით ცეცხლში ნაწერთნმა,
ნაცრად აქციე ცეცხლი
უღვთოებისა, ბრძენო,
ხოლო მორწმუნენი განანათლე,
შიშით რომ მოსძახიან:
„ძლიერად იგალობეთ:
მამათა უფალი
და ღმერთი — კურთხეული ხარ“.
რომაული ჯაჭვით ისე მოიკაზმე,
თითქოს ოქროს მძივი აგესხას;
ზღვა იქმნა შენი ასპარეზი
და ხერსონი აიღე,
სადაც გასრულდა
წამება
და მძიმე ასპარეზობანი შენნი,
ქრისტეს წმინდაო საიდუმლო-განდობილო.
ქნარად გიხილეს, ბედნიერო, რომელიც მაცხოვრის
გალობით ჰხმოვანებ ჩვენთვის
და წმინდა ხიბლით მოაქცევ
საღვთო სიყვარულისკენ
გულთა, მოწამეო,
რწმენით მგალობელთა:
„მამათა უფალი
და ღმერთი — კურთხეული ხარ“.

ღმრთისმშობლისად

რომელიც ყოველს ანიჭებს ყოფნას
წადიერებით, ყოველად უმანკოა,
შენგან უამიერს საწყისს
იღებს და იშვება. —
დამხსნელი საწყეთო
ცოდვებისაგან,
რადგან ერთიანად გადაჰხდათ, უს წ' ელო.
მოკვდავებს მედინი ყოფნა.

გალობა მერვე („აქუროთხედითსა ზედა“) ძლისპირი ძველი „მკსნელი ყოველთაო“

რა გაიძარცვე თიხის სხეულისგან.
ზეგარდმო მადლით თხუელი
შეიძოლე, დიდებულო.
უხრწნელების კიტონი
და ზესთა
სასუფეველში მკვიდრდები, მღვდელთმთავარო.
შენთანვე დამარხულ იქნა, მოწამეო
ბევრგზის მძლეუარო,
საბმელი, რომლით შეკრულმაც განჰსსენ
ცთომილება ბოროტის მქმნელის.
მღვდელთმთავარო მომძახველო
ყოველნი. საქმენი
აქუროთხედით და უგალობდეთ უფალთაო.
განაწილდა სისოველე გაუნაწილებილო
და საკუროველმოქმედი სიკეთის დაქაჯებდა
გამოჩნდა ნაბოძები
უვალი გზა იქ შეძავალთათვის.
სადაც საღეთო
შენი სხუელი ასვენია, მღვდელთმთავარო.
ვნებებით დანთქმული ჩემი სულო,
შენ, უფესკრულის სამკვიდროდ ჰყრი მძღვალა.

მოკედომის და დამარზვის შემდგომ
დააბრუნე, მოწამეო,
მოსაკრძალები და საღეთი ვედრებით და საოხით
მათთან, ვისაც სცოცხლე აქვს.

ღმრთისმშობლისად

ო, საშინელი და გამოუთქმელი ხილვა!
დედის წიაღში მკვდრდება დაუტყვენელი
და ხორციელება უცვლელად ჩანს და მე. ეაცს
განშალმართობს ჩემი გლოვით მტკივანი
და მშობელს
შობის შემდგომ იცავს, როგორც უმანკოდ
შენახულ კრავს

გალობა მეცხრე („ადიდებსა ზედა“) ძლისპირი ძველი „ვეა ოღესამე“

აჰა, მ მათმთავართა ქოროებმა
თანამ დასედ
შეგიწყნარეს. ლომი, დიდებულო.
სიყვარულით გატებენ დაუჩუმბლად
და მათთან უფრთად შეებას პოეებენ მოუაძენი.
მოც ქელნი. წინასწარმეტყველნი და მათალნი
უკუნისითგ ნ. გაცვირვების ღირსი.
შენ მწიფე მტყენად ცხოვრებასა
პოგიყვანა სულიერი მიწის მუშაკობით
პეტრემ და ხ.რ. როგორა ვაზი: კალში
იქსოსი, ღვინისა ჩვენის,
და მშვენიერი მოკრძალების ღვინ: გვაპყერე,
რომელმაც უღვთოობის მთვრალ: ბ ს სძლია
ჩენი. სიბრინით და მადლით აღესებელის,
ამონახეთქია.
მამაო, სწულათა უფსკრული
და კურნებათა საღეთო ნაკადნი.

რის გამოც ჩვენი ვნებების მდინარეებს
აშრობ სულის წვიმებით,
კლამი, მოწამეთა სამკაულო.
ღვთივ ცისკრიანი და საღვთო
და კეთილის მანიშნებელი
და წმინდა და ყოვლად განთქმული
და პატრიუმოსილი და ნათლიერი —
დადგა, დიდებულო, შენი ხსენების დღე,
გულსა და სულს რომ გვიხარებს
ჩვენ, რომელთაც ვალად ჭეპქს —
კეთილად გესიტყვებოდეთ.

ღმრთისმშობლისად

ყველაწმინდავ, ვით ცეცხლოვანი
საყდარი უბრწუნელი,
წიალით ატარებ ღმერთს,
რომელმან მოკვდავი ბუნება მიიღო
და მას შეეზავა შესაერთებლად
გამოუთქმელთან და განუზომელად თანამგრძნობელთან,
რის მიზეზითაც ყოველნი გადიდებთ.

შვიდი წმინდა ეფესელი ყრმის გალობანი

(22 ოქტომბრისა),

თხზული იოსებ პიმნოგრაფის მიერ.

აკროსტიქი: „მოწამეთა შვიდ-ნათელ მადლს ვეთაყვანები. იოსები“.

გალობა პირველი („უგალობდითსა ზედა“).

ხმა მყოთხე

ძლისპირი ძველი: „ზღვსა მის მენამულისა“

კრძალვით გადამხდელთ საღვთო და ნათლით
განცისკრებული დღესასწაულის,
ვითარ დიდი ნათელის მოწამებად

მოკრებილთა, თქვენ გავედრებთ:
ცხადად იმოციქულეთ
ენებათა ბნელისაგან გამოსასყიდად.
როდესაც

უწმინდური და უსიტყველო
გაიგონეთ განჩინება, —
ნაბრძანები იყო წირვა და მსავერპლვა
შეძაგებულთათვის, —
თქვენ, გამაგრებულნი მოწამენო,
მეფის განჩინებათა გამო
არც შერხეულხარათ.
მარხვის-ჭერიით

და ლოცვებით შეეკედლენით (უფალს)
დათარულად და იდუმალად,
ემზადებოდით, წმინდანო,
ავებთან ბრძოლად,
რის გამოც უფალმა
შეგინახათ უიარებოდ

ღმრთისმშობლისად

შემოქმედისგან
რაც კი ქმნილა, ყოვლად უმანკოვ,
ყველაზე უფრო წმინდად გპოვა
წმინდამან და შენში დაისაყდრა
კაცთმოყვარებით, რადგან
განგდება სურს ადამში
დაბუდებული ურჯულოების.

გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“)

ძლისპირი ძველი: „იხარებს ეკლესიად“

მოუხვიდოდეთ მეფეს,
რათა უღვთოს წინაშე აღიაროთ მოწამეთა
სახელი ღვთისა,

რომელიც მბრძანებლობს ცათა სამყოფოში.
რწმენა ცხადად
შეიმოსეთ, ვითარ ელვარე თორი,
და მტრის ისართაგან
უიარებოდ დარჩით, მოწამენო.
წინალუდეგით მხნედ,
წმინდანნო, ურჯულო მეფეს,
ვინც გიბრძანათ უსიტყველი
თაყვანება კერპებისათვის.

ღმრთისმშობლისად

აღმარონინე შენი ღვთიური
სისხლის დაქცევით, ქრისტე უხრწნელო,
და სიმშვიდის შესამოსელი
მე, უწინ განშიშვლებულს, მადლით მისაბერველუ.

გალობა მეოთხე („უფალო მესამსა ზედა“)

ძლისპირი ძველთა „სიყუარული ნყალობისა“

ფრიად შვენოდნენ ყვაეილობის შვენებით ყრმანი,
რომელნიც ყოველთა მბრძანებელს
მიესაკუთრნენ; ამის გამო
მცურავის ყოველი
ბოროტება აისხლიტეს.
მდიდარ სანაცვლოს შეიწყნარებენ;
ოღონდ მთელი სიმდიდრისაგან იცლიან
კალთას ყოველი დამაშვრალისთვის,
რის წილადაც სვიანობისას შეიძენენ
ნიკს უხრწნელს წმინდანნი.
ზეგარდმო კეთილშობილების მოტრფიალნი,
კეთილშობილი მშობლებისგან
შობილნი, სრულიად არ
შეუბყრია მდაბიურებას და უსამშობლობას,
რომ ბოროტებს მიეზიდათ.

ღმრთისმშობლისად

შენ შთაგესახა ახალი რტო, მყოფი
მოხუცებულ სამყაროზე უწინ,
ახლად მომმუშაებელი, ქალწულო,
საღეთო გულისხმით;
მისთვის გადიდებთ.

გალობა მეხუთე („ღამითგანსა ზედა“)

ძლისპირი ძველი „შენ უფალო ნათელი ხარ
მომავალი სოფლად“

მაქსიმილიანოსს და
იოვანეს და იამბლიქოსს და
მარტინოსს — მნათობებს,
კიდეთა ყოველთა
მანათებლებს, პატრივი მივაგოთ.
ვაქოთ, მორწმუნენო,
ანტონინოსი დიდებული და
ექსაკუსტოდინოსი და
დიონისიოსი, ყოვლად ბრძენი, —
ჩვენ, სიყვარულით მადიდებელთა.
ყოველსავე მედინსა და ხრწნადს
გზა უყვლეთ და ინებეთ, წმინდანო,
უხრწნელი და მთლად არადროს
დაძველებადი; რის გამოც
ღირსად ნეტარ-იქმნებთ.

ღმრთისმშობლისად

შენ ხარ კრავაი და სიუხეშისგან
ამიხსენ სული
და მომეც ძალი, კეთილად ვაგრძნა
შენი შვილის მზრუნველობა
საღეთო ვალის მტვირთველთა გამო.

გალობა მეექვსე („ლალატყავსა ზედა“)

ძლისპირი ძველი „გალობით კმითა სიხარულისაგითა
გაქებდა“

ზეგარდმო

საყრპო ზღვა გადმოსცურეთ
და საჭურველმა მოგიყვანათ
ჯვარის საუკუნო სანავეებში,
ძლევამემოსილნი,
აწ ადათით მიხვედრებამდე გაღმერთებენ.
ცრემლის ცვარს
ვინაც ძირს ამცვრევდით
ღმერთის მუდარით,
უფრო ხანგრძლივად ჩაგეძინათ
და, აღმდგარნი,
თქვენ აცხადებთ ყველას აღდგომას.
ო, სასწაულო,
უფრო მყოვარ-ემ მძინარენი
მწვალუბლებს პირს ვით აუბამენ
და ვით მოწმობენ,
რომ იქნება აღდგომა ყველასთვის,
რაც უმეტესთ სულ არა სწამთ.

ღმერთისმშობლისად

მოაკედინე,
ქალწულო, ჩემი ხორცის ზრახვანი, —
შენ, რომლმან კმევ ცხოვრება,
სიკედლით სიკედლის შემპყრობელი
და ყრმათა
უჩვეულო გაღვიძებით მადიდებელი.

გალობა მეშვიდე (სურთხეულხარსა ზედა¹)

ძლისპირი ძველი „საკუმილსა შინა“

იამბლიქოსის თანა

ექსაკუსტოდოსს და მარტინიანოსს,

თან ანტონინოსს

და სახელიან

იოვანეს და დიონისიოსს და

მაქსიმილიანოსს —

ქრისტეს მოწამეებს პატივი მივაგოთ.

შეფარულნი,

ლოცვით ემუდარებოდით ფარული სიბრძნის მცნობელს,

დაეცადებინა დაფარულად მოკვდინება უწმინდურის,

რომლის მომაკვდინებელისაც გშურდათ;

ხოლო მომკვდარნი

სახედ ქმნილხართ საშინელი აღდგომისად.

თქვენ მხარი აქცევინეთ

ღვთის მოძაგებულებს მათგან, რომელთაც

ხატთა თაყვანების წესი და რჯული

ძალადობით მთლად არ შეუცვლიათ;

მე მოედევარ და ამის გამო რწმენით

გაპატიოსნებთ და გაუწყებთ,

რომ თქვენს დანატოვარს, წმინდა ნაწილებს,

აიაზმად ვინაწილებთ განწმენდილები.

ღმერთისმშობლისად

გხედავდით, წიაღში ღმერთი ვის შთაგესახა,

ანგელოზებზე დაშეტებულად;

გხედავდით ჭეშმარიტად ასპარეზის ახოვანებად;

გხედავდით ხსნად, ყოვლად უმანკოვ.

მცნობელთა შენთა,

რომელმან ლოგოსზე ფრიადის ჭეშმარიტებით მოილოგინე.

გალობა მერვე („აკურთხევდითსა ზედა“)

ძლისპირი ძველი: „კელთა განპყრობითა“

უხარის ეფესელთა ცხადად ბრწყინვალე
სამშობლო ჭალაქს,
რომელმან ყოვლად სახიერის წინაშე
დაგსხათ, წმინდანო,
საუნჯე-ჴმნილ მწეებად და მოციქულებად,
უცხოოდ გამოგაჩინათ დედამიწაზე
ყოელისა სახილველად,
და გაღუძებით
საკურველით მისგანვე იდიდეთ.
მცველებად გამოგვიჩნდით მღვიძარეებად
შემდგომად მიძინებისა,
ყოვლად ბრძენო,
რომელთაც დააცხრვეთ ტალღათ-გვეშულობა
ურწმუნოების და დაუხშეთ
მწვალებლებს
ცხადლივ
ულეთონი პირნი
და უჩვეულოდ
ლეთის მინიშნებით გაასრულეთ არაერთი საკურველება.
იმუსრება თქვენ ფერხთით
მდებარე ცთომილი,
მკედარი უგრძნობელი,
რომელი უწინ ამპარტავანი იყო უზომოდ
და აზრი ჴჭონდა დაბნელებული,
და იდიდება ჴრისტე,
თქვენი მადიდებელი,
ვისაც ვულადადებთ:
„ყოველნი საქმენი უგალობდეთ უფალსა“.
წმინდა სიწმინდისმეტყველებით
შევუთხზათ დღეს საგალობელი ყრმათა,
რომელნიც უფალმა შარავანდედებად აჴცია

დაუტყნობელი დიადემებით
და ბევრი საკურველების ნათელით განადიდა
მგალობელნი ამის:
„ყოველნი საქმენი უგალობდეთ უფალსა“.

ღმერთისმშობლისად

მტკივანი ჩემი სული,
ქალწულო, მომირჩინე
და შიგ გაჩენილი
ენებათა ჭაობისგან განმიბანე;
ყოველისმპყრობელი ღმერთის
საყუდარ ტახტთან დადგე,
რომ ერთიანად მხსნელისა და მაცხოვარისთვის
ვიღალადო:
„ყოველნი საქმენი უგალობდეთ უფალსა“.

გალობა მეცხრე („ადიდებსა ზედა“)

ძლისპირი ძველი „ლოდი საკიდურნი“

ეჰა, რა არის მშვენიერი,
ანუ რა არის ტყბილი?
ღვთაებრივი დავით ლალადებდა:
ეს წმინდა ყრმათა ერთ-გონებად დასახლებაა
აღკარებულ ნაკრძალ ტაძრებში, —
ყრმათა, რომელთაც შემოქმედისთვის ერთებრივობა
შეუნახავთ დაურღვეველად.
გამოსჩნდით შვიდნათელი გალობის სახედ,
სამების საღვთო მოწამენო,
რომელნიც გამოჭებაულში აღესრულეთ,
საერპო ოდანი შემეუსრეთ
და ცის ტაძარში
მოკრძალებული ზრახვით გადასახლდით.
აღლადი, ქრისტეს გლეხივე,
შენი მტვირთველი შვიდი სვეტის სახედ

რომ გვენან საუფლო ყრმანი;
ეს მათ დაამხვეს წარმავალი სიმაგრეები,
მიმოვდებით ნასიტყვები რწმენის, გინდ ავის, მადლითაც კი
სასუფეველი მიეცემათ მკვდართა.
ვით დღისიერი ნათლის ვარსკვლავნი,
ნეტარხო ყრმანო, საღეთო სიკეთეთა
და საკურველებათა მნათობი სხივებით
ნათლისაკენ წარუძეხით მთელს დედამიწას;
მით ჩვენც გაგვინათეთ
გულის საგრძნობელნი.

ღმრთისმშობლისად

უბით ატარებ, ვისაც უპყრია
ყოველივე ღვთიური ხელით, —
თვალისმომჭრელს, ჭალწულო,
ჩემს ხატს, ერთადერთი მსჭაფრდებულისას,
გამოუთქმელი წყალობის ძალით
მკერდს მიმიკონე, დამიფარე.

იოსებ პიმნოგრაფი

ნმინდა მღვდელმონაზის კორნელიოს ასისტავის გალობანი

(სექტემბრის 18-ს) აკროსტიქი: შენთა სასწაულთა დიდებას ვუგალობ,
ნეტარო. იოსები.

ხმა პირველი გვერდითი

გალობა პირველი („უგალობდითსა ზუდა“)

ძლისპირი ეტლთა სიმრავლე

განანათლე შენი ლოცვებით
შენი ეგე შეუჭომფინარე
და ტყბილი პრული,
ბრწყინვალე მოგონება,
წმინდა დღესასწაული,
მოზეიმენი...
მოძღვარო, უფლით ნეტარ-ყოფილო.

ქველის საქმით
და ლოცვით აღელვებით
უწინარესად კურთხევისა,
ყოველად ნეტარო კორნელიოს,
ბრძენად გამოსჩნდი.

ყოველთა უფლის განგებულების
მეძიებელი ხარ სიწრაფოებით.
წესნი ცხოვნების,
სახიერების მწვერვალისაყენ მიმყვანებელნი,
ხორცთ ერთობაში
ნათლად ისწავე.
მოციქულთა
თავს მიესწრაფე,
ნეტარ-ნაკურთხო მეუფისაგან.

ღმრთისმშობლისად

მორწმუნეთა გულებს აღანთებ,
რომელნი მარად გადიდებენ
და მოუკლებელად მეობს გელტვიან,
დედოფალო, ღმრთისმშობელო,
დიდებულებით იწოდები:
მიწიერთაგან დიდებით უფლის
მეცლად-მღებელი ხარ, უფურკვნელო.

გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“)

ძღვსპირი: რომელმან დააფუძნე

სულიწმიდისა
ნათელი იღე
და მადლი საღმრთო — საუფლო სიტყვა,
მოციქულთა თავის ბაგეთაგან
შთაგონებით ქადაგებული.
ხსნისა სწავლანი
შეიწყნარე სახლეულითა ერთ

შენ ჭველის-საჭმით ამალღებულხარ,
 ვით ჭედმაღალი ამპარტავნება,
 ნაყოფნი კეთილსურნელებისა ჩვენთვის გიძღვნია:
 ეტლი სწავლათა,
 საოცრებათა მადლი,
 ძალი ჯურნების,
 ნეტარო მღდელი კორნელიოს.
 აღმატებული, კორნელიოს,
 გერგო პატრი —
 მოციქულთა თავთა და სხვათა თანა
 ისწრაფე ყველგან საქადაგებლად
 საღმრთო სწავლათა;
 ხოლო ჩვენ ამით ნათლის სარკმელ გვექმენ
 და უმეცრების ბნელს განვეშორეთ.

ღმრთისმშობლისად

განწმენდის ნათელსახის
 სავანედ ქმნილხარ,
 ნათლისმომცემი მოგვანიჭე, ჩვენთვის
 ხილულ კაცად ხორცქმნილი,
 მოწყალეებისთვის.
 ხოლო ხრწნილება განაქარვე,
 უხრწნელო დაღადისით მიწიერთაო.

გალობა მჯდომარე (ხმა მეოთხე გვერდითი)

გვიჩვენა ღმერთმა, კარავი თვისი საწამებულად
 ღმრთიე-განბრძნობილ მოსეს მიწად აღუმართავს.
 სოლომონი აჯერთებებს ტაძარს საღმრთო მსხვერპლებით,
 ხოლო ჩვენ ახალ იერუსალემს
 მივესწრაფნეთ სარწმუნოებით დავითის მსგავსად,
 მივაგებდეთ საღმრთო გალობათ
 ჩვენთვის ჭვარცმულსა
 და ვვედრნეთ დამდაბლებულნი
 ყოველთათვის, რომლითა ვსცოდეთ.

დიდება

წარმართთა შორის შენ
ეკლესიამ
საქმეთა შენთა სათნოებით
ნათელფენილმა გამოგიჩა
პირველ-ძღვის დარად,
კორნელიოს, მცნობო ზეიდუმალის.

გალობა მეოთხე („უფალო მესამსა ზედა“)

ძლისპირი: ესმა მოსლვად

სულიწმიდის მადლი მიიღე,
კორნელიოს, და მიწად ხვიდოდი,
ვითარცა მზეა ნათელსხივება,
მდეველი ბნელის.
კერპთმავლობა შენ სრულად ამხილე.
მძლავრი მდინარე დაუბრკოლებლად
ჰკვეთს მთელს ხმელეთს,
ეგრეთ უდრეკად მრავალმეტრობის
ღვარძლი მოაშთე,
კორნელიოს, საღმრთო სწავლებით.
წუთისოფლისთვის სრულად მომკვდარხარ
ჩვენთვის მკვდარისთვის
და ცოდვით მკვდართა საყოველთაო
საღმრთო აღდგომა,
ყოვლად ნეტარო კორნელიოს, ყველგან ახარე.

ღმრთისმშობლისად

სრულყოფილებით მამის სიბრძნის
სპეტაკ სადგურად გადაქცეულხარ,
წმინდა ქალწულო.
ამით დავხსნილვართ ჩვენ,
ბიწიერნი, აწ უბრძნესისგან.

გალობა მეხუთე („ღამითგანსა ზედა“)
ძლისპირიჲ შენ ნათლისა შემშოსელო

ყოელისამპყრობელს
დაუთმე სრულად.
ღმერთმემოსილო, ნაკეთნი უგრძნობელნი
სიწმიდესი არა აღრიე,
პირსისხლიან კაცთა მიერ
შეიწრებულა.
ზესკნელს უხილავს —
ღმერთს, კორნელიოს,
გულსმოდგინებით მოუხმობდი.
ხოლო ტაძარი საძაგელ ნაკეთთა
ჩამოაჭეი,
საკვირველო უაღრესობით.
ყოელისამპყრობელის
მცნება დაიკვე, —
დაცულბარ თვითვე.
ილე ბორკილი
და უცნობთა
ბორკოტ-რწმენის ბორკილი
დაბხენ, ღმრთივ განბრძნობილო.

ღმრთისმშობლისად

მასხურე მე, ყოვლად უბიწოვ,
შემინდვე ბრალნი,
მოიხედე უძლურისადა,
ლეღვაგვემელის
შეცოდებანი ცხოვრებისა,
ხორცთა ვნებანი ჭემნი იხილე.

გალობა მეექვსე („ლაღადყავსა ზედა“)

ძლისპირი: ზღუად აღძრული

წმინდად ასული
ლოცვა შენი
ღმრთის ანგელოზმა
ცხადად იხილა და საიდუმლოს
გაზიარა
აღმატებულს და ხსნისა დამტევს.
სულით განათლდი,
კორნელიოს,
ღმრთისა მცნობელო,
შუქმფინარე ვარსკვლავად იქეც და სხივოსანი
ბრწყინვალეებით
უშორესნიც კი ააელვარე.
ღმრთის მიმდევარნი,
დაბნელებულნი
გუშინ ცდუნებით,
ავს უარპყოფენ, ნეტარო, შენთან სიახლოვით
და სახლეულით
ღეთაებრივად იწმინდებიან.

ღმრთისმშობლისად

ქალწულებრივი შენი სისხლით
ღმერთი მხოლოა დიდებულებით
განხორციელდა, ვით ეგებოდა,
ყოვლად ჭებულო,
მაცხოვრებელი სახიერებით.
წარმართთ ურწმუნო ცხოვრებისაგან
მორწმუნეთა პირველ-მოსთველული —
კორნელიოსი — აღმოიყვანე, ჭრისტეო, ჩემო.

გალობა მეშვიდე („კურთხეულხარსა ზედა“)

ძლისპირი: უფროდსად ამაღლებულმან

წარმართთაგან პირველ-მოსთვლულად
იქცე, ო, კორნელიოს,
პირველმა იღე წმინდა
ნათელი და
სულიწმინდის მადლი, მსგავსად
პირველ მჭადაგებელთა.
ღეთაებრივი მადლით აღესილმა
უდიდესი საშინელება
მორწმუნეებს დაუსურათე,
უწინ ბორიუტ-გონიერთ.
და ასწავებდი აღმომღერალი:
კურთხეულ ხარ, ჰოა, უფალო.
ქვეყნად დაფარული
და გელად ხილული,
ღვთით ბოძებული,
უკეთურების უკუმქცველი
საოცრებათა მდინარე მადლი
გამოჩნდა, ბრძენო.
ამღერებული ქნარითა და
ხსნისა სწავლანით
ყოველთა სულებს,
კორნელიოს, შვება მოპვეარე
და გალობით გამოაცხადე:
კურთხეულ ხარ, ჰოა, უფალო.

სამებისად

სამგვამოვანს და ერთ-ღმრთეებას
ვადიდებთ ყველა;
დაუსაბამო მამას,
ძეს ერთარსს
და სულიწმინდას ვუგალობთ ასე:
კურთხეულ ხარ, ჰოა, უფალო.

ღმრთისმშობლისად

კაცობრივად იხილებოდა
ცომი ღვთიერი
ღვთაებრივ შობით,
წმინდა ქალწულო.
შენ შორწმუნენი ამისათვის
ღირსად გადიდებთ.

გალობა მერვე („აკურთხევდითსა-ზედა“)

ძღვისპირი: შენ მხოლოსა

გონის სიწრფელით
და სულით მხოლოს
და ჭვეუნად ხილულ
ღმერთს გამოსცნობდი,
რისთვისაც წარმართთ
პირველ-მოსთვლულად იჭეც
და სულიწმიდის სამკვიდრებელად,
ღმერთშემოსილო.
ნეტარო, ცეცხლოვან
სიტყვათ ნაკვერცხლით
დასწვი ნივთი
ამაოების,
რითაც უმწუხრო
შუქისაგან წარუძელ
და გააბრწყინვე წადილით
შენნი მადიდებელნი.
საზღვრულუბაც და სისავსეც,
ხსნაც და შეწვენაც,
ძალაც, გალობაც,
წინამძღოლობა, —
სიტყვა ყოველი
მშვენიერი და ნათელიც
არ-მყოფისაგან შენთვის დაბადებულა,
კორნელიოს, ღვთივმეცნიერო.

სამებისად

მამავ წმიდაო,
სიტყვავ წმიდაო და სულიწმიდავ,
სრულო სამებავ,
არაკმნილო და ყოვლად წმიდაო,
გვაცხოვნენ ჩვენ,
ბეჭითად შენი ძლიერების,
მეტეფების და დიდებულების
მადიდებელნი.

ღმრთისმშობლისად

მოგვასხურე, ჰოა,
ქალწულო, შენი წყალობა;
ჭერიისებრ მვედრებელთ —
ცნობითა და უმეცრებით,
დაუდევრობით
დამართებული
ყოველი ცოდვა
წმინდად დაგვითმე.

გალობა მეცხრე („ადიდებსა ზედა“)

ძლისპირი: ესაია მხიარულ იყავ

შენი წმინდა ხსენების დღის
დღესასწაულის სამზადისი აქვს
მთელს ეკლესიას,
ქრისტეს ქადაგო;
რამეთუ სულიწმიდის
მზილველი და მოწათეთა
სწორი ხარ
და მათებრი წილიც მიიღე.
სათნოებათა სწავლებით და
მღვდელმსახურებით განმშვენებულხარ,
ღმრთისა მსგავსი ჩენილხარ

ღმრთისმსახურებით;
მოუკლებელად მოადინებ,
ჰოა, ნეტარო, კურნებათ წყაროს
და უძღურებათ არჩენ,
კათცა შორის კეთილმსახერო.
ხსნის სამოსელით
შემოსილხარ, რააცა ჭრისტეს
თვისი ხორცშესხმით მოუწოვია.
აწ ალტაცებით
ზენა საუფლოს
მოიხილავ წმიდად მზირალი.
ხოლო სიძის შვენიერებას
განუზომლად უოცებიხარ.
პატივდებული საფლავი შენი
ნაადულოვით არწყულებს და უხვ
კურნებას ჰმადლებს შორწმუნეთ.
ო. კორნელიოს.
სდევნი და განკვეთ სულთ
უბოროტესთ.
სარწმუნოებით
შენდაძი მლოცველთ თვალთ
კი ხალისით ააეღვარებ.

ღმრთისმშობლისად

განმანათლე მავედრებელი.
ნათლისაგან ნათლის მშობელი.
განაბრწყინვე უწყვდიადესიცი
და შორს მართლუკუნ
მეოტ-ჰეავ ჩემგან
განსაცდელნი და სიამენი,
დედოფალი, უბრწუნელი და
ურცხვენელი წინამძღოლი.

წართულ გალობანებს ერთვის „გამოავლინენი“ და „აჭებდითსა ზედა“.

ნმინდა ხატების მალლად დასვენების გალობანი,
თხზული ნმინდა თეოდორე სტუდიტეს მიერ.
ხმა მეორე გვერდითი (ანუ მეექვსე)
გალობა პირველი („უგალობდითა ზედა“)
ძლისპირი ძველი „შენე და მფარველ“

სამადლობელი აზმანი ვეგალობოთ, მორწმუნენო, მთელ ქვეყნიერებათა სიკეთისმოქმედ ღმერთს, რადგან მან გამოაღვიძა და აამაღლა რქა ხსნისა, საუფლო ძალი, მართალი რწმენისათვის ბრძოლის მეწინავენი.

აღუჩნდა ქვეყნიერებას ჭეშმარიტად მაღლი ღვთიური, დიდება და პატივი გაცხადებულია. ლაღობს ეკლესია, თვისი სიშისშლის დასაფარავად შესამოსელის შემწუნარებელი.

ქრისტეს ქიტონი, წაგლეჯილი უწინ მაცთუნებელი და მწამლველი იოვანესგან, წმინდა მამებმა კვლავ შეუთხზეს ცხადად და ეკლესიას მართავს.

უფლის სახე დაიბრუნა ეკლესიამ, იხარებს და აღლაღებულია შვილებთან ერთად, თითქოს ძღვევის საბოძვარი მიეღოს უფლისაგან მართალი რწმენის სანიშნო სვეტად.

ხოლო შმაგნი, დე, სირცხვილისაგან შემოუჭკველად თვალს ითხრიდნენ: საზარელი ლეძიქსი და ანტონიოსი იოვანესთან ერთად და მათთან თეოდორე — ესე ყოველნი რწმენის დამგდებნი.

იოვანისი და იამბრისი, წინააღმდგომნი რსჯულისმდებელის, ძველად მოსემ არცხვინა; დღეს კი შემცდარი იოვანე ანტონიოსთან ერთად ჭეშმარიტად არის ბილული.

შენ შეუმუსრე, ქრისტე, ცხენები ღმერთთან მებრძოლებს და სამოსი აღსაბურველი დაუბრუნე შენს ეკლესიას, რომლისთვისაც, ვით სახიერმა, სისხლი დაჰღვარე.

სამებისად

შენ, სამებავე, გეკუთვნის ჩემი ღვთისმეტყველება და შენს ღვთიურ ძალს ვეთაყვანები. დამიფარე ყოველგვარი საცთურისაგან; მე ხომ შენი მოწამე ვარ, მოწამე მამის და ძის და სულის ყოველად წმინდისა.

ღმრთისმშობლისად

სამეუფო სამოსი ღმერთმა, ჭალწული, შენგან აღსაბურველი და კაცებრივი სახით წარმოუდგა მოკვდავთ — არსებით (სრულად ღმერთი და სრულად კაცი). სახე მისი ხატისა გვაჭკვს სათაყვანებლად.

გალობა მესამე („განძლიერდასა ზედა“)

ძლისპირი

იმშებდეთ ხარებით თქვენ, ყოველი ჭირი მამათა და მოციქულთა, რომელნიც გადმოაპურებთ ხატთა თაყვანებას, ჩვენ რომ მოგვანდვეთ ცხადლოვ.

— მშვენება ჩემი მივიღე და სამოსი ჩემი შვევიოსე, — ლაღდებდეს ყოველად უნაკლო ეკლესია, რომელიც იოვანემ განძარცვა.

შეგრცხვეთ ურჯულონო, თქვენგან უფალი განკიცხულია, ვითარცა ხორციელქმნილი და გამოჩინებული ხატით, რომელსაც კრძალვით შევზარით.

იოვანეს, გონს გადასულის, გაიფეხულ მცნებებს და შეშლილ სწავლებას ვინ უნდა გამოთქვამდეს, დელფურად მოქცევით რომ წარმოადგინოს?

ხატს გადავცეთ წყევით ლექიქსი და იოვანე-ანტონიოსი და თეოდორე, უღვთო და ავი ენით მკრეხელი, მათთანვე თეოდორტე, გონს გადასული.

ყივის სისხლი, დაღვრილი მბრძანებელის ღვთაებრივობის და კაცებრივად ხორცის შესხმის მსგავსებისათვის, — სისხლი, რომელიც იოვანემ დააქცია.

უფალმა მოიშორა უცოთესლნი დაწყვილებულნი და დაუბრუნა თვისთავე თვისნი. დიდება მის სახიერებას. დიდება.

სამებისად

დაუსაბამო ნებასა და ძრულებას და მეუფებას სამებისას ვეთაყვანოთ მართლად დიდებით და არიოზი საუკუნოდ განკიცხულიყოს.

ღმრთისმშობლისად

მივისაკუთრეთ, დედა-ბატონო, და აღვიარებთ ღვთის მშობელად, ხოლო ვიხმართ არა სიტყვებს ნესტორიოსის, არამედ წმინდა მამათა მცნებებს.

გალობა მეოთხე („უფალო მესამასა ზედა“)

ძლისპირი

განსცბრებოდე, ეკლესიავე, და ხარება ჩამომდგარიყოს ყოველ ქალაქსა და ქვეყანაში. განეხსნათ კარი აწ სახლთა ღვაწლისათა და საქალწულე-პართენონნი იმშვენებდნენ წმინდა ნაწილებს და ვეთაყვანოთ ღირსად ხატებს მოწამეების.

ქრისტე მოგიხმობთ, რომ შემოკრებით აწ შევებულად და ფუფუნულად, საღვთო მამანო, და მისი განკაცების საწამებლად მოკატელთა წესით გადმოსცეთ საკურველებანი და ვნებანი, აღწერილნი სახარებაში.

დე, შემოკრბნენ აღლალბულნი ამპარტაენებით სიმრავლენი მონაზონთანი იმისთვის, რომ, თუკი ბოროტად იმძლავრებენ ზარდამცემნი, უფრო დაამცირონ იგინი მძლევართა. და განაბნევს უფალი, რაგინდ იზრახოს მტერმა.

მამათა გვემას მათრახებით ბოლო მოელო, წყულულებიდან და ჭრილობებიდან სისხლდენა შეჩერდა, ერთავად მოკვეთასა და გადასახლებაზეც ხელი აიღეს და სიმშვიდე მოიპოვება მოქალაქობით; ძალას ველარ მოიკრებენ უმძიმესთა სატირალთა მოყურადენი, რადგან ღმერთი სუფევს ჩვენ შორის.

ბოროტების მტევანი მოისხა უმოკრძალებო რქამან ვენახისამან და აღყვავილა მწარე საყურძენი და გველუშაპის რისხვავა ღვინო მათი, რომლისაგანაც ერს მეუფისას ასვეს კეშმარიტად თვისი შემღვრეული და ავი გონებით.

შებლალეს შენი ტაძარი თავაშვებულად ხელთდასხმით საკეთარი მოგებისათვის და წმინდა ადათით განდებულ იქმნენ და საღვთო პატივს მიაკლდნენ სიმონ მოგვი და მასთან იოვანე და სატანიური ანტონიოსი.

მხეცთა მათ და მტერთა ღვთისათა — უსაწმინდარო ანტონიოსს და სატანიურად გონს გადასულს და ეკლესიის წინააღმდეგომს და მტრიობალს იოვანეს, ვითარცა ტვირთალუსებუქებელ მგელს, შემოკრებილით, მორწმუნენო, გასმინოთ წყვეა.

სამებად

აუგებელი და ხსოვნის უწინ დამარბული ერთმთავრობაო, მამაო და ძეო და სული წმინდაო, გეთაყვანებით შენ, რომელსაც თვალმრავალი ჭერებიინები და ექსტრათეედი სერაფიმები გიგალობენ და რომელიც სულის ყივილით ამბობ: „წმინდა ხარ, წმინდა ხარ, წმინდა ხარ, ყოვლისმპყრობელი უზესათესო“.

ღმრთისმშობლისად

წმინდანთა უწმინდესო და ყოველსავე შემოკმედებაზე უფრო მაღალი, მხოლოა გვეჩვენე, დედაე ქალწული, შენ ხომ თავად იტვირთე წიალით შემოკმედი შენი, რის გამოც, ღვთისმშობელი, მავ წმინდა სახეს თაყვანებისათვის ვინახავთ.

გალობა მეხუთე („ლამითგამსა ზედა“)

ძლასპირი

ქრისტე ძლევა შემოსილია. აღლალდეს დედამიწა, რადგან დაცხრა მშფოთ-ვარება, დაცხრნენ მტირალნი უფლის მონანი და დადგა რწმენით სამყაროს ყოვლად აღესების ყამი.

ხატზე ვუმზერთ ჭვარცმას, ვეკრძალებით, გვიყვარს და შეეხარით ქრისტეს და მის ნიშებს და ვეთაყვანებით, ოლონდ შათ პატევს არ მივაგებთ, ვითარცა ღმერთებს.

წარხდა სული ლეძიქისა, არ სიტყვაძვირის და მამაგებელის, ვინც დღე-ნიადაგ და გამუდმებით ლაჭლაჭებდა ქრისტეს და წმინდანების ღვთიური სახის შესაბღალავად.

რად მოიძლეუ, სამკეცად უბადრუკო, უხრწნელი სახე ქრისტეს განკაცების და ყველა წმინდანის? ნუთუ იმიტომ, რომ მორწმუნენი შენს ჩლუნგეკრპებს არ ვეთაყვანეთ?

უადემელოთის რა სწედებოდით ორგანონს, იქმნა შეკრება უმოკრძალებო მეეკრპეთა მოთავეების — უზეტქსაესის ღვთის წინააღმდეგ, ვით იუდეველთ უქმნიათ უწინ: ანნას და კათაფას.

განკითხვის დღეს, ყოვლად უბადრუკო, გამოსაძიებელად შენი უწმინდური სულისა მოჭარღებიან მამანი, რომელთა ხორცნიც გააშიშველ უსაზომო გვემათა და წყლულებათათვის.

ყოველნი გელესიანი ილაღადებენ, მომძახველნი ყოველნი, რომელთაც შენ გამო მოაკლდათ სახე უფლისა და წმინდანთა მისთა საღეთო ხატები.

სამებისად

რომელს ყოველი გიპყრია შენი ძრიელებით, დიდება შენდა, დიდება შენდა, სამგვამოვანო ერთო მხოლოო, — მამაო, ძეო და სული წმინდაო, ყოველგვარი წყლულებისაგან დაგვიფარე ჩვენ, ვინაც მოგენდეთ.

ღმრთისმშობლისად

ვით ოქროთი დასამშვენებელ საოპიზარო¹ სანათელს, დედავ-ბატონო, ვეკრძალებით შენ, რომელმან ნათელი საცნაური დაუბადე სამყაროს და წყვდიადისებრი დაამცირე, ქალწულო, ბნელი.

¹ „ოპიზარი“ სიტყვათდასაბამობით ნიშნავს თაყვანებას და შემკობას.

გალობა მეექვსე („ლალატყაცა ზედა“)

ძლისპირი

ილაღადეს ჭრისტეს ეკლესიის მიღვიძარე მეციხოვნეთა და სთხოვეს უფალს, მოეღო სიმშვიდე. შეისმინა და დააწყნარა ლოცვა-მუდარის წილად.

მამათაგან ნასწავლი მცნებებით სრულად მხილებულია შემცდარისა და მაცოტუნებელის მზაკრობანი და ღმერთი იგალობება განხორციელებულია და ღმრთივებით სრული გარემოეწერგლად.

ცოტუნებს საჭმის თანამდგომნო, გწვავდეთ სირცხვილო. დე, წარწყმდნენ ანტონიოსთან ერთად თეოდოტე და ლექიქი და თეოდორე, რომელიც უფსკრულა წარწყმედილობის.

პირი აგბისნია, უბადრეყო, არა სულის საარგებელი საგალობლებით, არამედ შენი მბრძანებელის წინააღმდეგ მიმართული ავსიტყვაობით და დაგიგმია სამოკრძალებო ხატთა ხელოვანება.

შელახე მამათა მცნებანი და მოციქულთა სწავლანი, რომელთაგან სხვას გამოარჩე და სულ სხვარიგად წერ, რაჟელის დაგდების შენეული ადათის შესაფერისად, ჭრისტეს მბრძოლო იოვანე.

შენმა არარაობამ ცრემლით აღუვსო თვალები კდემამოსილებს; ხილო საღვთო მოძღვართა ჭარმა დაპბერა და განაბნია კვამლი ეგე არარაობის, იოვანე, რადგან შენი გონს მოსელის სურვაც ამაო იყო.

შენ შექმნსრე საღვთო სამოსელი, ვით არიონმა შემესრა უწინ ჭრისტეს ჭეტონი; ამიტომ ეკლესიას შორას გაეცალე, განგდებულა ძაღლების გვარად.

სამებისად

ერთ. საწყისს ვადიდებ ღმრთიებისას სამგვამოვნებით; ღმერთი ხომ ერთია: მამა, ძე და სული, რომელნი პიროვნულად და ხასიათით განირჩევიან.

ღმრთისმშობლისად

წინასწარმეტყველურად გამოსჩნდი საღვთო ქალაქად, ღვთივ დიდებულო, რომელი ხარ კრავი, — შენ, რომლისგანაც იშვა თავად შემოქმედი შენი, შობის შემდგომად რომ შეგინახა დედად ქალწულად, ვითარცა უწინ.

გალობა მეშვიდე („კურთხეულხარსა ზედა“)

ძლისპირი

მწვალეულობის ცეცხლი აწ დაშრიტა მაღალმა მადლმა, რომელიც სწავადა გასაგონარ ქალდეველებს და ნამს ამცვრევდა სამების მსახურთ, ცეცხლი, ოთხგერ შვიდეულ წელიწადს რომ გაუძლო.

შემკობილია, გარეშემოსილია, მორთულია ეკლესია, რომელიც სადღესასწაულოდ ატარებს ყოველთა მბრძანებელის განკაცებისა და მისთა ვნებათა და საიდუმლო იგავთა სახეს საღვთო ადათით.

დღესასწაული გახარებდეთ, შემოკრებილნი ქრისტეანენო, ხალხო საუფლოვ, რომელი ჰხედავ ეკლესიას კვალდაც მნათობს, მშვენიერებას საღვთო სახეს; ეს სახე ღმერთმა შეიმოსა, ვითარცა კაცმა, ჩვენი მაკბოარებისათვის.

განმსახურდა, ჰშიოდა კიდევ და სწუეროდა კიდევ სიტყვა-ღმერთს, განხორციელებულს; ეს ხომ კაცებრივი არსებობის თვისებებია, რომელნიც შემოსწერენ კაცებას. ხოლო თავად იგი მარტვია ღმრთეებით და გარეშეუწერელი.

გაუქმებულია ქრისტეს მბრძოლის ცრუ მოსწავებანი და ცრუ მკითხავობა, რადგან ელინთა სწორად გამოჩნდა, ვინც თვით ელინთა მწიგნობრობით მდიდღურობდა; სამართლიანად მოსპეს და ქარს გაატანეს სამართლიანთა ბგერებმავე ის სიცრუენი.

დაფარული და ყოვლად უსაწმინდარო და სულის დამლუპველი მცნებები შენი რომელი ენით გადმოიცემა, ან წინასწარატემა შენი, მეუკლით მეზღაპრისა, იოვანე სახელმწიფედო და წინამორბედო ანტიქრისტე სატანის?

უსამართლოო, რომელიც მართალს აწყენინებდი, რისთვისღა გერტევა ეგ სახელი, პითაგორასა და კრინოსსა და აპოლონზე ანუ ვინმე სხვა ღმერთზე დამეტებული, — შენ, ვის შეგშერდა ღმერთთა ცხოვრება და თავაშვებით ტყებოადი მათით.

სამებისად

სამარადღეოს და ყოვლისშემძლეს და მოუწვდომელს სამებას, მამას, ძეს და სულს, — ვეთაყვანოთ, ყოველნი მორწმუნენო, და ვიღვთისმეტყველოთ -- შეურევნელად მოღალადეთა: „წმინდა ხარ, წმინდა ხარ, წმინდა ხარ, ღმერთო“.

ღმრთისმშობლისად

ყოვლად საგალობელო და დიდებულო, დედავ ქალწულო, წიაღ-ღმერთიანო, მრისხანე ბრალმდებელთაგან დაგვხსენ, რომელნი პატივს მივაგებთ შენგან უხარწნელად შობას, რადგან მეოხი სხვა ჩვენ არ გაგვაჩნია შენ გარეშე, სძალო ღვთისაო და ნიძვაო.

გალობა მურვე („აკურთხევდითსა ზედა“)

ძლისპირი

წინასწარმეტყველთა გვარად ვიხარებდით და ვიშვებდით — მოარწმუნენი ყოველნი საიდუმლოდ, რადგან ესე არს დღე, როდესაც ქრისტემ — სიტყვად დაიღმა — ეკლესიას დაუბრუნა შესამოსელი.

უღლად ბელიარისა ლეძიქსი და იოვანე, საბაექროდ ერთსულოვნებით განწყობილნი ქრისტეს ხატის წინ, აღუდგნენ ეკლესიას სიავის ცულობით.

ვინ არ იტირებს დამეტებულის ამპარტავენებით, მაყურებელი საღვთო სახის, ჭვით რომ დაჭოლეს ურჯულო კაცთა, იოვანეს შეგონებით, სპილენძის შესავალში პალატუმის?

ბრძაო ყოვლად უბადრუკო და გონებით უნათელოო, ვით ვერ სცან იგი, ვისაც უყურებ, — შემეკულს ცის ჭვეშე ქრისტეს ბუნებით? ბომ შენ მხოლოა გაგთჭვა გულმა, იუდეურად ვითარ იზრახე.

საღვთო ეკლესიათა ხორციელად სანათებელი საუფლო სახის და ყოველთა წმინდანთა სრულად შემეუსჯის ჩვეულებას შენ აწესებდი, მაგრამ ღვთის მადლმა შემეუსრა შენი ცრუბელმწიფება.

სატანიური ლეძიქსი იოვანესთან ერთად — ორნივე კეთილმოსაგობაზედ უარისმთქმელნი, ურჯულოებით ირწმუნებოდნენ, რომ სულ არ უნდა ეცათ თაყვანი წმინდანების მოსაკრძალებელი წმინდა ნაწილებისა და ხატებისათვის.

სამებისად

ყოველნი, ვინაც მოკრძალებულად თაყვანს სცემთ ყოვლის შემოქმედ ღვთისმთავრობას სამგვაგონებით, საუკუნოდ ვადიდოთ დაუსაბამო მამა, თანადაუსაბამო სიტყვა-ლოგოსი და სული, თანავე ნათელის გამომცემელი.

ღმრთისმშობლისად

ქრისტიანეთა სიძყარის ხლა, მორწმუნეთა სიამაყის სანავეო და შესაფარო, ღვთისმშობელი დედა-ბატონო, ერთადერთი ხარ, ყველას მეოხი და სწყურთხოვან მხსნელი და მაცხოვარი.

გალობა მეცხრე („ადიდებსა ზედა“)

ძლისპირი

ტომმა ყოველმა ტაში შემოჰკრას; მამათა გუნდნო, მოგვეახლენით; მარტომყოფელნო და თქვენ, ვინაც მალალ მთებში ბინა დაიდვეთ, შემოკრბით ერთად; დაბრუნდით, საწმინდარს მოწყვეტილის და მაცთურის იოვანესგან დევნილნო უწინ, — განკიცხვისათვის მოგვთა გრძნებისა და ცრუ-მისნობათა.

აღლადდით, მიწანო უდაბურნო და მთელი დედამიწის ბინადარნო, ყოველთა მათათგან სიტკბოება წვეთავდეს, იხარონ ბორცვთა, რადგან ქრისტე-ლოგოსმა სიმშვიდე მოილო დეცამიწის მცხოვრებთათვის და საღვთო ეკლესიებს მისცა რწმენის ერთიანობა.

ღმერთმა განკითხვისამ აწ საქვეყნოდ განკითხა; ქრისტე თანადგომით განაძლიერებს დღეს მოძღვართა წმინდათა, რომ თქვან საჭაროდ მისი გარდამოსვლა და განკაცება ხატზე მყარად გამოისახოს.

უფალო, ვისაც სული გაქვს ვრცელო, რარიგ საეკურველნი არიან საქმენი შენნი. ვინ აღწერს მაგ კაცთმოყვარებას. როცა ხედადი შენი ხატის მიზეზით მოკვდინებულ შენს ღვთისმსახურებს და ღვაწლშემოსილებს, ვით არ დასწვი მაცთუნებელნი და, თუშცა-ლა პირგამებებულად, ვით დაითმინე?

რომელმან ისე შეუძრველად დაამყარე ეკლესია, უფალო, რომ ჯოჯობეთის კარიბჭემაც მის სიმტკიცეს ვერ უძლო, — თავად მოჰფინე ერს შენსას სიმშვიდე შენი, რათა ყოველნი გეთაყვანიოთ წმინდად ერთიანი ჭებისმეტყველებით და გადიდოთ.

მბრძანებელი, წყევით ვახსენებ მათ, რომელნიც შენი განკაცების ხატს პატივით არ მოსავენ: ყველაზე უწინ იყოს წყევა იოვანესი ანტონიოსთან და უსაწმინდარო თეოდორესთან, თეოდოტესთან და სხვებთან ერთად, ურწმუნოებით შელახულთა.

რომელმან მოეც მშვილობა შენს მოციქულებს, მბრძანებელი, აწცა მოჰფინე სიმშვიდე და უშფოთველობა ყველას, შენი ხელით შემოიკრიბე განბნეულნი, ვითარ ცხოვართა გამგონემან, მიათვალე ფარებს შენი წმინდა ეკლესიას.

სამებისად

ვადიდებ მამის, ძისა და სულის ღმრთიებას, ერთბუნებას სამგვამოვნებით, ერთარსებას გაუნაწილებელს, სამპიროვნად განრჩეულს, ერთმეუფებას, ყოველს შემოკქედს, ყოველად ძრაველს, სრულმთავრობას, მომცველს ყოველის.

ღმრთისმშობლისად

შენ, რომელი ხარ ყოველთა მეოხი და საფარველი და დასაყრდენი, გვიჩვენე, რომ ძალგიძს შევამდგომელად ექმნე ყოველს, შენდა შევრდომილს, და განაგდებ უმოკრძალებოთა ძალით ძისა შენისა, რადგან, ვით დედას, ყოველი ძალგიძს.

ლეონ სიბრძნისმეტყველი

(IX — X სს.)

ჰოი, სიბერევე, რა ცივი ხარ, ამგვარ ამინდში
ხრიწიან სხეულს რით ვეშველო. დგას თებერვალი...
ცაზე მთვარე ჩანს გაყინული, მერწყულის ნ.შანს
ვატყობ, მზის კვალად, ჩვენგან წასვლა გადუწყვეტა —
სხვა მხარეებშიც ყინულად რომ აქციოს ლეონი,
გახეთქოს ჭური, ო, რა ცივი ზამთარი დადგა.
ეგ სახლი ჩემი, რომელშიაც დავიდე ბინა,
თოვლში ჩანთქმულა, შიგ ყინეა გამეფებული,
უბერავეს ქარი, თრაკიული, მსუსხავი, ცივი
და მილრღნის გულ-კერდს, ისმის სუნთქვა ჯოჯოხეთისა;
ჩვენი ალაგი მიატოვა თბილმა ნოტოსმა
და შენ როგორ ხარ, საყვარელო, ამგვარ ამინდში,
მე, აგრერიგად გაწვალეულს, როდესაც მხედავ?...
ნეტუ კვლავ მიჩჩევ, ვით მიჩჩევიდი, წყალი ვსვა ისევ...
ყურად რომ მელო შენი რჩევა, დიდი ხნით ადრე —
მე ალბათ თოვლად ანდა თრთვილად გადვიქცეოდი
და შემსუდრველნი თითსაც ველარ დამაკარებდნენ,
ეგ გამყინავეი შენი რჩევა ყურად რომ მელო.
ინდოეთისკენ გაემგზავრო, ასე სჯობია,
იქ, სადაც, თურმე, ვით მსმენია, ვაზიც არ ხარობს
და შენი ცოდნა გაამქლავნე იქ, ბრძენთა ბრძენო;
ჩვენ კი ეგ შენი ხელოვნება არაფრად გვიღირს,
ჩვენ ხომ ჭერ კიდევ სიცოცხლე გვსურს და ცქერა მზისა.

(დაახლ. 820-891) მეცხრე საუკუნის მნიშვნელოვანი საეკლესიო-სახელმწიფო მოღვაწე და მწერალია. მისი მნიშვნელობა ბიზანტიის და მსოფლიო ისტორიაში შეაპირობა იმ როლმა, რომელიც მან შეასრულა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა ურთიერთობის საქმეში, როდესაც ის კონსტანტინოპოლის პატრიარქად იყო (858-876 და ხელშეორედ 878-886 წლებში). ფოტიოსი თავგამოდებით იბრძოდა ბიზანტიის (კონსტანტინოპოლის) უფლებებისათვის, რომელთა შეცვეცას ცდილობდა რომი და მისი პაპი. რომის პაპი კიდევაც მოახერხა გადაუყენებინა ფოტიოსი და შესცვალა იგი რომის რიონტაკის პატრიარქით (იგნატი), მაგრამ ენერგიულმა ფოტიოსმა გაიმარჯვა 878 წელს და განათავისუფლა ბიზანტიელები რომის საეკლესიო ბატონობისაგან. ფოტიოსის საეკლესიო-პოლიტიკური საქმიანობით საბოლოოდ ჩაეყარა მტკიცე საფუძველი იმ მოძრაობას, რომელიც ორი საუკუნის შემდეგ დამთავრდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიათა საბოლოო გათიშვით.

როგორც საეკლესიო მოღვაწე, ფოტიოსი არის ავტორი ვრცელი თეოლოგიური ნაშრომისა („ამფილოჟია“), რომელშიც შედის 324 სხვადასხვა ტრაქტატი ეგზეგეტიკური და დოგმატიკური ხასიათისა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ როგორც თეორეტიკოსი-ლეთისმეტყველი ფოტიოსი გაცილებით უფრო დაბლა დგას ამ პერიოდის სხვა თეოლოგებზე (მაქსიმე აღმსარებელი, ანასტასი სინელი, იოანე დამასკელი), მისი ძალა უფრო საეკლესიო-პრაქტიკულ საქმიანობაში გამოჩნდა.

ლიტერატურის ისტორიას აინტერესებს ფოტიოსის ორი თხზულება: „ბიბლიოთეკა“ და „ლექსიკონი“.

ფოტიოსი ძალიან განათლებული კაცი იყო და მისი სახელი იზიდავდა დიდძალ ახალგაზრდობას; მისი კაბინეტი გადაიქცა „ერაო აკადემიად“, სადაც ის შეკრებილ ახალგაზრდებს უკითხავდა და უმარტავდა ძველი დროის ბერძნულ სალიტერატურო ძეგლებს. ამ ვიწრო წრეში მუშაობის ნაყოფია კრებული, რომელსაც ეწოდება „ბიბლიოთეკა“ ანუ „მირიობიბლიონი“. ეს კრებული მას თავისი ძმის, ტარასის, თხოვნით შეუდგენია; იგი ერთხანს, მოუცლულობის გამო, ვერ დასწრებია ფოტიოსის წრის მუშაობას და უთხოვია — მაცნობე, რა წიგნები წაიკითხეთ და განმარტეთო. თუნცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც აუსრულა ძმას თხოვნა და შეუდგინა კრებული, სადაც შეიტანა ცნობები იმ რიგით, როგორითაც ის ძეგლებს უკითხავდა წრეში.

„ბიბლიოთეკის“ სრული სათაური ასეა გადმოცემული: „*Απογραφή και συναριθμηση των ανεργαστησιων ημων βιβλίων, αν εις κεφαλαιωδη δι-
αγρασιν ο ηγαπημενος ημων αδελφος Ταρασιος εξητησιατο εστι δε ταυτα
εικοσι δεσποτων εν ενι τριακοσια*“ — „ნუსხა და ჩამოთვლა ჩვენს მიერ წაკითხული
წიგნებისა, რომელთა თავიანი აღნუსხვა გვთხოვა ჩვენმა საყვარელმა ძმამ
ტარასიმ; ხოლო სულ არის სამასი (თავი) ოცდაერთ-ნაწლები“.

„ბიბლიოთეკა“ შედგება 280 თავისაგან, თითოეულ თავში შეტანილია თითო
მწერალი და ცნობები, თუ ამ მწერლის რა თხზულებები იქნა წაკითხული; იქვეა
მოთავსებული ნაწყვეტები ამ ნაწარმოებებიდან, ან თხრობით არის გადმოცემული
ამ ნაწარმოებთა შინაარსი. ყოველი თავი იწყება სიტყვით *Ανεργαστη* „წაკითხულ
იქნა“.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფოტიოსის „ბიბლიოთეკა“ ბერძნული
ლოტერატურის ისტორიის შესწავლისათვის, ნათელჰყოფს 239-ე თავი. ამ თავში
ფოტიოსს მოჰყავს ნაწყვეტები პროკლუს ქრესტომათიიდან. ფოტიოსთან
გადარჩენილ ნაწილში ძვირფასი ცნობებია დაცული ბერძნული ეპოსისა და
ლორიკის, აგრეთვე კიკლიკური პოემების შესახებ.

ქართული ისტორიოგრაფია განსაკუთრებით მაღლობელია ფოტიოსისა,
რომელმაც „ბიბლიოთეკის“ 64-ე წიგნში შემოგვიწვინა VI საუკუნის ისტორიკოსის
თეოფანე ბიზანტიონელის „ისტორიის“ ნაწყვეტები. ერთ-ერთ ნაწყვეტში
გადმოცემულია უალრესად მნიშვნელოვანი ცნობა 571 წელს ქართველებისა და
სომხების მიერ სპარსეთის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყების შესახებ¹.

ამ ცნობის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ:

1. ქართლში 532 წელს სპარსელების მიერ გაუქმებული სამეფო ხელისუფლება
571 წლის აჯანყების შემდეგ კვლავ ფრთებს ისხამს; ხელისუფლების სათავეში
მოექცევა გურგენი, რომელიც ქართული წყაროების გურამ ერისთავი უნდა
იყოს;

2. პირველად ბერძნულ წყაროებში აქ იხსენიება საქართველოს დედაქალაქი
„ტფილისი“².

ფოტიოსის მეორე ნაშრომია მისი „ლეჰიკონი“, რომელიც მან შეადგინა
„ბიბლიოთეკის“ გამოქვეყნების შემდეგ. წყაროებად ფოტიოსს ჰქონდა II საუკუნის
გრამატიკოსთა: პარპოკრატონის, დიოგენიანეს, ელიოზ დიონისეს და პავზანიას

¹ დაბეჭდილია „გეორგიის“ III ტომში (თბ. 1936), გვ. 257-258.

² სწორია *Tiflides* იმიტომ, რომ ბერძენი ვერ გამოთქვამდა კომპლექსს „ტფ“; ამან
გამოიწვია შუაში იოტის ჩართვა.

ზოგადი ლექსიკონები, აგრეთვე სპეციალური ლექსიკონები, რომლებიც არსებობდა პლატონის და პომპროსის თხზულებათათვის. როგორც ჩანს, ფოტიოსს ეს ლექსიკონი თვითონ კი არ შეუდგენია, არამედ გადამწერათათვის ამოუწერინებია მასალები. ის გარემოება, რომ მომდევნო საუკუნეების ლექსიკოგრაფოსთა ნაშრომებში ბევრი ისეთი მასალაა, რომელიც ფოტიოსის ლექსიკონში მოიპოვება, აიხსნება იმით, რომ მათ საერთო წყაროები ჰქონდათ.

ფოტიოსი

ეპიგრამა

აქილევს ტატიოსის რომანზე „კლეიტოფონი და ლევკიპე“¹

სიმწარით ტრფიალს და სიბრძნით სავსე მოქალაქობას
თითქოს ნათელი მოჰფინა თხრობამ კლეიტოფონზე,
ხოლო ლევკიპეს გონებიერმა ფრიად ცხოვრებამ
ჩვენ ყოველთა წარმოგვიდგინა: ვით დააწყალულეს
გვემით, განკაფეს და დაჰციურეს საბრალობელად;
რაც მთავარია, სამგზის სიკვდილი დაათმენინეს.
და თუ, მოყვასო, შენც გასურს ცხოვრება გონებიერი,
ნუ განსჭი ნაწერს იერით, ნაკლებ მნიშვნელოვანით,
უპირველესად სიტყვათ-ფარდობის დასკვნა ისწავლე,
რადგან სწორედ მით ქორწინდებიან ბრძნულად მეტრეფენი.

პატრიარქ ფოტიოსის სიტყვა

სულნიშნის მესაიდუმლოების შესახებ

1. მრავალ უხებწყარიან წიგნში გაბნეულა საბუთები, რომელთა მეშვეობით იზბრიკება მატიანე, და ურთიერთსაპირისპიროთაგან უმართლობაში იძებნება ზეშმარიტება. როცა შენი ღირსშესანიშნავი და ღვთისსათნო გარჯა და სახება ამ

¹ ამ ეპიგრამას ზოგნი ლეონ ფილოსოფოსს მიაწერენ. ფოტიოსის დამოკიდებულება აქილევს ტატიოსის რომანისადმი, რომელსაც აგრძელებს ქრისტიანული რომანი „ლალაქტიონ და ეპისტემია“, სულ სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი პროფ. ა.ალექსიძეს. იხ. მისი „ბერძნული ხარაინდო რომანის სამყარო (XIII-XIV სს.)“, თბილისი, 1976, გვ. 28-29 და ა.შ.

საბუთებში განხილულ იქნა, ღვთის კეთილი ზრახვა შენს ღვთიურ სიყვარულში ჩვენ გვებოძა ღირსეულად, და ამ სწრაფვას ზღვარი არ დასდებია.

2. საუფლო ხმა¹ ყველასათვის ბასრი და გარდაუვალი ისარია, ისევე როგორც ყველა ცხოველისა და ყველა მელასათვისაც თავზარდამცემი და შზის სინათლეზე გამომტანია ეს ხმა. ეს რატომღაა? მეტყველი სულიწმინდას მამისაგან გამოიყვანს. მამისაგან ძე სულიწმინდას მესაიდუმლოებით გამოიყვანს. შენ სხვა სრულქმნას ეძიებ, რითაც სრულ-იქმნები? უფრო უწმინდერებას ხომ არ სრულყოფ და მეზღაპრეობ, რომ სულიწმინდა წინ უძღვისო ძეს? თუ საყოველთაო მხსნელისა და მაცხოვარის, ღმერთისა და კანონმდებლის დოგმები შენი ზრახვების სწრაფვას აკნინებენ, არ შეგეშინდა ამდენი რომ იტვირთე? სხვა რის ან ვის მიღებას ეძიებ, რომლითაც ძლევა მოსილად მხილებული იქნებოდა შენი უმოკრძალებო გულმოდგინება. თუ შენ უფლის კანონებს ზევიდან დაპყრებ, შენს სახელს ღვთისმოსავთაგანი ვინლა არ მოიძულებს? შენი ცდომის გარდა სხვას რას აღადგენ? მკურნალობის რა მეთოდით განკურნავ მთელ სხეულზე მოდებულ ჭრილობას? მხსნელის სიტყვა კი არ ჭრის, არამედ კურნავს ნებისმიერ ავადმყოფობას; უფლის მოძღვრების წაშალი იგავი უწევდომლად განადგებს ურჩთაგან შფოთისმოყვარეობის შხამს. უფლის მოძღვრებას არჩიე ბრძოლა, მტრების რიგებში შეჭრილმა დიდი მახვილით, არჩიე ცდა მათი ბედისწერის შეცვლისა. ამიტომ შენ, მათზე დაგდებულს, სულიწმინდის ორღესულით არავითარი შეწყალება (არ გექნება), თან ჩვენც ზიარი უფლისათვის გზნებას და ერთგულებას ვიჩინო, რამდენადაც წმინდა საჭურვლის გულის-სიტყვანი აღგვძრავენ კამათისათვის წმინდა მხედრობის გამო; არც ამ კამათით მიღებული ჭრილობებისაგან შენს განდგომას დაეტოვებთ ზრუნვის გარეშე.

3. რადგან ერთი მიზეზისაგან, მამისაგან, მომდინარეობს ძეც და სულიწმინდაც; ერთი შობილად და მეორე კი — გამოშავლად (ითქმება). რაკილა ძე სულიწმინდაზე უწინ იშვება, მკრებელობა იმის მიყოლა, თითქოს სულიწმინდა ძესთან ერთად თანაგამოშავლობის შემძლეა. მიზეზისაგან ორივე თანასწორადაა გამოსული, ერთი მეორეს უვსებს მიზეზის საჭიროებას, არც ერთი მეორეს ტოლობას არ უცვლის იმ მიზეზისას, რომლისაგანაც წარმოიქმნენ, და უცვლელი წყობის შენარჩუნებას მოითხოვს.

¹ სინდისი.

4. სხვა მხრივ, თუ ძე მამისეულ სიმარტივეს არ აღემატება, სულიწმინდა დაიყვანება ორმაგ მიზეზამდე და წარმოსდგება ორმაგი საფუძვლიდან, მაშინ რატომ არ მიპყვება შედგენილს? რატომ არ განიკიცება ძის მოკლებით თანაბარპატივდებული სულიწმინდა? რატომ არ ექნება სამების სიმარტივეს საკუთარი მტკიცების გონივრულად მოხმობის უნარი? (ო, ენის უწმინდურობა გაკადნიერებს!)

5. ვინ იტყვის ჩვენს წმინდან და სახელგანთქმულ მამათაგან, რომ სულიწმინდა ძისაგან წარმოიშვება? რომელი კრება მტკიცდება აღიარებული პირობებით და ბრწყინავს? ვინ უფრო უტევდა ლეთისმსახურთა და მღვდელთმთავართაგან კრებაზე ამ განსხვავების ჩვენებისას ყოვლადწმინდა სულის სახელით? რამეთუ სულიწმინდა მამისაგან უფლის მესაიდუმლოებით სრულიქმნება და თავად ბრწყინვალედ წარმოსდგება მამისაგან და დიდბიერად ეუწყება. კათოლიკური და მოციქულთა ეკლესიის მფამბოხეთ, მათ, ვინც ასე არ ფიქრობს, ანათემით შეაჩვენებენ. უძველესი დროიდან ყოველ ახალ უწმინდურებას მისნური ჭკრეტით წინასწარ ხედავდნენ და მრავალგვარი შფოთისაგან იხსნიდნენ, წიგნით, სიტყვით და გონებით სჭიდნენ. მტკიცედ დაადგინა მსოფლიო ეკლესიის შეიღ კრებათაგან მეორემ, რომ სულიწმინდა მამისაგან წარმოსდგება, მესამემ მიიღო, მეოთხემ განამტკიცა, მეხუთემ ერთხმად დაადგინა, მეექვსემ ამცნო, მეშვიდემ კამათით ბრწყინვალედ აღბეჭდა. ამათგან თითოეული ცხადად განჭკრეტლია და წარფლად ნალიარებია ლეთისმოშიშობა. როგორც ლეთისმეტყველნიც იტყვიან, სულიწმინდა წარმოსდგება მამისაგან და არა ძისაგან. შენ კი რას ასწავლო უღირს ბრბოს, უკანონოთაგან ვინ დაესხა თავს უფალს უშუალოერო დიდების წასართმევად?

20. ნათქვამია, რომ მაცხოვარმა მიმართა მოწაფეებს მესაიდუმლოებებად ხელთდასხმულთ, რამეთუ სული ჩემგან გამოვალს და გუჟყვებათ თქვენ¹

ვინმე რომ დაივიწყო კიდევაც, უგულვებელსყო მისი თანამოაზრეობა და მიპყვე მაცხოვრის ხმას, რათა პპოვო თავად უფალი, ჭეშმარიტების უშრეტი წყარო, ამ განდგომილებით თავსაც მოიწონებდი? ასე ხომ ენა შენი, ყოვლისავე მტვირთველი და თამამი, გამოუცნობ ამბავს განსჯის და წინასწარ გაიაზრებს. ის კი, ტომის დემიურგი და წინასწარმეტყველი, ახლა, ვითარცა სული, გამომაველი მამისაგან, მოძღვრავს, ერთი მიზეზი, რამელიც თავისი თავისაგან იშვა, სულისაგან გადმომდინარე მესაიდუმლოებით ლეთისმეტყველებს. ახლაც, როგორც შენ ამბობ, ამიტომამა ნათქვამი: ჩემითგან გამოვალს, დაუტევა ღრმა დემილი პირველ

¹ მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ (იოანე, 16.14).

მესაიდუმლოებას. მეორე სრულქმნისაკენ წამსვლელი ეწამა, გაიხსენა პირველი სრულქმნა და გაიაზრა ურთიერთხედვით შექმნილნი. მ-ნ არ ქმნა, რის გავეთებასაც თხოვდნენ, არამედ მაშისაგან გადმოვიდა სული და თავის თავში ჩამდინარე სულისაკენ წარუძღვა.

როგორ, არ არის შენთვის დამაჭერებელი საოცარი უთანხმოება ბოძებული არსისა და უცვალებელი განფენილი კვშმარტებისა?

21. რადგანაც შეილთა უცოდინარობა უძლურთათვის სითამამის მინიჭებას გაკლებს, არა თუ უწინ, ახლაც კი, შენ უნდა გესმოდეს, რამ ჭიუტად არ დადგე შენს უგუნურებაზე, არამედ (მოიჭკე) ისე, როგორც უფლისმიერი და მხსნელი ხმა (ბრძანებს). რამეთუ ამბობდა: ჩემითგან გამოვალს, და ბოლოს, აღარც დაგისაზღვრა ზრუნვა: წინასწარმეტყველების გარდა ხომ ჰქონდა ცდომილება. სულ სხვა წყალობა მიიღო, ზეარსისათვის იშვა და მისკენ წარუძღვა გონებას. მრავალს სჭირდება ეს. როცა უღუთობის სიდიდეს მაცხოვარი წინასწარ ხედავს, ამ ხმას არ დევნის, რათა ცოტამ მაინც შენი წყალობით დაამხო სატანის ბოროტქმედება. უფლის მტკიცების საპირისპიროდ უფლის კაცთმოყვარეობას შენდობით როგორ არ გვიღებდი და სხვა მოძღვრებას უხსნი გულის ყურს?

22. თქვა მხსნელმა, რომ არა ჩემგან გამოვალს, არამედ ჩემითგან გამოვალს¹, რამეთუ უწყის, რომ, ვინც მოვიდა, სიმართლით ასწავლის პარმონიას, უფრო მეტოც, თავის თავში უანგაროდ ინახავს მას (პარმონიას).

ჩემთგან გამოვალს. მრავალს და დიდს მოკლე სიტყვით ცვლის. ჩემითგან გამოვალს და ჩემგან გამოვალს, ამათ შორის არის განსხვავება. ჩემგან (როცა ამბობს), მთქმელი თვითონ მოჰყვება თან ხმას. ჩემითგან (როცა ამბობს), სულ სხვა სახებას გულისხმობს და, როგორც ითქვა, ვისგან მომდინარეობს სული, თუ არა მაშისაგან? სხვაგვარად იქცევთან ღმერთთან მებრძოლნი, არც სხვა ძისაგან და არც თვითონ სულის მიმღებელისაგან გამოდიან.

ხედავ, ისიც კი არ იცის, რაც ბავშვებისათვის ჩვეულებრივი ამბავია. შეილებოც მისწუდნენ მწიგნობრობით, რომ ერთია ჩემგან (გამოვალს), ე.ი. მას მოჰყვება, წინ უძღვის სიტყვის ნაღლებობას; ჩემითგან (გამოვალს) სხვა სახეს გვიჩვენებს, მთქმელი ჰიპოსტასით სავსებით არღვევს კავშირს. მკითხველის გონებას შეუმცდარად აწვდის და მოძღვრავს. ამგვარად, შენი ლტოლვა, რაც უღმერთობის საწინააღმდეგოდ ღმერთ-მოშიშობაშია, სინანულისაკენ ლტოლვა შენთვის ღმერთიმბრძოლობის მიზეზით არ უნდა ხდებოდეს.

¹ non de me accipiet, sed de meo accipiet.

26. მას შემდეგ, რაც მთაზე სულის შესახებ უამბო მხსენელმა მოწაფეებს, განეშორა მწუხარედ. სული ღვთისმეტყველთა ჭეშმარიტებით წარმოდგენილი იყო ადამიანურად და უცოდველობით მოწაფეთა გონებას არ აღამფოთებდა. შემდეგ სული დარღვით შეიჭირვა და საშინელი წყვდიადით დაიბინდა. ამიტომ ვამბობთ, რომ სული უფრო მიღებული უნდა იყოს ძისაგან, როგორც უფრო ბოძებული. განსჯა მევამოხეთა საერთო ბუნებასა და თანაბარფასეულობას უთანასწორობისაყენ ეწევა, სხეულისა და სულის საუკეთესო მკერნალი მხსენელ წამალს ამზადებს.

28. მან მე მადიდოს¹ (εὐχαριστῶς εἰ με τιθεῖσθαι), ე.ი. იმის გამო კი არ ვანიჭებ დიდებას ნუგეშისმცემელს, არამედ იმის გაცხადების მიზნით ჩემთვის, რაც უწინ სხვის გამო თქვა: მადიდოს მე, თავს პატივს ვიღებ მისგან. მადიდოს მე, ე.ი. რამდენადაც მისგან ზეობა მოგეცემა, მეც მის გამო დიდება აღმიდგება. ესაა, რაც მე მოვისმინე მამის შესახებ. გმოდღვრავთ თქვენ, გამოვალს იგი ჩემგან და გაგანათლებთ თქვენ. მხოლოდ ჩენი წყალობათა დაუშრეტელი წყარო მოჩუხჩუხებს, მხოლოდ მარადიული მამისაგან გადმოედინება, მსგავსი არსთა და ბუნებათა. ყოველგვარ პატივს იღუმალ ხელთდაასხამს, ყველგან შესუსტდება მეტობა და ნაკლებობა.

29. მას შემდეგ, რაც გამოუცხადა, რომ გამოვალს, ბრწყინვალედ გაისმა, მაგრამ რატომ გამოვალს. რამეთუ, როგორც ამბობენ, არსად გამოვალს და არსად გაჩერდება (ადამიანო, ყური მოუგდე უფლის ხმას). მაგრამ რატომ გამოვალს, რის გამო; ვითარცა მოსული გამოგეცხადათ თქვენ. სწორედ ამ გამოცხადებაზე მიანიშნებს უკვე ნათქვამი: ჩემგან გამოვალს და გეუწეებათ თქვენ, უფრო ნათლად ავხსნათ, რა არის ის, რასაც უწინ ამბობს — ჩემგან გამოვალს. აშკარად ამბობს: ყოველივე, რაც აქვს მამას ჩემსას, ჩემი არს. რასაც მე მივიღებ, ჩემგან მამაც მიიღებს. თვითონ მიყვება ნააზრევს, უფრო სრულყოფილად აჩენს და მტკიცედ ამბობს: ამის გამო ითქმება, ჩემგან მიიღებსო. ამიტომაც რაც მამაშია, ჩემია. სული მიიღება მამისაგან. მამისაგანაა, ჩემშიც რაც არის. ამრიგად, მარტო ის როდი ამბობს, მეც ვიმეორებ: ჩემგან უნდა მიგვოს მამას ჩემსას განსჯანი და სხვისყენ ნუ მიიჭყვეით. რამეთუ თქვენ არ გრჩებათ არავითარი წინასწარმეტყველება, რომელსაც ამგობინებდით. ამიტომაც გეუბნებით, რომ ყოველივე, რაც აქვს მამას, ჩემი არს.

¹ ille me clarificabit.

31. მე კი არც შემდგომში დაგტოვებ ზრუნვის გარეშე. თუ შენ უკუბრუნდები, გვირგვინი განჩხვრება, პატივის დადება და დაბლა მყოფის დაჩაგრვა, შეხედვით, კომპრომიტების ამ თასიდან სამკურნალოდ წამალი და ავადმყოფობისაგან განწმენდა გვგზავნება (ვინ რაღას იტყვის?). სული, გამოსული მამისაგან, არის სრული. სრულია, რადგან ღვთაებრივი სრულქმნა სრულყოფილებიდანაა, თავად ძისგან რაღა მოდის? უნდა ითქვას, რომ ის, რაც ღვთაებრივ პიპოტასს ბადებს, არც მიიღება და არც ითქმის; და ვინც ძესა და სულს შეურაცხყოფს სიცრუით, ამით მათზე უწინ (შეურაცხყოფს) მამას.

32. მეორე მხრივ, რითაც მამისაგან წარმოდგება სული, მსგავსებაც მისი ექნება, ზუსტად ასევე, რითაც იშვება ძე, ძის მსგავსებაც მისია. როგორც ამათგან არაფერი იშვება, ისე სული არ წარმოსდგება ძისაგან. სული მამისაგან მრავალი თავისებურებით განისაზღვრება, ასევე ძეც. რამეთუ გამოსავალი მამისაგანაა, ერთი იწოდება შობილად, მეორე კი გამოშვლად. მაგრამ თვითეული მამის თანაბარი პიპოტასით შემოისაზღვრება. სული განისაზღვრება მეორე სხვაობითაც. და წარმოშობისაგან ამ ორმაგობას იღებს. რაკი მრავალი განსხვავებით შემოისაზღვრება სული მამისაგან, ასევე ძეც. მამის არსებობასთან უფრო ახლოა ძე; ორმაგ განსაზღვრულ თავისებურებათაგან სული უფრო ძისაგან იხრება, ხოლო ნათესაური მსგავსებით მამას ეთანხმება. ამგვარად, მაკედონელის დაუოკებელი სწრაფვა შთანთქამს სულს და ამის გამო ბრალეული თვითონვე მოუწოდებს უბედურებას.

33. თუ მხოლოდ სულისაგან არის, რასაც საწყისი განხეთქილებებისაგან მიჰყავს იგი, როგორც ამბობენ, განა მხოლოდ სულის შედგომას არ მიჰყავს იგი მრავალუფლებიან საწყისისაგან?

35. სული გამოვალს ძისაგან. მამისაგან ამ გამოვლის მოწინააღმდეგე ვინ იქნება? თავისებურებანი კი არ მოძრაობენ, ერთადერთი არიან სამნი სამებისანი და ურთიერთთაყვანისცემით შემოისაზღვრებიან. ამას კი ეწინააღმდეგებიან მანენტესი და მარკიონესი, ჩვენ ცუდსიტყვაობით ერთობლივ გვიყვირიან და მამისა და ძის მიმართ ღვთისმებრძოლობას ლაყბობენ.

37. თუკი ძე მამისაგან იშვება, სული მამისაგან და ძისაგან გამოვალს, სულის რა ახალი განწვალება ხდება, მისგან სხვა რამ ხომ არ მომდინარეობს? რადგან ღვთის სავნებელი ცოდნა აღიარებს არა სამს, არამედ ოთხ განუსაზღვრულ პიპოტასს, რომელთაგან მეოთხე სხვასაც მიმატებს მათ და ის მიმატებული კიდევ — სხვას, და ასე გაგრძელდება ელიზურ მრავალმებრთიანობის აღიარებამდე.

38. მაგრამ (სული) ამით გამო არის შებრუნებული. ყველაფერი, რაც კი გააჩნია ძეს, მამისაგან აქვს მიღებული. აქედან უნდა იყოს მიღებული სულის წარმოშობის მიზეზიც. მართლაც, საიდან მოდის ეს მწვევე პატემოკეკარეობა, რომლის მეოხებითაც ძე სულის გამოსვლის მიზეზად ჩანს, სული კი თანაბარი პატეის მჭონედ. ნუთუ ამ გამოსვლის მიზეზით თანამოდასედ და თანაბარი პატეის მჭონედ ამაოდ წარმოისახება.

40. რას იტყვი? მამისაგან მიიღო (არსობა) ძემ და მისგან დაბადების გამო წარუძღვა სხვას ერთბუნებთან? თავად ძე როგორ წარუძღვება ერთბუნებთან ასულს, რომ არ შეცვალოს? რათა სულსაც ერთბუნებობის გამო კვლავ ჰქონდეს იმის მსგავსად განდიდებული წინარე სავალი და ჰიპოსტასი, ვისგანაც გამომდინარეობს.

რიტორიკულ-ჰომილეტიკური ჟანრი, რომელიც გელისხმობს, უწინარეს ყოვლისა, ქადაგებას, სამოძღვრო-მოთხრობითს პროზას¹ და სახოტო-შესხმითს ლიტერატურულ ძეგლებს (პოეტურ პროზას), „ქრესტომათიასი“ წარმოდგენილია შემდეგი „ყუავილკრებულით“ (ფერემ მციარის მიერ შემოღებული ტერმინი რომ ვიხმაროთ): ქრისტეფოროს ალექსანდრიელის ქადაგებით იმის შესახებ, „თუ რას ედარება ეს ცხოვრება და როგორ ბოლოვდება“, იოვანე დამასკელის „სიტყვით ყველსწმინდა ღვთისმშობლის მიძინებისათვის“ და ანდრეა კრეტელის ან იოვანე დამასკელისავე (?) „სიტყვით ღვთისმშობლის დაბადებისათვის“.

ქრისტეფოროს ალექსანდრიელი პატრიარქი IX საუკუნის მოღვაწეა (გარდაცვილია 836 წელს). მისი მეტყველება სადაა და საკუთრივ პროზის ფარგლებში თავსდება. თხრობა ძლიერ ემსგავსება ზღაპარს. ოღონდ არქაული იერის შესანარჩუნებლად და, რაც მთავარია, ბიბლიის ძველი თარგმანების ხელუხლებლობის პრინციპის დასაცავად, როგორც ყველგან, აქაც ავტორის მიერ „საღვთო წერილიდან“ საარგუმენტაციოდ მოტანილი ადგილები ძველი ქართული თარგმანებით მოგვაქვს.

იოვანე დამასკელის სტილური მრავალსახეობა სხვადასხვა ჟანრში მოღვაწეობის პრაქტიკამ განაპირობა. მაგრამ დიდოსტატ მგალობელად შობილი ყველა სფეროში მაინც არსებითად მგალობელად მოგვევლინა. დაინტერესებული მკითხველი დანარჩენს იოვანე დამასკელის, აგრეთვე ანდრეა კრეტელის შესახებ ამოიკითხავს მრავალრიცხოვან სპეციალურ ნაშრომებში და, თუ მათი ხელოვანების შეგრძნება სწავლია ჭეშმარიტად, აუცილებლად მიმართავს, დედნებთან ერთად, შემონახულ ძველ ქართულ თარგმანებს.

¹ აკად. კ. კეკელიძე განიხილავს სამოძღვრო-მოთხრობითს პროზას, როგორც სასულიერო პროზის დარგს.

ქრისტეფოროს ალექსანდრიელი

სულის სარგებელი სიტყვა, რომელმაც ნათელყო, თუ რას ედარება ეს ცხოვრება და როგორ ბოლოვდება.

1. საყვარელნო, ღვთის სიტყვა, რომელიც ჩვენით და ჩვენ შორის წმინდად მთავრობს, ყველა თანამედროვე მღვდელთმთავარს და მწყემსთმთავარს აღძრავს ზრუნვისა და განჭვრეტისათვის, ყოველთა მაცხოვრების საფიქრალით და კაცთმოყვარებით გვწვრთვნის და გვმწყემსავს ერთან ერთად ჩვენც და თავად ჩვენი მაგალითითაც წვრთნის. მან ხომ უთხრა შემოთავებულ მოსეს: შენ კი არა ხარო ჩემი ერის მწყემსი, არამედ მე ვარო შენით. მას მოუვხმობთ დღეს, ვით მწყალობელს მოუკლებელ წყაროდ მდინი საბოძვარისას, განგვაძლიეროს ჩვენი უძღურების წილ თავისი ძალით და სიბრძნედ შეაქციოს ჩვენი უგუნურება თავის ზესთა გამოუთქმელი სიბრძნით და მადლით.

2. როდესაც პირველქმნილი ადამის ამბავი მაქვს მხედველობაში და მას ვგულისხმობ, მიკვირს და გამოუვალი სირთულის წინაშე ვდგავარ იმის წარმოდგენისას, თუ ღვთის ხელით ნაძერწმა, ვინც ღმერთთან საუბარსა და წინასწარმეტყველურ მადლს ელირსა, სამოთხის მკვიდრმა, ჰვეყნის ყოველთა მოსახლეთა შორის განთქმულმა, — როგორ დაარღვია ერთი მცნება და ყველა სიკეთეს მოაკლდა; ის ხომ ერთ წამში დაემხო, შემოეძარცვა ესოდენ დიდი პატივი, მეფობა და ყველა საღვთო მისაბრძნელი — და, სამოთხიდან გაძევებული, ცოდვისა და წამების სიღრმეში მოხვდა.

3. ასე რომ, როცა მისი გაუგონრობის ერთ ცოდვას შევეწონე ჩვენი აურაცხელი შეცოდებანი, სასოწარკვეთამ დამნთქა. ხოლო როცა გონება გადავიტანე იმაზე, რაც ძვირისმოქმედს ეხება, და შევიტყვე, რომ ერთი სიტყვით ცხოვნდა, რადგან აღიხოცა მისი ყველა შეცოდება, იმედმა სულით განმაახლა და მოსურნედ შევეფარე სინანულს. ჰუმმარიტად, რაჟამს იგი (ადამი) საქმით დაემხო, ეს (ძვირისმოქმედი) ერთი სიტყვით ცხოვნდა. მან არნახული სასწაულები უწყოდა და ეურჩა. ამან არაფერი იცოდა, გარდა ქრისტესი, რომელნიც ჯვარს აცვეს და შეურაცხვეს, და ერწმუნა. მაშასადამე, დიდია განსხვავება და უსწორობა, სულის და ხორცის სნების შეუსატყვისობა, რადგან ძვირისმოქმედს არ გააჩნდა სხვა სიკეთე, გარდა იმისა, რომ ამბობდა: მომიხსენიე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა. რაოდენნიც ხარო ქრისტეს მოწაფენი, იმედოვნებდეთ, რომ მას დაიმკიდრებთ, იღვაწეთ, რათა გქონდეთ ასეთი რწმენა და საღვთის-მოსაყო საქმენი განახორციელოთ. წმინდა საბარება არ ეტყვის არცერთ ადამიანს,

რომელმაც ნათელ-ილი მამისა, ძისა და სულიწმინდისათვის და საღვთო ხა-
რების მიღების ღირსი შეიქმნა: არ იურგელოო, არაჲ ს სცემოო. არამედ ვტყვის
(დამიგდე ყური): თუ უსამართლოდ მოგვყრან, მოითმინე; თუ ვინმე მარჯვენა
ლოყაზე შემოგკრავს, მას მარცხენა ლოყაც მიუშვირეო. თუ ვინმე ერთ მილს
გაჰკირვებით გაგარბენინებებს, შენ ორი მილი გაირბინეო. ამის დათმენას ერთ-
მორწმუნისაგან არაკრთი ქრისტეანი არ დაუშვებს. ხოლო მას აჭეთ, რაც
დაგვადგეს ისმელოტთა მძიმე უღელი, მათზე უფრო მძიმეც დავიდვიო, ჭკლი
მიუეპყართ და უნებურადც დავემორჩილეთ; რადგან თუ ასეთს რასმე
დავითმენდით ერთმორწმუნეთაგან, უფრო მეტი მოგვეზღვებოდა გასამრჯელო.
თუ ქრისტეანი უსამართლობას ჩაიდნეს ვინმეს მიმართ, სამ-ცეს სასჯელს მიი-
ღებს, რადგან არათუ მეორედ არ გააწენევისებს სილას, არამედ თავად კად-
ნიერდება უსამართლობის ჩასადენად სხვის მიმართ.

4. ყოველი ქრისტეანი ყოველი ცოდვის გამო ღვთის წინაშე გამუდმებით
უნდა ინანიებდეს გულწრფელად, რომ ეწია სიკვდილის გარდევალ განაქნეს, და
არ უნდა შეცდეს ამა სოფლის საცოთურით; რადგან ჩენი ცხოვრება ამა სოფლად
დამსგავსა კაცს, რომელიც დასახლდა სახალეში თავისი ცალით, მხოლოდ-
შობილი ძით და ერთი მონითურთ. იმ სასახლეში იყო სიკვდილის კეთრი გველი.
შეიტყო კაცმა სხვებისაგან, რომ გველი ხოცავდა სასახლეში შემსვლელუნებს, ჰველ
მოდგმათაგან მოყოლებული. შეიტყო და ვალად იდო, ან იმ სასახლიდან
წამოსულიყო, ან მოეკლა გველი, ანუ ვერცხლისმოყვარეობისა და ხორციელი
ტებობის დემონი. მაგრამ გველის მოსაკლავად მისულმა თავის ფერხთათი იპოვა
სუფთა ოქროს ფული, ანო და თქვა: გველს ჩენი დახოცვა რომ სურებოდა,
ამ ფულს არ მოგვეცმდო. გაიხარა: ასევე სხვა ფულსაც მოგვეცემს და არ
მოგვლავო. მივიდა მეორე დღეს, ნახა სხვა ფული, გულში იფიქრა: ეს გველი
სიკვდილის კი არა, დიდი პატრვის ღირსიც არისო.

5. დარჩა გველი კარგა ხანს, ფული ისევ მოჰქონდა კაცისთვის ყოველდღე და
არაფერს ავნიებდა. ხარობდა კაცი, რომ გველი არ მოკლა. ხოლო ჰყავდა მას
ძვირფასი ცხენი. მიხოხბდა გველი და უკბინა ცხენს. სასახლე ეს წუთისოფელია,
საყვარელხო, ხოლო გველი — ქვეყნის მპყრობელი, ეშმაკი, რომელიც თი-
თოუელის ძირშია ჩასაფრებული, რათა ყოველი მოაკვდინოს; ფული კი ავხორ-
ციელი ტებობაა, რომელიც ყოველსავე წარსაწყმედად აჭებებს. გველის გესლი
ცოდვაა, მომაკვდინებელი უკელასი, გინც მას მიენდობა, როგორც ამბობს მოცი-

ქული: „მერმე გულის თქუმა იგი მოუდგის და შვის ცოდვა და ცოდვა იგი სრულ იქმნის და შვის სიკუდილი“¹. ღმერთი ხომ ჩვენი უგულისყურობის გამო უგზავნის სიკვდილს ჩვენს საცხოვარს; განგვაფრთხობს, რათა გონს მოვევათ.

6. მენე ნახა კაცმა, რომ გველმა მოაკვდინა მისი ცხენი, და დალონდა. იწყო სასახლის და გველის წყველა, გულში ამბობდა: რაკი ამ გველის გესლი მომაკვდინებელია, უნდა მოვაკვდინო იგი, სანამ ჩვენ დაგვბოცავდესო. მივიდა გველის მოსაკვდინებლად, იზოვა ჩვეულებსამებრ ფული და თქვა: ცხენი დაგლეპეთ და ამის გამო ყოველდღიური საზღაურიც მოგვაცოდესო? რადგან მხოლოდ ცხენი მოკლა და ადამიანები არ დაუზიანებია, რატომღა მოვაკვდინო? და გველი ცოცხალი გაუშვა. სასარგებლო საქმე ქნა კაცმა, ყოველ ცისმარე იღებდა ფულს და არაფერი უზარალა. როცა ნახა გველმა, რომ კაცს არაფერი ენალვლებოდა, მიხობდა და უკბინა მის მონას მძინარეს, რათა ვინმეს არ ეთქვა: რატომ წავიდაო გველის ადგილას ან რატომ მავანმა არ მოარიდაო სიკვდილის საფრთხეს? რამეზე ხომ არ ეცნეოდაო სიკვდილის უდროობა? მერე, მონამ რომ იყვირა, მივარდა მისი პატრონი, სწყველიდა გველს და იმ წუთს, როცა იმ სასახლის ამბავი შეიტყო. ეამკეთილობისას არც ჩვენ გვახსოვს სიკვდილი; ხოლო, როცა გვთრგუნავენ და გვაწამებენ, იმედს ვკარგავთ, ვწყველით ცხოვრებას და იმ წუთს, როცა შევიცანით იგი, და თითოეული ვამბობთ: ჭეშმარიტად, ამიერიდან ველარ შემაკვდნს საკუთრით ეს ამოა წუთისოფელი. და კვალად, როგორც კი ძალი გულს აირევს, ასევე ცოდვისაკენ შემოვიქცევით და უწინდელ ცოდვებზე უარესს ჩავდივართ; არც მსჯავრის დარდი გვაქვს და არც სიკვდილისა, რადგან ეამკეთილობასა და უნალვლელობაში პოვებს გამოსავალს ცოდვა. სწორედ ისე, როგორც ფრთოსანი გველი უსაფრდება ნიანგს, სანამ არ ნახავს, რომ მას ტბილად და უნალვლეულად სძინავს და პირი ღია აქვს, და მაშინ მოსხლეტით შეუცოცდება პირიდან შიგნულში, დაუფლეთის მუცელს, გამოცოცდება და მკვდარს დააგდებს, — ისევე მოგვაკვდინებს ჩვენც ცოდვა ჩადენის შემდეგ, მაგრამ ჩვენ ვასწრებთ სინანულის მეობებით ცხოველყოფილ ვიქმნით.

7. ახლა წინ ნაუბარს დაუბრუნდეთ. კაცმა რომ ნახა თავისი მონა სასიკვდილოდ დაგესლილი, მკურნალებს უხმო და შეევედრა, მოევლოთ მისთვის; ბევრი წამალი დაალევიან, მაგრამ ვერაფერი უშველეს. მოკვდა მონა და დაიფიცა კაცმა, რომ გველს მოაკვდინებდა. მივიდა იმ ადგილას, იზოვა ფული, აიღო და თქვა: მონა გამოსყიდულია ძვირად, სწორედ ისე, როგორც ცხენი, და

¹ იაკობი, 1,15.

ყოველდღე ჩვენგან ნაშოვნნი ფული მათ საფასურზე უფრო მეტია. მაშ, ვიფრთხილოთ და გველი ვეღარ შეძლებს ჩვენთვის ზიანის მოატანასო. და ვერცხლისმოყვარეობის ავი თინით დაბრმავებულმა გაუშვა გველი და დარჩა კვალად ასევე. რა ნახა გველმა, რომ კაცს სიკვდილისა არ ენაღვლებოდა, მიხობდა ღამით და უკბინა მის შვილს. ოდესღაც განურჩისხდა ღმერთი თარანს, აბრაჰამის მამას, შოაკედინა მისი მესამე შვილი, რომელიც სხვებზე მეტად უყვარდა, — მოუკლა, რათა მამა გონს მოეყვანა, და გონს ვერ მოეგო. აცეთებდა კერაბებს, და ჰყიდდა კერპთმსახურებზე. მოვიდა იმ საუკუნეში მეოცე თაობა; ეს იყო 2332 წელი. და ადამიანთა შორის არც ერთი ძე არ აღსრულებულა მამაზე უწინ, გარდა ლამეჭისა, რომელიც იყო ძე მათუსალასი. და საკვირველმა საღეთო წერილმა აღნიშნა: „და მოკედა არჩან წინაშე თარას ჩამისა თვისისა, ქუყანასა მას, რომელსა იშუა სოფელსა ქალდეველთასა“¹.

8. ისევ გველზე გადავიტანოთ სიტყვა. შეჰყვირა ყრმამ დიდი ხმით, მივიდა შეწუხებული და მოტირალი მამამისი, ვაებით სავსე, და სწყევლიდა იმ სასახლისა და გველის ამბის შეტყობის ჟამს, რადგან ძე მხოლოდმოძილი ჰყავდა. ჩვენც გვჩვევია: თუ ვნახეთ ვინმე ასეთი, უდროოდ გარდაცვლილი ყრმა, მოვიძულეთ ცხოვრებას, ვწყევლოთ საკეთარ სიცოცხლეს და ვამბობთ: ნეტავ არ ვმოძილიყავით, არ გვეცოდნოდა ეს ცხოვრება და მისი აძაოება. ჰე, ადამიანობა! რა საბრალონი ვჩანვართ იმ წუთს! თუ ეს კაცი სიკბაბუკის ასაკში, ყვავილობის ჟამს, მოკვდა, ჩვენ რა გვაიმედებს? ასევე არ შეგვაცდენს და არ დაგველუპავს ეს ამაო წუთისოფელი? მომავლის ცოდვა არ დაგვედება? თვალეში ჭერ კიდევ ცრემლი გვიდგას, რომელსაც მიცვალებულს ვაყრით, თავებს კენესით ვაჭნევთ და ვფიცავთ, რომ აღარასოდეს ვიზრუნებთ საამჰვეყნო საქმეებზე, თახ კი მემკვიდრეობისათვის ვიბრძვით, მოხელეებისაგან საქმის მტკიცედ დაცვას მოვითხოვთ და ვეუბნებით: ძმანო, დიაცავით საქმე; გვეყოფა მწუხარება მიცვალებულის გამო. დღეს განწირულად მოვთქვამთ, ვგოდებთ და ზარი გვიდგას, თითქოს² ხვალ უკვდავნი ვიქნებით.

9. მაგრამ განვავარძოთ სიტყვა იჭიდან, სადაც გავწყვიტეთ, რადგან თანმიმდევრობით მოყოლა გვწადია. ნახა კაცმა, რომ შვილი ცრემლდა დენით ემუდრებოდა მას და შეველას სთხოვდა; მანაც თავი მოუყარა მკურნალთ, შეჰპირდა, რომ გაიღებდა ყველაფერს, რასაც კი ითხოვდნენ, ოღონდ მისი შვილი სიკვდილისაგან ეხსნათ. ჭანცი გაუწყდათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ასე რომ

¹ დაბადება, XI, 28.

² ლათინურად მთარგმნელს შემოაქვს სიტყვადისათვის: *guasi*.

დაიღუპა ურმა და მისმა დამწუხრებელმა მამამ დაიფიცა, რომ გველს ცოცხალს არ გაუშვებდა: როდემდე გავისულულებო თავს, უგუენურო, და არ მოკვლავო წაიღო! (") გველს, სანამ მე არ მოშკლავსო? და გაემართა გველის მოსაკლავად, იპოვა ფული, აიღო, ღრმად და დამბულად იწყო თავისი თავის ქვრეჭა და თქვა: არას ვაქე? შეილი მომიყვდა და, თავის დროზე ფრთხილად რომ ყოფი-
ლყო, გველი ვერ ავნებდა. მაინც ვადრობილებთ მე და ჩემი ცოლი და ვერას დავკლებს. დავზარადი შეილისაგან. რისთვისა ვზარადო სამას სამოცდახუთი ოქროსა; ამ დროის განმავლობაში რომ ვიმოუენი?" და გაუშვა გველი. ამრიგად, დარბა გველი კარგი ხანს, მაჰქონდა ფული ყოველდღე, რათა კაცს არ მნადელუბოდა არათერი და მეტ პატრვად მოსჩვენებოდა ამ ცხოვრების ამოუბა.

10. მივიდა ისევ გველი მოულოდნელად და უქბინა ცოლს. ასე მოდის სიკვდილი, როგორც ქურდი, ისეთ დროს, როცა ვერ წარმოგვიდგენია, და გვიტაცებს ჩვენ. შექვირა ქალმა. მივიდა მისი ქმარი დარდიანი და მოზარე. ესმათ ახლობლებს, მეგობრებს, ნათესაებებს და შეიყარნენ ვაებით. ისევ მოუტმო კაცმა მეურნალებს და აღუთქვა საზღაურის გადახდა, თუ მის ცოლს სიკვდილისაგან იხსნიდნენ. რასაკირველია, ბევრი რამ ილონეს, მაგრამ შველა ვერაფრით შეძლეს. მოკვდა ჭალოც და დარბა სახლში მარტო კაცი. და მიიღო თავისი მეგობრებისა და ნათესაების რჩევა გველის შესახებ, როცა აღუწა მათ უოველივე, მანამდე მომხდარი; ყველამ შეთარბებულად ურბა გველის მოკ-
ვდინება, რადგან თავად მასაც მოკვდინება ელოდა. მივიდა იმ ალაგას და ჩაუ-
საფრდა, რომ, გამოცურდებოდა თუ არა გველი, მოეკლა. მაგრამ მიახერდა ფულის ადგილს და დაინახა იქ მდებარე მარგალიტი, სპეტაკი და წმინდა და პატროსანი, ოქროს ფულის საფასე წონით. დიდად გაიხარა, აიღო მარგალიტი და ზელოს გულზე ისე სიამით შეატრიალა აქეთ-იქით, თითქოს დავიწყებოდეს შეი-
ლის, ცოლის და ყველა თავისიანის სიკვდილი. გულში კი თქვა: რადგან ამ გველმა ფული შემოცვალა მარგალიტის სიწმინდითა და სისპეტაკით, ჩანს, სრულიად შეუცვლია თავისი მომკვდინებელი გესლი და აღარავის ავნებსო.

11. ო, ვაღწერებავ: ასე გაცთუნებს ჩვენ ყველას, საყვარელსო, ამო
წუთოსოდლის საცთურით და სიცრუით, რათა წაგვართვას და გაგვიუტბოოს
მაცხოვრება და ღვთის კაცთმოყვარება და მიგვეცეს საუკუნო ცეცხლს. მე-
თვეზეთა სატყუარაც ასეთია და სატყუარა ჰქვია იმის გამო, რომ თვეზეთის
მისატყუებლად არის წამოცმული ანკესზე, თვეზის წინ მოძრაობს სატყუარა მის
მისაზად, რათა, ანკესზე წამოგებული, ყველას სასაცილოდ აჩენოს და ცეცხლს
მისაქეს. ჰეშმაროტად, ჩვენც ყველანი ასე ვცდებით ბოროტისაგან, რადგან

ქვეყნიერება მთლიანად ბოროტებას ეყრდნობა. შევიცნობთ ყველანი ზიანს, მოტანილს ცოდვისაგან, რომლისაგანაც ისწრაფვის და ეშურება კაცი, რათა ამ ლომმა დაფლითოს და შთანთქას.

12. შემდეგ ცთუნებას აყოლილმა კაცმა დიდი სიხარულით იწყო მარგალიტის ადგილის წმენდა, სხურება და მცურევა სურნელებისა. გაყავდა დრო გველს, ყოველდღე მოჰქონდა მარგალიტის თვალი და, რა ნაბა კაცმა მარგალიტთა სიმრავლე, აიღო ოქრო, გააყეთა მისგან სკივრი და შიგ ჩაყარა მარგალიტები და სხვა ოქროული. ბოლოს იწყო შესანახად შესაფერისი ადგილის ძებნა, რათა დაეძალა განძი. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ მიიგნო; მხოლოდ თავკვეშ უნდა შეესწავა. ამოთხარა მიწა და განძი დაეღლა. აღარც შეიღზე ფიჭობდა, აღარც ცოლზე და, ასეთ განცხრომაში უნაღვლეულად მყოფს, მოულოდნელად მიეპარა გველი და ფეხში უჭბინა. შეჰყვირა დიდი ხმით, თავი მოიყარა ყველა ახლობელმა, შეგობარმა თუ ნათესავმა; ტიროდნენ და ჰსაყვედურობდნენ კაცს: აკი გითხარით, მოკალ გველი, თორემ შენც მოკვდინება გელისო. ჰეშმარიტად თავი მოიკალიო, — ეუბნებოდნენ. შემდეგ ისევ უხბო მკურნალებს, სთხოვა — ეშველათ მისთვის, და ფიცით აღუთქვა, რომ გაიღებდა ყველაფერს, რასაც კი მოითხოვდნენ; თუ გადაარჩენდნენ სიკვდილისაგან. ძალზე ბევრნაირი წამალი დააღვეინეს, მაგრამ მისი შველა ვერ შეძლეს. შემდგომ, როცა ყველაფერი იღონეს, რითაც ადამიანს შეწევნა შეუძლია, როგორც მართალი იოზი ამბობს, სხვა რამ მოვსინჯეო საღონებელი, მაგრამ არ ჩანდაო. და კვალად დავითი იტყვის: „ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არს არა ცხოვრება“¹; და როცა კაცს ყოველმხრივ გაუჭირდა, ღმერთს შევრდომილმა, ასე მიმართა: „უფალო, ერთხელ გთხოვ, მომმადლო სიცოცხლე, რათა მოვიინაწიო. და აღარასოდეს არათუ არ განვიდგები შენ, არათუ ჯღარ მაცთუნებს ეს მძიმე წუთისოფელი და ჩემთვის დარჩენილ წუთს-ვერცხლისმოყვარეობა, არამედ ქარს გავატან მთელ ჩემს ქონებას, განვმარტოვებდი, მერე უღაბნოში დავეყუდები, უარს ვიტყვი სასიცოცხლო საწმეებსა და უადგილო სურვილებზე და ვიზრუნებ ჩემს საცხოვრებლად და შენს საამებლად, რადგან მივხვდი, რომ მთელი ეს ცხოვრება ამაოა და უქმი“. და საშველად უხბობდა წმინდანებს, ბევრი ქონება უწყალობა გაჭირვებულებს და სიტყვა მისცა უფალს, აღარასოდეს განდგამოდა მას. უსმინა ღმერთმა და მოჰმადლა სიცოცხლე.

¹ ესაღმუნნი, 145,3.

13. თავი რომ დააღწია შეუძლოდ ყოფნას და კვლავ ჭანსალად წამოდგა, დავეიწყა დაპირება და ფიცი, რომელიც მისცა ღმერთს, და გულში თქვა: იმედი მაქვს, რაკი ამგვარად გადავჩიო, მეტად აღარ მავნებსო ის გველი; მისი გესლი უწინდებურად მომაკვდინებელი რომ ყოფილიყო, ველარ გამოვჯანმრთელდებოდი და ვერავერი მიხსნიდაო სიკვდილისაგან. ნახე ძნელი დაპირება, შეთქმა და კვლავ უსწრაფესი განდგომა და უარისთქმა. ო, ვაება სასჯელისა! იმ კაცს ერჩივნა, არ განენილოყო ჭვეყნად, რადგან ყოველთა ჭმნილებათა შორის იგი ერთადერთია, განმარისხებელი ღმერთისა და განდგომილი მისგან. ასე რომ კვლავ გულისრევას მოჰყვა და უწინდელ საქციელთაგან ყველაზე უარესს დაუბრუნდა, იმათ მსგავსად, ზღვაზე იმედს რომ დაკარგავევენ საფრთხის გამო და მერე გადარჩებიან; სხვანიც უღონოებას თავს რომ აღწევენ და სასოწარკვეთილებისა და აღთქმის შემდეგ აღდგებიან; მსგავსად ძვირისმოკმედნიც, საპყრობილოს, წამებათა და სიკვდილის ჟამის დადგომის შემდეგ რომ თავისუფლდებიან. ამგვარადვე ვიქმთ ჩვენ ყველანი. წამებით რომ ვიწროტებით და განსაცდელში ვართ, ვინანიებთ და ვბოვებთ შვებას და ჟამკეთილობას. მერე კვლავ ცოდავს მივებრუნდებით, კვლავ ვაშენებთ და კვლავ ვაქცევთ თავად. ერთი სიტყვით, უსარგებლოდ ვირჩებით, მსგავსად კობორჩხალისა, რომელიც ზან მეწინავეებს, ზანაც უკან დარჩენილებს უკბრებოდა სირბილში და (თითქოს?) ადვილად აღწევდა თავისას არა იმის გამო, რომ ის გზა მისთვის მოსახერხებელი იყო: ერთი აშენებს და ერთი აქცევს, რა სარგებლობა მოაქვს ან ერთს, ან მეორეს?

14. შემდეგ (ის კაცი) მიუბრუნდა თავის ძველსა და ამო ჩვეულებას, იღებდა მარგალიტს ყოველდღე, როგორც უწინ, და ამბობდა: „მოიქექ სულო ჩემო, განსასუტნებელად შენდა“¹. და როცა კვლად ნებივრობდა და უნაღვლეულად განცხრებოდა, მიხობდა გველი და უკბინა ხელში. შეპყვირა კაცმა მალალი ხმით; კვლავ თავი მოიყარეს ახლობლებმა, მეგობრებმა და ნათესაებმა, რომლებიც კაცსავდნენ და ჰსაყვედურობდნენ: „როდემდე აპყვები ცთუნებას და არ მოუხმობ გონებას შუამ? როდემდე მოგიომენს შენი ღმერთი? ფიცით მიეცი სიტყვა და ისევ განუდგე? ჭეშმარიტად შენზე აღსრულებულა წინასწარმეტყველთა თქმული: „რაჟამს მოსრავნ მათ, მაშინ ეძიებდიან მას“², და რაჟამს შეწყალებული არიან, უარესს იქმანო“. და კვლავ იწყო საუბარი: „უფალო ჩემო, უფალო, ვიცი, რომ შევეცი და განგიდგე — უფალს ჩემსას და ღმერთს. რასაც შეგპირდი, არ დავიცავი. ამ

¹ ფსალმუნნი 114,7.

² იქვე, 77,34.

დარჩენილ დროს წელიწადისას კიდევ გამოცადე, რადგან ვერ ვიგრძენი ცთობა და ახლალა შევიცან ვერაგობა, (გამომცადე) რათა ამიერიდან აღარასოდეს აღარ შევცდე“. ამ ლოცვაში მყოფს უსმინა ღმერთმა და ცოცხალი დატოვა.

15. შემდეგ კვლავ იწყო ყოველდღე სულ მცირედ უფრო მსუბუქად და უნაღვლოდ ცხოვრება, სანამ მიუბრუნდებოდა თავის ძველ ჩვეულებას და იტყოდა: „რისთვის არის საჭირო, რომ ეს ძვირფასი მარგალიტის თვლები იკარგებოდეს, მაშინ როდესაც პურს ვერ შოულობს საქმელად ბევრი გლახაკი? შევაგროვებ და დავეურიგებ უმეტესს ღარიბებს და სამართლიანობაში ჩამომერთმევა წყალობის გაღება. მერე ასე განვდგები და მოვინანიებ. სწორედ ამისთვის მომძაღლა ღმერთმა სიცოცხლე“. უყურეთ, საყვარელო, ცხოვრების სიცრუეს და შაცთუნებლობას. წყალობა ხშირად იმისთვის მოეჩვენება ხოლმე საბრალოს, რომ ანგარება არ ასცდეს მას. ცხადია, ამის შემდეგ მოიძულა გლახაკიც, უსაქმურებსა და გაუგებრებს უწოდებდა მათ და, ხელთ რომ მოიგდო დიდძალი ნაწყალობევი, მიეცა ჟამკეთილობის განცხრომას, სიმთვრალეს და ხორციელ ტუბობას. ყოველდღე ითვლიდა, სწონიდა ოქროულს და მარგალიტებს. და ჯერ კიდევ ხარობდა, სიკვდილზე საბოლოოდ არ ფიქრობდა და ამბობდა: „სულო, ჭამე, სვი, იხარებდე, რადგან იმრავლა დაუნჯებულმა კეთილმა შენმა“. იმასლა ჰკითხავდა თავის თავს, სად შეენახა დანარჩენი ოქროს ფული, ანუ თავისი საცხოვრებელი, როგორც სახარებაში მდიდარი ამბობდა: „დაეარღვნე საუნჯენი ჩემნი და უფროსნი აღვაშენენ“¹; მის მიმართ ითქვა: „უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს“². ჯერ ისევ ამაზე (საუნჯის შენახვაზე) ფიქრობდა და მსჯელობდა. რომ მიხიხდა გველი, დაფლითა კაცი და ამოჰგლიჯა გული. კვლავ იყვირა, შეიყარნენ მისი ახლობლები და მეგობრები, შეურაცხვეს იგი და უთხრეს: „დიდ ბოროტებას სწადიოდი საკუთარი, სულის მიმართ, უბადრუკო; წინასწარვე გაჩვენა ღმერთმა, რა მომაკვდინებელი ზიანის მოტანა შექმლო იმ გველს — საყვარელი მის მაგალითით, შენი ცოლის მაგალითით. თავადაც უკვე მეორე სიკვდილს გადაურჩი; სიტყვა მიეცი ფიცით ღმერთს, რომ ველარასოდეს შეგაცდენდა სიცრუით ეს ამაო წუთისოფელი, და გისმინა ღმერთმა და მეორედ აღვადგინა მკვდრეთით, ხოლო შენ, შემცდარო და საცოდავო, ვერ შეიცან. მშვენივრად ამბობს საღვთო წერილი, რომ წამება გონიერის გულს ემსახურება, ხოლო უგუნური ვერ გრძნობს გვემას. ხშირად გირჩევედით, მოგეკვდინებინა მტერი, სანამ თავად არ მოგაკ-

¹ ლუკა, XII, 18.

² იქვე, 20.

ვდინებდა. არ დაგვიჯერე და ბოლოს არაღინ არ გაპატია“. კაცმა გამოუჩინა ახლობლებს თვალ-მარგალიტი დაოქროული და უთხრა: ეს ყველაფერი მისგან მოვიპოვეო. ხოლო მათ, ვინც თავებს აქნევდნენ, უთხრეს: „ცთუნებულ ხარ, უბადრუკო, რადგან ყოველივე ეს სხვებს ელის სამემკვიდროდ და სარგებელად. შენ კი ღმერთი განარისხე. წარიწყმიდე სული და თავი მიეც საუკუნო ცეცხლს“.

16. და კვლავ იწყო ტირილი და მოთქმა: „უფალო ჩემო, ერთხელაც მისძინე და მცადე მე მხოლოდ: ღმერთო ჩემო და უფალო, შემიწყალე და ნუ მიმიბარებ ეხლა — მოუშხადებელს და უწმინდურს“. შეკრიბა კიდევ მკურნალნი ყოველი მხრიდან და აღუთქვა მიეცა ყველაფერი, რაც ჰქონდა შექმნილი, და მათს მონობაში გაეტარებინა თავისი სიცოცხლის ყოველი დღე, თუკი იხსნიდნენ სიკვდილისაგან. ხორცდაგლეჯილი და წამებული ეუბნებოდა: „ძმანო, არ ვიცადი აქამდე, რომ ასე მწარეა სიკვდილი. ვაი მე, საბრალოს და გატანჯულს. ჰემ-მარტად, ჩემი თავი მევე ავაცდინე სწორ გზას და ამის გამო არათუ შემწყალებელი არა მყავს ვინმე, საუკუნო ცხოვრებასაც მოვაკლდი და გამოვერჩიე“. მარტოვად ითქმის ყველა შეგონება და გადახდილი ასპარეზობა. ბევრი მკურნალი და მეგობარი კვლავინდებურად ეცადა სიკვდილისაგან დახსნას ერთხელაც. მაგრამ ვერაღინ ვერაფერი გააწყო: როცა ღმერთი განრისხებულა, ვის შეუძლია უშველოს კაცს? თუ ღმერთი არ შეეწია, უქმად და უსარგებლოდ დაშვრებიან მკურნალნი. მერე მწარე და სასტიკი სიკვდილით მოკვდა გატანჯული კაცი, მას შემდეგ რაც სისწოროთ შეიტყო, რომ სხვები დაიმკვიდრებდნენ მისგან უსამართლობით და ფიცის ტეხით დაგროვილ ჭირებს და უმადურად იამებდნენ მით. თავად კი წავიდა შიშველი და შერცხვენილი. ცოდვები მიჰქონდა მხოლოდ და აუტანელი წამებანი, საუკუნოდ მტკივნეულად დარჩენილს განსვენების გარეშე.

17. ამის შემდეგ მოგიწოდებთ თქვენ ყველას, საყვარელნო, ყოველყამს, ყველგან, ყოველ წუთს და ყოველდღე მიჰმართეთ ჩვენს კაცთმოყვარე ღმერთს სინანულით და ცრემლებით და აღმსარებლობით და წყალობის სიმდიდრით, რათა შეცოდებანი შეგვინდოს და საუკუნო სიკეთეს მიგვაწვდინოს უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს მადლით და კაცთმოყვარებით, ხოლო მას — დიდება და ძალი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ანდრეა კრეტელი ან იოჰანე დამასკელი

სიტყვა

ჩვენი ყოვლადწმინდა დედოფლის ღვთისმშობლის
დაბადებისათვის,
რაეამს აღსრულდა ჩვენება, რომ იგი დავითის
თესლთაგანია

დაე, მოსურნეებმა სხვა საფუძველი ნახონ სადღესასწაულოდ, ხოლო ის ჩვენ სახოტროდ თავად აღგვიჩნდა, რის გამოც ჩამომდგარი დღესასწაულის საწყისია ლოგოსის დედა, ხოლო სულწმინდა თანამდევია და სიწმიდე აქვთ სიტყვებს სათქმელად. ასე რომ მე სიტყვის სადავეებს მოვზიდაე და ასაჩრებობას დავიწყებ. შემდგომ წინარე თქმულია ნაამბობი. მართალია, მეშინია, რომ ღირსად ვერ მოვეცე და შევზღუდო მიზანი, ხოლო მსურს შეძლებისდაგვარად ღირსეულად გაგანდოთ საჭმის არსი, საიდანაც ვისაზრდოვე; კამბედავად ვარჩევ სიტყვებს, ჩემს სიმორცხვესაც დავიმშვენებ, დღეს გულახდილობა მეხმარება.

რა თქმა უნდა, ამ რჩეულ სიტყვაში ღვთისმშობლის დაბადებას კეშმარიტად თანამედღესასწაულენი ვიქმენით, როგორც მე, დღესასწაულის წამომწყები, ისე თქვენ და ყოველი; ქება არს ზემთასოფლური. იოაკიმის თანა მხრალნი ვიქმენით, ქალწულთა თანა მოვისწრაფოდით, დავითის თანა მეტლადღებულ ვართ (პატრიარქს ვველისხმობ და მედეს, რომელიც ორივე სახელით ღმერთის მამათაგანია) და მარიამ ღვთისმშობლის თანა ტარად მოყვანილ ვართ და, წმინდანთა ტარებში მყოფნი, თვისთაიდუმლონი ემონაწილეობთ და მადლს ვწირავთ მას, ვინც ადიდა თვისნი, რათა ოდესღაც მყოფნი ფართოდ შემოეკრიბა თავის ირგვლივ, ხოლო ამჟამად საწინამძღვროდ არ მჭონია არც რამ ნაგალობევი, ან საიდუმლოდ მითვისებული... მცირე წილსელით აღმოვჩნდებით იმ ვვარის კეთილწილსაყარობასთან, რომელსაც ქალწული ვკეთენის. გადავიტანოთ სიტყვა და ის მოვეცეთ, რაც სათქმელად შესაფერი და საამოა ჩამომდგარი ზემისათვის. ხოლო ეს სიამოვნებთ მათ, რომელთაგან ქალწული ზესთაარსულად მოვიდა. ვამიერი დასაბამისთვის ზესთალმერთი დავითის თესლთაგან იყო გამოცხადებული, რადგანაც მის შესახებ სჯულის კანონის და წინასწარმეტყველთა მეშვეობით გვაუწყა ღმერთმა და ასევე მთელი საღვთო წერილით ნათლად იწინასწარმეტყველა. მისვე გზის განმკურტელთა და მომფიქრებელთა მივეცეთ სასაპარჩეოდ, ხოლო განმკიცხველი ენები ოდითგანვე და ეხლაც კიცხვენ იუდე-

ველ ქრისტეს. მოდით, ძირიანად ამონაცვეთი ერთად მივართვათ, რათა მეტად აღარ წარმოიშვას სიმწარის ძირი ეკლესიის შვილთა შესაწუხებლად. საქმე რარიგ ადვილად წარგვემართებოდა, თუ ზუსტად გამოვიცვლევდით ან ერთად ავწონიდით.

ფეიქრობ, საჭიროა პირველად მოსეს წიგნებიდან გამოვაჩინოთ ქრისტე, ძე ღვთისა და თავად ღმერთი, მერმე იუდასაგან, მოციქულის მიხედვით, ხოლო ძე ქალწულისა გაცხადებულ იქმნეს სახარების მიხედვით და წინასწარმეტყველურ ხმათა წიაღში შევალწიოთ ნეტავ დროულად. ამგვარად, ჩვენი სიზუსტის გამო ლოგოსი ყოველმხრივ უნაკლო იქნება და მტკიცე, და, რა თქმა უნდა, სწულიერი სიძველის თავისებურება წმინდად იქნება შენარჩუნებული.

დე, მოყვანილ იქნას ჩვენს შორის იაკობი, მაღალი კიბის გამჭვირვალედ მხედველი და მაყურებელი, და მანამდე პატრიარქი აბრაჰამი, ვის მიმართაც და ვისშიც იყო აღთქმა, ხოლო მათე, სახარების წერას რომ იწყებდა, წინასწარ რიგზე გააწყო დავითის თანა დასადებელი თხზულება, რომლიდან მოდის საგვარტომო ნუსხა, ანუ ნათესავთმეტყველება, როგორც აქვს ყოველ ტომს აღწერა, და იქიდან თანმიმდევრულად იოსებამდე, დავითის შთამომავლამდე, მოიყვანა შტო მთხზველმა. ამგვარად დავითისაგან წარმოშობილი, შემდგომ ღვისათვის წინასწარგამზადებული, დროულად იჩენდა ლტოლვას დავითისაგან ჩამომავალი იოსებისადმი, რადგან ადათი ოდითგანვე შეურევდა გვარტომს გვარტომთან, ან სკიპტრას სკიპტრას მიათვლიდა. ამგვარად მოჰყვა დიდ პატრიარქთაგანს ჭარანის მიწიდან, ღმერთს შეხიზნულად წოდებულს, აღთქმა-თაგან იქმნა, რამელთაგან მცირეც არ ყოფილა წინასწარმიღებული ნიშნად, სიმბოლოდ, რადგან ნიშანს ოდითგანვე ელოდა შესრულება. აღთქმის იმედის მოლოდინი არ გაცრეებულა და წილისყრით განაწილებისას მიწისა სრულიად არ მომხდარა შეცდომა, რადგანაც „შენ და შენს ნათესავთ მოგცემთ ამ მიწას, როგორც ყოველთა ღმერთი, რადგანაც შენს შთამომავლობაში კურთხეული იქნება დედამიწის ყველა გვარტომი“. როგორც მიიჩნევს ღვთაებრივი პავლე: „რამეთუ აბრაჰამს აღუთქვა ღმერთმა, ვინაითგან არავინ იყო უფროსი, რომლისამცა ფუცა, ფუცა თავისა თვისისა და თქვა ვითარმედ, კურთხევით გაკურთხო შენ და გამრავლებით განგამრავლო შენ, და ესრეთ სულგრძელ იქმნა და მიემთხვა აღოქმასა“. ¹ როგორც გასწვდა კიდით კიდეს მისთვის აღთქმული, საიდანაც ნეტავ შეისწავებდე, ჰეშმარიტებით განსჯილო, მას შემდეგ რაც უთხრა

¹ ებრ. VI, 13-15.

მას ოდითგანვე ღმერთად წოდებულმა: „ისააკში განდიდებული იქნება შენი თესლი და აღესებელი და ნაამები იმით, რომ აღთქმული შეიძლება შესრულდეს და იგრძნობს თავის სხეულს უკვე მომკვდარად იქნებ ასწლოვანიც და მოკვდინებას სარას საშოისას“¹.

ღვთის აღთქმის მიხედვით არ განკითხულა, არამედ განძლიერდა რწმენით, ვინც დიდება მიაგო ღმერთს, ამგვარად შესაფერისად აღსრულდა აღთქმულიც და დაპირებულს დაემატა ყრმა, რომელმაც შეიწყნარა აღთქმული, ორკეცად თანშობილთაგან აღთქმათა მემკვიდრე, აღთქმის მზაკრობით მპარავი, მშობელს დაუმორჩილა და აკურთხა მან, რომლისაგანაც იზრავლის განსხვავებული თორმეტი ნაყოფიერი შტო აღმოცენდა. და ამათგან უფრო მეტად ორი სკიპტრა ადიდა ღმერთმა ყოვლად და წინასწარ გამოიჩინა. ვამბობ ლევისას და იუდასას. მათგან ერთს ღვთისმსახურებადმე ბევრად აღრე მიტრას, ღვთიებრივი მსახურების ფურცელს და ცხადთა სასიტყველს მისცემს ხელთ, უფრო მაღალი ღვთისმსახურებისათვის წინასახედ, მეორეს სამეფო ტახტს და მშვენიერ თავსამკაულს და ყველა გვარტომზე და შტოზე მაღლა მიიჩენის ადგილს. და იყო ერის წამყვანი და მირონცხებულ იქმნა.

ხოლო ღვთის ყრმა საუკუნეთა უწინარესი და ყოველთა საუკუნეთა თანამდევი გამოუჩნდა სამყაროს ხორციელად, ახალი საოცრებით, მაგრამ არა სჯულიერად, არამედ ზესთაგანხორციელებულად, როგორც ამბობს მოციქული, იმოქალაქა. საექვოა ღირსება მიღებული ჰქონდეს ჩვეულებრივ, კაცებრივად წილისყრით, როგორც ვინმეს შეეძლო ეთქვა. ვამბობ, რაც ვნახე მე, ღვთისმსახურად და მეფედ მიჩნეულმა, „ხოლო მარადიული და დაურღვეველი სიკოცხლის ძალის კვალობაზე“ ორკეცი ღირსება მატეს ბუნებით მოწამეს; სიწმინდისას ვამბობ და მეუფებისას „ხოლო ამას დადგრომისათვის მისისა უკენისამდე წარუვალად აქუს მღღელობა იგი ვინაცა ყოველითურთ ცხოვრებად შემძლებელ არს მათდა, რომელნი იგი მის მიერ მოუკვდებიან ღმერთსა, და სამარადისოდ ცხოველ არს მეოხად მათთვის“². როგორც მეუფე და მშვიდობის მთავარი და იზრავლის წინამძღოლი, არა ხილულის მიხედვით ავიდა ტახტზე და ვითი, არამედ მამისაგან გამოჩნდა, საცნაურად იმეფა იაკობის სახლში საუ-

¹ რომაელთა, IV, 19.

² ებრ. VII, 24, 25.

კნოდ და მეუფება უსასრულო იყო. ასე რომ, ვინც მის შესახებ ამის დამწერია და ამასთანავე საპირისპიროს მოწამე, ვინ არ შეძრწუნდება. რადგან არა დავითის მეუფების შემკვიდრედ იტყვიან, არა დავითის ტახტზე ჯდომას მოგვითხოვრებენ; არც პეროდეს სწორის ან პონტოელი პილატეს მორჩმით ჯდომის ხელახლა ძიებ; არის შესაძლებელი. თუ არა ამალღებულად უსაიდუმლოესი სიტყვით, ვის შეუძლია ამის გაგება: „მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგან არს.“¹ და აწ მოემართავ იაკობს ღაღს პატრიარქთა შორის, რადგან საჭირია ქრისტეს შესახებ მოსაყოლად. მან წულთა შორის წინათვე დაწერა მოსალოდნელი, იუდა შემოიყვანა და წინათვე დაბატა უფრო საიდუმლო ფერთა კნით ქრისტეს ხატით, თითქოს ხედვის გრძნობით სწვდებოდა იუდას სხეულს, ხოლო დავითს საგონებელის თვალთ მოუნახა ფერი; რადგან მიზნის მსგავსი წინასწარ გვეჭნება მოსათხოვრებულად. ჭერ ერთი: დავითს იუდას გვარტომიდან აღმოაჩვენენ. მეორეც, დავითის შტოდან გამოაჰყავთ ქრისტე. რაკი ეს ცხადად ნაჩვენებია, ქალწულისაც ვპოვეთ იუდასაგან აღმონაცენები დავითის გვარისაგან. თუ მართლა მშობელი შობილის ერთგვარტომია, მამ გვიამბე, პატრიარქთაგან ურჩეულესო და ყოვლად შეიღმრავალო, ვის მოჰხვდა წილად კურთხევა, რომელიც შენს შვილებს დაუტოვე? ამათგან თითოეულის წილი როგორა იყო? შენი აღსარულების შემდეგ მათგან ვის ირჩევ და როგორ? კეშმარიტად, ამბობს პატრიარქი, თითოეული შესათერისად უნაწილებს სულს, როგორც ქვინდა ბუნებით და დაწესებით თითოეულს, და არა ყოვლის წამმართველი განგების მიზანდასახულების მიხედვით. ჩემს მიმართ სიბრძნედ რომ იქნება ნამეტყველები, ხოლო როგორც განგებით წინასწარ განისაზღვრება წინასწარკურთხეთ, ყველაფერი სათითაოდ ვადმოვეციოთ.

ასე, რომ შესაძლებელია ყოველი მსურველს მოსეს ხელდადებული წიგნებისას, რომლისაგან შეიტყობ ყოველი გვარტომის წილს სამყაროს წარმოშობაში, ეს წილნაყარობა ღვთისაგან შვილებისათვის კურთხევით თქმული, ჩემში ეპოვა აღბეჭდილი. ჩვენ ეხლა ერთი შტო გვაქვს საზრუნავი, რომლისაგანაც ადვილად, ხორციელად ქალწულისაგან ნამობი ქრისტე გამოჩნდა, იუდას გვარს რომ მიეკუთვნება. ყოვლად ფუქისმეტყველია პირი, რომელიც არ აღიარებს დავითის იესულთაგან ქრისტეს წარმოშობას. რას ამბობს მნახველი? რადგან

¹ იოან. XVIII, 36.

საღვთო წერილი იცნობს გამკვირვალედ მხედველთა განგებად მოწოდებას: „ოუდა, შენ გატებდენ ძმანი შენნი, კლნი შენნი, ზურგსა ზედა მტერთა შენთასა, თაჲვანის გვემდენ შენ ძენი შამისა შენისანი, ლეკუ ლომის იუდა, მორჩისაგან აღმოჰხედ: შჯლო ჩემო, მიწოლილმან მიიძინე ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან, ვინ აღადგინოს იგი, არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან და წინამძღვარი წყვლთაგან მისთა, ვიდრემდის მოკიდეს, რომლისა იგი დამარხულ არს და იგი არს მოლოდენა წარმართთა. გამოაბან ვენაჲსა კაცვი მისი და რქასა ვენაჲსასა, კაცვი ვირისა მისისა, განარცხას ღვნითა სამოსელი თჳსი და სასხლითა ყურძნისათა მოსაბლარდნელი თჳსი, მხიარულ იყუნენ თვალნი მისნი უფროს ღვნიისაგან და სპეტაკი კბილნი მისნი უფროს სძისა“¹

უნდა ნახოთ, როცა მეხლეაურზე ახდება წინასწარმეტყველება. მასზე ცხადად ვხედავ ჩვენთა ყოველთა მაცხოვარი ქრისტეს გამოსვლას, სჯულით და წინასწარმეტყველებით. როცა ქმთა აღსასრულს ჩვენ, მიწიერთა, ხორცისაგან განგვაცალკევებს ზესთაღმერთთ; ბოლომდე მკაცრის მსურველი წინასწარგანსაზღვრული საუკუნეთა უწინარესი ნებისა, გამოეთქმელი სიყვარულით შობილსა და თანამობილო სულიწმინდის, იუდასაგან ამაღლდა და დავითის ჩამომავალი ქალწულისაგან ხორციელ იქმნა. იმ დროს მრავალმა მამ იგი ხოტბით მიიღო, ხოლო ცნობილია, რაოდენმა მიიღო ზიარება მისი მისაკეთებით. განუსაზღვრელია რიცხვის ძალი აღმატებული, ქრისტეს მორწმუნეთა სიმრავლე მათ თავად მალაღმა იოანემ იგავით უთხრა: „ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ კელმწიფება შვილ ღმრთისა ყოფად, რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა კორცთათა, არც ნებითა მამაკაცისათა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს“.²

როდესაც მის ძმებს მოუხმო, შესადღერისად არ შეარცხენია, დაიახლოვა ისინი, მისი მონაწილენი სისხლთ და ხორცით, სულიერ ლერწმებდ რბეულნი, როგორც ღალადებს ჰველე და დავითი. პირველი ამბობს: „მოუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის ეკლესიასა გიგალობდე შენი“.³

ხოლო მეორე მალაღდა ღალადებს: „ამის თჳს გერ იყო მისა ყოველთავე ძმათა მსგავსებდა, რათა მოწყალე ექმნეს და სარწმუნო მღდელთ მოძღვარ ღმრთისა მიმართ“.⁴

¹ დაბად. XLIX. 5-11.

² იოან. 1.12.13.

³ ფსალმ XXI.23.

⁴ ებრ. II.17.

ნეთუ ვინმეს შეიძლება ზურგიდან ისე მძლავრად შემოეჭდოს მტრის ხე-
 ლები, როგორც ქრისტეს ერთადერთს; როგორც სულიწმინდაში ისევ დიდი
 დავითი გალობს: „და დასცნა“ — თქვა, „მტერნი მისნი მართლ უკუნ, და
 საყუდრულად საუკუნოდ მისცნა იგინი“⁵. ხოლო ეს სხვა ადგილას გახადა
 ნათელი: „მარჯუტნემან შენმან პოვნეს ყოველნი მოძულენი შენნი, რამეთუ
 დასხნე იგინი ვითარცა საკმლი ცეცხლისა“⁶. და გამოსახულია თითქოს მამისაგან
 მათში მადლით და კაცება მისი ამაღლებულია მეუფებამდე გაცხადებულად:
 „კელი ჩემი“ — ამბობს, „შეეწიოს მას და მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი, არა
 ირგოს მტერმან მისგან, და შულმან უსჯულოებისამან ვერ შესძინოს ვნებად
 მისა“ და კიდევ „მოვსრნე პირისაგან მისისა მტერნი მისნი და მოძულენი მისნი
 დაეაზხენე“³. და კვლად „მის წინაშე პირველად პინდონი“⁴ შეურდენ და მტერნი
 მისნი მიწასა ლოშნიდენ“⁵. ხოლო „და მტერნი ჩემნი მომცენ მე მეოტად და
 მოძულენი ჩემნი მოსრნენ“⁶ ვისზე იყო მინიშნებული შესაფერისად, თუ არა
 მხოლოდ ქრისტეზე, რომელმან ცათა შინა უთხრა: „ედევნენ მტერნი ჩემნი და
 ვეწიო მათ... და ვერ უძლონ დადგომად, დაეცნენ იგინი ქუტმე ფერჯთა ჩემთა.“⁷

1 ფსალმ. LXXVII,66.

2 ფსალმ. XX,13.

3 ფსალმ. XXXVII,22,23,24.

4 ასახავს დედნის ეთიოპებს.

5 ფსალმ. XXI,9.

6 ფსალმ. XVII,41.

7 ფსალმ. XVII,38,39.

სიტყვა¹ ყველანაშინდა ღვთისმშობლის მიძინებისა,
ანუ მიცვალებისათვის*

ა. ჩვეულებად აქვთ რამისადმი სიყვარულით განწყობილთ, სულ პირზე ვერაოთ ეს რაღაც. გონებიდან არ იშორებდნენ და დღედაღამე ეჩვენებოდეთ. ნურავინ გამკიცხავს, თუ წინა ორი სახოტბო სიტყვის შემდეგ ეს შესამე სიტყვა ჩემი ღვთის მშობელს მივუძღვენი როგორც გამოსავალი,² რადგან ეს დედაღვთისას კი არ ეამება, — ჩემთვის და აქ დამსწრეთათვის ვთხზავ, ო, ღვთაებრივო და წმინდა თანამდგომელნო; მე ამას საზრდოდ, სულის სარგებელად და საცხონებლად, მოგართმევთ ამ წმინდა ღამეს და სულიერი სიტკბოებაც თან მომაქვს; როგორც ხედავთ, საზრდოს ნაკლებობა გვეწია, ამიტომ უნაგარიშოდ მომიწვევიხართ, რათა გაგიმასპინძლდეთ, და, თუ ვერც შესაფერისად მოგიხმობთ, ვერც დიდად დაეინარჩები, გაგულოვნება უთუოდ შიმშილმა შემამლებინა. თვით დედაღვთისა არ საჭიროებს ჩვენგან შემკობას, მისი დიდების და პატივის ნაკლებობას ჩვენ განვიცდით. განდიდებული უკვე რაც არის, როგორღა უნდა განდიდდეს ნეტავ? წყარო ნათელისა ვით განათლდება? რასაც ვაკეთებთ, ამით ჩვენთვისვე ვიწნავთ გვირგვინებს. უფალი ამბობს: „რამეთუ ცოცხალ ვარ მე და მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე“³. საამებელია ჭეშმარიტად, საამებელია სასმელად ღვინო და საზრდოდ პური ჭამადი. აამებს ის, რაც კაცის გულს განამტკიცებს⁴. მაგრამ რა არის უფრო საამებელი, ვიდრე დედა ღვთისა ჩემისა? მან დაატყვევა ჩემი გონება და წარმტაცა ენა. მასზე ვფიქრობ ცხადად და ძილში. იგია დედა ღვთისა — სიტყვისა — და უდგას სიტყვის დასებს წინამძღვრად. იგი ბერწის აღესებაა მონაშენით და გაბერწებული სულების მომშუშაკებული ნაყოფის გამოამლებელად. მის წმინდასა და საღვთო გარდაცვალებას ვდღესასწაულობთ დღეს. მოდიეთ, ავიდეთ

¹ იწოდება სიტყვადაც და შესხზადაც (ე.ი. როგორც *სიტყვა* და როგორც *ყდაც*).

² ქართული სიტყვა „გამოსავალი“ აბსოლუტურად ვფარდება ბერძნულ *εξοδαυ-ს*. ლათინური თარგმანი (*ob ejus excessum deferam*) არ ჩანს ზუსტი ამ შემთხვევაში.

³ I მეფეთა, II, 30 (?).

⁴ იხ. ფსალმუნნი, 103, 15. „და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა, საცხებელითა მზიარულ-ყოფად პირი, და პური გულსა კაცისასა განამტკიცებს“.

* ძველი ქართული თარგმანების შესახებ, რომელთა შენახულობაც გვიან შევიტყვევთ. იხ.: ნ. ჭავჭავაძე, იერუსალიმური სალიტერატურო სკოლის ისტორიიდან. შაცხე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1988. №3, გვ. 123-124.

საიდუმლო მთაზე და ჩვენ, რომელნიც ვიქმენით ყოველდღიურსა და ნივთიერად ხილვადზე დამეტებულნი და რომელთაც საღვთოსა და მიუწვდომელ წყვდიადში შევალწიეთ და საღვთო ნათელში ვართ, — განუსაზღვრელად ძლიერს ძალს ვუვალობათ. მაგრამ როგორ შევძლებთ, როდესაც მისი წყაროა ყოველსავე შემთხვევითზე ამალღებულ დამეტებულად და უნივთო, როდესაც მან შამის შინაგან-გამოუვლელად ქალწულის წიაღში და ვანა, ჩაისახა და განხორციელდა, წაშებანი ნებისთ დაითმინა და სიკვდილის გზას დაადგა სხეულით, რომელსაც მიწისაგან ჰქონდა დასაბამი, და, ხრწნილებით მოიპოვა რა უხრწნელება, კვლავ ნამასთან აღმართა, ხოლო ხორციელი დედა თვისი შობულთან თვისთან წარზიდა და, მიწიერი ცის მომპოვებელი, ცისიერ მიწად აღამაღლა.

ბ. დღეს გაიწივითი, სულის-შინა კიბე, რომლითაც ჩამოემვა უზესთაესი, „ქუცყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა იქცეოდა“¹, — კიბე, სიკვდილით აღერილი, დედამიწიდან ცისკენ აღმართა. დღეს მიწიერი ტრაპეზი, რომელზედაც ზეციური პური არსობისა ღვთაებრიობის ანთარაკად (ნახშირად) გაშლილია უქორწინებლად, დედამიწიდან ცათა მიმართ აღიზიდა და ღვთის აღმოსავალი კარბპით ბჭენი ცისანი იძრნენ. დღეს სულიერი ქალაქი ღვთისა მიწიერი იერუსალიმიდან ზესთა იერუსალიმად გადაინაცვლებს; და დედაღვთისა, რომლის წიაღშიც მხოლოდშობილად ჩაისახა პირშმო,² შამისაგან მხოლოდშობილი, ყოველი ქმნილების პირშმო, პირშმთა ეკლესიაში დაისაყდრებს; და უფლოს კიდობანი, სულის-შინა და სიტყვიერებითი, მის საშვეწელად გადასახლდება. სამოთხის ბჭენი იხსნებიან და ღმერთშემოსილ დედას ეგებებიან როგორც საყანე მიწას, რომლისაგანაც საუკუნო ცხოვრების ძელი აღმოცენდა და ევას შეუსმენელობა და ადამის მოკვდინება გააუქმა. ესე ქრისტე, ყოველთა ცხოვრების მიზეზი, კლდეში გამოკვეთილი ქვაბული, დაურღვეველი მთა შეიწყნარება; მისგან ზელშეუქმნელმა ქვამ ქვეყნიერება აღავსო. თავად სავანეს და პალატს სიტყვის ღვთაებრივი განკაცებისას — საფლავი ექმნა განსასვენებლად როგორც ყოველად დიდებით მოხილი საქორწინო სამყოფო, საიდანაც ზეციურ საქორწინო პალატში ემერება, — ძისა და ღმერთის ცხადლოვ თანამეუფე მდედრი, ხოლო საფლავს მიწიერთა სავანედ თმობს. საქორწინო პალატია საფლავი? დიალ, ყველა საქორწინო პალატზე უფრო ბრწყინვალე, არა ოქროთი ნათელშემომდგარი, არა

¹ ბარუქი, III, 38.

² იხ. იაბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი 1973, პირშმო: პირველად შობილი, უფროსი შვილი; „მავალითი“, პროტოტიპი.

ვერცხლით მოლაპლაპე, ანუ განცისკრებელი პატროსან თვალთა ელვარებით, ანუ სამოსელით, რომელიც ნაჭსოვია დართული ძაფით აბრეშუმის, ანუ ოჭრომკედის, ანუ პორფირისა, — არამედ სულიწმინდის ღვთივ ნათელი სხივიერებით (არის ბრწყინვალე). (საფლავი ესე) არ აერთებს მიწიერ მეტრფეთა სხეულებს, მხოლოდ სულიწმინდის გარსაკრებში მოქცეულთათვის მოაქვს ცხოვნება ღირსი სულებისა; ეს ღმერთთან ყოფნაა, ყოველგვარ ყოფნაზე უკეთესი და უტბილესი. საფლავი ესე ედემს დაემეტა ხატის სიკეთით და, რომ არ გესაუბროთ ედემში მყოფი მტრის სასარგებლო კეთილგანწყობაზე და რომ ვახსენო ოდენ: ბჭობა, შუღლი, სიკრუე, ვეას სიღბო და სინაზე, შესაძლებლობა, ტბილ-მწარე ცდუნება, რის გამოც (?)¹ გონიერულ გზას ასცდა და მეუღლე შეაცდინა, შეუქმნა ღობა, ლტოლვილობა, სიკედლი, — რომ არ მოგოცეთ ეს ყველაფერი, დღესასწაულს გავასრულებ მწუხარების მიზეზით: ამ საფლავმა მოკვდავი სხეული მიწიდან ცად აასვენა, ხოლო მან (ΕΚΕΙΝΗ) ზეითგან მიწაზე ჩამოიყვანა მოდგმის მთავარი. საღვთო წერილში განა აგრე არ არის დასკილი ხატად ღმრთისად შექმნილი: „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“². საფლავი ესე მეტის პატრით შემოსილია, ვიდრე ძველი კარავი აღთქმისა, სიტყვიერებითა და სულისშინა, ღვთივ ბრწყინვალე ნათელის შემწყნარებელი და სიცოცხლე-შემოსილი ტრაპეზისა, რომელზედაც გაშლილია არა ტაძარში მორთმეული წმინდა ნაყოფი, არამედ საზრდო ზეციური, და რომელიც არის შემწყნარებელი არა ნივთიერი, არამედ უნივთო, ღმრთეების ცეცხლისა. საფლავი ესე, მოსეს კიდობანზე უფრო სვიანი, ხედრა-კეთილია არა ჩრდილია და სახეთა, არამედ თავად კემმარტების ხედომით; რადგან მიიღო მარტავი და ხატ-ოჭრო ჭურჭელი, ზეციური მანანის ნაყოფიანი, ფიცარი სულიერი, რომელმაც სიტყვა, ღვთისაგან თითით ნაჩვენები, შეიწყნარა განსახორციელებლად სულიწმინდით, ყოვლად ძლიერით, — გვაშოვნებით სიტყვა, ოჭროს სასაქმევლად, ღვთაებრივ ანთრაკად (ნახშირად) მიიღო წიაღში და ყოველი კმნილება სურნელოვან- იყო.

გ. იდევნებოდნენ დემონები, ვალაუბდნენ, როგორც ეგვიპტელნი დიდი ხნის უწინ, სამგზის უბადრუენი ნესტორიანები და მათი მთავარი (Εξαρχας) — ახალი ფარაონი, სიმწრით აღმესები მსაჭული და ტირანი; ავსტეცვაობის და მკრეხელობის სიღრმეში დაინთქნენ; ხოლო ჩვენ, წყლისაგან მშრალად დახსნილთა, რომელთაც გადმოვიარეთ მოუკრძალებლობის ზღვის წყალი მლამე, —

¹ ძესიპ ბი უ...

² დაბადება, III.19.

ვეგალობით დედალეთისას გალობა გამოსვლისა¹. დე, მარიაჰმა, ანუ ეკლესიამ, ხელთ აილოს დაირა (*τυμπανον*) და წამოიწყოს სადღესასწაულო გალობა. დე, გამოვიდნენ სულიერი ისრაელის ჭალწულეები დაირებით და გუნდ-გუნდად ხმანებდნენ. დე, მეფენი ქვეყნისა და მსაჯულნი და მთავარნი, ჰაბუკნი და ქალწულნი, უხუცესნი და ყრმანი — უგალობდნენ დედალეთისას. კრებულნი და სიტყვანი ნაირგვარნი, ტომთა და ხალხთა სულ სხვადასხვა ენები, დე, ახალი აზმის იყვნენ გალობის-მოქმედებისათვის. დე, ირგვლოვ გვედგეს პაერი საგალობლიანი, სულიერი საღამურებით და საყვირებით ბგერადი, და ცეცხლისაგანი ელვარებით ახლდებოდეს დღე მაიხოვარებისა. გიხაროდეთ, ცანო, და ღრუბლებმა ამცერიონ ხარება. ლალობდეთ, ღვთის რჩეული სამწყსოს ცხოვარნო, ღვთის მოციქულნო, რომ მაღალი, ცას მიახლებული მთანი უმაღლესი საღვთო ხედვით აამაღლეთ; ფარაო ღვთისავე, ხალხო წმინდაო, ეკლესიის რძით გაზრდილებო, როგორც ბორცვი ეტოლებიან მაღალ მთებს, აგრე გამორჩევით აწვდილობართ თქვენც. ნუთუ მოკვდა წყარო ცხოვრებისა, ჩემი უფალის დედა; რადგან მიწისაგან შექმნილი კვლავ მიწას უნდა დაბრუნებოდა და ასე ცისკენ აღმდარაიყო; მიწიდან ჰქონოდა ამომღებელს² მორთმეული ყოვლად შეუმღვრეველი ცხოვრება სხეულის მიწად მიტკევის შემდეგ; რადგან როგორც ის, ვინც ამოიღებს ოქროს მიწიერ და უნათულო მოკვდავობის ტვირთად და გამოაბრწყინებს ნათელით უხრწნელებისა, როგორც დნება სიკვდილით ხორცი უხრწნელი და წმინდა, — იგი უნდა აღმდგარიყო ხსენებით.

დ. ეს დღე პირველი, ანუ სხეულებრივი ყოფიერებისა საწყისის იღებს მისგან, ვისაც უამიერი საწყისი არ ჰქონია თავისი უპირველესი და მარადიული არსებობისა,³ თუმცა მამა ჰყავდა საწყისად, როგორც თავისი ღვთაებრივი არსებობის მიზეზი. იხარებდე, სიონო, ღვთაებრივო მთაო წმინდავე, რომელზედაც დამკვიდრებულა ღვთაებრივი მთა სულიერი. ახალო ბეთელი, რომელზედაც ცხებულა სვეტი, ადამიანური ბუნება ღვთაებრივობით არის ნაკურთხი. შენგან, როგორც ზეთისხილისაგან, ზეციერი სიმაღლისაგან აღიწია ძე ღვთისმშობელის. დე, მზადდებოდეს ღრუბელი სრულიად სამყაროული და სამყაროს ირგვლივი და

¹ *εξόδιον*-ის თარგმნა კონტექსტმა აქ ასე მოითხოვა.

² *εκ της γης λαβων* ლათინურ თარგმანში გამოტოვებულია აზრის გასაცხადებლად.

³ ამ რამდენიმე სტრიქონს ვთარგმნით ლათინური თარგმანის მიხედვით, რადგან ბერძნული ტექსტი შეტისმეტად არის დახლართული. ხოლო სხვაობა ფრაზად სერიოზულია: ბერძნულ დედანში ამ დღესთან დაკავშირებულია მეორე, ანუ სხეულებრივი ყოფიერების საწყისი. ლათინურ თარგმანში მეორე ყოფიერება არ არის ნახსენები, არის *prima* და *prior*: პირველი და უპირველესი.

ქართა ფრთებით მიწის კიდეთაგან სიონისაკენ მოემართებოდნენ მოციქულები. ვინ არიან ღრუბლებისა და არწივების მსგავსად მფრინველნი გარდაცვლილსკენ, რომელიც მიზეზია ყოველთა აღდგომისა, მფრინველნი დედალეთისას მსახურებისა და ლოცვის კმნისათვის? ვინ არის იგი, ზეაღმავალი, თეთრი ყვავილის ფერი, მთლად მწყაზარი, მნათობი, ვითარცა მზე? დე, ხმიანებდნენ სულიწმინდის კითარები, მოციქულთა ენანი. დე, ჟღარუნებდნენ წინწილნი; ხმიერებდნენ ღვთისმეტყველთა სიმალღენი, ჭერი რჩეული ჰიეროთეოსი, საღვთო სულით ნაკურთხი, საღვთო ერთიანობით საღვთოდ ნაწამები და განწავლული, მთლად განვიდეს სხეულიდან, მთლად განეშოროს თავისი ნებით და ტაშს უკრავდეს საგალობელთ-წინამოსართავების თანხლებით. ტაშს უკრავდეს ყოველი ტომი, ყველა დედალეთისას უგალობდეს. ანგელოზები მოკვდავ სხეულს ლოცვად შედგომით კმსახურებდნენ. იერუსალიმის ასულნი, მიერთვნით და შეუდგით დედოფალს და, როგორც მისი ახლობელი ქალწულნი, სულიწმინდით რომ ყმაწვილობთ, ნეფისკენ ერთად გაეშურენით და მბრძანებელს მარჯვენით ამოუდგით. ნეტარ გარდამოსულიყავ, მბრძანებელი, — დედის თანამდები და მოვალე, მიმზღველი სარგებელი მადლიერების. ღვთაებრივი ხელები გაუწოდე; შეიწყნარე სული სადღო, მამის ხელებით ჯვარზე დაასვენე სული საფშვინველი, ამოთქვი მისთვის ტყბილი რამ და ჩასჩურჩულე. მო, მშვენიერო, ახლობელი ჩემო, რომელიც ქალწულობის მშვენიერებით მზის უმეტესად მოეღვარე ხარ. შენ ხომ მქმენ შენთა მონაწილე; აჰა, ჩემთაცა გაგვმბე. დედაო, ძისაკენ ისწრაფე. თანამეუფე იქმენ მისი, რომელიც შენგან იშვა და შენთან ერთად დაგლაბაკდა. წა, დედავ-ბატონო, წაბრძანდი, ოლონდ ვით მოსე კი არ ახვიდე და არ აღესრულა, — უფრო სრულ იქმენ და ისე ადი. სული მიანდე ხელთა ძის შენის. დაუბრუნე მიწისა მიწას, რომ ესეც აღდგეს. გაახილე თვალი, ხალხო: ღვთისაო. ეჰა, სიონში კიდობანია უფლის ღვთის ძალთა, მასთან მოციქულნი სხეულებრივად დგანან და ზრუნავენ სხეულზე, რომლის საწყისიც სიცოცხლეა და რომელიც ღვთისგან არის შეწყნარებული. უნივთოდ და უხილავად უვლიან შიშით ანგელოზები, თავიანთი მბრძანებლის დედას გვერდით უდგანან და მონების სახეს იფერებენ. თავად უფალი მასთან არის, ყოვლგნით არის და ყოველს ავსებს, ევლებს, რომელსაც ადგილი სრულიად არა აქვს, რადგან მასშია ყოველი, როგორც შემოქმედებისა და ძირეულ მიზეზში. ეჰა, ქალწული, ასული ადამისი და დედა ღვთისა, ადამისათვის მისცა სხეული მიწას, ხოლო ძისათვის სული ცისიერ კარებებში აღავლინა. წმინდად იკურთხოს წმინდა ქალაქი, კურთხევანით მოისთვლოს საუკუნო კურთხევა. საღვთო ტალავარის გადასვენებას წინ წარუძღვენ ანგელოზები და მოუწყონ საფლავი. დააშვენოს ესე

სულიწმინდის ელვარებამ. განმზადდეს ნელსაცხებელი და ცხებულ იქმნეს ყოვლად უმანკო და ყოვლად კეთილსურნელოვანი სხეული. თან წყალი იყოს ანკარა და კურთხევას იწყურვილებდნენ კურთხევის შეუმღვრველი წყაროდან. ხარობდეს ჭკვიანა სხეულის გადასვენებით. პაერი ლაღობდეს სულის ზედასვლით. მოპბეროს ნიავმა, ცვარის სახისამ და მადლით სავსემ. ყოველმა ქმნილებამ იდღესასწაულოს დედალეთისას ზესთა ამალღება. კაბუკთა ქორონი ზარს მოსაძახოდნენ. ენანი მკვერნი დიოდნენ საგალობელთწინამოსართავებთ. გულნი ბრძენთანი სასწაულს ბრძნულად მეტყველებდნენ. მხკოვანი და პატრე-შემოსილა მოხუცებულნი საღვთო ხედვის ნაყოფს გამოილებდნენ წყნარად. ყოველი ქმნილება იყოს ერთიანად თანამონაწილე. განა ასე არ აღწევენ სულ მცირე ღირსებასაც.

ე. მოდით, ყოველნი გონიერად მიცვალბულთან ერთად მივიცვალნეთ. მოდით, ყოველნი გულის წადილით ერთიანად მის კვალს შევედგეთ, ვინც საფლავში ჩავსვენა. გარს შემოვევლოთ უწმინდეს სარეცელს. წმინდა აზმანი ვუგალობოთ და ვუთხრათ გალობით: „გიხაროდენ, მიმადლებული. უფალი შენთანა“¹. ნეტარ განიხარებდე, წინათვე მოსწავებულო დედალეთისავ. ნეტარ განიხარებდე, რჩეულო ღვთის ნებით უწინარეს საუკუნეთა, მიწის მცენარევე უსაღვთოესო, საყოფელო საღვთო ცეცხლისავ, სულიწმინდის უწმინდესო ქანდაკო, წყაროო ცხოველმყოფელი წყალისაო, სამოთხეო ცხოვრების ხისაო, საღვთო ყურძნის რტოო, რომელიც წყაროდ გადმოადინებ სულოერ ნეტარს და ამბროსიას, მდინარევე, აღვსილო სულის სურნელებით, საღვთო საყანე მიწავ, ქალწულებით ფრად ნათელო ვარდო, რომ ჰმეშინავ მადლის ნელი სურნელით, შროშანო, სამეფეო საგალობლებით შემოვლებული, კრავაი ხარ, ღვთის კრავის მშობელი, რომელმაც იტვირთე მთელი ჭკვიანის ცოდვა, ჩვენი მაცხოვრების სახლო სამეშაკოო, ანგელოზების ძალთა უზესთაესო, მხევალო და დედაო. მოდით, გარს შემოვეწყით წმინდა და ხელუხლებელ საფლავს და საღვთო მადლის წყურვილი მოვიკლათ. მოდით, მისაგებებლად გარდახსნილი სულით ვატაროთ მარადქალწული სხეული და ერთად შევიდეთ აკლდამაში და ერთად მოგვედეთ ჩვენ, რომელნიც განვმორებივართ სხეულის ვნებებს და ვეწვეით ცხოვრებას მცხრალს და წმინდად შეუმღვრველს. უფრი დავედროთ საღვთო საგალობლებს, რომელთაც ფსალმუნებენ ანგელოზების უნიეთო და უსხეულო ბაგებთ. შევიდეთ სათაყვანებლად და ვცნათ გულისხმით უცხო საიდუმლო

¹ ლუკა, 1,28.

როგორ ამალღებელია, როგორ ზეაზიდელია, როგორ განთქმულია ცამდე, რომ ყოველთა ანგელოზთა გუნდთა ზესთა-დგას ძესთან, ხოლო არაფერია შორის დედისა და ძისა. აჰა, მიძინების მესამე სიტყვა წინა ორისათვის დამირთავს შენ-და, დედალეთისავ, სამების წინამე კრძალვით და სიყვარულით. მას მსახურებდი შენ მამეული ნების სიკეთით და ძალით სულიწმინდისა და შეიწყნარე დაუ-საბამო სიტყვა, ღვთის ყოვლად ძლიერი სიბრძნე და ძალი. შეიწყნარებდე გულმოდგინებას, ძალის უმეტესს, და მოილო მაცხოარება, მომამორე და გამოუ-ცხოვე სულიერი წამებანი, დამიწყნარე სხეულის ტყვიანობი, დამხსენ საფ-რთხეთაგან, მშვიდად მამყოფე და მომეც ნათელი სულს. შენი ძისადმი სიყვ-არულით გვქმენ ცეცხლიანნი, მის მოსაწონად მოაწყვე ჩვენი ცხოვრება, რათა მივწვდეთ მისეულ ნეტარებას და გხედავდეთ შენ — ძის დიდებით სხივიერს და განცისკრებულს. წმინდა საგალობლები აღევალინოთ საუკუნოდ გახარებულთა, ეკლესიაში ღირსად სულიწმინდისა სადღესასწაულოდ შემოვიკრიბოთ მის სა-ხელზე, ვინც შენი მეოხებით გვაცხოვნებს, — ესე არს ქრისტე, ძე ღვთისა და ღმერთი ჩვენი, რომელს აქვს დიდება და ძალი, დაუსაბამო მამასთან და ყოვლად წმინდასა და ცხოველყოფელ სულთან ერთად, აჟ და მარადის და ყოვლად და უსასრულოდ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

პეტრე სიკელიოტესის შესახებ

პეტრე სიკელიოტესი IX საუკუნის მოღვაწეა. მისი პოლემიკური ნაშრომი, მიმართული მანიქეველთა ერესის წინააღმდეგ, ვრცელია და გასაოცრად წინდახედულად აგებული. რათა ძირიანად აღმოიფხვრას წვალება, ავტორი გადმოგვცემს მის წარმოშობასაც და თანდათანობით მომძლავრებას, ასე რომ ეს ერთგვარად ისტორიული ძეგლიც ვახლავთ. პოლემიკის ენარი ჩვენი „ქრეს-ტომიათისი“ ამ ნაკვეთში მხოლოდ პეტრე სიკელიოტესის თხზულებით არის წარმოდგენილი, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვავალებდა დედნიდან სათარგმნი მასალის გამოკრებისას. ალბათ ბევრი რამ დაგვრჩა ყურადღების მიღმა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ამ ძეგლებს ჩვენს შემდგომ სრულად თარგმნიან. ყოველ შემ-თხვევაში, თარგმანის პრიზმა იმას მაინც მიახვედრებს მკითხველს, რომ „ენამზე ელინებში“, როგორც დიდი წინაპრები უხმობდნენ, პოლემიკაშიც ენამზეობენ.

ანტიკური მწერლობის დიალოგებში, სადაც კამათი ბადებდა, ბუნებრივია, შეფარდებითს და ბევრწილ ამსოლუტურ კემმარტებას, იღებს სათავეს ბიზანტიური პოლემიკა, ხოლო თვით საუბრის ფორმა იშვიათ მარგალიტებად

დარჩა ჰიმნოგრაფიაში ღვთისმშობლის და მთავარანგელოზის საუბრის სახით. ამ საუბრის თემაზე თითქმის ყველა დიდ ბიზანტიელ ჰიმნოგრაფს შეუთხზავს გალობანი. გულუბრყვილობა იქნებოდა, დაგვეჭვრებინა ზოგიერთი ვეროპელი სპეციალისტისათვის, თითქოს პოლემიკური მწერლობა ბიზანტიაში წარმოიშვა ქრისტიანობის გავრცელებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ. ჩვენ ღრმად არ ჩავძიებთ, ბერძნულად მოღწეულია თუ არა IX საუკუნემდელი ძეგლები ბიზანტიური პოლემიკისა, მაგრამ ქართული მწერლობა ამ მხრივაც ხელუხლებელ განძად სატარებელია. აკად. კ.ეკელიძე პირდაპირ მოუთითებს, რომ „საქართველოში ეს დარგი მწერლობისა შედარებით ადრე დაწყებულა, რაც იმით აიხსნება, რომ ის, ერთი მხრით, გარემოროტყმული იყო არაქრისტიანებისაგან, მეორე მხრით, ხშირად ხდებოდა ასპარეზად სხვადასხვა ქრისტიანულ მწვალეობათა შეტაკებისა; ამიტომ ის იძულებული იყო თვითონაც ეწარმოებინა ლიტერატურული პოლემიკა უცხოეთიდან შემოტანილი იარაღით თუ საკუთარი შემოქმედებით“.¹

პეტრე სიცილიოტესი გვხიზლავს ტექსტების დღემდე შესაშური ცოდნით, და დასამოწმებლად სათანადო ადგილის შერჩევით, გნებავთ, როცა ზუსტად იძოწმებს, გნებავთ, როცა მშვენიერი პერიფრაზი მოაქვს. სხვა ლირსებებს თვით ტექსტი ნათელსყოფს.

მანიქველთა ნვალების საჭირო ისტორია, გამოკვლევა და მხილება, მიმართული პირადად ბულგარიის არქივისკოპოსისადმი

5. მთავარი ბოროტებისა გველი და უეწმინდურესი ურჩხული, ღვარძლის მთესველი და ყოველი ურჯულოების წინამძღვარი და მსწავლეელი, სიცრუის მოთავე და მისი მამა, ამპარტავნების ბილწი შესაფარი, სანაცვლოდ ყრმისა, მორწმუნეთა ფეხით გასარესილი და დათრგუნევილი, საკუთარი რჩევით რომ განაშორა ღმერთს მისგან პატივით შექმნილი ადამიანი, სამოთხეში ნეტარებით გასავლეელი ცხოვრება ბოროტებით გადასწონა და იქიდან განგდება განუშადა; ყოვლად უბადრუკმა სიტყობებას ანაცვალა ბოროტება, — გაყიდულმა ვითარცა ოთხფერხმა, თავისი ნებით, ჰოი, ცოდვის სარგებელად. მხოლოდ ღმერთი

¹ კ.ეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 474.

შეინანებს ცოდვისათვის და, როგორც ჭოჭოხეთის გამოსასყიდელში, ადამიანთა სულების დაცვის ნებას რთავს, სანამ ჩვენთან არის განხორციელებულად ძე ღვთისა, უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, ერთი — სამებისაგან წმინდისა და ყოვლად საგალობელისა. მზაკვარმა ბევრი და ნაირგვარი კერპთმსახურებით და საკერპო მწიკლეუანებით, შესარცხვენელი საქმეებით და საცთური ტყობით დაიმონა ადამიანი, რომელიც უფალს თითქოს აღარასოდეს მოუხმობდა თავშესაზიარად, — ბოროტებისგან სულ ადვილად დასაძლეველი. მაგრამ ვერ მოეწევა ამას მზაკვარი ნადირი, გასცრუებია იმედები სულ მუდამ მტყუვარს; რადგან მხოლოდშობილმა ძემ და სიტყვამ ღვთისამ, მამის თანადაუსაბამომ და ერთარსების და ცხოველმყოფელის და ყოვლად წმინდა სულის თანამარდისმა, გამოუთქმელი კაცთმოყვარებით განიზრახა, კვლად კეთილად მოეხვეჭა კაცი, რომელიც შექმნა მიწისგან და თავადვე შთაბერა სული და ღვთის საფერად განადიდა, მამის სურვილით და სულიწმინდის თანამოქმედებით თავისავე თანა, წმინდა ქალწულისგან შეისხა ხორცი, სულიერქმნილი სიტყვიერებითი სულით და გონებით, განკაცდა, ვითარცა შეუქცეველი, — უცვალბებულად იმისა, რაიც იყო; ხოლო ის, რაიც არ იყო, აღიღო, ვითარცა კაცთმოყვარემ. განვლო ქალწული დაბეჭდილი და კვლად დატოვა ქალწულების ნათლით ელვარე და დიდებული, როგორც წინასწარმეტყველურად თქმულა და დაფარულად: ქალწულის რჯულისა და ყველა წინასწარმეტყველისაგან უწინ უცხოდ ნაწინასწარმეტყველები იქმნენ ბეჭდნი და წინასწარ განმჭვრეტი თეალისათვის ნაჩვენები იყო დიდება ქალწულისა. „ბჭე ესე დაკუმულ“¹, მხოლოდ ღმერთისთვის შენახულიო, — პირველად თქვა; „წყარო დაბეჭდილი“² მეორედ თქვა; და გამოვიდესო ძირი იესესი ქალწული და „ყვავილი ძირისაგან აღმოკდეს“³ უფალი და ღმერთი ჩვენი, მისგან განსხვავებული. და თავადვე თქვა: „აჰა ქალწულმან მუცლად ილოს და შვეს ძე“⁴; მასასადამე, მისგან უფალი განკაცდებოდა შემოქმედებით, მასში (ქალწულში) დამკვიდრდებოდა და მისგან ხორცშესხმული ღმერთი გამოვიდოდა; და რად შეირაცხება ყოველი ასეთი დამოწმება (წინამოსწავება), რომელსაც გულმოდგინენი ინახავენ?

6. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ეხლალა ამოდ წამოვწიეთ წინ მარად-ქალწულის და ღვთისმშობელის მარიამის დამოწმებანი, რადგან ჰეშმარტების მტრები ამტკიცებენ, რომ ქალწულის ღვთისმშობელობა წარმოსახვითია, და არა

¹ ეზეკიელი, 44, 2.

² ჭება ჭებათა, 4, 12.

³ ესაია, 11, 1.

⁴ ესაია, 7, 14.

კეშმარიტი. ლაქლაჭებენ, თითქოს ღვთის შობის შემდეგ მარიამს სხვა შვილებიც შეეძინა იოსებისგან. ხოლო ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველთა დამოწმებებს უგულუბელყოფენ, როგორც შემდგომ გაცხადდება უფრო მეტი ზედმიწევნით. ამბობენ, წმინდა სახარების და მოციქულის სიტყვებს მივსდევთ; მზაკრულად და მოჩვენებითად ცხარის ტყავით მგელი შეუფარავთ ყოვლად უგუნურო. საღვთო წიგნად წყობილი სახარება და მოციქულთა წიგნი თანმიმდევრობით გვაწვდიან წინასწარმეტყველთა დამოწმებებს და წარმოვიდგინენ წინასწარმეტყველთ, როგორც ნღობის ღირს მოწამეებს, რომლებმაც ყველაფერი უტყუერად გადმოსცეს წინასწარ და კეშმარიტებას დაემოწმენ და ხედვის და გონების გასამახვილებლად აღძრეს მსმენელნი, რათა მომავალი კეშმარიტების გზას არ ასცდნოდნენ, რამდენადაც ზოგიერთ კავშირს (ელემენტს) წინასწარმეტყველებით გამოუსახავდნენ და საღვთო ხედვის ზეღვსვლას საქმედ უქცევდნენ. მაგრამ მცირედ დავაყოვნოთ სიტყვა მარად გოგონაზე¹, საკუთრივ და კეშმარიტად განდიდებულ ღვთისმშობელსა და მარად ქალწულ მარიამზე; თუკი საშინელი პავლიკანები შეიმუხრებთან. გვძარბებს მიუღბრუნდეთ იმას, რასაც ოდნავ დავშორდით.

7. დიდი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე მიწაზე გამოჩნდა და ჩვენ, კაცთა, შორის ტრიალებდა, ასე რომ მთელი კრპთმსახურება მის ფერხთაგან დაითქრა და განქარდა. ...ალიესო თანა ყოველი ჭეყანაა მეცნიერებითა უფლისათა, ვითარცა წყალმან მრავალმან და-რა-ფარის ზღუანიო.² მას შემდეგ ცის ერი სიკეთით მიწაზედ მოქალაქობს და ანგელოზებთან ასპარეზობენ კაცნი, სიკეთითა და სათნოებით ქმნილნი ღვთის სახლელულად. ჭვარი მიწაზედ დაემყარა და პური არსობისა, კაცთმოყვარებით ციდან მოღებული, ღმრთეების თანა-არსია; სხეული კი არ ეშვება ძირს, არამედ მიწიდან აღებულია სხეული ესე ჩვენდა მსგავსად ვნებული და ჭვარის ძელზე აძლიებული. იმ ღვთიერი სისხლით ნაკურებია მიწა და კეთილსურნელების სინელე მისი მონანქრევი. ნასაზრდოები მისი პატიოსანი სისხლის და წყლის აიაზით, სიტყვიერებითი სიამის ფშვინვა და ნაირგვარი ყვაილი აღმოკვალს ყოველგნით აწ უსასრულოდ. თაყვანს სცემენ ძელს, რომლითაც მაცხოვრება აქვს ნაბოძები კაცთა მოდგმას და რომლითაც მიწაზე დამხობილი მტერი, ბოროტების მთავარი, შესაფერისად და დროულად დაიჭრა გულში. ქრისტეს ვნებათა არცერთი სხვა გამოხატულებით

¹ ტექსტშია: *ის იოსებო*.

² ვახია, 11,9.

ასეთი საშინელი და უცნაური არაფერი ჰქნია, როგორც პატიოსანი და ცხოველმყოფელი საუფლო ჯვარით გამოისახა; მკვდარი აღდგენ უფლისა და ლეთისა ჩვენის ჭოჭობეთში ჩასვლის უწინვე, ფარდა ნაფლეთებად იქცა, მიწა შეირყა, მზე წყვედიადით დაიფარა და კვალად აღენთო, ერთით აჩვენა იუდეველთა ბნელში ყოფნა, ხოლო მეორით წინასწარ აჩვენა აღდგომის სინათლე. ბოლოს, დახსნილი იქნა ჭოჭობეთში პერობილი კოველი სული -- უფლისა და ლეთისა ჩვენის მათთვის გამოცხადებით. და ჭოჭობეთი დაეშო, რათა აღარასოდეს პულოდა ტყვეებად უფლის სახლით მიძინებელი სულეზი. ყოველი ესე საშინელი საკვირველება საღეთო ჯვარის დაუქლეველე ძალით მოხდა, მასზე გაკრული ჭრისტეს, ლეთისა ჩვენის, ძალით. დე, შერცხვენილნი იყვენ და კდმა შემორღვეულნი და მოკვდინებულნი ჯვარის დიდების უარისმყოფელნი და არ მოთაყვანენი უეჭველი რწმენით მისი, როგორც ლეთივ ბოძებელი უძლევლობი. ტროფეისა. მაშასადამე. მოშურნე და ყოვლად ბოროტი და სიკეთის მოძლეუ ეშმაკი, რომელსაც თავი შეემუსრა და გულში ევეთა ჯვარის ძელი, უწინდებურად აშკარად, როგორც სჩეოდა, ველარ იქმოდა თავის გულში ნადებ საძაგელ საჭმებს. ზოგთა უბადრუკთა, მათგან ფარულად, სულით გააშმაგებდა, გონებას აუმღვრევდა და აკთუნებდა „ორგულებითა და სიტყვთა ტყუილისათა, შემწუარანი თქსითა გონებითა“¹ ღირსნი იყვენ და უშრეტელი ცეცხლისა აღმაგზნებელნი თავითურთ თვისით.

8. ხოლო არ მიატოვა ადათისამებრ კეთილმა და ყოვლად კეთილმა და ზესთაკეთილმა უფალმა თავისი ძვირფასი ჰქნილება კაცო, რათა მას სიკეთე მოემუშაებინა. ჯერ ეკლესიაში დააყენა მოციქულები, როგორც საკეთარი თვალით მხილველნი და მსახურნი, რათა მისი განუზომლად შთამბეჭდავი ძალის სხეულებრივი გარდამოსვლა² საქვეყნოდ გაეცხადებინათ და ეუწეებინათ დღეთის ნიშანნი ჰქმნარიტად აღეწერათ. ისინი არც ქრისტეს სხეულებრივ ვნებებს უნდა მორიდებოდნენ, არც სასწაულთათვის დაერთოთ ნაყალბევი, არამედ ყოველგნით ჰქმნარიტებაზე უნდა ეზრუნათ და ლეთის სიტყვის განხორციელება³ უტყუარად ეკადაგათ. მეორე, წინასწარმეტყველებს საიდუმლოდ დაფარული და განუკურნელი ვნებანი და წყლულებანი სულიწმინდის საღეთო და ძლიერ მახელით ძირებიანად უნდა აღეფხვრათ და სა არგებლო და სიკეთით გადაშლილი მცენარენი დაენერგათ. მესამე, მოძღვარნი, ერთავ მოციქულთა და

¹ 1 ტიმოთეს მიმართ, 4,2.

² ანუ კაცებრივ ხორცთა აღბემა?

³ დედან შია: *ἐκφορῶν ὁμοιωμάτων*.

წინასწარმეტყველთა) დამცველნი, მათს საქმეებას და სიტყვებს უფრო სრულად განმარტავენ. მათი საღვთო მცნებებით ძველდაც ძლიერდებოდა და ეხლაც ძლიერდება მთელი საქრისტიანო ეკლესია, რომელიც ბჭეთა ჭოჭოხეთისათა განმხრწნელ წვალებებს — არასოდეს დაუძლევიან და ვერც დაძლევენ, კარგად ვუწყით საღვთო გამოჩინების მიხედვით¹. ჭაფი აქვთ მომდგარი გამუდმებით მწვალებელთა ლაქლაქის ფუკად მომსკდარ ტალღებს. დროთა განმავლობაში მართლმადიდებლობისათვის ყოველმა მებრძოლმა სათითაოდ მიიმხრო წვალების მთავარი და ჭეშმარიტების ნათლის წინაშე წვალებათა წყვდიადმა უკან დაიხია. ეკლესიანი ლეთისანი დარჩნენ უძრველად; ხოლო ყოველად უბადრუკმა მწვალებლებმა უმცა მცირედ განიცადეს თვისთა სამარცხვინო აზრთა და ზრახვათა ბოროტება, დიდ დროს აღარ გაუვლია მინც, რომ მათი ბოროტმოქმედების სიცრუე დაირღვა. როცა ეს ყველასთვის გასაგები და შორეული გახდა, ეკლესიანი ლეთისანი განათლდნენ და აწ და საუკუნოდ იქნებიან განათებული.

9. დაბნელებულს და ტალახში ამოსერილს და შფოთიანს და ყოველად უწმინდურს და განრყენილ წვალებას მანიჭველთა აოტებს ყოველი გვარტომი იმის გამო, რომ განუკურნელია და ყოველი სიბილწით აღესილი და მწვალებელთაგან ღრმა სიჩუმით პატრედებული და ნათაყვანები, რადგან იმას ენუკვიან, რომ საიდუმლონი და წვალებანი არ გაანდონ ყველას, არც მათს სახლეულს, არასგზით აქციონ უცხოთათვის საჭაროდ, არამედ გაანდონ მცირერიცხოვანთ, რომელნიც ეცნობებთ როგორც თვისიანები, უფრო სრულად მოუკრძალებელნი. არცთუ დიდი ხნის უწინ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ განდგომილთა ძალებით სრულად ქმედითად ქვეულმა და დამოწაფებულმა ბოროტების მთავრის სატანისაგან და ცთომით ნაწინამძღვრებმა (მანიჭველურმა ერესმა) თავისი წინა განდგომილება ტყვილებით მიიღო წიაღში, სხვა ხორციელი დემონები კი მათს წინამძღვართან — ეშმაკთან ერთად საქვეყნოდ წმინდა-ყო და არც არავინ ჩანდა ურწმუნო, რომ ისინი დემონები იყვნენ. რის თქმას ან კეთებას დემონებიც ვერ ბედავენ, თავად მწვალებელნი ურცხვად და გაუწითლებლად აკეთებენ და ამბობენ ყოველისმპყრობელი ლეთის და ყოველი ადამიანის საწინააღმდეგოდ. როგორც დაკვირება გვიჩვენებს, მათ ადამიანებთან შეურევნელად გააჭტო თავი უკიდურესი ურცხვინობით და უდაბნოში სახლდებიან ვით დემონები. უჩვეულო და უცნაურ საკითხებს აყენებენ, თითქოს წმინდა სახარებისა და მოციქულის

¹ მათე, 16,18: „და ბჭენი ჭოჭოხეთისანი ვერ ვრეოდან მას“.

სიტყვები განემტკიცებინოთ დამსმენთა ამათ და ყოვლად მწიკვლევანთ. ხოლო ეს საკითხები საიდან და როდის ამოკრიბეს, აქ ჩვენს სიტყვაში, რომ მივადგებით, უმალ მოგიტხრობთ, რაკი შემოვწერეთ მცირედი და დავანაწევრეთ რიცხობრეად, სანამ მარტეად აღწერით ადვილად დასამახსოვრებელი გახდებოდა. მანიჭველთა ისტორიის გადმოცემის შემდგომ ვიწყებთ მხილუბას და გამკლავებას მათთან, რამდენადაც ძალი შეგვეწვეს ღვთისგან, და თითოეული თავისთავის პირდაპირ წმინდა წერილის ჩვენებათა და დამოწმებათა შეწონილ (პარალელურ) განლაგებას ვიღებთ საფუძვლად.

10. მანიჭველთა პირველი მისანიშნებელია ორი საწყისის აღიარება — ბოროტი ღმერთისა და კეთილისა, აგრეთვე ის, რომ თითქოს სხვა არის ამ სამყაროს შემოქმედი და ხელისუფალი, სხვა — მომავალი სამყაროსი. ესეც არის, რომ ხშირად მათ გამოარჩევენ სინატიფით, როცა თავისუფლად არიან. და ჰკითხავენ ვისმე მათგანს, როგორც არ უნდა იყოს თანამოსაუბრე: მიიხარ, რით განვსხვავდებითო რომაელთაგან (რომეებისაგან). სიწმინდის მცკრევის განუცდელნი, ურგებნი, ურწმუნონი, უმადურნი, და სიკეთის ტრფობის უკოდნელნი — თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებენ, ხოლო ჩვენ, რომელთაც ჰქმმარიტად ქრისტესგან, ჩვენი ჰქმმარიტი ღმერთისგან, მოგვდგამს სახელწოდება, რომაელები (რომეები) დაგვარჩევს, სცადეს რა საგვარეულო (ეთნიკური) სახელით შეეცვალათ საკეთარი, რომლითაც ჩვენ, უტყუარი ქრისტიანები, უფრო ვმალდებით, ვიდრე იმით, რომ თითოეული ჩვენგანი იყოს მფლობელი მთელს ქვეყანაზე არსებული ოქრო-ვერცხლის და პატროსან თვალთა ათასების და მირიადების. ამბობენ, თითქოს მათ განასხვავებს ის, რომ სხვა ღმერთს თვლიან სამყაროს შემოქმედად, ზეციერ მამას ხელმწიფობის მჭონედ მიიჩნევენ არა ამა სოფლად, არამედ მომავალ საუკუნეში. ხოლო ჩვენ ერთადერთი, ყოვლის შემოქმედი, ყოვლად მეუფე და ყოვლის შემძლე ღმერთის აღმსარებელი ვართ. გვეუბნებიან, თქვენ გწამთო სამყაროს შემოქმედი, ჩვენ კი ის, რომელზედაც უფალი სახარებაში იტყვის: „თქვენ არცა ვმა მისი გესმის სადამე, არცა ხატი მისი იხილეთ“¹. ამაოდ და უგუნურად ირჩებიან მოლაჭლაქნი, როგორც შემდგომ ნათელი გახდება.

მეორე, სიბუნღილით კრძალავენ იმასაც, რომ ყოვლად საგალობელი და მარად ჭალწული ღვთისმშობელი მარტოოდენ მიეთვალოს კეთილ ადამიანთა რიცხვს. არც ჭალწულისგან უფლის შობა სწამთ; ამტკიცებენ, ზეციდან ჩამოყ-

¹ იოანე, 5, 37.

ვაო სხეული და უფლის შობის შემდეგ მარიამმა სხვა შვილებიც დაბადაო იოსებისგან.

მესამე, უარყოფენ უფლითა და ღვთისა ჩვენის სხეულის და სისხლის წმინდა საიდუმლოთა ზიარებას, საღვთოს და კრძალვით აღმსებებს. და არა მხოლოდ თავად აქცევენ ზურგს, არამედ სხვათა მიმზრობასაც იმედოვნებენ. ამბობენ, თითქოს არ არსებობდა პური და ღვინო. რომელიც უფალმა მისცა თავის მოწაფეებს სატრაპეზოდ, არამედ სახისმეტყველებით (სიმბოლურად) გადასცა მათ თავისი სიტყვები, როგორც პური და ღვინო.

მეოთხე, მათთვის მიუღებელია პატრიოსანი და ცხოველყოფელი ჯვარის სახე, ქმედება და ძალა; განუზომელი სოუხეშითა და კანდიერებით არ ინდობენ. ხოლო ჰაერში მყოფი დემონები, ხედავენ რა მხოლოდ პირჯვრის წერას, ძრწოლით ელტვიან წინამძღვარს — ეშმაკთარ ერთად.

მეხუთე, ისინი არ ებუღებენ ვითომ გონივრულ (?)¹ ძველ აღთქმას. ცთომილებსა და ვაჩაყბს. წინასწარმეტყველებად წოდებულთ (როგორც შემდეგ თავის ადგილას, გუცხადღებ: უკრაოსრულად და ზედმიწევნით), წმინდასახარება — ოთხთავს და წმინდა პავლე მოციქულის თითხმეტ ეპისტოლეს და იაკობის კათოლიკე (ეპისტოლეს) და თანესის სამს და წმინდა იუდას კათოლიკე (ეპისტოლეს) და საქმეთა მოციქულითა. ყოველივე ეს ჩვენთან იხმარება სიტყვის შეუცვლელად აქვთ თავიანთი მძღვრის სერგიოსის ღვთის საძულველი ეპისტოლენი, ამპარტაყვებით და მოუკრძალებლობით საესე. ორ კათოლიკე (ეპისტოლეს) ეკლესიის დიდი და ხელუხლებელი საძირველის, ცათა სასუფეველის ელიტეთმპრობელის, პეტრე პირველმოციქულისას მისნი მოძულენი არ ლებულობენ და სოუხეშით და მირიადი განიცხვით ქილავენ. არ ვიცო, რა აქვთ მხედველობაში. ვფიქრობ, შესაძლოა, როგორც მათთვის ხშირად მოტყამს პირისპირ, წინასწარმეტყველების მიხედვით, მას ელოს მათ შიარის ყოფნა განაკეთებრეთ უწმინდურად მოქმედი მათგანის სიბოროტის მიზეზით. და რტყის ნეტარი მოციქული თავიერე ეპისტოლესი: ამისთვს, საუეარელნო. ამას მოელოდეთ ცულოთ მყორკდ მოსვლისათ, ცხადად) და ისწრაფეთ შეუგინებელთა და უბიწოთა მისთა პავხად მშჳღობითი. და უფლისა ჩუენისა იგი სულგრძელებად ცხარეუდ შეპრაყხეთ. ვითარცა იგი საუეარელმან ძმან ჩუენმან პაულე მსგავსად მოეწმელისა მის მიღდა სებრძლისა მიწერა თქვენდა. ვითარცა იგი ყოველითა შინა წავნათა მისითა იტყვს ამისთვს, რომელინი იგი არიან ძნიად

¹ დედან შიარისი.

საცნაურ რაიმე, რომელსა- იგი უსწავლულნი და დაუმტკიცებელნი გარდაქ-
ცვენ ვითარცა სხუათა მათუა წიგნთა მსგავსად მათისავე მის წარწყმედისა¹. ეს
არის მათი საყვედური, მიმართული მოციქულისადმი, ხოლო სინამდვილეში
გაბედულად ნაწინასწარმეტყველვეი ჭებაა მისდამი, ყოველგვარ რიტორიკულ
ხვეულებს მოკლებული.

მეექვსე გელუსიის უხუცესებისათვის (*παρεστειροισι*) ზურგის შექცევაა.
ამბობენ, თითქოს უხუცესნი უფლის საწინააღმდეგოდ შეეპოლიყვნენ და ამ-ს
გამო არ ჩანს საჭირო სახელდება მათი, რომელნიც ერთადერთი მარტივი სახე-
ლითაც საძულველნი გამხდარან. შემდგომ ღრმა გამოკვლევაში, საკუთრივ ცალ-
ცალკე თავებში, მათ შესახებ უფრო ცხადად იქნება ლაპარაკი. ახლა უკვე
ღროულია განმარტებითი ისტორიის დაწყება დაიწყებდეს ისე, როგორც ნეტარი
კირილეს კატეხიზისს (სწავლებას) აქვს წამძღვარებული, და საყვედულად ვიღებთ
მას, რაც იქიდან ნათლად შევიცანით, რათა განხილვა უფრო ახლოს იყოს
ჭეშმარიტებასთან.

41. წყეული მანესი არ არის ქრისტიანი, ნუმც ყოფილიყოს! არც სიმონის
მსგავსად განუდგენიათ გელუსიიდან, არც თავად, არც მასზე უწინ ამ ბოროტების
მსწავლელნი განდგენილან; იგი მპარავა. უცხო წვალუბათა ბოროტების
მიმთვისებელი; როგორ და რანაირად მოსძენილ უნდა იქნას. იყო ვინმე
სკვითიელი ეგვიპტეში, ტომით სარკინოზი. არაფერი ჰქონდა საერთო არც
იუდაიზმთან, არც ქრისტიანობასთან. იგი აღექვასდრიაში სახლობდა, არისტო-
ტელური ცხოვრების წესს პბაძედა და ოთხი წიგნი შექმნა. ერთს უწოდა
„წმინდა სახარება“, მომაცდინებელ, ოლიონდ არა ქრისტეს საქმეთა მომცველი,
არამედ მხოლოდ სახელწოდებით აღმნიშვნელი. მეორეს უწოდა „მთავარი“,
მესამეს „საიდუმლოთა“, რომელიც გათვალისწინებულა სავარჯიშოდ რგუ-
ლის კანონისა და წინასწარმეტყველთა მხილებიანათვის. მეოთხეს უწოდება
„ცხოვრების საუნჯე“, რომელიც სიკვდილის საუნჯეს წარმოადგენს. მოწაფე მისი
იყო სახელად ტერებიანთოსი. ხოლო ზემოხსენებული სკვითიელი იუდეას გაემ-
გზავრა და, გაბრწინილი (?) სწიელებით, მოაყვინ, უფალმა და ჳირს ბოლო
მოუღო. ბოროტების მსწაფე ტერებიანთოსი, ოქროულის, წიგნების და
წვალუბის მემკვიდრე, ჳერ პალესტინაში იმყოფებოდა, მერე იუდეაში ყველას-
თვის ცნობილი გახდა, იქიდან სპარსეთში გადავიდა. შემდეგ, რათა ზედწოდებით
იქაც არ უცნოთ, ბუდდა დაირქვა. მაგრამ იქ მითარას წინააღმდეგ მებრძოლნი

¹ II აქტუ, 3, 14-16.

შეიძინა; აღიძრნენ მრავალი სიტყვით და საკუთრივ სიტყვის მათრახთა ცემით და არცხვენდა და უგულუბელლყოფდა მათ. მაგრამ უკიდურესობამდე მიყვანილი თავს აფარებს ერთ ჭკრივ ქალთან, შემდეგ სახლის სახურავზე ადის და უხმობს პაერის დემონებს, რომლებსაც მანიჭველნი დღევანდლამდის მიმართავენ თავიანთი სამარცხვინო ადათის შესრულებისას; ღვთისგან უგონოქმნილი, სახურავიდან გადმოვარდება და სულს განუტევებს. ასე აღიკვეთა მეორე ნადირი.

12. მაგრამ დარჩა მწვალბლობის განმარტებითი წიგნები და მემკვიდრე წიგნებისა და საცხოვრებლისა იყო ჭკრივი. რადგან არც ნათესავი გააჩნდა, არც სხვა ვინმე, გადაწყვეტა, მისთვის დანატოვარი ფულთი შეეძინა ყრმა, სახელად კებრიკოსი. შვილად აიყვანა იგი, აღზარდა სპარსელთა სწავლების მიხედვით, როგორც შესაძლებელი იყო, და ადამიანობის საწინააღმდეგოდ წამახული ბოროტების ისრით აღჭურვა. კებრიკოსი, ბოროტი მონა, ფილოსოფოსთა შორის მოიწიფა და, ჭკრივი რომ აღესრულა, მემკვიდრეობად დაპრჩა საცხოვრებელიც და წიგნებიც. შემდეგ, რათა მონობისდროინდელი სახელი კებრიკოსი სამარცხვინოდ არ გააზღომოდა, კებრიკოსის ნაცვლად მანესი დაირქვა, რომელიც სპარსელთა თქმით სიტყვას (*ομιλιαν*) აღნიშნავს. ჩანს, რომ საუბრის თუ დასაბუთების ხელოვნებას დაუფლებულია, რის გამოც თავის თავს მანესს უწოდებს, როგორც უჩვეულები მსიტყველი, მაგრამ ამ სახელს მისთვის დიდება მოაქონდა სპარსულ ენაზე, ხოლო ღვთის განგება¹ აიძულებდა, ემზილებინა საკუთარი თავი, რადგან, რაც სპარსეთში დაირქვა პატრივისათვის, ელინურად „შეპყრობილის“, „თავაწყვეტილის“ ზედწოდებად (ეპონიმად) განიმარტებოდა. იმის თქმაც გაბედა, რომ თავად მეოხი და (ღმერთთან) შუამდგომელია. მკრებელობდა, თითქოს სულიწმინდას მისთვის ეთქვას, ვითარცა წერილ არს: „ხოლო რომელმან თქვას გმობა სულისა წმიდისათჳს, არა აქუს მიტევება“². როგორც მისი წინამორბედები. სკვითაელიც გაკადნიერდა, თავისი თავისთვის მამა დაერქმია; ხოლო ბუდდა განითქვა ძედ ღვთისა და მამისა, ქალწულისაგან შობილად და მთებში გაზრდილად, საიდანაც თორმეტ მოწაფეს გამოგზავნის ანტიქრისტე საცთურის მჭადაგებლებად, მათი მოზიარება და, ღე, ჩანდეს, რომ მათთან ერთად დგება თავად. შეძრა მონამ სამყარო და შუაში მოექცა და ბოლოს კისრად იღებდა მას, რაც ადამიანის ძალას აღემატებოდა.

¹ დედანში არის *οικονομια*, ლათინურ თარგმანში *providentia*.

² მარკოზი, 3, 29.

13. ავადმყოფობდა სპარსელთა მეფის ძე და მრავალი მკურნალი ეხვია მას. მაგრამ მანესმა იყისრა განკურნება. გავიდნენ მკურნალნი და ყრმის სიცოცხლეც შეწყდა. მხილებულ იქნა ურჯულოება კაცისა და შებორკეს იგი. ფილოსოფოსი საკანში შეამწყვდიეს არა იმის გამო, რომ ჭეშმარიტებაზე კამათში სძლია მეფეს. არც იმის გამო, რომ შემუსრა კერპნი, არამედ გადაარჩინოს კისრად ღებისა და სიცრუისათვის, უფრო კი მკვლელობისათვის, თუ უნდა ითქვას ჭეშმარიტება; რადგან, ვისაც შეეძლო მოეელო როგორც მკურნალს და გადაერჩინა, ის მკურნალნი მან გააჩიდა და მკვლელობა ჩაიდინა, მოუვლელობით მოაკვდინა. მე მის შესახებ ძალზე ბევრ რასმე სააუგოს ვიტყვი: გაიხსენე, პირველი, მკრებელობა, მეორე, მონობა, ... არა ის, რომ მონობაა სამარცხვინო, არამედ რომ მონა იყო და თავისუფლების საწინააღმდეგოდ იქმნა ბოროტს; მესამე, ნაყისრების სიცრუე: მეოთხე, ყრმის მკვლელობა; მეხუთე, საპყრობილის სირცხვილი, ეს არა უბრალოდ საპყრობილის სირცხვილია, არამედ ვგულისხმობთ საპყრობილიდან გაქცევას, რადგან თავის თავს მეოხს და (ღმერთთან) შეამდგომელს უწოდებდა და, ჭეშმარიტებისათვის შებრძოლი, გაიქცა. შემცვლელად იყოს-თვის, რომელიც მზად იყო ჭვარს ეცვათ, არ გამოდგებოდა ის, ვინც, პირაქით, გახდა ლტოლვილი. შემდეგ სპარსეთის მეფემ ბრძანა, პასუხი ეგათ ციხის დარაჯებს. მანესი მიზეზი გახლდათ სიძულვილით ყრმის მოკვდინებისა და მისი ლტოლვილობის გამო ციხის დარაჯთა სიკვდილით დასჯისა. ასე რომ ეს სიკვდილის თანამიზეზი ნათაყვანებიც უნდა ყოფილიყო, ვითარცა მეოხი და ღმერთთან შეამდგომელი? არ იყო საჭირო იესოს ბაძვით ეთქვა: „უკეთეს ძე შეძიებთ, უტყვევით ესენი, წარვიდენ“¹! არ უნდა ეთქვა იონას მიხედვით: „აღმიღეთ მე და შთამაგდეთ ზღუად და დაყუდნეს თქვენგან ზღუად მით“²?

14. გარბის საპყრობილიდან და მიდის შეამდინარეთს. მაგრამ მას ჰხედება ჭერი სამართლიანობისა არტელაოს ეპისკოპოსი. და ამხილა რა და შეარცხვინა ფილოსოფოსს მსაჯულთა წინაშე, ელინური სამსჯავროც³ შეკრიბა, რათა ქრისტოანებს კი არ დაედოთ ბრალი, არამედ მსაჯულნი საყოველთაოდ დიდებულად წარმომდგარიყვნენ. „მოპყვე, რას ჰქადაგებ“, მიმართა არტელაოსმა მანესს, რომელსაც სამარესავით ქჷონდა პირი შეკრული⁴, რადგან პირველად მკრებელოურად დაეწყო ლაპარაკი ყოველთა შემოქმედზე, თითქოს: ძველი ათოქმის

¹ იოანე, 18,8.

² იონა, 1,12.

³ ლათინურად მთარგმნელს „ეთნიკურ სამსჯავროდ“ გადააქვს.

⁴ ფსალმუნნი, 5, 11: „სამარცხვალეებულ არს კორკი მათი“.

ღმერთი ბოროტთა მკვლელი ყოფილიყოს, თავის თავზე მოუბარე: „მე ცეცხლ ვარ მომსპოლველ“. ხოლო ბრძენმა არქელაოსმა განხსნა მკრეხელობა და უთხრა: „თუ ძველი აღთქმის ღმერთი, შენი სიტყვით, ცეცხლს უწოდებს თავის თავს, ვისი ძე არის ამის მთქმელი: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა“¹? და თუ ჰკიცხავ ამის მთქმელს: „უფალი მოაკედინებს და აცხოვნებს“², რატომღა სცემ პატრიუს პეტრეს, რომელმაც ტაბითა აღადგინა და საფირა მოაკედინა? ხოლო თუ ჰკიცხავ იმის გამოც, რომ ცეცხლი განამზადა, რატომ არ ჰკითხავ ამის მოქმელს: „წარვედით... ცეცხლსა მას საუკუნესა“³? თუ ჰკიცხავ ამის მთქმელს: „მე ვარ (ღმერთი), რომელი ვიქმ მშვედობასა და აღვაგებ ბოროტთა“⁴, რატომ არ ჰკიცხავ იესოს, რომელიც ამბობს: „არა მოვედ მიფენად მშვედობისა, არამედ მახვლისა“⁵, რადგან ორივენი ერთნაირად ამბობენ და ორივესთვის ერთი რჩება: ან ორივე კარგია, ერთად თქმული;⁶ ან თუ არ ჰყვედრი იესოს ამის თქმის გამო, რატომღა ამბობ საყვედურს მასზე, ვინც ძველ აღთქმაში მსგავსადვე იტყვის?“ შემდეგ მანესი მიუგებს: „რომელი ღმერთი ამბავებს? პავლე ხომ ამბობს: „რომელთანი-იგი ღმერთმან ამის სოფლისათა დაუბრძნა გონებანი ურწმუნოთანი, რათა არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა დიდებისა ქრისტესი“⁷. და არქელაოსმა კვლად დაასვა დალი და უთხრა: „ვერ წაიკითხე, რასაც ახლა ამბობს: თუ არის კიდევაც დაფარული ჩვენი სახარება, დაფარულა დაღუპულთა შორის; ჰხედავ, რომ „წარმწმედულთა მათ შორის არის დაფარული“⁸? რამეთუ „ნუ მისცემ სიწმიდესა ძალღთა“⁹. შემდეგ, განა მხოლოდ ძველი აღთქმის ღმერთმა დაუბრძნა გონება ურწმუნოთა? თავად იესომაც ხომ დააბრძნა პავლე და არა თქვა განა: „ამისთვის იგავით ვეტყვ მათ, რამეთუ ჰხედვენ და არა ჰხედვენ“¹⁰? ნუთუ მათი სიძულელით ინება ვერ ეხილათ, თუ უფრო უღირსობის მიზეზით, როცა თვალნი მათნი დაიწუხნენ? თვითნებური მზაკრობა და იმავდროულად აცილება მანათებელი მადლისა; რადგან, რომელსაც აქვს, მიეცემა, ხოლო რომელსაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც, როგორც ჩანს, აქვს. მართებულად განმარტების პირობით უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა არ არის უბრალო. თუ დააბრძნა ურწმუნოთა გონება, როგორც ქრისტემ — თვალნი პავლესნი, სასიკეთოდ დააბრძნა, რათა სიწმინდისათვის ეყურებინათ. არ უთქვამს, დააბრძნაო სული მათი, არამედ „გონებანი ურწმუნოთანი“. ნათქვამის აზრი ეს არის: დააბრძნავე მრუშის გარყვნილი გონება და

¹ ლუკა, 12,49. ² მეფეთა, 2,6. ³ მათე, 25,41. ⁴ ესაია, 45,7. ⁵ მათე, 10,34. ⁶ დედანშია: *δια της αιολίας*. ⁷ II კორინთელთა მიმართ, 4,4. ⁸ II კორინთელთა მიმართ, 4,3. ⁹ მათე, 7,6. ¹⁰ მათე, 13, 13.

ცხოვნილება კაცი. დააბრმავე ავაზაკის ავაზაკური და მტაცებლური გონება და ცხოვნილება კაცი. მაგრამ არ გინდა, ასე გაიგო? არსებობს კიდევ სხვა განმარტება: მზეც აბრმავებს ზერელედ მხედველთ და თვალსწერლნი ბრმავებდიან ნათლისგან ვნებით, ... არა იმიტომ, თითქოს მზე დამაბრმავებელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ თვალნი ვერ უძლებენ. ასევე სულით ნაკულუღვან ურწმუნოებს ღმრთიების სხივთა ჭერეტა არ ძალუძთ. და არ უთქვამს, დააბრმავაო მათი გონება, რათა სახარებას არ ენათებიანო, ანუ ვერ ეხილათო ჭრისტეს სახარების დიდების ნათელი. სახარების მოსმენა ყველასთვის ნებადართულია, ოღონდ ჭრისტეს სახარების დიდებას ჭეშმარიტი მონები ინახავენ. უფალი ეგავებით ესაუბრებოდა მათ, რომელთაც გაგონება არ შეეძლოთ, ხოლო მოწაფეებს უხსნიდა თითოეულ იგავს: დიდების ნათელი ჰხედებოდათ განათებულებს, სიბრმავე კი -- ურწმუნოებს. ამ საიდუმლოებებს ეხლა ეკლესია მოგითხოვს შენ, რომელიც სწავლულთაგან მიგისაკეთრა; რადგან არ არსებობს ადათი, რომლითაც ეს საიდუმლონი საწარმართოდ გადმოიკცმოდეს. მამისა და ძისა და სულიწმინდის საიდუმლოებებს ვერ მოგითხოვდით საწარმართოდ და გარეშედ. არც სწავლულთა წინაშე ვსაუბრობთ გაშიშვლებულ საიდუმლოთა შესახებ, არამედ ხშირად ვამბობთ დაფარულად, რათა გამგონე მორწმუნენი მიხედნენ და უცოდინრებმა და გაუგონრებმა ვერ დაარღვიონ.

15. ამგვარად ემზობოდა ურჩხული; ასეთი სჯა-ბაასით ამხელდა და სძლედა მანესს არტელაოსი. იქდანაც გაიქცა, ადრე საპერობილიდან ლტოლვილი; მოწინააღმდეგეს გაურბოდა და მიადგა ერთ მეტად მიყრუებულ ადგილს, მსგავსად გველისა, რომელმაც სამოთხეში ადამი დატოვა და ევასთან მივიდა. მაგრამ კეთილმა მწყემსმა არტელაოსმა, ცხოვართათვის წინდახედულად მზრუნველმა, შეიტყო გაქცევის ამბავი და მაშინვე დაედგინა მგელს. მანესმა რომ დაინახა ბრალმდებელი, უცბად გასხლტა და გაიქცა და ეს მისი საბოლოო გაქცევა იყო. სპარსელთა მეფის ფაროსანნი ყველგან მოძებნიან და შეიპყრობენ ლტოლვილს. და რა განაჩენიც არტელაოსის თანდასწრებით უნდა გამოუტანონ, იმას მიუსჯიან მეფის მსახურნი. შეპყრობილია მანესი, რომელსაც მისი მოწაფეები თაყვანს სცემენ როგორც მეოხსს და ღმერთთან შუამდგომელს, და მიჰყავთ მეფესთან. დაგმობს მეფე მის სიცრუეს, დასცინის ლტოლვილს და მონას. ისევე ყრმის მკვლელი; სჯიან ამის გამოც და ციხის დარაჯთა დახოცვის გამოც. ნაბრძანებია მეფისაგან -- ტყავი გააძრონ მანესს სპარსული წესით და ხორცი ნადირებს დარჩეთ საკმელად. უბოროტეს აზრთა მომცველი ტყავი ტომარასავით დაკიდეს კარიბჭის წინ და მან, ვინც თავის თავს მეოხსს და ღმერთთან შუამდგომელს უწოდებდა და მომავლის ცოდნას იჩემებდა, საკუთარი ლტოლვილობა და ტყვეობაც ვერ განჭვრიტა.

16. იყო ამაზე უწინ მისი თანამოაზრე სხვა მსწავლელიც ამავე ბოროტებისა, სახელად ძარანესი. თორმეტნი აყენენ ანტიქრისტე მანესის მოწაფენი: სისინიოსი, მისი მემკვიდრე, — თომა, რომელმაც თავად შექმნა მანიჭეური საბარება, ბუდდა, პერმასი, ადანტოსი, ადემანტოსი, რომელსაც გზავნიდა საცთურის საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყანაში; მანესის განმმართველნი მისი მემკვიდრეებიც ვახდნენ: პიერაქსი, პერაკლიდესი, აფთონიოსი; სამიც სხვა მოწაფე ჰყავდა: აგაპიოსი, რომელმაც დააღაგა შეიდწიგნედი (Επιτολογον), ძარუასი, და გაბრიაბიოსი. ნურჳინ იკითხოს თომას საბარება, რადგან ეს უკანასკნელი ეკუთვნის არა თორმეტ მოციქულთაგანს, არამედ ანტიქრისტე მანესის თორმეტ ბოროტ მოწაფეთაგანს; ნუ წაიკითხება აგაპიოსის პეტალოგონი, წუჳ შეთითხნილი ეპისტოლენი, ნურკერთი წიგნი, გამოსული ამათგან, რომელნიც ლეთისმოსაენი არ არიან, მრავალთა განსახრწნელად და საკუთარი სულის წარსაწყმედელად. ჩვენი წმინდა კათოლიკური და სამოციქულო ეკლესიის მიერ ანათემაქმნილია ამათი ყველა წიგნი, უსაწმინდარო შეგონებათა შემცველი და ყოველგვარი მკრეხელობით საესე, და ყოველი ლოცვა, რომელსაც ესენი წარმოთქვამენ, უფრო საეშმაკო და საცთური; ხოლო მათთან ერთად, რომელთაც ეს წიგნები წარმოადგინეს, როგორც ბევრი დიდი ბოროტების მომგონთა და დამლუჳველთა, შერისხულია ყოველი მათგან დამოწაფებული.

17. ნურჳინ ჩავარდება განსაცდელში სულის შემრყვენილი მანიჭველებისაგან, რომელნიც მარხვის-ჳერის სიმკაცრეს წყალში ჩაყრილი ბზეთი გამოხატავენ, ჳამადის შემოქმედს ჳსაყვედურობენ და ვერ ძღებიან იმის ჩიჩინით, რომ, ვინც ამა და ამ მცენარეს მოგლუჳს, ამაღ გარდაისახება. ხოლო თუ ის, ვინც მოწყვეტს მცენარეს ან, ვთჳათ, მწვანილს რასმე, იმ მცენარედ გარდაისახება, მიწისმუშები და მებაღეთა ყმაწვილები რად გარდაიჳევიან? ასეთ მსჯელობათა საწინააღმდეგოდ მებაღემ მოიტანა ნამგალი, როგორც ვხედავთ, და რად გარდაიჳევა? სასაცილოა ჳემმარიტად ეს სწავლანი, დასაგმობი და ყოვლად სასირცხვილო. კაცი თავად მწყემსია ცხოვართა და ცხოვარი მსხვერპლად გაიღო და მგელო მოაკვდინა; მაშ, რად გარდაისახება? მანიჭველნი, მკონარების ჩამომავალნი, არ მუშაობენ და გამრჳეთა ნამუშავეს შეეჳევიან, თანაც ჳამადის ჳომართმეველთ მოღიძარი სახეებით შეიწყყნარებენ და, ნაცულად კურთხევისა, წყველით უხდნიან სამაგიეროს. როცა ერთმა უგუნურმა რაღაც მიაჩთვა, „ცოტა ჳორს დადეჳო, — უთხრა მათგანმა, — და გაკურთხებო“. შემდეგ აიღო ხელში ჳური და, როგორც აღიარეს მათ ჳორის მონანიეთა, ჳურს მიმართა მანიჭველმა: „მე არ შემიჳმნიხარო“, — და წყველ-კრულვა გაუგზავნა ღმერთის მხოლოს, უხესთაქსს, და სწყველიდა ჳურის მომყვანს და ისე შეეჳევიდა მოყვანილს და განმზადებულს.

თუ მოიძიებ კვამლს, მოლიმარი სახით რაღაც მიიხედვ. ვინც მოგართვან, თუ მომართმეველს მადლს სწირავ, რატომღა მიაგებ მკრეხელურ სიტყვას განმზადებულსა და შემოქმედ ღმერთს? და კვალად: „მე არ დამითესიხარ, — იტყვის, — განჭარდეს მთესველი შენი. მე არ მომიწიებარ, მოიკვეთოს ხამგლით მომკელი შენი. მე ცეცხლზე არ გამომიცხიებარ, გამომწვარ იქმნეს მცხოვრელი შენი“. ეჰა, მადლიერების გამომხატველ მშვენიერი სიტყვა-პასუხი.

20. დიდი მამა ჩვენი და საკვირველთმოქმედი ეპიტანიოს კვიპრელი იხსენებს მანესის მხილებას და ღვთის მართალი განჩინებით მის მოკვდინებას სპარსელთა მეფის მიერ და შემდეგს გვიამბობს: რომის იმპერატორთა — ვალერიანუსის და გალიენუსის — მეფობის მეცხრე წელიწადს მანესი სპარსეთიდან წამოვიდა, ლტოლვილი საპრობილიდან, სადაც მოხვდა სპარსელთა უფლისწულის მოკვდინების გამო. სწორედ მაშინ მოუხდა პაექრობა შუამდინარეთში კარკაროსთა ეპისკოპოს არქელაოსთან, რისაც ნაკლებად მოწადინ იყო და შეუმჩინებლად გაარიდა თავი. და მივიდა დიოდორისა, კარკაროსებით დასახლებული ქალაქი: გარეუბანში, იწყო პაექრობა ვინმე ტრიფონთან, უწინილეს მოხუცებულთან, რომლისგანაც ყოვლად შერცხვენილი დარჩა ესმარა არქელაოსს, რომ ეს ის მივიდა პირველი ტრიფონთან და საუბარი გაუძართა თ ვადაც გეშურა იქ და მიუსწრო. კვლავ დაიწყო პაექრობა იქ ესთან და საბოლოოდ თავს ლაფი დაასხა. მოსალოდნელი იყო, რომ ხალხი აღარ და აყოზებდ და მისი კვდინებდა. მაგრამ ეპისკოპოს არქელაოსის შეწყვენი მანესი სპარსეთს დაბრუნდა. ესმა სპარსელთა მეფეს და ბრძანა, ტყად ამოეღოთ ასე დაასრულა ცხოვრება მანესმა.

21. მის მოწაფეთაგან ზოგმა არმინიის სამოსატამდე მიიწია, იქ ბოროტების ღვარძლი დათესა და მრავალი არმინიელი აცოუნა. რამდენიმე ხნის შემდეგ უბოროტესი ნათესის ძირიდან ამოიხარაღმა სასაკვდილო ნაყოფი გამოიღო მრავალთათვის და ფანაროიამდე მისწვდა. ერთ სამოსატელ ქალს, სახელად კალინიკეს, ორი ძე ჰყავდა. პავლ და იოანე. ეს ორი გველი გამოიხარდა მათმა მშობელმა იქედნემ, ყოვლად მწიკლევეანი წვალემა ასწავლა და საცთურის მკადაგებლებად გაგზავნა სამოსატიდან. მათ მიიმხრეს სასაზღვრო ფანაროიას მცხოვრებნი, შევიდნენ რომელიდაც სოფელში და, პოვეს რა იქ მოსახლენი უსწავლელნი და მოუსაფარნი, ბოროტების საწამლაკი და საეშმაკო მწარე ღვარძლი დათესეს. ამიტომ დღემდე ის სოფელი ეპისპარისად (ანუ სათესლად¹) იწოდება, მწვალებლობა კი — მკადაგებელთა სახელების შესატყვისად. ასე რომ

¹ დედნის გამოცემული პარალელს ავლებს ლათინურ „სემინარისთან“.

იმ დროიდან მანიჭველთა ნაწილმა სახელი იცვალა პავლიკიანებად. ხოლო რომ უფრო არ მომატებულყო ეს ჭირსავით მოდებული განკვეთა და ბევრი ჩვენებური არ განებჩაწნა, ყოვლად ღვთისმოსავთა და მართლმადიდებელთა მეფეთა ჩვენთა, საღეთო შურით აღძრულთა, დროულად დახოცეს ადგილობრივ მიკვლეული რომაელთა სამთავრო მანიჭველები, თანახმად უფლისაგან სახარებაში თქმულისა: „რომელთა-იგი არა უნდა შეუფებდი ჩემი მათ ზედა, მომგუარენით მე აჭა და მოწყვდენით წინაშე ჩემსა“.¹

22. მრავალნი იყვნენ დროთა განმავლობაში ღვთის ეკლესიის მოწინააღმდეგენი, ხოლო მირიადი მისი ძლევა ღვთის მადლით გამუდმებულად მატულობდა. სიკეთის მოძულე და ბოროტებათა მომგონი ეშმაკი, რომელიც, ვითარცა ყოვლად საშინელი ვინმე გარეშე მტერი, თავის კაპარკს თითქოს ამოიდ ცლიდა უწინდელ წვალებათა შინა, მისთვის უფრო შესაფერისსა და მომსალოველ ისარს სტყორცნის შემდგომ ადამიანებს. მთელი მისი ბოროტებაც ხომ საუკუნეთა დასასრულის ეამს არა დაფარულად, არამედ ნათლად გამოაშკარავდება ღმერთისაგან მხოლოისა, ღვთივ ჩაგონებული და უწმინდესი მოძღვრების თანახმად, რადგან ამბობენ, ბოროტი ნამოქმედარი ანტიქრისტეს მიაწინებესო „ვიდრე ცთუნებამდე, უკეთეთუმცა შეუძლეს, რჩეულთა მათცა“². ყველა წვალებით თავი მოაქონდა და პავლიკიანებად წოდებულ მანიჭველთა სამარცხვინო წვალებითაც კედმალლობდა, რათა თვით დაჭრილიც დაერწმუნებინა, რომ ჭრილობებზე კი არ ეამბნათ, არამედ საწამლაღი დაელიათ როგორც ღვინო საღებნი. ეხლა ყველა აბუჩად იგდებს და მათთან ერთად, ვინც მას ერწმუნენ, ჩვენ წინაშეა ვითარცა უგუნურებით დასაცინი მას შემდეგ, რაც მისი ბოროტების მხილება იდღესასწაულეს ბასილოს და კონსტანტინეს და ლეონტის, დიდთა მეფეთა ჩვენთა, ღვთისმოსავთა და მართლმადიდებელთა, მეფობის ეამს. ძველად დაფარული, ვგებ ყოველი ადამიანისათვის შეუმჩნეველი უბოროტესი საწამლაღი თავლადამსხმელი პავლიკიანებისა აწ ცხადად ძლეულია უძილო ლოცვებით და დაუღალავი ზრუნვით და ღვთივ შეწყნარებულ მღვიძარებით და ბრძნული და ხელოვნებითი მწყყით სიმშვიდის მომტანი და მართლმადიდებელი ჩვენი დიდი მეფებისგან. ყველა უწინდელი მეფის ხელში დაფარული მზაცრობა ამ სამარცხვინო წვალებისა სამყაროს ცხოვრების წარმმართველთა და წმინდათა და დიდთა მეფეთა ჩვენთა სამართლიან მეფობაში არ დაიფარა, რადგან უნდა დამდგარიყო

¹ ლუკა, 19,27.

² მათე, 24,24.

ამ საეშმაკო სიკრუის ძლევის დღესასწაული. და იყო ნადავლი და ყოველად მეფური მსვლელობა და ჩანდა გამეფებული საამებელი და საუკუნოდ სახსენებელი, ჰეშმარიტი სიკეთის სწორი გზა, ვინათგან იგი (სიკეთე) ყოველი პატივით დაემეტა. და იყვნენ ღვთოვ მოსაკრძალუბელნი ძენი ამა (სიკეთისანი) და დიდნი მეფენი ჩვენნი — კონსტანტინე და ლეონტი — საუკუნოდ ავეუსტისნი. წმინდისა და ნეტარის, ცხოვრების დასაბამი საღვთო სამების სწორარცხველი სამება წმინდათა მეფეთა ჩვენთა, შეურევნელი ნათლით განბარწყინებელი, ღვთის შემეცნების სხივებს პფენს ჭვეყანას, ნაირსახედ ირჯება მისთვის და სულ არ ტოვებს. მისი კეთილი საქმეების სიდიადეს სხვაენოვანი და უცხო ტომებიც გრძნობენ.

24. მანესის მოწაფე კონსტანტინე ცდილობდა, რათა თვისნი დამოწაფებულნი საბოლოოდ მიეტყუებინა და მოესპო და ადვილად მისაღები გაეხადა ყოველი თავისი ნათქვამი, ვალენტინუსის მკრეხელობანი და საოცრებანი, აგრეთვე ოცდაათი საუკუნის ღმერთებისა, კიდევ წვიმის შესახებ გამოგონილი ზღაპრობანი კუბრიკოსისა, თითქოს ქალწულის დევნაში დაღვრილი მშვენიერი ჰაბუკის ოფლოსაგან მოსულყოფის წვიმა, და სხვა თავისი ზღაპრობანი, ვითარცა მიუღებელი, სურდა დაეძველებინა,¹ იმად კი არა, რომ უდიდესი ბოროტება დაეცხრო, არამედ იმისათვის, რომ თავისკენ მრავალი მიეზიდა. იტყობა რა უსახელო უფლისწულის თავაწყვეტილობა და მანიკურებანი და ყველა დანარჩენის მყარალი უწმინდურება, გამოჩნდა ახალი წინამძღოლი მოსპოლვისა და წარწყმედისა. ამიერიდან ცოცხლად დარჩენილი ყველა მანიკველი ყრმა, რომელმაც ეს დრამატული ქმედება არ უწყის, გადაჭრით შერისხავს სკითიანოსს, გუდდას და მანესს როგორც ბოროტების წინამძღოლთ, ხოლო კონსტანტინეს, რომელიც სილუანოსადაც იწოდებოდა, და მის შემდეგ მოვლენილთაც ჰრისტეს მოციქულებად და პატივით პავლეს სწორებად ურმანი ესე აღიარებენ. მაშასადამე, ამ კონსტანტინემ, იმავე სილუანოსმა, მანანალოსი დატოვა, წავიდა და დასახლდა კიბოსასას ბანაკში, კოლონიის მახლობლად; ამბობდა, მე ვარო მოციქულის ეპისტოლეებში მოხსენიებული სილუანოსი, რომელიც პავლემ გაგზავნა მაკედონიაში ვითარცა სარწმუნო და სანდო მოწაფე. აჩვენებდა კიდევ თავის მოწაფეებს მოციქულის წიგნს, რომელიც ზემოხსენებული ტყვე დიაკონისაგან მიეღო, და ეუბნებოდა: „თქვენ მაკედონელები ხართ, მე კი სილუანოსი ვარ, პავლესაგან თქვენთან გამოგზავნილი“. და ამას უცხადებდა პავლეს მოწამეობიდან ეჭვსასი წლის შემდეგ, როგორც ითქვა, ჰერაკლეიოსის შვილიშვილის კონსტანტინეს დროს.

¹ ამ სიტყვას ვთარგმნით ლათინური თარგმანის შესატყვისად, დედნის მიხედვით უფრო ზუსტი იქნებოდა: დაეშორებინა.

25. მთელი ოცდაშვიდი წელს დაჰყო იქ, ბევრი: მაცხოვრებელი აცთუნა: და თავისი მასწავლებლობის შესაფერისი: აღსასრული: შოვა. არ ვიცი, როგორ შეიტყო მეფემ მისი საქმეები; გაგზავნა სეფეწული ვინმე, სვიმეონად წოდებული, და დაავალა ბოროტმოქმედის ჩაჭოლვა, ხოლო მისნი მოწაფენი ვითარცა უკოდინრობით შემცდარნი, საღეთო ეკლესიებისთვის უნდა გადაეცათ მოსაჭკვად და გამოსასწორებლად, თუკი გამოსასწორებელნი და გასამართავნიც დაჩუბოდნენ. ასეც მოხდა. მოვიდა სვიმეონი, მიიხმო ვინმე იქაური მთავართაგანი, სახელად ტრიფონი, შეყარა ყველა, გადაიყვანა კოლონიის ბანაკის სამხრეთ ნაწილში, დააყენა საკოდავი და მის პირისპირ — მის: მოწაფეები, რომელთაც უბრძანა ჭვა დაეკრიბათ. მათ ჭვები ხელთ იპყრეს და, როგორც თითოეულს თავისი სარტყელისკენ წაეღო ხელს (და მით ეგვემა), ისე აყრიდნენ ჭვას, ზურგიდან ჩანდა, — თან ენანებოდათ საკუთარი მასწავლებელი, ვით ღეთისაგან მოვლენილი. ამ სილუანოსმა რამდენიმე წლის წინ იშვილა ვინმე იუსტოსი, მანიჭქერი წვალება ასწავლა და თავისი გამზრდელიობისა და მასწავლებლობის შესაფერისი საზღაური მიიღო სწორედ ჭვის დაკრების დროს. ებრძანა რა სეფეწულისგან იუსტოსს, ხელი დაეღო: ჭვას, აყრიდა გამზრდელს როგორც ახალ გოლიათს და მოაკვდინა. და გაისმა იქ დავითის ხმა: „კნარცუ თხარა და აღმოკვეთა და მიეჭკეს საღმობაჲ მისი თავსა მისსა“¹ ხოლო იმ ადგილს გროვად დაყრილ ჭვის გამო „ჭვათა“ ჰჭვია დღევანდლამდე.

32. დიდ ხანს არ გაუვლია, სხვაც გამოჩნდა კემმარიტების მტერი ტაბიას ქალაქიდან. მის შემოგარენში არის ანნიად წოდებული უბანი, სადაც სახლობდა კაცო ვინმე, სახელად დრვინოსი, და ჰყავდა საეშმაკოდ მებრძოლი ძე — სერგიოსი, რომელმაც ბევრი ცხოვართაგანი მგლებად აქცია და მათი საშუალებით განაბნია ჭრისტეს ფარა. სერგიოსი, ცხოვარშემოსილი საშინელი მგელი, მზაკერულად განასახიერებდა სიკეთეს და ამით ბევრი აცთუნა. სერგიოსი მტერი იყო ჭრისტეს ჯვარისა, უღმრთოების პირი, თავშეუკავებელი დედაღეთისას და ყველა წმინდანის მიმართ. სერგიოსი ჭრისტეს მოციქულთა მბრძოლი იყო, რომელმაც წინასწარმეტყველნი მოიძაგა და საღეთო წერილს განუდგა და ზღაპრობისა და სიცოცხლისაგან პირი იბრუნა. სერგიოსი ჭრისტეს მოძულე იყო, ეკლესიის მბრძოლი, ძე ღეთისა უგულუბელყო და ახალი აღთქმის სისხლი ზიარად ცნა და შეურაცხყო სული მადლისა. სერგიოსი თავის თავს მეობს და ღმერთთან შეამდგომელს უწოდებდა, ტვჭიკოსი დაირჭვა და საკუთარი მოწაფეები თავყანს სცემდნენ როგორც სულიწმინდას. სერგიოსი წყვედადის მებრძოლ იყო და თავის

¹ ფსალმუნნი, 7. 16-17.

თავს სანთლად ანთებულ ვარსკვლავად იტყოდა. ჩემი სათქმელი ხომ უნდა დროულად დავასრულო; რადგან, ვფიქრობ, მთელი საუკუნე არ იქმარებდა მოაზმისათვის, რომ მისი ბოროტება შესაფერისად გადმოეცა. მამასადაძმე, ამ სერგიოსს, ისევ ჰაბუტის ასაკისას, ურთიერთობა აჭკს ერთ მანიჭველ დიაკთან და, მის ცთომილებას აყოლილი, ხდება ანტიქრისტეს წინამორბედი. საჭირო გახდა, ყველაზე მტრული წვალების მსწავლეუნი — ზოგნი სარკინოზთაგან მოეყვანათ, ზოგიც შინაური უნდა ყოფილიყო, სხვანი გარყვნილებისაგან იშვებოდნენ, სხვანიც დიაკთაგან მიეცემოდნენ საცთურს.

33. ხოლო ფუჰად რომ არ გეჩვენოთ მისი ყვედრება და განკითხვა ჩვენგან, დაწვრილებით მოგიტობრობთ მის საქმეებს. უპირველესად გაიმბობთ, როგორ მიიქცა უბადრუკი ამ წვალებისაგან. სჯობს მისი საკეთარი სიტყვებით წარმოვადგინოთ, ვინ არის ასეთი, მით უფრო ყოვლად უბადრუკი. ეს კვლად ყრმა საუბედურად შეხვდა ვინმე უღირს დიაკს. მანიჭური წვალების მიმდევარს. დიაკი, ეშმაკის მოწაფე, არავითარ ხერხზე არ ამბობდა უარს და უთხრა კაცს: „მესმის შენზე, უფალო სერგიოს, რომ სამწიგნობრო და სააღმზრდელი ხელოვნებაში დაწინაურებულხარ, ყოვლად კეთილშობილი. მითხარ, მამ, რად არ კითხულობ საღვთო სახარებას?“ გზადანეულმა კაცმა, რომელმაც არ იცოდა, რომ ეს დიაკი ბოროტების უმძიმეს საწამლავს იმარხავდა, მიუგო: „არ შეიძლება ამის წაკითხვა ჩვენთვის, რომელნიც სოფლიონი ვართ; მხოლოდ სამღვდელთათვის ვერ-არს“. დიაკი ეტყვის: „არ არის ისე, როგორც შენ ფიქრობ, რადგან არ არსებობს მიეკრძოება წინაშე ღვთისა, „რომელსა ყოველთა კაცთა პნებაეს ცხოვრება და მეცნიერებასა ჰეშმარიტებისასა მოსულაა“.¹ მაგრამ რადგან თქვენი მღვდლები ამახინჯებენ ღვთის სიტყვას და სახარებათა საიდუმლოებებს მალავენ, აპიტომ ყველაფერს, რაც შიგ სწერია, თქვენთვის არ კითხულობენ, რათა ჰეშმარიტების ცოდნას არ მიეახლოთ. სახარებაში კი წერილ არს, რომ „მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვეშენით“² და პასუხად მეუფე მიუტებს მათ: ამინ, ამინ, ვეტყვითო, არ გიცნობთო თქვენ. ღიფ და ნახე, სწერია თუ არა ასე. და რომელნი არიან ესენი, უფალი რომ ეტყვას, არ გიცნობთო თქვენ? ყოვლად შეუსმენელმა და უსწავლელმა გამოსავალი ველიარ პოვა და დადუმდა.

¹ ტიმოთეს მიმართ, 2, 4.

² მათე, 7, 22.

34.¹ საბარების სიტყვების განმარტება ასე უნდა წარმოვიდგინოთ. დღევანდლამდე არიან ისეთნი, ქრისტესთვის მოქალაქობას რომ იჩემებენ და თავს ისე აჩვენებენ, თითქოს მათი ცხოვრების წესი ღვთისმოსავთა წესია, ხოლო გრძნეულებით ხშირად ავებაც (დემონებს) დევნიან და სწეულებათა და ვნებათაგან განკურნებაც იციან. ძველად ყოფილან სკევას ძენი, ჯადოთი და შელოცვით შემკურნონი. როგორც „საჭე მოციქულთა“ გადმოგვცემს, ავებისგან შეპყრობილებს ულოცავდნენ: შეგილოცავთო თქვენ ქრისტეს სახელით, რომელსაც ჯადავებს პავლე, განვდითო ადამიანთაგან. და ავები იელტოდნენ ქრისტეს ხსენების შიშით. ეხლაც ასე იტყვიან ზოგნი და არ უწყიან, რომ გრძნეულებით თავიანთი ხსნის გზას შორდებიან. და მალაღებელი მას დღესა შინა იტყოდნენ: „უფალო, არა სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და ძალნი მრავალნი ვქმენით?“ და პასუხად უფალი მიუგებდა მათ: ამინ, ამინ, გეტყვითო. არ გიცნობთო თქვენ. არიან სხვანიც, რომელნიც განმარტობულსა და უდრტიწველ ცხოვრებას ეწევიან, უცოდინრობითა და უსწავლეობით წვალებათა ტყვეობაში ჩაკეფულან და ცათა სასუფეველს ვერ ელირსებიან. მას დღესა შინა მათ რომ მართალი მსაჭულისაგან გამეტებულად და განწირულად არ იგრძნონ თავი, ეხლა იღებენ კურნების მადლს, რათა, ილაღდებენ რა: „უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენით?“ -- ესმათ: „მოუყასო, არა არას გაენებ შენ, მიიღე შენი და ვიდოდე“²,

35. არც ეს იცოდა სერგიოსმა და არც სხვა რამ მსგავსი, ეძებდა საბარებაში და ხედავდა, რომ იქ ეწერა ის სიტყვები, რომლებიც უბადრუკ დიაცს ჰქონდა ნათქვამი. ეტყოდა მას: „მითხარ, ვის ეხება უფლის ნათქვამი?“ დიაცი ჯერ პასუხს კი არ მისცემდა, არამედ კიდევ ჰკითხავდა: ვის შესახებ თქვაო უფალმა, რომ „მრავალნი მზის აღმოსავლით და დასავლით მოვიდოდნენ და ინაკ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისააკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა; ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკენელსა“³. ვინ არიანო ძენი სასუფეველისანი. კაცმა არ იცოდა პასუხი, რომ ესენი არიან ისრაელიტნი, რომელთაც სწვეოდით შვილად აყვანა, მსახურება, აღთქმა (და ქრისტე ისრაელიტ პს უწოდებს შვილებს, რადგან თავად ეუბნება ჭანანელს: „არა კეთილ არს მიღებად პური შვილთაგან“⁴; განგდებულ იქმნენ, რის გამოც ჯვარს აცვეს თავად) (და ა.შ.).

¹ ეს 34-ე მონაკვეთი მანიჭველი ქალის პირით ნაამბობად შიანდათ (რადერუსი). ბერძნული დედნის გამოცემული (PG) თელის, რომ ავტორის პირით მონათხრობია.

² მათე, 20,13-14.

³ მათე, 8,11-12.

⁴ მათე, 15,26.

(სერგიოსმა) ღეთის თაყვანების და მოკრძალების ძალა უარყო, უცოდინრებს მოველინა როგორც ურჩეულესი წარმმართველი მაცხოვარების მოსახილველად, რადგან სიკეთეს ემსგავსება ბოროტება და ღვარძლს ნაძალადევად ერქმევა პური. ამგვარი ხერხებით და ოსტატობით დღემდე აკეთებენ რწმენაზე დაუკრძნობელ უსაყუდელთა. და განვარიდებლეთ თავს ყოველნი მათს საეშმაკო ხელოვანებას — ყოვლად უმანკო და ზესთაწმინდა ჩვენი ხელმწიფე ღედის, საკუთრად და ჭეშმარიტად დედაღეთისას და მარად ჭალწული მარიამის და ყველა წმინდანის ლოცვებით და ქომაგობით. ხოლო საცოდავებს სანამ საბოლოდ არ აღფხვრიდნენ, არ აუწყებენ მათს დიდ საიდუმლოს, რაიც ღმერთის უარყოფაა.

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი VIII-IX სს. ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. იგი გვიანბატისმებრძოლური პერიოდის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც 806-815 წწ. კონსტანტინეპოლის პატრიარქის ტახტი ეკვირა. ნიკიფორე ცნობილია არა მარტო თავისი საეკლესიო-პოლიტიკური თბზულებებით, არამედ ძალზე საინტერესო ისტორიული შრომებითაც.

ნიკიფორე დაიბადა კონსტანტინეპოლში, იმპერატორ კონსტანტინე V-ის მეფობის (741-775) დროს. თავისი მოღვაწეობა მან იმპერატორის კარზე „საიდუმლო მწერლის“, „სეკრეტის“, თანამდებობით დაიწყო და დაამთავრა მის მიერვე დაარსებულ მონასტერში, სადაც იგი გადაასახლეს 815 წელს, ხატთმებრძოლთა კრების დადგენილებით. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი ურყევად იცავდა ხატთაყვანისმცემლობას და, როცა ეს უკანასკნელი საბოლოოდ აღდგენილ იქნა, 847 წ. მისი გვამი, პატრიარქ მეთოდიოსის ინიციატივით, გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და დამარხეს წმინდა მოციქულთა ეკლესიაში.

ნიკიფორეს ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს მთელ რიგ საღვთისმეტყველო ნაწარმოებებს, რომლებშიც ავტორი, წინამორბედი პატრიარქული ლიტერატურის ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით, საფუძვლიან პასუხს აძლევს ხატთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ წამოყენებულ დებულებებს. მათ დიდი ისტორიული მნიშვნელობაც აქვთ, რადგან ნიკიფორეს, ამ პოლემიკასთან დაკავშირებით, ხშირად მოჰყავს ციტატები ისეთი ნაწარმოებებიდან, რომლებსაც საერთოდ არ მოუღწევიათ ჩვენამდე. საღვთისმეტყველო ტრაქტატების გვერდით ნიკიფორეს შემოკმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკვირავს ისტორიულ შრომებს: „მოკლე ისტორია“ და „მოკლე ქრონოგრაფია“.

„მოკლე ისტორია“ მოიცავს 602-769 წლების ამბებს და წარმოადგენს თეოფილაქტე სიმოკატას „ისტორიის“ გაგრძელებას. ნიკოფორეს „მოკლე ისტორია“ ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერის სახით: ლონდონისა და ვატიკანისა. ლონდონის ხელნაწერის ნაწილის გამომცემელი თვლის, რომ ორივე ხელნაწერი წარმოადგენს თვით ნიკოფორეს მიერ დამუშავებულ ორ რედაქციას ნაშრომისას.

ისტორიოგრაფიაში მტკიცედ არის შემუშავებული აზრი, რომ ნიკოფორე და თეოფანე თავის შრომებში იყენებდნენ VII-VIII სს. ერთსა და იმავე, ჩვენამდე მიღწეულ წყაროს. ამის თქმის საბაზს იძლევა ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში მართლაც თეოფანესა და ნიკოფორეს თხრობა მისდევს ერთმანეთს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხშირად ნიკოფორესთან გვხვდება ისეთი ცნობებიც, რომლებსაც საერთოდ ვერცხვს თეოფანეს „ქრონოგრაფია“. ზოგჯერ კი ნიკოფორესთან გვხვდება თეოფანეს აღწერილობისაგან რამდენადმე განსხვავებული აღწერა მოვლენისა (კონსტანტინეპოლის გარემოცვა ავართა და სლავთა მიერ). საერთოდ გამოტოვებულია თეოფანესთან კონსტანტინე V-ის გამარჯვება ბულგარელებზე, რაც ნიკოფორესთან გადმოცემულია ზუსტად და ზედმიწევნით. ასევე, ნიკოფორეს დამოუკიდებელი ნარკვევი აქვს მიძღვნილი კონსტანტინე V-ის დროს მომხდარი ხატთმებრძოლური მოძრაობისათვის.

იმ ცნობათა შორის, რომლებიც ნიკოფორეს აქვს გადმოცემული, ყველაზე დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ირანსა და ბიზანტიას შორის გაჩაღებული ბრძოლების აღწერილობას VI-VII საუკუნეებში. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნიკოფორეს მიერ მოწოდებული ცნობები, მცირე გამოჩაქისებს გარდა, ძალიან ზუსტია და ხშირად დასტურდება დოკუმენტურად, მისი „ისტორიის“, როგორც წყაროს, მნიშვნელობა სრულიად ნათელი ხდება.

ნიკოფორე კონსტანტინეპოლელი პატრიარქის მოკლე ისტორია მავრიკიოსის მეფობიდან

კეისარ მავრიკიოსის მოკვლის შემდეგ, ფოკამ, რაკი ეს მოიპოქმედა, ხელთ იგდო სამეფო ძალაუფლება. რადგან მან მაშინვე იწყო ქრისტიანთა უკიდურესი შევიწროება, ბევრნი ამბობდნენ, რომ, თუ სპარსელები რომეელთა ძალაუფლებას გარედან აყენებდნენ ზიანს, ფოკა მათზე ნაკლებად არ ახერხებდა ამასვე შიგნით. ყოველივე ეს რომაელობათვის აუტანელი ხდებოდა. ამის გამო ლიბიის მაშინდელი

წინამძღვრები, რამდენადაც დიდი სიშორე ანიჭებდათ სიამაყეს და, ამასთან, მავრიკიოსისგან ჰქონდათ ბოძებული სამხედრო ხელისუფლება (ეს იყო ორი ძმა — ჰერაკლიოსი და გრეგორიოსი), — საერთო გადაწყვეტილებებით ვაეიშვილებს გზავნიან ჯალაქ ბიზანტიონში და თანხმდებიან, რომ, რომელი ამათგანიც დაასწრებს, თუკი შესძლებს, აიღებს სამეფო ძალაუფლებას. და ჰერაკლიოსი, ჰერაკლიოსის ძე, ზღვით გაამგზავრეს უფრო მძლავრად შეიარაღებული ჯარით, რომელიც მერწილად შედგებოდა აფრელთა და მავრუსიელთაგან, ხოლო ნიკიტა, გრეგორიოსის ვაჟი, დიდძალი ცხენოსანი ჯარის თანხლებით სახმელეთო გზას გაუყენეს. ბედმა უმარჯვა ჰერაკლიოსის და ზურგის ქარის შემწეობით ნიკიტაზე ადრე ჩავიდა ბიზანტიონში და მაშინვე ჯალაქის ალების თადარიგი დაიჭირა.

კრისპოსი (ეს იყო ფოკას სძე, რომელიც მაშინ ჯალაქის ეპარქიოსის ტახტს ფლობდა და განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა კეისართა შორის) სიძულვილით იყო გამსჭვალული ფოკასადმი, როგორც შეურაცხყოფილი მისგან საკუთარი (კრისპოსის) ხატის ჩამოგდების გამო, — იმ ხატისა, რომელიც ოდესღაც ფოკას ხატის გვერდით დაედგინათ მოწინააღმდეგე ფერის დემოტებს; ამის გამო კრისპოსი მზაკვრობის გზას დაადგა: დაარწმუნა ფოკა, რომ მისთვის ირჯებოდა და ჰერაკლიოსი მის დასალუპად იყო მოსული, ამასთანავე, ჰერაკლიოსის შეუკავშირდა და სინამდვილეში მისთვის უფრო მეტად იღწყოდა.

ფოკას მხარეზე მყოფმა მაცურებლებმა და აჯანყებულ მოქალაქეთა ნაწილმა (ამასობაში მწვანე ფერის დემოტებმა ცეცხლს მისცეს კესარიოსი და უცხო მეფე აღაზევეს) ჰერაკლიოსის ლაშქარი და მისი სიძლიერე რომ დაინახეს, მიატოვეს ფოკა და ჰერაკლიოსს მიემხრნენ.

ვინმე, სახელად ფოტიოსი, ოდესღაც მეუღლის შეურაცხოფის გამო ფოკას წინააღმდეგ შეთქმულებას რომ აწყობდა, მრავალრიცხოვანი მეომრებით მეფის სასახლეში შეიჭრა. მყისვე შეიპყრო ფოკა, შემოაძარცვა სამეფო ტანისამოსი, შემოახვია შავი სამოსელი, გადაუგრიბა და უკან შეუკრა ხელები, ნაეში ჩააგდო და ჰერაკლიოსს ტყვედ მიჰგვარა. ჰერაკლიოსმა, დაინახა თუ არა იგი, ასე უთხრა: „უბადრუკო, ამგვარად მართავდი სახელმწიფოს?“ ხოლო მან უპასუხა: „შენ უკეთესად მართვას აპირებ?“ ჯერ კიდევ ნაეზე მყოფს გამოუტანა ჰერაკლიოსმა განაჩენი — მახელით მოკვდინება, შემედგ კი უნდა მოეკვითათ ორივე ხელი, მარჯვენა — ზევით, მხრის სახსარში, მოეკრათ სარცხინელი და ჯოხზე წამოეკვათ, სხეული კი წაეთრიათ ბოოსად წოდებულ მოედანზე ცეცხლში ჩასაგდებად. დომენტიოლოსიც, ფოკას ძმა, ბონოსოსიც და ლენტოოსიც — საფემო სალაროს მეუღლე, ბრძანებისამებრ, ფოკასთან ერთად გადაიტანდნენ ამ საშინელებას და ყოველივე ამგვარად აღსრულდა.

სერგიოსმა კი, ჭალაქის პროედროსმა¹ და მთელმა ხალხმა დიდი კეთილმოსურნეობით მიიღეს ჰერაკლეოსი. თავად სერგიოსი კრისპოსს აიძულებდა სამეფო პატივი მიეღო, რადგან კრისპოსი ისე ლაპარაკობდა, თითქოს საეცისროდ კი არ იყო მოსული, არამედ უკეთ მისაზღველად ფოკასთვის მავრიკიოსისა და მავრიკიოსის შვილთა მიმართ ჩადენილი უკანონობის გამო. კრისპოსი კეისრობას არ ღებულობდა. ბოლოსდაბოლოს, სინკლიტისა და ხალხის ნებით ჰერაკლეოსი გამოცხადებულ იქნა კეისრად და პროედროსისაგან სამეფო გვირგვინი მიიღო. მან კრისპოსი კაპადოკიაში სალაშქროდ განაწესა და მხედართმთავრად გაგზავნა იჭ. შემდეგ კი, ხმა რომ გავრცელდა — ხპარსელები რომაელთა წინააღმდეგ ილაშქრებენო, ჰერაკლეოსი ბიზანტიონიდან თხოვნით გაემგზავრა კრისპოსთან (ამას მაშინ ჭალაქ კესაროსამდე მიიწია), რომ საერთო საქმეებზე მოთათბირებოდა. კრისპოსმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და შორიდან ჩამოსული მეფე, მისუსტებული სახით წამოწოლილმა, ძლივძლივობით და უსიამოვნოდ მიიღო. მერე ის ხმაც გავრცელდა, თითქოს კიდევაც ეგინებინოს. ჰერაკლეოსმა ეს უხეში საქციელი გადაიტანა, შეურაცხყოფა მოითმინა და მარჯვე დროს დაელოდა. თვლიდა, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ჯერჯერობით როგორმე ურთიერთშორის შეთანხმების მიღწევა იყო საჭირო. თან დამცინავად აცხადებდა, რომ არ შეიძლებაო კეისარმა დატოვოს იმპერია და ასე შორს იმყოფებოდესო თავისი ძალუბისაგან. იმ დროს ჰერაკლეოსის კეისარს ეყოლა შეიღო, რომელსაც სახელად კონსტანტინე დაარქვა.

მაშინ სამეფო ჭალაქში გამოჩნდა ვინმე ნიკიტაც, პატრიკიოსი. ამიტომაც ჰერაკლეოსი ბიზანტიონში დაბრუნდა, ნიკიტა უდიდესი პატივითა და ბრწყინვალეობით მიიღო, როგორც ღვიძლი ძმა და პატივით სწორი, ისე, როგორც ლიბიიდან წამოსულის დროს შეთანხმდნენ. კრისპოსიც ჩამოვიდა ბიზანტიონში იმ მიზნით, რომ ნიკიტას მიღებაში მიეღო მონაწილეობა. ჰერაკლეოსმა საღვთო ემბაზში ჩაუშვა ძე, რათა გაენათლას და ეშვილა კრისპოსს. ის კი სწორედ ამ დროს შევიდა სამეფოში. ჰერაკლეოსმა თავი მოუყარა სინკლიტის ნების მიმდევარს ყველას და მთელ დანარჩენ მოჭალაჭეებს პროედროს სერგიოსთან ერთად და ამ სიტყვებით მიმართა: „ვის აძაგებს მეფის შეურაცხყოფელი“ მათ უპასუხეს: „ღმერთს, რომელმაც დაადგინა იგი მეფედ“. ჰერაკლეოსმა კრისპოსიც აიძულა, მასაც დაედასტურებინა ამ პასუხის სისწორე. კრისპოსმა არ იცოდა, რომ მის წინაშე წარმოდგენა თამამდებოდა, და თქვა, — ნამდვილად არ უნდა ეწიოს

¹ პროუ. ნ.ლომოურას აზრით, „პროედროსი“ დაახლოებით იგივე ხარისხი უნდა იყოს, აც ჩვენში — „ეზოს მოძღვარი“.

კაცთმოყვარებით განსჯას ეგზომ თავზედი. მაშინ კი შეახსენა კეისარმა, თუ როგორ მოიგონა მან ავადმყოფობა კესარიასში, როგორ განიზრახა მეფის ღირსების აბუჩად აგდება, თუმცა კი თვითონ წააქეზა სამეფო ძალაუფლების მოსაპოვებლად. თანაც აიღო ჭალაღლის გრაგნილი და საფეთქელზე გააქრა, შემდეგ უთხრა: „როგორც სიძემ, ვერ ივარგე და მეგობრად ნეტავ როგორ ივარგებ?!“ მაშინვე დაავალა, რომ აღსაკვეცად, საეკლესიო ჩვეულებისამებრ, მისთვის თავი გადაეპარსათ, ხოლო მღვდელს წესად მიღებული სიტყვა წარმოეთქვა. კრისპოსთან ერთად ჩამოსულ მეომრებს ამ სიტყვით მიმართა: „აქამდის თქვენ მამა კრისპოსს ჰყავდით მსახურებად, დღეს კი ჩვენ სამეფოს საკეთარ მსახურებად გაქციეთ“. დაუდგინა მათ, ჩვეულებისამებრ, ხელფასი და პირველებს მოუწოდებდა სამხედრო სამსახურისათვის. მათ, სხვა მრავალთან ერთად, უდიდესი სიხარულითა და მოწონების შეძახილებით მიიღეს მეფე. ამის შემდეგ კრისპოსი „ჭირად“ სახელდებულ მონასტერში გადაიყვანეს, სადაც მან ერთ წელიწადს იცოცხლა და იქვე აღესრულა. პერაკლეიოსმა თეოდოროსს — თავის ძმას, შემდეგ პირველმთავრობა უბოძა (ხოლო კუროპალატად მოიხსენიებდნენ მას, ჩვეულებისამებრ, სამეფო კარის წარმომადგენლები). ფილოპიკოსი — მეფე მავრიკიოსის სიძე დის მხრიდან, იმ ხანებში რომ შეიშოსა სასულიერო სქიმა, გააგზავნა წინამძღვრად კრისპოსის ყოფილ სამთავროში. ფილოპიკოსმა ცოტა ხანს იცოცხლა, შემდეგ აღესრულა და მისსავე აშენებულ მეტად მშვენიერ და წმინდა ტაძარში, ხრისოპოლისში, ჰპოვა სამარე.

მცირე ხნის შემდეგ კეისრის მეუღლე — ევდოკია, შეპყრობილი ბნედით, მიიცვალა. მისი ნეშტის გამოსვენებისას, როდესაც, წესის და ადათის მიხედვით, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი, ვილაც გოგონას ზედა სართულების ზემოდან გადმოეზნდა (იგი რომელიღაც მოქალაქის მსახური ყოფილიყო), ჰაერს არ გაფრთხილებოდა და გადმოეფურთხებინა, ნერწყვი იმ ბრწყინვალე ტანისამოსს მოჰფრქვეოდა, რომლითაც დედოფლის ნეშტი იყო დაფარული. ამის გამო უკიდურესად აღშფოთებულმა სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებმა დაიჭირეს ეს გოგონა და მოუსაყეს ცეცხლზე დაწვა და დამარხვა არა ჩვეულებრივი, არამედ ბარბაროსული წესით. დედოფლის გამსვენებლებმა დამარხვის რჯული ასე თავაწყვეტილად შელახეს და ეძებდნენ იმ მსახურის ჭალბატონსაც, რომ მისთვისაც ისეთივე სასჯელი დაეწესებინათ. მან იგრძნო რა ეს, დალუბვას გაექცა და შემდეგ აღარასოდეს არავის უნახავს. აი, ასეთი ამბები ხდებოდა სამეფო კარზე.

ხოლო იმხანადვე სხვაგან ასეთი ამბავი მოხდა. რომელიღაც ქვეყანაში (ეს ქვეყანა ოდესღაც არსებობდა და არაფრით არ მოუღწევია ჩვენამდე) იყო ვინმე დიდებული, სახელად ვუტელინოსი, ბრწყინვალედ მცხოვრები, ცოდნითა და

სიმიდღრით მორკმული, და ჰქონდა ხარისხი, რომელსაც რომაელები, ჩვეულებისამებრ, უწოდებდნენ კანდიდატს¹. მის მეზობლად ცხოვრობდა ვინმე ჭკრივი ქალი, რომელიც დიდი წვალებით იტანდა ამ მეზობლობას, რადგან მათ შორის სასაზღვრო მიწების გულისათვის მომხდარი დავის გამო ვეტელინოსმა თავის ბიჭებს უბრძანა მომჩინავეებს შეებოდნენ და მათ ამ ჭკრივის ერთი ვაჟი კეტებით მოკლეს. ჭკრივმა ხელი დაავლო მოკლული შვილის გასისხლიანებულ ტანისამოსს და, როგორც ამბობენ, ჰერაკლიოსთან ჩავიდა. დაინახა თუ არა მოსაგებულად მომავალი, მივარდა ცხენის აღეირს, სტაჯა ხელი, შვილის ტანსაცმელი აჩვენა და თან ხმამალალი მოთქმით მიმართა: „ასე დაემართოს შენს შვილებს, კეისარო, თუ ამ სისხლისთვის, რომელსაც შენ გიჩვენებ, კანონიერად არ მიუზღაფ“. კეისარის საჭურველმტვირთველნი საცემად გამოეკიდნენ მას, კეისარმა შეაჩერა ისინი და ბრძანა, რომ მეტად არ გაებედა ქალს ამ ამბის მოსაგონებლად მასთან მოსვლა. და როცა მკვლელს კანონის მიხედვით დასჯიდნენ, სამართლის აღსრულება მას თავად უნდა მოხსენებოდა. სამართალს რომ ვერ მიაღწია, ის ქალი მაშინვე გაეცალა იქაურობას ვეგებით.

გადიოდა დრო და მკვლელობის ამბავს აახლებდა, ხოლო, შეშინებული იმით, რომ ქალი ცვლავ ეახლებოდა კეისარს მკვლელობის გამო, იგი (მკვლელობის ინიციატორი) ბიზანტიონში ჩავიდა და ხალხში შეერია. როცა ცხენთა მარულა დამთავრდა, მეფემ დემოტა შორის დაინახა იგი, ქალაქის ეპარქოსს მიუბრუნდა და დაავალა საპყრობილეში ჩაემწყუდიათ ეკემიტანილი. შემდეგ კი ის ქალი მოაყვანიდა და უფრო საფუძვლიანად გამოჰკითხა მკვლელობის ამბავი. თავის ბიჭებს უბრძანა, მაშინვე შეეპყროთ ვეტელინოსი და იმგვარივე სიკვდილით დაესაჯათ, როგორითაც იმ ქალის შვილი იქნა მოკლული.

ჰერაკლიოსმა მიიღო შვილი — ჰერაკლიოსი, რომელსაც კონსტანტინედაც მოიხსენიებდნენ (ორი სახელით იყო ცნობილი), მღვდელთმთავრის ხელით წმინდა ემბაზში განბანილი მიირჩევა წმინდა საბანელიდან, სამეფო ღირსების ნიშნებით და დიადემით შეამკო და კეისრად გამოაცხადა. ქალიშვილი კი, სახელად გრეგორია, პატრიკიოსის ხარისხის მქონე, ნიკიტას მისცა ცოლად და, რადგანაც იგი ამით კეისრისათვის უფრო შინაური გახდა, მისი მოოჭროვილი ქანდაკება, სვეტებს ზევით ცხენზე ამხედრებულისა, ფორუმად წოდებულ მოედანზე აღმართა.

ეს ასე მოხდა. ხოსრომ, სპარსეთის მეფემ, მრავალრიცხოვანი ჯარი შეაგროვა და რომაელთა წინააღმდეგ გაგზავნა; სპარსთა შეიარაღებული ძალების შეთურად საიტოსი იქნა არჩეული. ამან ალექსანდრეს ქალაქს მიაღწია, ძალით

¹ ქალბატონი ე.ე. ლიპსიცი განმარტავს როგორც სამხედრო საკარო თანამდებობას.

აილო, ფეხთქვეშ გაიგდო მთელი ეგვიპტე და აგრეთვე მთელი აღმოსავლეთი, მცხოვრებთა უმეტესობა შეიპყრო და ტყვედ წაიყვანა, სხვები სიკვდილით დასაჯა, ისე რომ არავინ დაინდო. შემდეგ მთელი არმიით ქალაქ ქალკედონისაკენ გაემართა, ხანგრძლივად ამყოფა ალყაშემორტყმული და თან კვისარს მოსალაპარაკებლად შეხვედრას სთხოვდა. მეფემაც შეისმინა და გამოემგზავრა მასთან სამეფო საჭურველთმტვირთველებით და მხლებლებით. საიტოსმა დაინახა თუ არა იგი, წამოდგა სავარძლიდან და ძირს განრთხმით სცა თაყვანი. ის კი ნაეიდან მიესალმა და საჩუქრები გადასცა მას. საიტოსმა ასე მიმართა: „მეფეო, არ უნდა განსხვავდებოდეს რომაელთა და სპარსელთა შეხედულებები, არც არანაირად არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ისინი ერთმანეთს, არამედ შეგობრულად და თანხმობით უნდა იცხოვრონ როგორც კეთილგანწყობილებმა (რაც ყველაზე სასიამოვნო და სასიხარულოა ადამიანებისათვის; ასე იყო ძველადაც და ახლაც, რადგან იგი განაპირობებს სიკაცხლეს, კარგად ყოფნასა და კანონიერებას). ამასთანავე საჭიროა ხელშეუხებელი დარჩეს ურთიერთშეთანხმება მომავალშიც. რადგან ვიცი, რომ შეუძლებელია ასეთივე თანაბარი ძალით მორკმული სახელმწიფო გამოჩნდეს როდისმე: მაშინ როდესაც წინდახედულად და კეთილგონიერულად მოქცევის პირობით შესაძლებელია ურთიერთშორის კეთილმოსურნეობისა და მეგობრობის განმტკიცება. და არ არის მართებული იარაღით ვებრძოლოთ ერთმანეთს. ქვეშევრდომებს უსამართლოდ ვაწვინოთ და შევაიწიროთ. რის გამო ხდება ეს? თუკი დაადგენთ ერთსულოვნებას და მშვიდობას, თითოეული თქვენგანიც და სხვა ადამიანებიც, უფრო ბედნიერები გახდებით და მთელი ცხოვრების მანძილზე ალტაცებისა და გაოცების ღირსნი აღმოჩნდებით. თქვენს ზრუნვასა და წუხილს უზრუნველობა და მხიარულება შეენაცვლება. თუ თქვენ იტყვი, რომ ასეთი სიკეთე არაფერს ნიშნავს და მშვიდობას აბუჩად აიხდებთ, მიიჩნევთ, რომ არავითარ სარგებლობას არ მოიტანს თქვენთვის იგი, და მის ნაცვლად უპირატესობას მიანიჭებთ ურთიერთშორის მტრობასა და სიძულვილს, ურიცხვ ომებს გადაიხდით, ამის საზღაური იქნება უთანხმოება, ფიცის გატეხვა, უდიდესი შრომის და ოფლისღვრის უნაყოფოება, უპირავე ადამიანის სიკვდილი, ურიცხვი სიმდიდრის განიაცება და დახარჯვა. და საერთოდ, ომი დიდ ზიანს მოგიტანთ. ახლაც, თქვენ იყავით და ნახეთ, როცა მე რომაელთა ქვეყანაში შემოვიჭერი, რა საშინელი უბედურებანი ნახა და განიცადა მან. ამის გამო აღმოჩნდით სახელმწიფოთა შორის ყველაზე საცოდავი და უბედური“. ასე იფიცებოდა იგი და ამბობდა, რომ ისწრაფვის რომაელთა და სპარსელთა სახელმწიფოების შეთანხმებისათვის. მან ამის შესრულება აღუთქვა და დაუმატა, რომ ფიცის შესრულების რწმენა მოგეცემათ, თუკი ასეთივე სურვილი

ეწეობაო ხოსროს. საიტოსმა თქვა: თუ ჩემი ნდობა გაქვთ, სასწრაფოდ უნდა გამგზავნოთ ხოსროსთან 100 უხუცესის თანხლებით (ის, კარგად ვიცი, ამავე აზრზე დადგება) და შეთანხმებით უზრუნველყოთ, რომ თქვენგან მშვიდობა მტყიცედ და წმინდად შენახული დარჩება ამიერიდან ყოველთვის.

გაბარებულმა მეფე პერაკლეიოსმა აღუთქვა, რომ მზადაა ყველაფერი გააკეთოს უდიდესი მონღოებით. საიდუმლო მღვდელმსახური და სხვები, რომლებმაც ის მოეთათბირა, მთლიანად დაეთანხმნენ და შეუერთდნენ მას ამ საქმის შესასრულებლად, სასწრაფოდ გამოარჩიეს ელჩები. ოლიმპიოსს ჰქონდა პრეტორათა მთავრის ღირსება, ლეონტიოსს — ქალაქის მთავრისა, ანასტასიოსს — საქმეებით სანდოს, უდიდესი ტაძრის მეურნეობის მმართველობა, ტაძრისა, რომელსაც აია სოფია ეწოდება. საიტოსმა ესენი წაიყვანა, შემდეგ ქალკედონიდან წავიდა და სპარსულ ტომებთან დაბრუნდა. სანამ რომელითა მიწაზე ედო გზა, პატრიუს მიაგებდნენ და ემსახურებოდნენ, სპარსეთში შედგა თუ არა ფეხი, რკინის ბორკილებით შეკრული ხოსროს მიჰგვარეს. ხოსრომ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ საიტოსმა პერაკლეიოსი კეისრად ცნო და პატრიე მიაგო, ტყვედ კი არ შეუპყრია მასთან წამოსაყვანად, (ამაზე ოცნებობდა და ამყარებდა იმედს), განრისხებულმა, მისი სხეული გაატყავა და ასეთი მწარე და მტანჯველი სიკვდილით დასაჯა.

რომაელთა ელჩები თითო-თითოდ გაანაწილა, უსასტიკესი დაცვა და უდიდესი წამება არგუნა თითოეულს. ეს სრულებით არ ენადღებოდა კეისარს. ამას გარდა, უმძიმესმა შიმშილმა მოიკცა სახელმწიფო, რადგან ეგვიპტემ აღარ მოამბარაგა სურსათით, რის გამოც სამეფოს სასურსათო მარაგი თითქმის ამოიწურა. ქალაქს შავი ჭირი მოევიღნა, მრავალს ეწია სიკვდილი და გაიხრწნა, რის გამოც ხელისუფალი დიდ მწუხარებასა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. მან ლიბიაში გამგზავრება ისურვა, წინასწარ გაგზავნა ჭონება, დიდძალი ოქრო — ვერცხლი და პატოსანი თვლები, რომელთა არა მცირე ნაწილი მოხვდა ძალიან დიდ ღელვაში და ზღვის სიღრმეში დაინთქა. ადრევე გაიგეს მოქალაქეებმა და, როგორც შეეძლოთ, ისე აბრკოლებდნენ სიმდიდრის გაგზავნას. ერთი სიტყვით, მღვდელთმთავარმა მოუწოდა ხელისუფალს ტაძარში და ფიცით შეკრა, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გასულიყო სამეფოდან. მიუხედავად იმისა, რომ დასტიროდა მომხდარ უბედურებას, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მრჩეველთა აზრი მიიღო.

გარკვეული დროის შემდეგ ჭუნების მეფე თავის მთავრებთან და საჭურველმტვირთველებთან ერთად ბიზანტიონში მოვიდა და მოითხოვა ქრისტიანობის მიღება. კეისარმა შეიწყენარა იგი, რომაელთა მთავრებმა მიიღეს

ქენთა შთაერება, ხოლო რომელითა შეუღლებნა ჰქნთა, შეუღლებე განათლეს წინდა ემბაზნი. შიართეს შათი შეფერი სახეკრები და უბოძეს ღირსებანი. შათს წინამძღვარს კვისარმა პატრიკოსის წოდება და პატრიკოსი მიაძინა და ქუეყანაში ქუეყანაში კეთილი განწყობით გაამგზავრა.

ამის შემდეგ ავართა ტომის წინამძღვარმა პერაკლეიოსს გამოუგზავნა ელინი სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის.

ამის გამო დიდად გახარებულმა კვისარმა მას სანაცვლოდ საჩუქრები გადასცა და გაგზავნა შაენედ ათანასიოს პატრიკოსი, შემდეგ კონსტანტინე, რომელსაც კონსტანტინის პატრიკოსი ჰქონდა, რათა ავართა წინამძღვრისათვის კვისარს ნება განეცხადებინა. ავართის კი მზაკრულად ნებობდა ასაღებდა თავს. ატყუებდა, რომ რომელითა მეგობარია, და აცხადებდა, რომ ვახლებოდა კვისარის ზღწერტლები დასადებად. ისინი დაბრუნდნენ თუ არა, ყურისათვის ნათელი გახადეს შიით კეთილგანწყობილება. მას, ძალზე გახარებულს, სურდა ქალაქ პერაკლეიაში ავართს შეხვედროდა, როგორც ერთმანეთს შეეკავებინათ. სანახობისათვის მან წინასწარ გაგზავნა მოწყობილობა და დაასრულა მომზადება, რათა ცხენთა შევიზრება ეწყვიდებინა, რაზუნა აგრეთვე თავად და მხლებელითა ბრწყინვალე ტანსაცმელზე. ამის შემდეგ შვიდი და დაბანაკდა ქალაქ სოლომბრიაში. სამს დღის შერე ხაყან: შრავალაჯიანოც სი ავა ებით პერაკლეიას მახლობლად დაბანაკდა. ამაღის ნაწილა, რომელსაც შრავალაჯიანოც უწოდებდნენ და გულად და სურათად გამოვიდა და გასწავნა განართა და სმობი ტყით დაფარულ მთებში (ეს ტყე ია გავა) კვლავი დაბრუნდნენ და ედლებს გარს კვლებოდნენ), რომ შალაჯად გამოსივაროვნენ და შერგვიან მოეჯლოთ შუკისათვის. რათა თავად ხარჯედ სჭროდა ზღუთ შეამი მოჭყეულება. პერაკლეიოსმა ეს იგონა, უნა მოედ შეამინა მოულოდნელმა ამბებმა, ვაიბადა მოწვეული ტანსაცმელი, ჩაიცვა იარაღული ტანისამოსი, რათა შემხვედრს უბრალო კაცად მიეღო, სამეფო გარეშე კი მკლავზე ჩამოიკიდა, მაშინვე გაატყა როგორც მსდალი და გადასწავნა ბრანტონში ჩავიდა. ავარები კი ვაჯკატურად დაეფევენ ეს და დავაჯეს ელო, რომელიც ჰებდომოსად წოდებულ ქალაქთან მდებარეობდა. ატდან მივიდნენ მდინარე ბარბისოსზე გადებულ სიღამედ და მისი შემოგარეზი სანინლად გასარცეს, რომელიც მოსახლეობა შეუბრალებლად ამოხოცეს, თან წაიდეს სამეფო ტანსაცმელი და აღჭურვილობა, ასევე სანახობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა და ყველანი თან წაიყვანეს; დარჩენილები დიდი ნაწილი მონად გაიხადეს და თავის ქუეყანაში წაასხეს. მათი — ქალების და კაცების — რიცხვი აღწევდა ორას სამოცდაათ ათასს, როგორც ზოგიერთი ტყვედყოფილი ამბობდა. პერაკლეიოსმა, რომელიც საერ-

თო საქმეებში ბევრ სიძნელესა და უსიამოვნო ამბავს გადაეყარა, ვერც საკუთარი საქმე მოაგვარა. მან იცოდა, რომ არასაწორად იქცეოდა და რომელითა კანონი ამას კრძალავდა; ჯვარი დაიწერა თავის ნათესავზე — მარტინაზე, რომელიც მისი დის — მარიას — ქალიშვილი იყო, მამამისი კი — მარტინოსი — მარიას ქმარი იყო ევტროპიამდე. მისგან უყოლა ორი ვაჟი, რომელთაგან ერთს ფლავიოსი, მეორეს კი თეოდოსიოსი დაარქვა. თუმცა სამართლიანობამ გაიმარჯვა უკანონობაზე, რადგან უფროსს აღმოაჩნდა კისერი იმგვარად მოღრეცილი, რომ მეორე მხარეს თავს ვერ ატრიალებდა, უმცროსს კი სმენითი შეგვრძნება წართმეული ჰქონდა და აგრეთვე ყრუ და ჩლუნგი აღმოჩნდა. მწვანე ფერის დემოტებმა ამ უღირსი ქორწინების გამო ცხენთა შევიძრებზე ამხილეს იგი და გადაწყვიტეს, ერთად ეძიათ შური. სერგიოსი კი, ბიზანტიელთა მღვდელთმთავარი, მას დაეინებით სთხოვდა წერილით, რომ ცოლთან კავშირი გაეწყვიტა. თან თავს იმართლებდა, რომ კარგიაო შენი ნათქვამი და უკვე მიაგვო, რაც შეგფეროდა, როგორც მღვდელთმთავარსა და მეგობარს, დანარჩენი საქმეები კი ჩვენზე იქნებაო. ამავე დროს გაიყიდა საეკლესიო განძი, რათა გაბრუნებული ბარბაროსებისათვის ხარკად გაეტანებინათ.

სპარსელთა მეფემ ხოსრომ კვლავ გაილაშქრა რომაელთა წინააღმდეგ, ჯარის მეთაურად სარკაროსი გაგზავნა, რომელმაც მთელი აღმოსავლეთი მხარე დაიპყრო. წმინდა ადგილებს წარსტაცა მაცხოვრის ჯვარის ცხოველმყოფელნი ძეგლი, იმ დროს, როცა იერუსალიმის ტახტზე იჯდა მოდესტოსი. სპარსელები მოემზადნენ და იჩქარეს, რათა ჭალკედონამდე მისულყოყნენ. ჰერაკლიოსმა, რომელიც შევიწროებული იყო სპარსელებისა და ავარების მხრიდან, თან შიშ-შილი აწუხებდა, რომაელთა სახელმწიფოს რომ მოარევნოდა და ჰირით წყვეტდა ხალხს, — მოიწვია ჭალაქის პროედროსი სერგიოსი, აგრეთვე მთავარნი და მთელი დანარჩენი ხალხი, გადასცა მათ თავისი შვილები, პატრიკოსს ბონოსოსს კი საქმეების მმართველობა დაავალა და შეეცადა, ევქსინოსისა და ლაზიკის გზით სპარსეთში შეჭრილიყო. თავისი ცოლის — მარტინასაგან (ის თან ჰყავდა წაყვანილი) უყოლა ვაჟი, რომელსაც სახელად ჰერაკლიოსი დაარქვა. აქედან გაუგზავნა საჩუქრები თურქთა მეფეს და მოუწოდა, შეკავშირებოდა მას სპარსელთა წინააღმდეგ. მან მიიღო საჩუქრები და ბრძოლაში მოკავშირეობაც აღუთქვა. ამით გახარებული ჰერაკლიოსი თვითონ წავიდა მასთან, მან კი გაიგო რა კეისრის იქ ყოფნის შესახებ, შეეგება მრავალრიცხოვან თურქებთან ერთად, ჩამოკვეთიდა ცხენიდან და მეფეს მიწაზე განრთხმით თავყვანი სცა. ასევე მოიქცა ყველა, მასთან მყოფი. მეფემ ცხადად დაინახა მისთვის მიგებული პატივი და განუცხადა, რომ, თუ მასთან მეგობრობა მტკიცე იყო, მიახლებოდა; თან საკუ-

თარი შვილი უწოდა. ისიც მეგობრულად გადაეხვია კეისარს, რომელმაც თავისი გვირგვინი მოიხსნა და თურქს დაადგა თავზე; ინადიმა მასთან ყველამ და აჩუქა მთელი სანადიმო ჭურჭელი, სამეფო სამოსი, მარგალიტებით შემკულ საყურებთან ერთად. მასთან მყოფი მთავრებიც ამგვარადვე საკეთარი ხელით მორთო მსგავსი საყურებით. შემდეგ, შემინებულმა, რომ ის ავაროსივით არ მოქცეულიყო და მასთან კავშირი გაემყარებინა, აჩვენა მას ქალიშვილის — ედოკიას — გამოსახულება და უთხრა: „ჩვენ ღმერთმა შეგვაერთა, შეგრაცხარა შენ ჩემ შვილად. აი, ეს ჩემი ქალიშვილია და რომელთა ავგუსტა. თუკი დამიკავშირდები და შემეწევი მტრების წინააღმდეგ, ცოლად გაძლევ მას“. გამოსახულების მშვენიერებით მოხიბლული და სიყვარულით დაჭრილი, კიდევ უფრო განეწყო იგი ერთად ბრძოლისათვის. დაუყოვნებლივ გადასცა კეისარს მთავარი მრავალ თურქთან ერთად. მათი თანხლებით თავს დაესხა სპარსეთს, დაანგრია ქალაქები და გაანადგურა ცეცხლის სალოცავნი. ერთ მათგანში მან აღმოაჩინა, რომ ხოსროს თავისი თავი გაულმერთებია — დაუდგამს თავისი გამოსახულება სახურავზე, თითქოს ცაში აზიდული, მასთან ერთად ნაჭანდაკები გამოსახულებანი ელვათა, მზისა და მთვარის, გარს მოუხვევია ანგელოზები; როცა კი ისურვებდა, რაღაც მოწყობილობის წყალობით, ქუხდა და წვიმდა კიდევ. დაინახა თუ არა ეს საზიზღრობა, ჰერაკლეოსმა დაამხო იგი მიწაზე და მტვრად აქცია.

ხოსრომ ეს ამბავი და სხვაც დანარჩენი რომ გაიგო, ისიც, რომ ჰერაკლეოსთან ერთად იბრძოდნენ თურქები, სარვაროსისათვის ყოველივე ეს ნათელი გახდა წერილით; სწერდა, რომ სასწრაფოდ დაბრუნებულყო რომაელთა ქვეყნიდან და ჰერაკლეოსის წინააღმდეგ დახმარებოდა, რადგან არ შეეძლო იმ სიმრავლეს წინ აღდგომოდა. ეს წერილი გამოაბრუნა და ხელთ იგდო იგი ჰერაკლეოსმა. როცა მან წაიკითხა და გაიგო ყოველივე, გააქრო იგი და სხვა წერილი, თითქოს ხოსროსაგან მიწერილი, გაუგზავნა სარვაროსს. მისი, ხოსროს, ბეჭდით დაადასტურა; წერილი შეიცავდა შემდეგს: „რომაელთა კეისარმა თურქებთან კავშირი შეკრა და მივიდა აღორბადიგანოსად¹ წოდებულ ადგილამდე და, როცა მის წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ჯარი, კეისარი და თურქები განდევნილ იქნენ, დანარჩენები კი გაიქცნენ. ამიტომ არ წახვიდე რომაელთა მიწიდან, არამედ ალყა შემოარტყი ქალკედონს, რომ რომაელები დაატყვევო და გაძარცვიო“. სარვაროსმა, ეს წერილი რაკი მიიღო, ალყა არ მოხსნა.

¹ იგულისხმება ირანის აზერბაიჯანი, ანუ აღარბადაგანი.

ავარებმა ზავი დაარღვიეს და პერაკლეიოსმა, სანამ სპარსელთა წინააღმდეგ გაილაშქრებდა, საჩუქრებით გაამყარა შეთანხმება, შესთავაზა მათ ოცი ათასი დრაკკანის ვადახდა, მისცა მძევლად ერთი ძეთაგანი, სახელად იოვანე, რამელსაც ატალარხოსაც უწოდებდა (იგი უკანონოდ იყო შობილი მოახლისაგან), და თავისი ნათესავი სტეფანოსი, დის — მარიას — შვილი, და ევტროპიოსი და მეორე იოვანე, დიდგაროვან ბონოსოსის შვილი, ავრეთვე მხევალი ჭალისაგან ნამობი; ავარებმა გამოილაშქრეს და, ბიზანტიონის კედლებს მიაღწენენ თუ არა, მაშინვე გადაწვეს ჭალაქის მისადგომი. ორთავ ვაიყვს რა ურთიერთში რის თრაკიის ბოსფორი, სპარსელები მის აზიურ ნაწილს დაეუფლნენ, ავარებმა კი გაანადგურეს თრაკიის მხარე.

ავარები ერთმანეთს შეუთანხმდნენ დაეპყროთ ბიზანტიონი. მოამზადებენ კედლების ასაღები მოწყობილობანი (ციხე-სიმაგრეები ხისა იყო), მათ შორის ისეთები, რომლებსაც „კუ“ ეწოდებოდა¹.

როცა ეს მანქანები მიუახლოვდნენ კედლებს, ლეთიურმა ძალამ უეცრად მტვრად ატყა ისინი და ამ საჭურველით მებრძოლი ავარები მოსპო. რადგან ავარებთან ერთად იმყოფებოდნენ დიდძალი სლავები და მათ მოკავშირეებად ითვლებოდნენ, ნიშანი მისცეს, რომ ვლახერნის წინა კედელზე (რომელსაც ეწოდება პტერონი) ჩირალდნების დანახვის უმალ მისულიყვნენ იქ ერთიანი ხისაგან თლილი ნაგებით, გაეცურათ ჭალაქამდე, რომ ლითვისაც თავზარი უნდა დაეცათ, ამხედრებინათ, კედელზე სწრაფი ასვლით უპიშრად გადასულიყვნენ შიგნით და აეღოთ ციხე. ყოველივე ეს ნათელი გახდა რა პატრიკიოს ბონოსოსისთვის, განაწყო ორ და სამნიობიანი ნაგები და იმ ადგილს მიაღება, სადაც მოკმულ იქნა ნიშანი, ასევე გაგზავნა ორნიჩბიანი ნაგები მოპირდაპირე ნაპირზე და დაავალა, მაშინვე მიეცათ ნიშანი მოთვალთვალეებისათვის.

როგორც კი ეს დაინახეს სლავებმა, ბარბისოსად წოდებული მდინარით ჭალაქისაკენ გაემართნენ. ნაგები სწრაფად შეიჭრნენ მუჯგულში და სწრაფადვე ამოხოცეს მოწინააღმდეგე ძალები და დიდი სისხლით ზღვის წყალი წითლად შეიღებდა. დაცემულთა შორის სლავი ჭალებიც აღმოჩნდნენ. ეს რომ დაინახეს, ბარბაროსებმა უარი თქვეს ალყაზე და თავისიანებს დაუბრუნდნენ. ჭალაქის მღვდელთმთავარი კონსტანტინე კეისართან ერთად მივიდა ვლახერნაში მდებარე ლეთისმშობლის ტაძარში², რათა სამადლობელი ლოცვანი აღველინათ ღმრთისადმი; დაუყოვნებლივ აამენეს ამ წმინდა ტაძრის კედელი და მეციხოვნენი ჩააყენეს.

¹ შტრ. *χελαιου* - ს მნიშვნელობა ძველ ბერძნულ მწერლობაში.

² ეს ტაძარი ცნობილია იმით, რომ იქ ინახება ლეთისმშობლის სამოსელი.

ასე იყო ავართა საქმეები.

რაცა ხოსრომ გაიგო, რომ ჰერაკლიოსი სპარსთა სამეფოს მიუახლოვდა, მის წინააღმდეგ გაგზავნა სარდალო ვინმე. სახელად რიძატესი, კეთილშობილი და სამხედრო საქმეებში გამოცდილი. მივიდა რა ეს კეისართან, მხედრულად მოემზადა, საკუთარი ფრთის წკობას გამოეყო, მარტო წარდგა წინ და მარტო მზარძოლი გამოიწვია შესაკიდებლად. რადგან ჰერაკლიოსს თავისი მხედრობიდან არაფერ ეგულებოდა ამის გამბედავი, თვითონ გამოვიდა ბარბაროსის წინააღმდეგ. რიძატესმა, როგორც გამოცდილმა მშვილდოსანმა, სტყორცნა ისარი და კეისარს ზედა ტუჩში ვაკკრა, მერე მეორე ისარიც სტყორცნა და ფეხის კოჭი გაუკაწრა. თავად ჰერაკლიოსი ცხენით მიუახლოვდა და მისმა ერთ-ერთმა საჭურველთმცვერთველმა რიძატესს მახვილით მოჰკვეთა მკლავი, დაჯეშულს კეისარმა შუბი ჰკრა და შყისვე თავიც მოაჭრა. ამ გულმისაცემი გამარჯვებით რომაელთა მხედრობა აზკავდა, იგრძნო კეისარის გულგვანება და ერთიანად უძლიერესი დარტყმა აგვიმ უკუქცეულ სპარსელებს, ძალაგამოლეულებს მისდია და მათი დიდ სიმძაველ აღხოცა.

მას შემდეგ, რაც სპარსთა მთაფრებმა გაიგეს, რომ რომაელთა კეისარმა თავისი სახელმწიფოსათვის საკუთარი სიცოცხლე არად ჩაადგო, გადაწყვიტეს, სეიროესთან¹, ხოსროს შვილთან, ერთად მოეკლათ ხოსროც, რომელმაც ასე გამეტებით აიგდო აბუჩად საკუთარი სახელმწიფო. ის ჩაამწყვდის ერთ-ერთ სამეფო სახლში, საქმელს არ აძლევენ, ბევრ ოჭრო-ვერცხლსა და პატროსან თვლებს სთაკაზობდნენ და ეუბნებოდნენ: რითაც ტყებოდი, რაზეც ჰკუას კარგავდი და რაც გიყვარდა, იმას მოგართმევთო. როცა ის შიმშილით მოკლეს, მისი შვილი — სეიროესი — სპარსთა მეფედ გამოაცხადეს. სეიროესმა მაშინვე გაამგზავრა ელჩები ჰერაკლიოსთან, საჩუქრებიც გაუგზავნა მას შესარიგებლად. სწერდა, თავიანთი სახელმწიფოების ინტერესებისათვის ერთმანეთს შორის მშვიდობიანი კავშირი შეეკრათ, რათა ღმერთს შეეწყინარებიან და თითოეული მათგანი თავისთვის მშვიდად ყოფილიყო.

წერილითვე უპასუხა ჰერაკლიოსმა, უწოდებდა რა სეიროესს შვილს, რომ საზოგადოდ არასოდეს მოსულია აზრად მეფისათვის დიდება და პატივი წაერთმია, არც ხოსროს მიმართ ყოფილა სხვარიგად განწყობილი. მაგრამ თუ ძალიან ბევრი და უბოროტესი საქმე უჩვენა რომაელებს და სპარსელებს, ვიჭარგო, წერილში ამბობდა, მე რომ უფრო მეტი შესაძლებლობა მომცემოდა, გადარ-

¹ სეიროესი იგივე შირუვა, როგორც დაგვიხუსტა მკიანამე.

ჩენილს მის სამეფოში დაეაბრუნებდით. ღმერთმა, რომელმაც იცოდა მისი წინასწარი ზრახვები, დამსახურებული განაჩენი გამოუტანა, რომ მის გამო ბევრი არ განადგურებულყო, ჩვენ კი გაგვეერთიანაო. რაც შეეხება ცხოველშყოფელ ძელს, რომელიც სარჯაროსმა იერუსალიმიდან წამოიღო, დაეინებით მოითხოვდა, რომ მოეძიათ და უკან დაებრუნებინათ. მან აღუთქვა მისი დაბრუნება, როგორც კი ჰქმარებდა აღმოჩნდებოდა. ელჩთაგან, რომლებიც საიტოსმა ხოსროსთან მზავრობით წაიყვანა, ლეონტიოსი ჩვეულებრივი სიკვდილით მოკვდა, სხვები კი ხოსრომ ვვარს აცვა, დაიგულა რა პერაკლიოსი სპარსეთს შექრილი.

სეიროესის აღსრულებისთანავე სამეფო ძალუფლება ხელთ იგდო კაბოესმა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა. მის შემდეგ სპარსეთში მეფობდა პორმიზდი. იგი ასევე პერაკლიოსს უგზავნის ელჩებს და აგრეთვე ვაეიშვილს ფულითა და ძვირად ღირებული საჩუქრებით. წერილით ამას ამცნობს: „როგორც ამბობთ, ოდესღაც თქვენი ღმერთი გადასცეს მოხუც კაცს ვისმე — სვიმეონს — მისარქმელად, ასევე დავასვენებ შენს მკლავებზე მონას შენსას და ძეს ჩემსას. ღმერთმა, რომელმაც ეთაყვანები, განსაჯოს, თუ როგორ მოექცევი მას“. პერაკლიოსმა დიდი პატივით მიიღო იგი და პორმიზდის სიკვდილის შემდეგ სპარსეთს მეფედ აკურთხა.

სარჯაროსმა გაიგო თუ არა, რომ ხოსრო, სეიროესი, კაბოესი და პორმიზდი აღსრულნენ, დაბრუნდა რომაელთა ჯვეყნიდან და სახოტბო წერილი მისწერა პერაკლიოსს, რომ არა ნებით, არამედ წარმმართველის განზრახვით მოქმედებდა რომაელთა წინააღმდეგ, სთხოვდა ნება დაერთო, რომ თვით მხლებოდა და როგორც მონა-მორჩილი წარდგომოდა მას. აღუთქვამდა, რომ, თუ სარწმუნო სიტყვით დასტურს მისცემდა, სპარსეთიდან წამოვიდოდა მასთან და ფულს გადაუხდიდა, რათა ამ ფულით ისევ განეახლებინათ ყოველივე, რაც მან რომაელთა ჯვეყანაში გაანადგურა. ამას რომ ფიქრობდა, პორმიზდის შვილი შეპყრობილი იქნა და სარჯაროსმა კეისრისაგან ითხოვა სპარსელებზე მბრძანებლობა. მან მისცა მბრძანებლობის უფლება და შეთანხმდნენ, რომ ყოველივე, რაც რომაელებს გადახდათ სპარსელებისაგან, რომაელებს დამართოდათ. როგორც კი მშვიდობიანობა დამყარდა, სარჯაროსმა რომაელებს გადასცა ეგვიპტე და მთელი აღმოსავლეთის მიწები, იქიდან სპარსელები გამოდევნა და ცხოველშყოფელი ძელი კეისარს გაუგზავნა. პერაკლიოსმა სარჯაროსის ვაეიშვილს ნიკიტას პატრიკოსის ღირსება მიანიჭა, ხოლო ნიკე, მისი ქალიშვილი, ცოლად შეერთა თავის შვილს მარტინასაგან — თეოდოსიოსს. გრიგორია, ნიკიტას ქალიშვილი კი, პენტაპოლისიდან წამოიყვანა

¹ სეიროესი იგივე შარუვა, როგორც დავიზესტა მკიკნაძემ.

და რომაელთა კეისართან, კონსტანტინესთან, შეაუღლა, რომელიც ჰერ კიდევ თავისი მამის სიცოცხლეში იყო დანიშნული.

ამავე დროს ეგრეთწოდებული აითრიბოსიდან სარკინოზები გამოჩნდნენ (ეს არის მიწა ბედნიერი არაბეთისა), რომ იქაური, ახლომდებარე ადგილები გაეძარცვათ. პერაკლეიოსმა თავისი ქალიშვილი — ედოკია — ბიზანტიონიდან გამოამგზავრა, რათა თურქისათვის გადაეცა. მაგრამ როგორც კი მან გაიგო, რომ თურქი მოკლულ იქნა, ქალიშვილს უკანვე დაბრუნება უბრძანა. სპარსეთში ყოფნისას პერაკლეიოსს მოუეკდა ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მან აიღო დაბეჭდილი ცხოველმყოფელი ძელი, როგორც მიღებული იყო, მუდმივ სამყოფელად იერუსალიმი მიუჩინა და მღვდელთმთავარ მოდესტოსს და მის თანამსახურ სამღვდელთ წარუდგინა. როცა მათ ხელშეუხებელი ბეჭედი შენიშნეს, ბარბაროსთა არაწმინდა თვალთაგან დაფარული და უღეთო ხელთაგან წაუბილწავე, ღეთისადმი სამადლობელი სიმღერა აღავლინეს. მღვდელთმთავარმა მოიტანა გასაღები, რომელიც მასთან იყო დარჩენილი, და გაღებისთანავე ყველამ მუხლი მოიყარა. ამალღებულ იქნენ რა ისინი, კეისარმა მაშინვე გააგზავნა ბიზანტიონში. სერგიოსმა კი, ბიზანტიონის მღვდელთმთავარმა, ვლახერნის ღეთისმშობლის ტაძრიდან ლიტანიით გადაიტანა უდიდეს ეკლესიაში და იქვე აღმართა. ეს მოხდა მეორე ინდიქტიონს.

არცთუ დიდი ხნის შემდეგ პერაკლეიოსი ბიზანტიონში გაემგზავრა, სადაც ხალხმა იგი ლოცვითა და უდიდესი პატივით მიიღო. მან ოთხი სპილო მოიყვანა ცხენთა შევიბრებაზე მოქალაქეთა სასიამოვნებლად, ხოლო გამარჯვების დღეს სიამაყით და სიამოვნებით დაარიგა მრავალი საჩუქარი. შემდეგ, რადგანაც წაღებული იყო დიდი ეკლესიის ქონება, ბრძანა მეფის ბაზილიდან მისთვის და მისი ამალისათვის ყოველწლოური თანხა გადაეხადათ. შემდგომად ამისა, თავისი ვაჟი — კონსტანტინე — იპატოსად დასვა, ხოლო პერაკლეიოსი, მარტინასაგან რომ ჰყავდა, კეისარად ხელთდასხმულ-ყო. არცთუ დიდი ხანი გავიდა და სარკინოზები ანტიოქიის შემოგარენში შეიჭრნენ. პერაკლეიოსმა თავის ცოლთან, მარტინასთან, და ვაჟთან — პერაკლეიოსთან ერთად მაშინვე აღმოსავლეთის მხარეს მიაშურა. იქ რომ ჩავიდა, ძმას — თეოდორეს — განურისხდა. თურმე მას ჩუმიდ გაუკილავს კეისარი მარტინას გამო, ასე უთქვამს: მისი ცოდვა ყოველთვის ცხადი დარჩებაო. იგი ბიზანტიონში გაგზავნა, მისწერა თავის ვაჟს — კონსტანტინეს, რომ თავი მოეყარა ხალხისათვის, რათა პატივყრილი საყრობილეში ჩაეგდოთ. აღმოსავლეთის მხედართმთავრად გაგზავნა თეოდორე, სამეფო მეჭურჭლეთუხუცესი, ზედწოდებით ტრითირიოსი. ნიკიტასთან მყოფი სერგიოსი ასე აღესრულა: სარკინოზებმა გაატყავეს აქლემი, მის ტყავში გამოკრეს

და პარა ამოეკორეს. ტყავთან ერთად გამოშრა შენით მყოფიც და მწარე სიკვდილო დაიღუპა.

გიორგი სინგლოზის „ქრონიკა“¹

გიორგი სინგლოზი (Γεωργιος ο Σινγκλος, VIII-IX საუკუნეების მოღვაწე; პატრიარქ ტარასის დროს (786-806) ის იყო პატრიარქის საიდუმლო მდივანი (თუკესის), ხოლო პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ განმარტოვდა მონასტერში და იქ დაწერა თავისი „ქრონიკა“ (Συλλογή χρονιαγραφίας). მისი ბიოგრაფიის თარიღებიდან შედარებით უფრო ზედმიწევნით შეიძლება აღინიშნოს ერთი: 810 წელს ის გერ კიდევ ცოცხალია, რაც დასტურდება იმით, რომ გიორგი თავისი „ქრონიკის“ ერთ ადგილას 630 (810) წელს მიმდინარე წლად იხსენიებს.

გიორგი სინგლოზის „ქრონიკა“ შეიცავს ნაოცელია ისტორიის ადამიდიან ვიდრე დიოკლეტიანეს დროიდე, როგორც ეს გამოჩეკეულია², გიორგის წყაროებს, ბარლის გარდა, წარმოადგენდნენ მეოთხე საუკუნის ბოლოსა და მეხუთე საუკუნის დასაწყისის ალექსანდრიელი ეპისკოპოსების მანისიორე და ანნიანე შარაგლია. გიორგის „ქრონიკაში“ გვხვდება მითითება სხვა წყაროებზედაც (სექსტუს ალტრიკანეზე, დექსიპოზე). მაგრამ ამათ იცნობს ის მხოლოდ პანსიორეს და ანნიანეს შემწეობათ. წელთაღრიცხვაში გიორგი მასდევს პანსიორეს (549? წლან) სისხუმას.

გიორგი სინგლოზის „ქრონიგრაფიაში“ რომდენიმე საუკრადღებო ცნობაა საპრიფულოს შესახებ (იხ. გიორგი, IV, 1, გვ. 61-69) განსაკუთრებო: საგულანშიო იქ მოტანილი ცნობა 532-წლიანი მოქევის შესახებ. როგორც ცნობილია, წართული წელთაღრიცხვა ემყარება 532-წლიან მოქევეს, რაც არცერთ სხვა ერს არა აქვს. გიორგი სინგლოზი კი ცნობას ქრისტეს დაბადების შესახებ ათარიღებთ ასე: „ეს იყო 181 წელი 532-წლიანი მღთერთმეტე მოქევისაო. ჩენამდე შოლწეულ მწერალთაგან გიორგი სინგლოზი პირველია, რომელიც ამ წელთაღრიცხვას ბმარობს.

გიორგას „ქრონიკის“ გაგებელია (დიოკლეტიანეს დროიდან) ეკუთვნის თეოდანე ეპისკოპოსის.

¹ ეს და დოტობის შესავალი ეკუთვნის აკად. სიმეონიშვილს. ჩენ უცვლელად გადმოკრანეთ მისდამი მოძღვნილ წიხამდებარე „ქრესტომათიაში“ „პონანტიურ ლიტერატურის ისტორიიდან“, რამეთუ „არა დაბოა გულმან ჩუენან სიბრძნეო, მოძღვრისაო“.

² იხ. H. Geizer, Sertus Julius Africanus, II, 189 შად.

ქრონოლოგიური ცხრილი (ი. გოარის რედაქციით)

ჭვეენის დაარსებიდან 1 წელი ადამის შექმნიდან 1 წელია (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 5492 წ. პანოდორეს სისტემით).

ჭვეენის დაარსებიდან და ადამის შექმნიდან 230 წ. იბადება სეთი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 5262 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან და ადამის შექმნიდან 435 წ. და სეთის დაბადებიდან 205 წ. იბადება ენოსი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 5057 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 930 წ., სეთის დაბადებიდან 700 წ., ენოსის დაბადებიდან 495 წ. და ა.შ., კვდება ადამი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 4562 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 931 წ., სეთის დაბადებიდან 701 წ., ენოსის დაბადებიდან 496 წ. და ა.შ., კვდება კაენი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 4561 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 1122 წ., სეთის დაბადებიდან 892 წ., ენოსის დაბადებიდან 687 წ. და ა.შ., იბადება ენოჭი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 4370 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 1142 წ., სეთის დაბადებიდან 912 წ., ენოსის დაბადებიდან 707 წ., ენოჭის დაბადებიდან 20 წ. და ა.შ. კვდება სეთი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 4350 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 1273 წ., ენოსის დაბადებიდან 838 წ., ენოჭის დაბადებიდან 151 წ. და ა.შ., მათუსალას დაბადება საეჭვოა (საქმე ეხება ქრისტეს დაბადებამდე 4219 წელს).

ჭვეენის დაარსებიდან 1287 წ., ენოსის დაბადებიდან 852 წ., ენოჭის დაბადებიდან 165 წ. და ა.შ., იბადება მათუსალა (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 4205 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 1642 წ., ენოჭის დაბადებიდან 520 წ., მათუსალას დაბადებიდან 355 წ. და ა.შ. იბადება ნოე (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 3850 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 2140 წ., მათუსალას დაბადებიდან 835 წ., ნოეს დაბადებიდან 498 წ. და ა.შ., კიდობნის შექმნა მიენდო ნოეს (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 3352 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 2142 წ., მათუსალას დაბადებიდან 855 წ., ნოეს დაბადებიდან 500 წ. და ა.შ., იბადება სემი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 3350 წ.).

ჭვეენის დაარსებიდან 2144 წ., მათუსალას დაბადებიდან 857 წ., ნოეს დაბადებიდან 512 წ. და ა.შ., იბადება ჭამი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 3348 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2147 წ., მათუხალას დაბადებიდან 860 წ., ნოეს დაბადებიდან 505 წ. და ა.შ., იბადება იაფეტი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 3345 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2237 წ., მათუსალას დაბადებიდან 951 წ., ნოეს დაბადებიდან 595 წ. და ა.შ., იაფეტს მოჰყავს ცოლი. ეს კიდობნის გასრულების წელია (ქრისტეს დაბადებამდე 3255 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2251 წ., სემის დაბადებიდან 109 წ. და ა.შ., ნოე აშენებს ვენახს (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 3241 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2592 წ., სემის დაბადებიდან 450 წ. და ა.შ., კვდება ნოე (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 2900 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2736 წ., სემის დაბადებიდან 594 წ. და ა.შ., ივება ბაბილონის გოდოლი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 2756 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2742 წ., სემის დაბადებიდან 600 წ. და ა.შ., კვდება სემი (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 2750 წ.).

ენათა აღრევა და საგვარტომოების გამოყოფა იწყება ქვეყნის დაარსებიდან 2776 წ., ქალდეველთა პირველი მეფის და ეგვიპტელთა პირველი მეფის მეფობის 1 წელიწადს, (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2716 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2789 წ., პატრიარქთა წლების სათვალავით ფალეკის მე-18 წ. და ა.შ., ჭანანი სემის საზღვრებში იჭრება (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 2703 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 2848 წ., (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2644 წ.) დედამიწაზე განბნეული ადამიანები აგებენ (ქმნიან) სახელმწიფოებს.

ქვეყნის დაარსებიდან 3001 წ. ქალდეურ წელთაღრიცხვას ენაცვლება არაბული; მარდოცენტეს 45-ე წელიწადს არაბთა პირველი მეფის მეფობის 1 წელია (ეს არის ქრისტეს დაბადებამდე 2491 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 3116 წ. ეგვიპტელთა მე-10 მეფე იწყებს მეფობას; ეს ამოსის მე-2 წელია, (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2376 წ.).

ქვეყნის დაარსებიდან 3216 წ., (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2276 წ.) არაბებს სძლევენ ასირიელები; ასირიელთა 1 მეფის მეფობის 1 წელიწადია.

ქვეყნის დაარსებიდან 3238 წ. (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2254 წ.) პელოპონესში არსებობას იწყებს სიკიონიელთა სამეფო.

ქვეყნის დაარსებიდან 3311 წ., (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2181 წ.) იბადება აბრაჰამი.

ქვეყნის დაარსებიდან 3411 წ., (ანუ ქრისტეს დაბადებამდე 2081 წ.) იბადება ისააკი.

ქვეყნის დაარსებიდან 3471 წ., (ანუ ქრისტემდე 2021 წ.) იბადება იაკობი.
ქვეყნის დაარსებიდან 3531 წ., (ანუ ქრისტემდე 1961 წ.) იბადება ლუვი.
ქვეყნის დაარსებიდან 3534 წ., (ანუ ქრისტემდე 1958 წ.) იბადება იუდა.
ქვეყნის დაარსებიდან 3562 წ., (ანუ ქრისტემდე 1930 წ.) იბადება იოსები.
ქვეყნის დაარსებიდან 3735 წ., (ანუ ქრისტემდე 1757 წ.) იბადება მოსე.
ქვეყნის დაარსებიდან 3815 წ., პატრიარქთა ერის (წელთაღრიცხვის) სათვალავით — მოსეს დაბადებიდან 79 წ., (ანუ ქრისტემდე 1677 წ.) ისრაელი გამოდის ეგვიპტიდან.

ქვეყნის დაარსებიდან 4726 წ., (ანუ ქრისტემდე 766 წ.) პირველი ოლიმპიადიდან 1 წელია.

ქვეყნის დაარსებიდან 5492 წ., (ანუ ქრისტეს დაბადების წელს, როგორც გიორგი სინგლოზის ათვლის მიხედვით უნდა დაგვესკვნა, ხოლო, ვიქორებით, ეს ათვლა პანოდორეს ემყარებოდა,) 192-ე ოლიმპიადიდან 3 წელია.

ი. გოარის შენიშვნით, სხვა ადგილას გიორგი სინგლოზი ამტკიცებს, რომ ქვეყნის დაარსებიდან 5500 წ., (მაშასადამე, 8 წლის სხვაობი...) განკაცდა და ქალწული ლეთისმშობლისაგან იშვა უფალი ქრისტე, ძე ლეთისა; ასე რომ 5501 წ. ითვლება ქრისტეს დაბადებიდან 1 წლად.

ქვეყნის დაარსებიდან 5778 წ., ქრისტეს დაბადებიდან 287 წ., დიოკლეტანეს მეფობიდან 1 წელია.

თეოფანე ჟამთააღმწერელი

„ქრონოგრაფია“

(წინასიტყვაობა)

თეოფანე ჟამთააღმწერელი, იგივე აღმსარებელი *Θεοφανης Ουδαιου*, დაიბადა 760 წლის ახლო ხანებში მდიდარი ბიზანტიელი მოხელის ოჯახში. მისი შრომების ისააკისა და თეოდორას შესახებ თეოფანეს ცხოვრება გვამცნობს, რომ ისინი ხატთაყვანისმცემლები იყვნენ, მაგრამ თეოფანეს მამა — ისააკი -- დიდად მიღებული და ცნობილი კაცი იყო ხატმებრძოლი კონსტანტინე კოპრონიკოსის (741-755) კარზე და ეგეოსის ზღვის თემის სტრატეგოსის მალალ თანამდებ რზასაც მიაღწია, რაც საეჭვოს ხდის თეოფანეს შრომების აღმსარებლობას და გვაფიქრებინებს, რომ ისააკი ან ოსტატურად მალავდა თავის კონფესიონალურ განწყობილებას ხატმებრძოლი მეფის წინაშე, ან მათი ერთგულება მართლმადიდებლური კელსისის მიმართ აგიოგრაფთა მიერ არის შეთხზული.

თავდაპირველად, სწავლა-განათლების დასრულების შემდეგ, თეოფანე მამის კვალს გაჰყვა, სახელმწიფო სამსახურში შევიდა და ძალიან სწრაფად წარმატებასაც მიაღწია, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდამ, ლეონ IV-ის (775-780) დროს, სპათარქოსის წოდება მოიპოვა და ცოლად შეირთო პატრიკიოს ლეონის ქალიშვილი მეგალო, მაგრამ თეოფანეს ოჯახური ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. იმპერატორ ლეონის გარდაცვალების შემდეგ ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა, თეოფანემ მიატოვა საერო ცხოვრება და ბერად აღიკვეცა.

თეოფანეს სასულიერო მოღვაწეობის წლები მეტად ნაყოფიერი და მრავალფეროვანია, მის მიერ დაარსებულ მონასტერთა შორის გამოირჩევა მარმარილოს ზღვის პირას წმენებული *του μεγάλου Αγίου* (ნანგრევები დღესაც შემორჩენილია კვიზიკსა და რინდაკის შესართავს შუა), რომლის როგორც დამაარსებელი, ასევე წინამძღვარი იყო და მთელი სამონასტრო ცხოვრების მანძილზე მთელი გულმოდგინებით იღვწოდა საღვთო წიგნების გადასაწერად.

815 წელს ლეონ V-ის (813-820) დროს ხატმებრძოლობა მთელი სიმძაფრით განახლდა და თეოფანე, როგორც ხატთაყვანისმცემელი, დააპატიმრეს. 818 წელს კი სამოთრაკის ქუჩაზე გადაასახლეს, სადაც ის იმავე წლის 12 მარტს გარდაიცვალა. მართლმადიდებლებმა ეკლესიამ ქრისტიანობისათვის თავდადებულ მოღვაწეს წმინდანთა შორის დაუმკვიდრა ადგილი.

თეოფანე თბულების შესავალშივე გვაცნობებს, გიორგი სეინგელოზმა თავის შრომაში თხრობა დიოკლეთიანემდე მოიტანა, ხოლო შემდგომ ჩვენ გვთხოვა დაგვეთავრებინაო; ე.ი. თეოფანე თხრობას 284 წლიდან იწყებს და 813 წლამდე მოდის. ქრონოგრაფია დაწერილი უნდა იყოს 810-814 წლებში, რადგანაც გიორგი სეინგელოზი 810 წლის მახლობელ ხანებში გარდაიცვალა, ხოლო 815 წელს ლეონ V-ის ბრძანებით ხატთაყვანისმცემელთა დევნა განახლდა და თეოფანეც დააპატიმრეს; თბულების ბოლოს ავტორი ლეონის კვლავ „ეთილსათნოდ“ მოიხსენიებს.

თეოფანეს ქრონოგრაფია ბიზანტიის ისტორიოგრაფიისათვის უდიდესი მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით VII-VIII საუკუნეთა ისტორიის შესასწავლად, რადგანაც ბიზანტიისათვის ამ მეტად რთული და საინტერესო პერიოდის (არაბთა შემოსევები, ხატმებრძოლობა და სხვა) შესასწავლად, თეოფანეს ქრონოგრაფიის გარდა, მხოლოდ ნიკიფორეს „მოკლე ისტორია“ (769 წლამდეა მოტანილი) მოგვეპოვება. ერთ-ერთი ამ წყაროთაგანი არის ევგრეთწოდებულ დიდი ქრონოგრაფი, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს არის შექმნილი და დღეს მხოლოდ ფრაგმენტულად მოიპოვება; მეორე, პატრიკიოს ტრაიანეს ქრონიკა, რომელიც მხოლოდ 713 წლამდე მოდის, რიგ სხვა წყაროს, რომლებითაც

თეოფანე და ნიკიფორე სარგებლობდნენ, ჩვენამდე არ მოუღწევია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თეოფანეს მიერ შექმნილი ქრონოლოგიური სისტემა, რომელიც ამა თუ იმ თარიღის უფრო მეტი სიზუსტით დადგენის საშუალებას იძლევა.

თეოფანეს ქრონოგრაფია დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ბიზანტიაში, ასევე დასავლეთში. IX საუკუნის 70-იან წლებში ის ლათინურ ენაზე თარგმნა ანასტასი ბიბლიოთეკარმა. ამ თარგმანმა ჩვენს თანამედროვეობამდე უფრო ძველი ხელნაწერით მოაღწია, ვიდრე ორიგინალმა, და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია. ბიზანტიელები დიდად აფასებდნენ თეოფანეს ქრონოგრაფიას, იყენებდნენ მას როგორც ისტორიულ წყაროს და მეტწილად თხოობას იქიდან იწყებდნენ, სადაც თეოფანე ამთავრებდა.

ნინასიტყვაობა უამთაღმწერელისა

უნეტარეს მამა გიორგიმ, ტრასიოსის — კონსტანტინეპოლის უწმინდესი პატრიარქის — სენგლოზად ყოფილმა, მიღებულმა და ყოვლად განსწავლულმა კაცმა, მრავალი ქრონიკისა და ისტორიულ თხზულებათა წაკითხვისა და გულდაგულ შესწავლის შემდეგ, დაწერა მოკლე ქრონოგრაფია, ადამიდან მოყოლებული, რომელთა მეფე დიოკლეტიანემდე, ქრისტეანთა მდგენელამდე, გულდაგულ განიხილა ქრონოლოგია, რაც მასზე ადრე არავის გაუკეთებია, აღწერა უძველესი ხალხების ყოველი ხელმწიფის მმართველობა და მათი სიცოცხლის თარიღები და შეძლებისდაგვარად ასევე თვალნათლივ ასახა დიდებული და მსოფლიო კრებების მღვდელთმთავარნი, ე.ი. რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, — ისინი, ვინც ეკლესიას წინ უძღოდა მართლმადიდებლურად და ისინიც, ვინც ავაზაკურად უძღოდნენ წინ მწვალებლობას, და აღნიშნა მათი ცხოვრების წლები, მაგრამ ბოლოს, როცა მიხვდა, რომ ვერ მოაწერებდა დასახული საქმის აღსრულებას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან დიოკლეტიანემდე მოიყვანა, სიკვდილის წინ, მართლმადიდებლური რწმენით რომ უნდა მიხლოებოდა უფალს, ჩვენ, როგორც ერთგულ მეგობრებს, დაგვიტოვა თავისი დაუმთავრებელი წიგნი და გვთხოვა, დაგვესრულებინა იგი. ვლიარეთ რა საკუთარი უმეტეება და სიტყვის გაუმართაობა, უარი მოვახსენეთ დავალებაზე, რომელიც ჩვენს ძალებს აღემატებოდა, მაგრამ მან დაეინებით გვთხოვა არ დაგვზარებოდა და დაუსრულებლად არ დაგვეტოვებინა ეს შრომა და გვაიძულა ხელი მოგვეკიდა ამ საქმისათვის. ჩვენ მიერ გაწეული შრომა კუმშარიტად აღემატებოდა ჩვენს ძალასა და შესაძლებლობებს და მხო-

ლოდ მორჩილების გამო ვიყავით იძულებულნი შევკვიდებოდით მრავალ სიძნელეს. საჭირო იყო, შეძლებისდაგვარად შეგვეჩინა მრავალი წიგნი და შეგვასწავლა, ამგვარად შევადგინეთ ქრონოგრაფია დიოკლეტიანედან მეფე მიქაელამდე და თეოფილაქტემდე, მის შეილამდე, ალფნერეთ მეფენი, პატრიარქნი, მათი საქმეები და შეძლებისდაგვარად ზუსტად აღვწერეთ თარიღები. ჩვენ თვითონ არაფერი დაგვიზუსტებია, მაგრამ ძველი ისტორიოგრაფებისა და მწერლებისაგან ამოკრებისას ყოველი მოვლენა თავის ადგილას აღვწერეთ, რომ მკითხველს საშუალება ჰქონოდა დაენახა, როდის და რომელმა მეფემ აღასრულა ესა თუ ის სამხედრო, საეკლესიო, სამოქალაქო, სახალხო თუ სხვა საქმე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძველი მოვლენების კითხვას დიდი სარგებელი მოაქვს. ვინც ამ ჩვენს ნაშრომში სასარგებლოს აღმოაჩენს, დე, მან შესწიროს ღმერთს კეთენილი მადლი და ილოცოს ჩვენთვის, უმეცართა და ცოდვილთათვის, ხოლო თუ ნაკლს შეამჩნევს, დე, ჩვენს უმეცრებასა და აზრის სიზანტეს მიაწეროს და მოგვიტევოს ღვთის გულისათვის. ღმერთს უყვარს შესაძლევნი ხარკის მიღება.

✠ იმ წელს, როცა გალიაში შფოთი და არეულობა იყო, მაქსიმიანოს ერკულისმა ამანდოსი და ელიანოსი დაამარცხა. ამვე დროს აღდგა კრასოსი და ბრიტანეთი დაიკავა, ხუთმა გენტიანელმა — აფრიკა, ხოლო აქილევესმა ეგვიპტე დაიპყრო. ბრიტანეთში კრასოსი სამი წლის მანძილზე ბატონობდა, მაგრამ პრეტექტმა ასკლეპიოდოსმა იგი დაამარცხა და გაანადგურა. გალიაში კი კონსტანტიოს კეისარს თითქოს ბედმა დასცინა, — ერთსა და იმავე დღეს, ექვსი საათის განმავლობაში, იგი დამარცხებულოც იხილეს და გამარჯვებულოც. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა: თავდაპირველად ალამანები თავაშვებულ დინებასავით მოაწყდნენ კონსტანტიოსს და მის ჭარს და მათ ქალაქის ყედლებამდე მისდიეს. თავად კონსტანტიოსს, რომელოც ჭარს უკან მოჰყვებოდა, კიშკარი დაკრტილი დაუხვდა, შიგნით შესვლა ვერ შეძლო და, ის იყო მტერს ხელთ უნდა ეგდო, რომ ყედელზე ჩამოშვებული თოკით მალლა აიყვანეს და გადაარჩინეს. როგორც კი კონსტანტიოსმა თავი სამშვიდობოს დაიგულა, ჭარი გაამხნევა, ალამანების წინააღმდეგ გამოვიდა და ისეთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რომ ექვსი ათასი კაცი ბრძოლის ველზე ამოწვევტოლი დატოვა. მაქსიმიანოს ერკულისმა აფრიკაში ხუთ გენტიანელს სძლია, ალექსანდრიაში კი აქილევესი დაამარცხა დიოკლეტიანემ, რომელსაც აქ თან ახლდა კონსტანტიოსის ვაჟი კონსტანტინე, სიყმაწვილიდანვე ბრძოლებში განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეული. შურით აღვსილმა დიოკლეტიანემ კონსტანტინეს ვერაგულად დაღუპვა განიზრახა, მაგრამ ღმერთმა სასწაულებრივად იხსნა იგი და შვილი მამას უვნებელი დაუბრუნდა.

იმ წელს დიოკლეტიანემ მაქსიმიანოს გალერიოსი სპარსეთის მეფის ნარსევის წინააღმდეგ გაეზავნა, რომელსაც იზნანდ სირიაში გაელშქრა და ერთიანად გაეპარტახებინა იგი. მასთან შეხვედრისას, პირველ ბრძოლაში კალინიქსა და კარასთან მაქსიმიანოს გალერიოსი დამარცხდა. უკან გამოჭეუულს კი შეხვდა დიოკლეტიანე, რომელიც ეტლით მოემგზავრებოდა და რომელმაც მისი წოდებისათვის შესაფერისად აღჭურვილი კეისარი იძულებული გახადა დიდ მანძილზე გამოდევნებოდა მას. მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ კეისარმა მაქსიმიანოს გალერიოსმა დიდძალი ჯარი მოაგროვა, კლავაც გაემგზავრა ნარსევის წინააღმდეგ საბრძოლველად და არნახული ვაჟაკობითა და გმირობით ისახელა თავი. ის ნარსევს შიდა სპარსეთამდე მიჰყვა, მთელი ჯარი ამოუწყვიტა, მისი ცოლები, შვილები და დები წაიყვანა; მთელი ქონება, რაც მას თან ჰქონდა, წაართვა და სპარსეთის უკეთილშობილესი ხალხი ტყვედ წამოასხა. დიოკლეტიანე, რომელიც იმ ხანად მესოპოტამიაში იმყოფებოდა, ალაფით უკან მობრუნებულ კეისარს დიდი პატივისცემითა და ზარზეიმით შეხვდა. ამგვარად მათ ყველამ ცალცალკე და ერთად ბარბაროსებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობით გაითქვეს სახელი. მრავალი წარმატებით დაბრმავებული დიოკლეტიანე სენატორებისაგან მოითხოვდა ჭედის მოდრეკას მის წინაშე, ნაცვლად ჩვეულებრივი მისაღმებისა. ჩეჭმები ოჭრათი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასი თევლებით მოირთო. ხოლო როდესაც გალერიოს მაქსიმიანოსმა კონსტანტიოსის ვაჟი კონსტანტინე იხილა, რომელიც პალესტინაში ცხოვრობდა და ქრისტიანთა თანამზრახველი იყო, მისი დალუპვა გადაწყვიტა, რადგანაც მასში უჩვეულო სულის სიმტკიცე, ფიზიკური ძლიერება და თანდაყოლილი ნიჭიერება შენიშნა, წინასწარმეტყველთაგან კი შეიტყო, რომ კონსტანტინე მის ძლიერებას დაატყვედა და მოძღვრებასაც გაანადგურებდა, მაგრამ კონსტანტინე ლეთის წყალობით მიუხედა განზრახვას და დავითის მსგავსად გატყვევით უშველა თავს. მამასთან ჰპოვა თავშესაფარი და მასთან ერთად გადარჩენისათვის ათასი მადლობა შესწირა ქრისტეს.

იმ წელს დიოკლეტიანემ და მაქსიმიანოს ერკულიოსმა თავისი უგუნურებით უარი განაცხადეს სამეფო უფლებებზე და კერძო ცხოვრების სქემით შეიმოსნენ. დიოკლეტიანე დალმატიაში მდებარე მშობლიურ ქალაქ სალონაში დასახლდა, ერკულიოს მაქსიმიანოსი კი ლიკონიაში, ხოლო მანამდე ისინი ზარ-ზეიმით შევიდნენ რომში; წინ ნარსევის ეტლები, მისი ცოლები, შვილები და დები მიუძღოდნენ. შემდგომ ორივე თავ-თავისი სახლისაგან გაემშურა და მეფეებად აღმოსავლეთში გალერიოს მაქსიმიანოსი, დასავლეთში კი — კონსტანტიოსი დანიშნეს, რომელიც კუთვნილი ძალაუფლებით კმაყოფილი იყო, ძალზე კეთილსა და თავმდაბალს, არც ძვირფასეულობის შეგროვების სიხარბე სჭირდა და არც

მომხვეველი იყო, უფრო მეტად თავის ქვეშევრდომთა გამდიდრებას ცდილობდა. ამასთან, ხშირად აწყობდა სახალხო ზეიმებს და თავის მეგობრებს უმასპინძლდებოდა. ამიტომაც იგი ძალიან უყვარდათ გლეხებს, რომელთაც არც დიოკლეტიანეს სიმკაცრე დავიწყებოდათ და არც მაქსიმიანოს ერკულისის სისხლისმოყვარეობა, რასაც მხოლოდ კონსტანტიოსის დროს დააღწიეს თავი. კონსტანტიოსი გარდაიცვალა ბრიტანეთში, თავისი მმართველობის მეთერთმეტე წელს. ჯერ ისევ თავის სიცოცხლეში მან ხალხისა და თავისი თანამამთი შვილების, კერძოდ კონსტანტიოსის, ანაეალიანოსის და დალმატიოსის თანდასწრებით, რომლებიც ერკულისის ქალიშვილისაგან — თეოდორასაგან ჰყავდა, თავის ნაცვლად მეფედ უფროსი ვაჟი კონსტანტინე დაასახელა, ეს უკანასკნელი კი კონსტანტიოსის პირველი ცოლის ელენესაგან ჰყავდა. თავად კონსტანტიოსი იმპერატორ კლავდიუსის შვილიშვილი იყო ქალიშვილის მხრიდან, გალერიოსს კი ცოლად ჰყავდა დიოკლეტიანეს ქალიშვილი — ვალერია. მაშინ, როცა გალერიოსს მაქსიმიანოსი იტალიაში გაემგზავრა და იქ ორი კვისარი დანიშნა, აღმოსავლეთში — თავისი შვილი, მაქსიმიანოსი, იტალიაში კი — სევეროსი, რომელიცა ჯერა რომის ხელმწიფედ მაქსიმიანოსს ერკულისის შვილი, მაქსენტიოსი დააყენა. ამის შემდეგ ერკულისმა კვლავ მოიწადინა სამეფო ტახტს დაბატონებოდა და გადაწყვიტა შვილისათვის მეფობა ჩამოერთმია, სიძე კონსტანტიოსი კი დალატით მოეკლა. მაგრამ მის შვილზე თავდასხმა ჯარისკაცებმა არ ისურვეს, სიძეზე თავდასხმის გეგმა კი ფავსტას ქალიშვილმა გათქვა და ერკულისი მოკლულ იქნა ბოროტებისათვის. მაგრამ ევსევი კესარიელი გვიამბობს, რომ ჰკუიდან შემოიღმა დიოკლეტიანემ ერკულისთან ერთად უარი თქვა მეფობაზე და იმ დროიდან ორივე კერძო ინტერესებით ცხოვრობდა. ამ უკანასკნელმა სიცოცხლე თავის ჩამოხრჩობით დაასრულა, ხოლო დიოკლეტიანე ავადმყოფობით გარდაიცვალა. ამის საპირისპიროდ იმავე კესარიის ეპისკოპოსი გელასიოსი ამტკიცებს, რომ მათ შემდეგში გადათქვეს და ისევ მეფობა მოიწადინეს, მაგრამ სენატის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოკლულ იქნენ. ასე იყო თუ ისე, როცა ისინი დაიხოცნენ და ქრისტიანობის მოყვარული კონსტანტიოსი, როგორც ადრე აღვნიშნე, მიიკვალა, ტახტზე ავიდნენ კონსტანტინე ავგუსტუსი და მაქსიმიანოს გალერიუსი.

იმ წელს, ღვთის ნებით, კონსტანტინემ რომი დაიპყრო და უპირველესად წმინდა წამებულთა ნაწილების შეგროვება და მათი დასაფლავება — გაპატიონება ბრძანა. რომელები, რომლებიც ამ დიდებულ მოვლენას დღესასწაულობდნენ, მთელი შვიდი დღის მანძილზე აჭებდნენ და ადიდებდნენ უფალს და მის ცხოველყოფელ ჯვარს. ადიდებდნენ აგრეთვე კონსტანტინეს.

იმ წელს ყოველად ღვთისმოსავი კონსტანტინე ღვთისმოყვარე ლეკინიოსთან ერთად აღმოსავლეთის მმართველს მაქსიმიანოს გაღურების ეომებოდა. თავის მხრივ გაღურებისა საბრძოლველად დემონების წინასწარმეტყველებისა და ჯადოჭობის ძალის იმედით უთვალავი ჭარი შეკრება, მაგრამ კონსტანტინე დიდს ცხოველყოფილი ჯვარი მოუძღოდა წინ და ტრანხი პირველი შეტაკებისთანავე უკუიქცა. მისი ჭარის დიდი ნაწილი განადგურდა. თავად კი მეფის სამოსი უბრალო ჭარისკაცის ტანსაცმლით შეიცვალა და მკირურციხოვან თანამზრახველებთან ერთად თავს უშველა. სოფელ-სოფელ დადიოდა, კრახთა ქურუმები და მკითხავები შეაგროვა, აგრეთვე წინასწარმეტყველნიც და ყველანი, როგორც ფლიდები ერთიანად ამოწყვიტა.

იმ წელს კონსტანტინე დიდი რომაელთა მიწაწყლის ერთპიროვნული მმართველი გახდა. მან მთელი ყურადღება ღვთის რწმენას მიაპყრო, ეკლესიებს აშენებდა, საზოგადოებრივი ხაზინის ხარჯზე მათ სიმდიდრით ავსებდა და მრავალ პატრეს მიაგებდა. უპირველესად გამოსცა კანონი, კრახთა სალოცავები ქრისტეს მსახურთათვის გადაეცათ (ამ კანონს მასთან ერთად ხელი მოაწერა მისმა ვაჟმა კრისპოსმაც), მეორე, ჭარში მხოლოდ ქრისტიანები მიეღოთ და ბაღისა და ჭარის მმართველობაშიც მხოლოდ ქრისტიანები დაეყენებინათ, ხოლო კრახთაყვანისმცემლები სიკვდილით დაესაჯათ. მესამე, თავისუფალი ყოფილიყო ყოველგვარი მუშაობისაგან ორი სააღდგომო კვირა: ერთი აღდგომამდე, მეორე კი აღდგომის შემდეგ. ამგვარად მშვიდობა და სიწყნარე დამკვიდრდა ჭეცხინოელებზე და მორწმუნენიც სიხარულმა მოიცვა. ხალხი ქრისტეს რწმენას ყოველდღიურად ეზიარებოდა, ინათლებოდა და მამა-პაპულ კრახებს ამსხვრევდა. მეფემ აგრეთვე ბრძანა, რომ ეგვიპტის მღინარის, ნილოსის აღიდების საზღვრები ეკლესიაში აღენიშნათ, და არა სარაბიოში, როგორც ეგვიპტელებს ჰქონდათ წესად მიღებული. ლეკინიოსი კი, სანამ საბოლოოდ გაეციებოდა, ანტიოქიაში ჩავიდა და ჯადოჭარი თეოტეკნოსი და მისი თანამზრახველნი საშინელი წამებით დახოცა.

იმ წელს დასრულდა კონსტანტინე ავეუსტუსის ოცწლიანი მმართველობა და მსოფლიოს წმინდა ეკლესიის პირველი კრება შედგა. მასში მონაწილე წმინდა მამათა უმრავლესობა სასწაულომოქმედი იყო. ანგელოსთა სწორნი, უწინდევნილნი და საკუთარ სხეულზე ქრისტეს წყლულებათა მატარებელნი: პაფნუტიოსი, სპირიდონი, მაკარიოსი და ნისიბინელი იაკობი საკვირველმოქმედნი იყვნენ, მიცვალებულებს აცოცხლებდნენ და სხვა მრავალ სასაწაულებსაც ახდენდნენ. ამ წმინდა კრებას, რომელიც ბითონიის ნიკეაში შედგა, თავმჯდომარეობ-

დნენ: მაკარიოს იერუსალიმელი და ალექსანდრე ალექსანდრიელი, რომიდან კი ბიკრანი და ბიკენტოსი ჩამოვიდნენ, ხოლო რადგანაც ანტიოქიის ეკლესიის ტახტი დაკავებული არ იყო, კრებამ იქ სირიის ბეროიელი ეპისკოპოსი ეესტათი დააყენა. კრებაში არც ალექსანდრე ბიზანტიელი იღებდა მონაწილეობას ღრმად მოხუცებულობისა და სხეულის დაძაბუნების გამო, მაგრამ მისი ადგილი უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაიკავეს. ამ კრებას ესწრებოდა აგრეთვე პაულუ ნეოკესარიელი და სხვა მრავალი მამა, წმინდა ცხოვრებითა და ცოდნით გამოჩენული, რომელთაც მეფისადმი მიძღვნილ შესამე სიტყვაში ჭემა-დიდებით მოიხსენიებს ეგვიპტოს პამფილოსი. უქრისტიანესმა მეფემ ისინი გულუხვად დააჭოდოვა ყოველივე სახმართ. ამ წმინდა მსოფლიო კრებამ კი ყოველი წმინდანისა და ერთარსება სამების მეოხებით განდევნა და დაატყვევა არიოსი და მისი თანამზრახველნი ეგვიპტოს ნიკომედიელი და თეოგნიდე ნიკელი ამხანაგებით, გარდა ეგვიპტოს პამფილოსისა, რომელმაც ამ დროისათვის გაიზიარა „ერთარსება“ სიტყვის შინაარსი. განთქმულმა მეფე კონსტანტინემ კი, რომელიც პირადად ესწრებოდა კრებას და მამებს ყოველმხრივ ეხმარებოდა საღეთო საქმეთა აღსრულებაში, ყოველივე დაამტკიცა. განდევნილთა ნაცვლად ეკლესიამ სხვათა ხელდასხმა ბრიანა და ბოლოს რწმენის წერილობით აღწერა გამოსცა, რომელიც იმიერიდან მთელს მართლმორწმუნე ეკლესიებში გამოაცხადეს. როცა ცოდელი არიოსი საეკლესიო კრებაზე გამოცხადდა და სასამართლოს წინაშე წარდგა, მას მხარი დაუჭირეს ეგვიპტი ნიკომედიელმა, თეოგნიდემ, მარიამმა, ნარკისოსმა, თეოფანემ და პატროფილოსმა, და კრებას ღვთისმგმობელი სიტყვა წარუდგინეს. ეს სიტყვა განჭიკებულ იქნა, ხოლო მისმა შემდგენლებმა თავისი შეხედულებები შეიცვალეს და არიოსს განუდგნენ. წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ ეგვიპტის ჭალაჭის პტოლუიადოსის მკვიდრი სეკუნდოსი და მარმარიკელი თეონა, რომლებიც არიოსთან ერთად იქნენ დაწყვეტილი და გაძევებული. ამის შემდეგ ღვთისმორწმუნე ხელმწიფესთან ერთად რწმენის წმინდა სიმბოლოს ყველამ მოაწერა ხელი; იგი ბალხსაც გააცნეს და კრება ხოტბის აღკლუნით დასრულდა.

იმავე წელს ხელმწიფის ვაჟი კრისპოსი ქრისტიანად მიიქცალა. ბიზანტიონის შენებაც დაიწყო.

ამგვარად მეთორმეტე ინდიჭიონის, მაისის ოცს, კონსტანტინე დიდის მეფობის მეოცე წელს, შედგა პირველი წმინდა მსოფლიო კრება. კრებამ საოლქო უსტარი გაგზავნა ალექსანდრიაში, ლიბიაში და პენტაპოლისში და იჭაურებს არიოსის, სეკუნდოსის და თეონას განდგომა აუწყა. მელუტიოსს მოუწოდა მშვიდად ეცხოვრა თავის ჭალაჭში, მათ მიერ ხელდასხმულებს კი სხვა საიდუმლო ხელდა-

სმის მიღება უბრძანა. ამასთანავე, შევემ ბრძანა იუდეველებთან ერთად კი არ ეზეიმით აღღგომა, არამედ, იტალიაში მიღებული წესის თანახმად, კვირა დღეს. ღვთისმორწმუნე ხელმწიფემ ამგვარადვე დაგზავნა ყველგან უსტარები, რომლებშიც ყველაფერს იწონებდა და ამტკიცებდა, რაც წმინდა კრებამ დაადგინა; არიოსი და მისი თანამზრახველნი უარყო და ბრძანა მათთვის პორფირიანელნი ეწოდებინათ, დაეწვათ მათი თაზულეზანი და ვინც ამას წინ აღუდგებოდა, სიკვდილით დაესაჯათ. და ბოლოს, მეფის ბრძანება აკანონებდა ყოველივე ამას. თავისი მმართველობის ოცი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო დღეს, კონსტანტინემ ყველა მამა სტუმრად მოიწვია, მათთან ერთად გატება პური და ათასგვარი სიკეთე უბოძა; პატენტოასს და მის მსგავსთ უკოცნიდა თვალებსა და ღვენით დასახიზრებულ სხეულის ნაწილებს. ყველა ეპისკოპოსს სთხოვდა, მშვილობა დაეცვათ და მოყვასის შეურაცხყოფისაგან თავი შეეკავებინათ. ზოგიერთების მიერ ერთმანეთზე წარმოდგენილი დასმენის ფერკლები დაწვა და დაიფიცა, რომ თვით ეპისკოპოსი გარყვნილებაში ჩაფლულიც რომ ენახა, შეუნდობდა და მოსასხამს ვადაფარებდა. ეკლესიებს დიდი განძი უბოძა, ხალხის მეთაურებს კი უბრძანა პატრი ვცათ მღვდლებსათვის და ყველანი დიდი სიხარულით უკან გაისტუმრა. როცა ბიზანტიაში ელინი ფილოსოფოსები ხელმწიფეს საყვედურობდნენ, რომ ის არ იცავდა რომაელ მეფეთა ადამ-წესებს და ახალი რწმენა შემოჰქონდა, მან ბრძანა, ერთერთი ასეთი ფილოსოფოსი საკამათოდ ეპისკოპოს ალექსანდრესთან გაეგზავნათ. ალექსანდრე ღვთის მორწმუნე კაცი იყო, მაგრამ სიტყვაში გამოუცდელი და ამიტომ კამათში გაწაფულ ფილოსოფოსს უთხრა: „უშმარიტი ღმერთის, იესო ქრისტეს, სახელით გიბრძანებ დაღუემდე და ხმა აღარ ამოილო!“ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ფილოსოფოსი დაღუმა და ხმა წაერთვა. შემდეგ ხელმწიფემ იერუსალიმის ეპისკოპოსს, მაკარიოსს, რომელიც წმინდა კრებას ესწრებოდა, უბრძანა დაბრუნებისთანავე მოეძებნა წმინდა აღღგომის ადგილი, თხემის მთა — გოლგოთა — და ცხოველმყოფელი ძელი. იმავე წელს თავის ღმერთი-განბრძნობილ დედას, ელენეს, ხელმწიფის გვირგვინი დაადგა და ღვდოფაღს ნება დართო თავისი ფული მოეჭრა. ელენეს ხილვა ჰქონდა, რომლის მიხედვით იერუსალიმს წასვლა ებრძანა ურწმუნოთა მიერ დაფარული წმინდა ადგილების აღმოსაჩენად. ამიტომ თავის ვაჟს — კონსტანტინეს — სთხოვა, მისთვის ნება დაერთო, ღვთის ბრძანება აღესრულებინა, და შეილიც მორჩილად დათანხმდა. ღვათიერი სურვილით შეპყრობილ კონსტანტინეს თავისი სახელით ჭალაქის აშენება ეწავდა და უპირველეს ილიონის წინამდებარე ველზე, ანატოლის საფლავის ზემოთ ამარჩია ადგილი, სადაც, როგორც ამბობდნენ, ტროაში საბრძოლველად მისული ელინები გემებს აჩერებდნენ. მაგრამ ღმერთმა სიზმარში უბრძანა კონსტანტინეპოლი აეგო ბიზანტიაში.

მან დიდებული სახლები ააშენა ამ ქალაქში, რომიდან და სხვა ქვეყნებიდან სახელგანთქმული და კეთილშობილი ხალხი გადმოასახლა, რომელთაც ამ სახლებში ბინები მიუჩინა და იქ ცხოვრება უბრძანა. ქრისტეს მოყვარულმა ხელმწიფემ მაშინვე წმინდა ირინეს, მოციქულთა, წმინდა მოკიოსის და მთავარანგელოზის (ანაპლუსში) ეკლესიები ააგო. ელინთა კრებების დაქვევა და მათ ადგილას ეკლესიების აგება ბრძანა. სწორედ მის დროს დაანგრიეს ძირფესვიანად ასკლეპიოსის ტაძარი აიგეში, აფროდიტისი — აფაგესში და მრავალი სხვა, ხოლო ამ ტაძართა შემოსავალი მთლიანად ეკლესიებს გადასცეს. ამ დროს მრავალი ტომის ხალხი ინათლებოდა, იმ მღვდელთა სასწაულმოქმედებების შემხედვარე, რომლებიც მეფე გალიენიოსის დროს რომელითა მიწა-წყალზე შემოჭრილი ვუთების, კელტების და დასავლეთ გალების მიერ იყვნენ დატყვევებულნი. ამჟამად კი, გამარჯვებული კონსტანტინეს დროს, მრავალი კრპათაყვანისმკეპელი ინათლებოდა. ასე ყველაზე შორეულმა ინდოელებმაც ირწმუნეს ქრისტე, როცა ტროასელი ფილოსოფოსი მეროპე თავის მოწაფეებთან ედესიოსთან და ფრუმენტოზსთან ერთად იმ ქვეყნების მოსახილავად ჩავიდა და ლეთის სიტყვა აუწყა, ათანასემ იქ პირველ ეპისკოპოსად ფრუმენტოზი აკურთხა. სწორედ ამგვარადვე ირწმუნეს იბერიელებმა, როდესაც ერთი ქრისტიანი ტყვე ქალის სასწაულები იხილეს; მან თვალი აუხილა ხელმწიფეს, რომელიც ნადირობისას დაბრმავებულყო. ამის შესახებ რუფინუსი გვიამბობს, მას თავად იბერთა მეფის ბაკურისაგან ჰქონდა მოსმენილი ეს ამბავი. ასევე ირწმუნეს არმენიელებმა, რომელნიც გამოხსნილ იყვნენ თავიანთი მეფის თრდატის და ეპისკოპოს გრიგოლის მეშვეობით. ხარობდა აგრეთვე ტროასელი ეპისკოპოსი დოროთეოსი, რომელსაც დიოკლეთიანეს დროს ბევრი ტანჯვა ჰქონდა გადატანილი, მაგრამ მიუხედავად ამისა მრავალი თხზულება დატოვა ლათინურ და ბერძნულ ენაზე, რადგან ორივე ენა კარგად იცოდა და ბუნებით უხვად ბოძებული ნიჭით დაჭილდოებული იყო. იგი დაწერილებით წერდა ბიზანტიის ეპისკოპოსებსა და სხვებზე, გადასახლებიდან დაბრუნებული კი წმინდა კრებაში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ თავის სამწყაოს დაუბრუნდა, რომელსაც იულიანე განდგომილამდე მართავდა. როცა ამ უწმინდურმა მთავრების მეშვეობით ფარულად ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ნეტარი დოროთეოსი ოდისოპოლისში წავიდა, სადაც იულიანეს მთავრებმა შეიპყრეს და მრავალ სატანჯველს შეამთხვიეს. ღრმად მოხუცებული დოროთეოსი მიიკვალა თავისი სიცოცხლის ასმეშვიდე წელს, ქრისტეს სჯულისათვის წამებული.

იმ წელს იუდეველნი და სპარსნი, სპარსეთში ქრისტიანობის გავრცელების მხილველნი, თავიანთი მეფის საბორის წინაშე ცილს სწამებდნენ კტეზიფონის

მელთა ხელმწიფის ერთგულნი და სპარსეთის სახელმწიფოს მოღალატეები იყვნენ. აჭედან დაიწყო სპარსეთში დიდი დევნა, რომლის დროსაც მრავალმა დაიმშვენა თავი ქრისტესათვის წამებულის გვირგვინით, მათ შორის — საბორის მასწავლებელმა, უსთაქსადესმა, მთავარეპისკოპოსმა სიმონმა, ამაჲ გარდა, ერთ დღეს უთვალავ სხვა ქრისტიანთან ერთად ასმა მღვდელმა და ეპისკოპოსმა. სხვა ქალაქებში თურამეტი ათასამდე წამებულს ითვლიდნენ, რომელთაც უწმინდური საბორის მეშვეობით არნახულ ტანჯვა-წამებაში ამოხდათ სული. ასევე სხვა მრავალთან ერთად წამებით დაიღუპნენ ეპისკოპოსი აკფუსიმი, ხუცესი აითალა და არქიეპისკოპოს სიმონის დაა ტერბულია. ლეთისმორწმუნე ხელმწიფე, კონსტანტინე, წერილით არწმუნებდა საბორს ქრისტიანები დაენდო და შეეწყვიტა ესოდენ უსაზღვრო მრისხანება. წერილი დიდებულად იყო დაწერილი; მაგრამ შედეგი არ გამოუღია.

იმავე წელს ლეთის მორწმუნე კონსტანტინემ ნეტარი ელენე განძეულით უფლის ცხოველმყოფელი ძელის საძებნელად გაგზავნა. იერუსალიმის პატრიარქი მაკარიოსი დედოფალს შესაფერისი პატრიით შეეგება და მასთან ერთად მშვილობით, ლოცვითა და მარხვით ეძებდა სასურველ ცხოველმყოფელ ძელს. ამის შემდეგ უფალმა მაკარიოსს მალე მიანიშნა ადგილი, სადაც უწმინდური აფროდიტეს ტაძარი იყო აგებული და მისი ჭანდაკება იდგა. ლეთიერობებულმა ელენემ, ხელოსანთა უთვალავ რაოდენობას ხელმწიფურად უბრძანა დაუყოვნებლივ ძირფესვიანად დაეგრიათ და მოეთხარათ აფროდიტეს ტაძარი, რომლის ასაგებად მრავალი წლის წინათ უზარმაზარი თანხა იყო გაღებული ადრიაწე ელიას მიერ. აჲ, მართლაც, მაშინვე გამოჩნდა წმინდა საფლავი და თხემის ადგილი, აჭედან აღმოსავლეთით კი სამი ჯვარი იყო ერთად ჩაფლული, რომლის ამოთხრისას ლურსმნებიც იპოვეს. არავინ იცოდა, რომელი იყო უფლის ჯვარი, რამაც ძალზე დაამწუხრა ნეტარი ელენე, მაგრამ მაკარიოსმა, რომელსაც ეპისკოპოსის წოდება ჰქონდა, საჭე რწმენით გადაჭრა. მან სამივე ჯვარი ერთ ცნობილი წარმომავლობის უსაშველოდ დაავადებულ და საიჭიოსკენ პირმიჭყეულ ქალს მიუტანა და მათ შორის უფლის ჯვარი ამოიცნო; როგორც კი ამ ჯვარის ჩრდილი ავადმყოფს დაეცა, მომაცდდავი ლეთიერი ძალით მაშინვე ფეხზე წამოდგა და ხმაძალა ადიდა უფალი; ნეტარმა ელენემ შიშითა და უდიდესი სიხარულით აღმართა ცხოველმყოფელი ძელი, მისი ნაწილი ლურსმნებთან ერთად შვილს წაუღო, მეორე ნაწილი კი ვერცხლის ზანდუქში ჩადო და მოშავალი თაობებისათვის შესანახად ეპისკოპოს მაკარიოსს გადასცა. მაშინვე ბრძანა ეკლესიების აღმართვა წმინდა საფლავზე და თხემის ადგილზე, ხოლო თავისი შვილის სახელით კი იმ ადგილას, სადაც ცხოველმყოფელი ძელი იყო ნაპოვნი. ეკლესიების აღმართვა

ბრძანა აგრეთვე ბეთლემსა და ზეთისხილის მთაზეც და ამის შემდეგ სახელოვან კონსტანტინესთან დაბრუნდა. კონსტანტინე მას დიდი სიხარულით შეეგება, ცხოველყოფილი ჭერის ნაწილი ოქროს ზარდახშაში ჩადო და შესანახად ეპისკოპოსს გადასცა, ლურსმანთავან კი ზოგიერთი მეზარადში ჩაიმაგრა, ზოგორ — ცხენის ლავაში და ამით აღასრულა წინასწარმეტყველის ნათქვამი: „მას დღესა შინა იყოს ლავამსა ზედა წმიდაი უფლოსა, ყოვლისა მპყრობელისა“. სახელგანთქმულმა კონსტანტინემ წერილი მისწერა ნეტარ მაკარიოსს მშენებლობა დაეჩქარებინა. სამუშაოების უფროსს, რომელსაც დიდი სიმდიდრე გაატანა, უბრძანა ისეთი ხელოვნებით შეემკოთ წმინდა ადგილები, რომ მთელს მსოფლიოში არ ყოფილიყო მათზე მშვენიერი, ხოლო ოლქის მოხელეებს უბრძანა ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ მშენებლობისათვის სახელმწიფო ხაზინიდან. ხელმწიფე ზეიმობდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ საშუალება მისცა უძნებელი წვლილი მიიღო გავილო მის სადიდებლად.

იმავე წელს იერუსალიმის პატრიარქი, ნეტარი მაკარიოსი მიიქცა, მისი ტახტი კი მაქსიმემ დაიკავა, თაემდაბალმა და წესიერმა კაცმა, რომელსაც მრავალი ტანჯვა ჰქონდა გადატანილი ღვთისათვის და დევნისას მარჯვენა თვალიც დაეკარგა.

იმავე დროს მიიღო უფალმა ოთხმოცი წლის ნეტარი ელენეც, რომელმაც მრავალი რამ ასწავლა თავის შვილს ღვთის მსახურებისათვის. ის დაასაფლავეს კონსტანტინეპოლის წმინდა მოციქულთა ტაძარში, რომელიც მისი შვილის, კონსტანტინეს მიერ ქრისტიანი მეფეების სამარხად იყო აგებული. ამ ტაძარში პირველი ნეტარი ელენე დაასაფლავეს დიდი პატივითა და ღამისთევით. იერუსალიმის წმინდა ქალწული, რომელთაც როგორც მხევალი, ემსახურებოდა ღმერთს ტრაპეზზე ღმრთივ-განბრძნობილი ელენე, დღე-მუდამ ლოცულობდნენ მისი სულის საცხოვნებლად. ხელმწიფემ ევსევვი პამფილოსს კონსტანტინეპოლის ტაძრისათვის წმინდა წიგნების დამზადება უბრძანა და ამ საქმისათვის სახელმწიფო ხაზინიდან დიდი თანხა გაიღო.

წინათ	3
წმინდა მახოშიოსის ცხოვრება	
წინაპეტყა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	6
იოანე დამასკელის და კონსტანტინე იერუსალიმელის ცხოვრება	
წინასიტყვა და თარგმანი ლეილა წერეთლისა	15
საგალობელთა თარგმანებისათვის	
შესავალი ლიანა კვირიკაშვილისა	45
ანტონი კრეტელის „დედალუთისას გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	49
იოანე მონაზვნის „გალობანი სატყუერებისანი“	
თარგმანი თამარ ჩუბინიძისა	58
თეოფანეს „წმინდისა და ღირსი მოწამის პარასკევს გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	67
თეოფანეს „წმინდა მოციქულის იუდას გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	75
კლემენტის „შვიდი წმინდა ეფესელი ყრმის გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	83
იოსების „წმინდა კლემენტის გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	91
იოსების „შვიდი წმინდა ეფესელი ყრმის გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	100
იოსების „წმინდა მღვდელთა მოწამის კორნელიოს ასისათვის გალობანი“	
თარგმანი თამარ ჩუბინიძისა	108
თეოდორე სტუდიტის „წმინდა ბატების მალლად დასვენების გალობანი“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	118
ლუონ სიბრძნისმეტყველის ეპიგრაფა	
თარგმანი ელგუჯა გელუნავასი	126
ფოტოისი	
შესავალი სიმონ ყაუხჩიშვილისა	127
ეპიგრაფა აქილეუს ტატიოსის რომანზე „კლეიტოფონი და ლევკაძე“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	129

სიტყვა სულიწმინდის მესაიდუმლოების შესახებ	
თარგმანი ჯულიეტა მოშიაშვილისა	1
რიტორიკულ-პომილტიკური ენარისათვის	
წინასიტყვა ლიანა კვირიკაშვილისა	1
ქრისტეფოროს ალექსანდრიელის „სულის სარგებელი სიტყვა“...	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	1
— ანდრეა კრეტელის ან იოვანე დამასკელის „სიტყვა ღვთისმშობლის დაბადებისა“	
თარგმანი მაია ნახუცრიშვილისა	
— იოვანე დამასკელის „სიტყვა ღვთისმშობლის მიძინებისათვის“	
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	1
პეტრე სიკელიოტისის „მანიჭველთა წვალება“	
წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	1
ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „მოკლე ისტორია“	
წინასიტყვა და თარგმანი ზაირა ყოლბაიასი	17
გიორგი სინგელოზის ქრონოლოგიური ცხრილიდან	
წინასიტყვა სიმონ ყაუხჩიშვილისა	1
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	1
— თეოფანე ემთააღმწერელის „ქრონოგრაფია“	
წინასიტყვა და თარგმანი ნია ეფრემიძისა	1
ზანდუკი	21

5 2 1 7

